კვირის პალიტრა

N4 (3



მიზეზი, რის გამოც ბიგ-თიკომ 12 კილო დაიკლო

ირაკლი მარხულიას გული მაინც თავისუფალია და საცოლეს ეძებს

მოდის ტენდენციები



წელის ხაზი მაღლა ავიდა, მკერდის ხაზი კი გამოიკვეთა

ვის გამო თქვა უარი მარიკა ვერულაშვილმა შვილსა და დედაზე





„A-სტუდიომ“ ლევან ლაზარიშვილის ცოლისგან სიმღერა იყიდა



ჰეროინზე დამოკიდებული ქალის აღსარება

ოთხი ქართველი ქალის „სექსუალური რევოლუცია“...

საშობაო აქცია 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე

# Premier
by Dead Sea Premier

მკვდარი ზღვის ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა

# 1 + 1

## იყიდე ერთი სასურველი და მიიღე საჩუქრად განსხვავებული




Il. Premier - თქვენი კანის მომხიბვლელობა

www.il-premier.ge

GTC ვეკუას ქ. №3 II სართული

სახალხო აფთიაქი

მარჯანიშვილის ქ. №16

ფარნავაზ მეფის გამზირი № 1



„პირველად, აკრძალული ხილის გემო 19 წლის ასაკში გავიგე და ძალიან მომეწონა. ის კაცი ჩემზე 9 წლით უფროსი იყო. მეხვეწებოდა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას და გათხოვების შემდეგ ველარ წავიდოდი. მას სწორედ იმიტომ დავნებდი, რომ სამუდამოდ მქონდა წასვლა გადაწყვეტილი. 2 წლის მერე მართლაც, გავემგზავრე და 5 წელი გერმანიაში ვიცხოვრე“.

# აკრძალული ხილი

26

# „განაშებული“ „მედიუმ“-თიკო



„მეც ვიფიქრე: მე ხომ ბიგ-თიკო ვარ და ბევრი რამ შემიძლია. მოდი, ამაშიც გამოვცდი თავს-მეთქი და აი, შედეგიც სახეზეა“.

31

# უმემკვიდროდ დარჩენილი გვერაზი



ბალანჩივაძის გვარის ტრანსფორმაცია სერგეი დიაგილევს ეკუთვნის. 1924 წლის 21 დეკემბერს, გიორგი ბალანჩივაძე ჯორჯ ბალანჩინი გახდა და მსოფლიომაც სწორედ ამ სახელით გაიცნო.

56

# უკრაინული მოდის მიმდევარი ჰოლივუდელი ვარსკვლავი



2002 წლის მარტში, იულია ტიმოშენკომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე თმა გაიშალა და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ნაწნავი ყალბი არ იყო.

44

№4 (346)
25 – 31 იანვარი, 2007
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
მორიგი საგადასახადო რეფორმა
ანუ „ან ფული, ან სული“ 3
■ ერთი კითხვა 4
■ ეკრანს მიღმა
რატომ წავიდა ბაკურ სვანიძე „რუსთავი 2“-დან 5
■ კონფლიქტი
ჭორ-მართალი III კორპუსის გაყიდვისა
და ქართველოლოგიური განყოფილების
დახურვის შესახებ 6
■ დაიჯესტი
სააკაშვილს „ამერიკულ ხაფანგს“ უგებენ (?!) 8
■ ჟურნალისტის როლში
ვის გამო თქვა მარიკა ვერულაშვილმა
საკუთარ შვილსა და დედაზე უარი... 10
■ გაბრაზებულები
„მათი აუქციონზე გატანა მოხდება,
მაგრამ შედეგები წინასწარ ცნობილია“ 12
■ კრიმინალი
ადამიანი მოვკალი, მაგრამ... ყველაფერი
ისე ითქვას, როგორც სინამდვილეში მოხდა“... 13
■ რეალური
შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 16
■ თემა
„ცაში ფრენის“ მონები 20
■ ანტიდეპრესანტი 24
■ ემიგრანტები
იტალიაში მცხოვრები ქართველის ტკივილი 24
■ გზავნილები
აკრძალული ხილი 26
■ სცენა
„სექსუალური რევოლუცია“ 30
■ იმიჯი
„განაშებული“ „მედიუმ“-თიკო,
რომელიც მალე „სმოლ“ გახდება 31
■ სასიძო
ვისთვის აპირებს ირაკლი მარხულია
კვადროციკლის გადაცემას 32




— რა ქალის საქმეა, კაცი კაცთან რატომ მიდის დილაადრიან, ვერ გავიგე! — აყვირდა რეზი.

— შენ ცოტა ტონს დაუწიე, გაიგე?! ჩემი საკუთარი სახლის ბედი დევს სასწორზე და მე არ უნდა ვიცოდე, რა მოხდა? ისეთი სიფათები გაქვთ, დაძმარებული... — აღარ დაამთავრა ნელიკომ.

— არაფერი არ მოხდა, ყველაფერი კარგად არის... — თავს ძალა დაატანა რეზიმ და წამოდგა.

38

■ მოდა
„წელის ხაზი ოდნავ მაღლა ავიდა,
მკერდის ხაზი კი, შედარებით გამოიკვეთა“ 34
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ყვავილების ვალსი — მიანიჭეთ
საყვარელ ადამიანს სიხარული 35
✓ ქათამი თაფლით, ვარდისფერი
მურაბით და თხილით 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (გაგრძელება) 38
■ ეგზოტიკა
„ტანგო“ — სისხლიანი ორთაბრძოლიდან
აღმოცენებული ცეკვა 42
■ ვარსკვლავები
✓ იოკო ონოს მძღოლი თავს
მის საყვარლად ასაღებს 44
✓ ნიცელმა ახალგაზრდამ ქერიმოვის Ferrari-ის
ნამსხვრევები აუქციონზე გაიტანა 44
✓ უკრაინული მოდის მიმდევარი
ჰოლივუდელი ვარსკვლავი 44
■ ჯანმრთელობა
✓ ისეირნეთ თხილამურებით 45
✓ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
უფრო ხშირად მამაკაცებს ემართებათ 45
✓ რამდენიმე მცდარი მოსაზრება
ქალის ჯანმრთელობის შესახებ 46
■ წარსულის ანაბეჭდი
აბრაგად გავარდნილი გლეხი და
ახალწლის ღამეს დატრიალებული ტრაგედია 47
■ წმინდანები
„გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას
ზედა ვარსკვლავი მოტყინარეი,
ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი“ 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ ასპარეზი
მალხაზ ასათიანი:
„ჩემი კერპი ყოველთვის დავით ყიფიანი იყო“ 54
■ ფესვები
ქართული ხასიათით გაჯერებული ამერიკული
ბალეტი და უმემკვიდროდ დარჩენილი ბუმბერაზი 56
■ თინეიჯერული პონტები
მორცხვი ტელეჟურნალისტი
და მომღერალი მეუღლემ გამოაფხიზლა 57
■ SOS
რატომ გადააგდო დედამ შვილი ნაგვის ბუნკერში 60
■ ავტო 62
■ ჰოროსკოპი 63
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ მესიჯომანია 66
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com



# „ცაში ფრენის“ მონებში

„ვიცი, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეს ვუქმნი, სიცოცხლე კი, მართლაც ძალიან მწყურია. მაგრამ რას იზამ? კაიფი — კაიფია და ცხოვრებისგან მაქსიმალური კაიფის მიღება მინდა, რაც ზოგჯერ არ გამომდის“...

20

# ახალწლის ღამეს დატრიალებული ტრაგედია



„როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მისთვის თურმე უთქვამთ, რომ მთელი ნახირი კოლმეურნეობისთვის უნდა ჩაებარებინა“.

47

# „ტანგო“ – სისხლიანი ორთაბრძოლიდან აღმოცენებული ცეკვა



თავდაპირველად, „ტანგოს“ მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ. ცეკვა უფრო, გამძაფრებულ დუელს წააგავდა: მოედანზე ხანჯლების ალესილი პირები, ძალა და უმწეობა, სისხლი და სიკვდილი ბობოქრობდა.

42



# თეთრი სიკვდილი

– რა წამალზე ბაზრობ?
– შენ რა გინდა? – კითხვით უპასუხა ბიბილურმა.
– სუბუტექსი.
– აგაღებინებ... ასი დოლარი დაჯდება...
– დღესვე?
– მოიცადე... – ჩაილაპარაკა ბიბილურმა და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.
საუბარმა ორიოდე წუთი გასტანა. ბოლოს ბიბილურმა აპარატი გათიშა და გოგას მიუბრუნდა.

50

M K

# მორიგი საგადასახადო რეფორმა ანუ „ან ფული, ან სული"



ვიცი, „ზოგ-ზოგიერთებს" არ ესიამოვნებათ, ამ ბოლო დროს ძალიან რომ შევუჩნდი გადასახადებს, მაგრამ არც ჩვენ გვსიამოვნებს, ბატონო, ეგენი რომ შემოგვიჩნდნენ! ჩემი წინა წერილის მელანი არ იყო გამშრალი, ახალი ტიპის გადასახადებზე რომ წავიდა ლაპარაკი. რას მერჩით, თქვე დალოცვილებო?! იქნებ, რაღაც სხვა თემაზეც მინდა ვწერო, არ მაქვს უფლება?! დააგროვეთ ეგ თქვენი საგადასახადო რეფორმის სიახლე-ექსპერიმენტები და ერთად გამოუშვით...

თუმცა, რა თქვენი ბრალია, დამოუკიდებელი საქართველო ახალი, 2-3 წლის ქვეყანაა, პატარა ბავშვივითაა და პატარა ბავშვის ამბავი ხომ კარგად მოგეხსენებათ, არავინ იცის, როდის რას აიჩემებს და რისი ფული დასჭირდება. „ატაში" მინდაო, დიდი ხანია გაიძახის; განსაკუთრებით, ნატოსა და ევროკავშირში უნდა, მაგრამ როგორ გინდა აუხსნა, რომ თუ კარგად არ მოიქცევა, ვერსადაც ვერ წავა. ამიტომ იძულებულები ვართ, სხვა მხრივ დავუკმაყოფილოთ ხუშტურები და ხან რისი ფული მივცეთ, ხან — რისი... გასაგებია, მოსაძლიერებლად ბევრი ფული სჭირდება, მაგრამ მათხოვარი ხალხის ძლიერი სახელმწიფო გინახავთ სადმე?!

აგერ, ჩემო ბატონო, ახალი გზა ფულის გაკეთების: საავადმყოფოები უნდა გავყიდოთო. აგაშენათ ღმერთმა, აქამდეც რომ არ გავყიდეთ, სად გვქონდა ჭკუა?! გაჩნდა კითხვა, ამდენ ავადმყოფს რა ვუყოთო? პასუხიც დაუფიქრებლად, ექსპრომტად გამოცხვა, 100 ახალ, ევროპული დონის საავადმყოფოს ავაშენებთო... იცოცხლე, კარგია, ქვეყანაში ევროპული დონის ასი საავადმყოფო რომ გექნება, ავად გახდომის ნატვრაში ამოგძვრება სული, მაგრამ ჯერ ააშენეთ და ეს ძველები მერე გაყიდეთ... მაგრამ თუ არ გაყიდეთ, რომელი ფულით ააშენებთ?.. ესეც მართალია... მოკლედ, ისევ ჯობს გაყიდოთ, რომ ასაშენებელი ფული გქენეთ და ავადმყოფები მოითმენენ, რა პრობლემაა?..

ასეთი რთული რამაა პოლიტიკა, თითქოს არაფერია შეუძლებელი: აქამდე რაც გაყიდეს, იმის ფულით რომ ააშენონ საავადმყოფოები და ამათ რომ გაყიდიან, იმ ფულით სხვა რამეს მიხედონ, მაგრამ ქარხნის ფულით აშენებული საავადმყოფო ვის რად უნდა, „ხმაური იქნება"... ან კი, საერთოდ რად გვინდა საავადმყოფოები, უყურეთ ტელევიზორს და ნახავთ, რა იოლია ჯანმრთელობის შენარჩუნება ნებისმიერ ასაკში: ზამთარში „იმუნორიცი" მიიღეთ და ოჯახიან-დედაბუდიანად გადარჩებით; ზაფხულში კიდევ ხომ ხედავთ, ერთი აბი „ხონდრორიცი" გადაყლაპა იმ მოხუცმა და ისეთ ფორმაშია, რომ ტყეში დარბის თავქუდმოგლეჯილი და შვილიშვილიც ვერ ეწევა...

ქვეყნის გაძლიერებისთვის ფულის მოზიდვის მეორე საუკეთესო საშუალება — სწავლაა. ლენინი გიჟი კი არ იყო და „ხონდრორიციანი" მოხუცივით ტყეში კი არ დარბოდა, იჯდა კაბინეტში და ფიქრობდა. მოიფიქრა კიდეც — „სწავლა, სწავლა და სწავლა". დააკვირდით, სამჯერ თქვა ეს სიტყვა და სკოლებში ორი სემესტრი სამ ტრიმესტრად გადაკეთდა. ასე გაგრძელდება ინსტიტუტებშიც — სად ორი სემესტრის სწავლის გადასახადი და სად — სამი ტრიმესტრის. ვერ გადაიხდი? ვერ გადაიხდი და კარგად იყავი, ეგერ, 300 სტუდენტი გამოაბუნძულეს გარეთ. მართალია, ბევრი იყვირეს მშობლებმა, აჰყვა ოპოზიციაც — რას შვრებით, ხალხო, ვინ იცის, ამ 300 კაცში რამდენი მომავალი მუსხელიშვილი და ჯავახიშვილიაო, მაგრამ ვის რაში სჭირდება უფულო მუსხელიშვილი და ჯავახიშვილი?! ფული ჰქონდეს და ჟირინოვსკი იყოს, თუ უნდა!..



ყველაზე გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის შემოვინახე: კერძო საკუთრებაში მქონე ფართობის გადასახადი. გენაცვალეთ, გამჭრიახობაში! მიწა თუ მაქვს საკუთარი, ჩემი მამა-პაპის სისხლით და ოფლით მორწყული, ისინი არაფერს მთხოვენ და შენ რა უფლებით მთხოვ?! კარგი, ბატონო, რაღაცას სიმბოლურად გადავიხდი, მაგრამ კორპუსში თუ ვცხოვრობ და ჩემი ქვედა მეზობლის ჭერია ჩემთვის „მიწა", იმას გადავუხდი. ის თავის ქვედა მეზობელს და ა.შ. პირველმა სართულმა, კი, ბატონო, გადაიხადოს, თანახმა ვარ. მაინც არ მევასება ის ქალი, სადარბაზოში ყრის „ბიჩოკებს" და „გამარჯობას" არ ამბობს...

ისე, თუ გადახდაა, გადახდა იყოს: ასეთი გადასახადი შეურაცხმყოფელიც კია თავმოყვარე ხალხისთვის. რატომ მარტო ფართობის გადასახადი? ადამიანი ძირს დადებული სურათი ხომ არაა, მარტო სიბრტყის ფული რომ გადაიხადოს? ჩვენ ადამიანები ვართ, სიმაღლეც გაგვაჩნია და კვადრატული მეტრობით კი არა, კეთილი ინებეთ, აღიარეთ ჩვენი სამგანზომილებიანობა და კუბმეტრებში გადაგვახდევინეთ...

*P.S. ინკასატორი მოსახლესთან:*

*— ქალბატონო, 300-ლარიანი ჯარიმა უნდა გამოგიწეროთ გადასახადებისგან თავის არიდებისთვის. წინა თვეში უნდა გადაგეხადათ 12 ლარი: 3 — სიგრძის, 3 — სიგანის და 6 — სიმაღლის. თქვენ კი, მხოლოდ 6 ლარი გადაიხადეთ.*

*— წინა თვეში ავად ვიყავი, შვილო, მთელი თვე ვიწექი და — იმიტომ.*

***პროვოკატორი***

## ექსპრეზიდენტი დაბადების დღეს... არ ზეიმობს



**— როგორც ცნობილია, 25 იანვარს ბატონი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეა. როგორ ემზადება ამ დღისთვის და რაიმე საჩუქარი თუ მიუძღვნა მას ვინმემ?**

**გია ცაცანაშვილი,** *ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსი:*

— ბატონი ედუარდი 79 წლის ხდება. ამჟამად მის ოჯახში არანაირი სამზადისი არ მიმდინარეობს. ბაბუს არ უყვარს დაბადების დღეების პომპეზურად აღნიშვნა და საჩუქრები. ყველა იუბილეს მხოლოდ ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავს და არც ახლა იქნება გამონაკლისი. მილოცვებს კი უკვე იღებს. მისი მეგობრები, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები ტელეფონით უკავშირდებიან და დაბადების დღეს ულოცავენ. ■

## „...ჩვეულებრივად განვაგრძობთ მუშაობას“

**— ტელეკომპანია „ევრიკის“ სიხშირე, მისი ხელმძღვანელის, ფრიდონ ინჯიას გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. წლების მანძილზე ამ კომპანიის ეთერში სტუდია „მაესტროს“ გადაცემები გადიოდა. როგორ და სად განაგრძობთ მუშაობას?**

**მამუკა ღლონტი,** *სტუდია „მაესტროს“ პროდიუსერი:*

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ფრიდონ ინჯიას ამ გადაწყვეტილებას მივესალმები. მიხარია, რომ საქართველოში კიდევ ერთი ახალი ტელევიზია იხსნება. არ არის გამორიცხული, რომ იმ ტელევიზიასთან მეც ვითანამშრომლო... ჩვენ „ევრიკასთან“ გაფორმებული გვქონდა ისეთი სახის ხელშეკრულება, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეთანხმების შეწყვეტას ითვალისწინებდა. ასე რომ, ფრიდონ ინჯიას ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად ნორმალურია. ვიმედოვნებ, რომ სტუდია „მაესტრო“ სხვა რომელიმე ტელევიზიასთან ითანამშრომლებს. ჩვენ ვართ დამამზადებელი სტუდია და ჩვეულებრივად განვაგრძობთ მუშაობას. სხვადასხვა სატელევიზიო არხს შევთავაზებთ პროექტებს და გადაცემებს მოვამზადებთ. გარდა ამისა, ჩამოვაყალიბეთ ახალი სატელევიზიო სკოლა, სადაც შევასწავლით ტელემონტაჟს, რაც საქართველოში არსად ისწავლება. ■

## თბილისში ზამთარი არა და არ დგება...

**— წლევანდელი იანვარი გაცილებით თბილია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა საქართველოში. როგორი ამინდი გველის თებერვალში?**

**სვეტლანა ნიორაძე,** *მონიტორინგისა და პროგნოზის ცენტრი:*

— დასავლეთ საქართველოში, დაბლობში დღის განმავლობაში საშუალოდ, მოსალოდნელია 7-8 გრადუსი სითბო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 0, 3. ეს, ნორმასთან შედარებით, 2 გრადუსით მაღალი ტემპერატურაა. მეტსაც გეტყვით: ცალკეულ დღეებში დასავლეთ საქართველოში შესაძლებელია, ტემპერატურამ 25 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოში კი — 20 გრადუსამდე მოიმატოს. თვის ცალკეულ პერიოდებში, დასავლეთ საქართველოში ტემპერატურამ შესაძლოა, ღამით -3 გრადუსამდე დაიკლოს, აღმოსავლეთ საქართველოში კი, დროდადრო, -5-10 გრადუსი იქნება. ამიტომ მთლად ვერ დავეყრდნობით, მაგრამ გეტყვით, რომ თებერვალში თოვაც მოსალოდნელია. ■





## ჰეიდარ ალიევის ღვაწლი და მადლიერი ქართველები

მოგეხსენებათ, მიმდინარე ზამთარს, აზერბაიჯანმა მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა და მას შემდეგ, რაც საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები დაიძაბა და ამის საპასუხოდ, მან ბუნებრივი აირის ფასი უსაზღვროდ გაგვიზარდა, გაზს აზერბაიჯანი გვაწვდის. როგორც ჩანს, სწორედ მეგობრობის გამოხატულების ამ ნაბიჯის საპასუხოდ, ქართველებმა მოძმე სახელმწიფოს დიდი მოღვაწის, ჰეიდარ ალიევის ღვაწლი გავიხსენეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დედაქალაქის ტერიტორიაზე მისი სახელობის არც ერთი ქუჩა თუ სკვერი არ გვქონია. შეცდომა თბილისის საკრებულომ გამოასწორა: მისი გადაწყვეტილებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთს, კერძოდ — მარშალ გელოვანის გამზირიდან, გმირთა მოედნისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დამაკავშირებელ ქუჩამდე — ჰეიდარ ალიევის სახელი მიენიჭა. ■

## სისხლით ქართველ დიზაინერს ისტორიული სამშობლოს მოქალაქეობა სწადია

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოში ჩამოვიდა წარმოშობით ქართველი, მაგრამ არაქართული სახელისა და გვარის (ასევე, მენტალიტეტისა და გარეგნობის) მქონე დიზაინერი ჯორჯ როვალსი. როგორც ცნობილია, ის საერთაშორისო პრიზის — „ოქროს მაკრატლის“ მფლობელია, რომლითაც აქამდე არც ერთი ქართველი დიზაინერ-სტილისტი არ დაუჯილდოებიათ. ისტორიულ სამშობლოში ჯორჯის სტუმრობა თურმე, პირველ რიგში, ორმაგი მოქალაქეობის მიღებას უკავშირდება. შემდეგ მას გადაწყვეტილი აქვს, რომ თბილისში სილამაზის ცენტრი გახსნას. ასევე სურს, რომ ქართველი მოდელები ევროპის ერთ-ერთ კონკურსზე წაიყვანოს. ყველაფერ ამაში, მას პროდიუსერი ნატო დუმბაძე ეხმარება, რომელმაც პრესისთვის კომენტარის გაკეთება არ ისურვა — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოში ჩამოსვლის მიზნებზე დიზაინერი ვრცლად თავად გვიამბობს პრესკონფერენციაზე, რომლის ჩატარებაც რამდენიმე დღეში აქვს დაგეგმილი. ■

## ასლან აბაშიძის დანაშაულთა „საივრი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ ლიდერს, ასლან აბაშიძეს აჭარის საქალაქო სასამართლომ, ორთვიანი განხილვის შემდეგ, განაჩენი გამოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძე ქართველი სამართალდამცველებისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია, ფინანსური მაქინაციებისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და 98 მილიონ 200 ათას 29 ლარის გადახდა მიესაჯა. სასამართლო პროცესს, რაღა თქმა უნდა, ბრალდებული არ დასწრებია. სამაგიეროდ, პროცესში მონაწილეობდა მისი ადვოკატი, შალვა შავგულიძე, რომელიც გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილოა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მის გასაჩივრებას აპირებს.

ამასობაში, თურმე, უკვე მზადდება მორიგი პროცესი: ყოფილ „აჭარის ლომს“ ამჯერად, ტერაქტების მოწყობას, ხიდების აფეთქებასა და თენგიზ ასანიძის უკანონოდ დაპატიმრებას წაუყენებენ ბრალად. ■

*მოამზადა ნათია ქივიძე*

# რატომ წავიდა ბაკურ სვანიძე „რუსთავი 2"-დან და ვის დაუტოვა თავისი „მემკვიდრეობა"



**24 იანვარს, გადაცემა „ფარული კამერის" ავტორმა, ბაკურ სვანიძემ საკუთარ საავტორო პროექტზე უარი თქვა და შემოქმედების გაგრძელება საზოგადოებრივ მაუწყებელში, იუმორისტული გადაცემების მიმართულების პროდიუსერის თანამდებობაზე გადაწყვიტა. თუ რატომ მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება და ვის დარჩა „ფარული კამერა" „მემკვიდრეობით", — ამ ყველაფერზე თავად ბაკური მოგვითხრობს.**

*ნათია ქიქიძე*

— **რატომ გადაწყვიტე „რუსთავი 2"-დან წამოსვლა და მუშაობის საზოგადოებრივ არხზე გაგრძელება?**

— დიდი ხანია, რაც „რუსთავი 2"-დან წამოსვლაზე ვფიქრობდი და ამას თავისი მიზეზი აქვს, რომელიც არანაირად არ უკავშირდება ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას, მიზეზი უფრო ჩემივე „სასტავშია". ვგულისხმობ არა მხოლოდ „ფარული კამერის" გუნდს, არამედ საერთოდ, იუმორისტული პროექტების ხელმძღვანელობასაც. უფრო კონკრეტულად კი, ჩვენი ინტერესების შეუთავსებლობა გახდა ჩემი იქიდან წამოსვლის მიზეზი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იქ მე, „სასტავს" მინუს ერთი ადამიანი ვიყავი. მართალია, მქონდა საკუთარი საავტორო პროექტი — „ფარული კამერა", მაგრამ ამ გადაცემის გარდა, იქ სხვა უამრავი ერთჯერადი თუ მრავალჯერადი შოუ კეთდებოდა, რომლებშიც ჩემ გარდა, ჩვენი გუნდის ყველა წევრი იყო ჩართული. ისინი უკვე, დაახლოებით ოცდახუთნი არიან. 25 ადამიანს მინუს ერთი რომ ხარ, დამეთანხმები ალბათ, რომ არცთუ ისე სასიამოვნოა, თანამშრომელთან ასეთი ურთიერთობა ჩემთვის მიუღებელია. გარდა ამისა, ისინი იურიდიულადაც არ მოქმედებდნენ სწორად, რადგან პირველ ორ წელიწადს ჩემი საავტორო პროექტი ფილარმონიაში სხვა შოუებთან ერთად წარუდგინეს მაყურებელს, ეს ამბავი კი, მე ტელევიზიით, რეკლამებიდან შევიტყვე. ეს პრეცედენტი პირველსავე წელს მოხდა. მათ ვუთხარი, რომ ეს არ იყო სწორი საქციელი და ისინი დამეთანხმნენ. მაგრამ მომდევნო წელსაც იგივე განმეორდა. ისევ გამოვთქვი უკმაყოფილება და მესამე წელს, ჩემი ბრენდი იმ რეკლამებში საერთოდ აღარ გამოიყენეს...

— **შენ ითხოვდი, რომ შენი ბრენდი უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ ამის შესახებ, წინასწარ უნდა შეგთანხმებოდნენ?**

— მათთვის არანაირი მოთხოვნა არ წამიყენებია, უბრალოდ, ვამბობ იმას, რომ ეს არ იყო სწორი. ცივილიზებულ ადამიანებში ასეთი საკითხები წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე წყდება. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ დღემდე მეგობრებად დავრჩით, თუმცა მათთან თანამშრომლობა ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ასეთი ურთიერთობა მიქმნიდა დისკომფორტს, თორემ სხვა არანაირი პრობლემა არ მქონდა: ვაკეთებდი ჩემს საქმეს, კარგი ანაზღაურება მქონდა, „თბილად ვიჯექი კუთხეში და მაწონს ვჭამდი"... რაც შეეხება საზოგადოებრივ არხზე გადასვლას, — წელიწადზე მეტია, რაც სამსახურის შეცვლას ვფიქრობ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, გარკვეული ექსპერიმენტის განხორციელების შემდეგ, თანამშრომლობა შემომთავაზა. ბევრი აღარ მიფიქრია, ისე დავთანხმდი...

— **როგორც ვიცი, ეს ექსპერიმენტი, გადაცემა „მხიარული რინგია", არა?**

— მართალი ხარ. შარშან ეს უბრალოდ, ექსპერიმენტი იყო და ნამდვილად არ ველოდი, თუ ასე გაამართლებდა. წელს ამ გადაცემას უფრო მეტი ადამიანი გამოეხმაურა და ალბათ, უფრო ნიჭიერი მოყვარული იუმორისტები მოვლენ ჩვენთან. არხის ხელმძღვანელებს მოეწონათ ეს გადაცემა და შემომთავაზეს, რომ იუმორისტული შოუების მიმართულების პროდიუსერი გავმხდარიყავი.

— **გამოდის, რომ დათო გოგიჩაიშვილის კოლეგა გახდი...**

— არა, მთლად ასე არ ითქმის. „რუსთავი 2"-ს სხვანაირი სტრუქტურა აქვს: იქ ყველა იუმორისტული პროექტის (გარდა „ფარული კამერისა") ავტორი დათო გოგიჩაიშვილია, საზოგადოებრივ არხზე ასე არ იქნება, ყველა პროექტს თავისი ავტორი ეყოლება.

— **ალბათ, წამოსვლის წინ დათოსთან ისაუბრე. რა რეაქცია ჰქონდათ მასა და მის გუნდს შენს გადაწყვეტილებაზე?**

— რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ. დათომ ჩემი წამოსვლის შესახებ ერთი თვის წინ იცოდა. მიზეზები მკითხა და მეც არაფერი დამიმალავს. ჩემთვის ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ არაერთხელ მითხრეს — მართალი ხარო, მაგრამ ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ამიტომ, არა მგონია, იმ ბანაკში დიდი პანიკა იყოს ატეხილი — „ბაკურ მთავარსარდალი" დავკარგეთო...

— **„ფარული კამერა" ავტორის გარეშე განაგრძობს მუშაობას?**

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი საავტორო ბრენდია, ის ალეკო მალხაზიშვილს ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დავუტოვე. ალეკო რომ წასულიყო, ისიც ასე მოიქცეოდა. ერთადერთი, ჩემი წასვლით ყველაზე დიდი ზარალი ადგება რუბრიკას „ოჯახური", რადგან მისი ერთადერთი ავტორი გახლდით. ჩაწერილია მასალების მარაგი და მარტის ბოლომდე, ეს რუბრიკა იარსებებს, მერე კი, ალბათ, გაუქმდება.

— **მართალია, ცოტა ხანია, რაც ახალი სამსახური გაქვს, მაგრამ უკვე რაიმე პროექტზე ხომ არ მუშაობ?**

— ამჟამად, ჩემთვის ყველაზე დიდი გასაჭირი ის არის, რომ ჯერჯერობით გუნდი არ მყავს, მას ახლა ვაყალიბებ. შარშანდელ ექსპერიმენტში 4 ისეთი ადამიანი დავიხმარე, რომელიც ძალზე ნიჭიერია, მაგრამ იუმორისტული გუნდისთვის 4 კაცი საკმარისი არ არის...

— **შრომის ანაზღაურებაზე რას მეტყვი? მეტ ხელფასს გადაგიხდიან?**

— არა, ხელფასი იგივე მაქვს, უბრალოდ, აქ უფრო მეტი სამუშაო მექნება, ვიდრე იქ მქონდა...

*ბაკურთან საუბრის შემდეგ,* ***ალეკო მალხაზიშვილის*** *მოსაზრებითაც დავინტერესდით და მას ტელეფონით დავუკავშირდით:*

— არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ. ოფიციალურად, ბაკურმა დღეს დატოვა „რუსთავი 2" და ჩვენ ჯერ არც კი გვიფიქრია იმაზე, თუ რა შეიცვლება „ფარულ კამერაში". ერთადერთი, ის ვიცი, რომ მარტის შემდეგ, ბაკურის რუბრიკა — „ოჯახური" ეთერში აღარ გავა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ შევძლებთ მის გარეშე მუშაობას, — ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენ ცალ-ცალკეც გაგვიკეთებია სხვადასხვა გადაცემა. შესაბამისად, არც ახლა გამიჭირდება ამ საქმის მარტო გაძღოლა. თუმცა — მარტო რატომ?! ჩემ გარდა, რამდენი ადამიანია „ფარულ კამერაში"!.. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ მე და ბაკური 13 წელია, ვთანამშრომლობთ და ახლა ერთმანეთის გარეშე მოგვიწევს მუშაობა. რაც შეეხება იმას, რომ ბაკური ამ გადაცემის ავტორია, — ეს არ შეიცვლება და ტიტრებშიც ჩვეულებრივად მივუთითებთ მის სახელსა და გვარს.

— **საავტორო უფლებების გამო, მას ხელფასსაც ხომ არ გადაუხდით?..**

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა. შესაძლოა, ხალხს ეს აინტერესებს, მაგრამ არ არის სწორი, რომ ყველაფერი ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდოს. არავის საქმე არ არის ჩვენი ფინანსური მხარე... ■



# უნიკალური წიგნის დაკარგვით აგორებული სკანდალი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ანუ



## ჭორ-მართალი III კორპუსის გაყიდვისა და ქართველოლოგიური განყოფილების დახურვის შესახებ

**11 იანვარს ეროვნული ბიბლითეკის ქართველოლოგიური განყოფილებიდან რუსი მწერლის, ბაბროვსკის წიგნის IV ტომის დაკარგვასთან დაკავშირებული მღელვარება ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკის ახალმა ხელმძღვანელმა ბორის გაგუამ (იგი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად 2006 წლის 14 დეკემბერს დაინიშნა) სამსახურიდან გაათავისუფლა ქართველოლოგიური განყოფილების 7 თანამშრომელი, რამაც აქტიურ მკითხველთა ჯგუფი აღაშფოთა. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ხელოვნურად დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით განვითარდა და საბოლოოდ, ქართველოლოგიის განყოფილების გაუქმებას ისახავდა მიზნად. მართალია, პოლიციის მიერ წიგნის პოვნის შემდეგ, შვიდივე დათხოვნილი თანამშრომელი უმალ დააბრუნეს სამსახურში, მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბევრი მწვავე პრობლემა დაგროვდა, რომლებიც ერთი ხელის მოსმით ვერ გადაიჭრება. ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ კონფლიქტს, რომელიც ერთი ლოკალური ინციდენტის საბაბით გამოაშკარავდა.**

თამუნა კვინიკაძე

*თავდაპირველად მკითხველს შევახსენებთ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველოლოგიის განყოფილება 1935 წელს, „კავკასიოლოგიის კაბინეტის“ სახელით დაარსდა. შემდეგ მას მხარეთმცოდნეობის კაბინეტი და ბოლოს, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის ხანაში, ქართველოლოგიის განყოფილება ეწოდა. ბოლო დღეებში კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია უახლოეს მომავალში ამ განყოფილების (იგი ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსშია განთავსებული) გაუქმების შესახებ. იმასაც ამბობენ, რომ ამ შენობისთვის ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელს დაუდგამს თვალი და შესაძლოა, ის გასაყიდ შენობათა ნუსხაში აღმოჩნდეს. ქართველოლოგიის განყოფილების ბედით დაინტერესებულმა აქტიურმა მკითხველებმა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან შეხვედრა მოითხოვეს. შეხვედრის დეტალებს ჯგუფის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი* **ლევან ფრუიძე** *მოგვითხრობს:*

— ბიბლიოთეკა არსებობს მკითხველისათვის და იქ მომუშავე ნებისმიერი პირი, რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს იგი, მკითხველთა მსახურად მიიჩნევა. ბორის გაგუას არ ჰქონდა ჩვენთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ ბოლოს პოზიცია შეცვალა. ჩვენ დაინტერესებული ვართ ქართველოლოგიური განყოფილების ბედით. მისი არსებობა-არარსებობა მარტო მოხელეების გადასაწყვეტი არ არის, მას ზოგადეროვნული მნიშვნელობა აქვს. ბორის გაგუას საყვედური გათავისუფლებული თანამშრომლების გამოც ვუთხარით. არ უნდა აჩქარებულიყო და ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე კეთილსინდისიერად გვემსახურებოდნენ, ერთი ხელის მოსმით ქუჩაში არ უნდა გაეყარა. დავუსაბუთეთ ისიც, რომ იგი ისევე პასუხისმგებელია იმ წიგნის დაკარგვაზე, როგორც განყოფილების თანამშრომელი და თუ ისინი გაყარა, მაშინ მასაც უნდა დაეტოვებინა თანამდებობა.

— **მან რა გიპასუხათ?**

— მან უხეშობა ვეღარ გაბედა. მკითხველთა ჯგუფში იყო ერთი იურისტი, რომელმაც დაუსაბუთა, თუ რა დაარღვია დირექციამ. მინდა აღვნიშნო, რომ დირექტორის მოადგილე, ლევან თაქთაქიშვილი წლების მანძილზე თვითნებურად მოქმედებს. მან დაიწყო ქართველოლოგიური განყოფილების განტვირთვა — ძვირფასი მასალები გადაიტანა საერთო საცავში. თუ ზედმეტი წიგნები გაჰქონდა, რა საჭირო იყო ნიკო ნიკოლაძის ფონდის გატანა? რატომ არ გაიტანა ბაბროვსკის წიგნი, რომელშიც ერევნის პოლკის ისტორიაა ასახული? რომელი უფრო აუცილებელი და საჭიროა ქართველოლოგიური განყოფილებისთვის?.. ამ განყოფილებაში მწვავედ დგას კიდევ ერთი პრობლემა: ნადგურდება ქართული პერიოდიკის უძველესი გამოცემები, მათ შორის: „დროება“, „ივერია“. ბოლო წლებში პერიოდიკის ელექტრონული ვერსია უნდა შეექმნათ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი კეთდება. საქმისთვის გამოყოფილი თანხა სად წაიღეს ან ვინ შეჭამა, კაცმა არ იცის.

— **რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— დაახლოებით 20.000 დოლარზე.

*11 იანვრის სკანდალის გამო გათავისუფლებული ერთ-ერთი თანამშრომელი,* **დოდო გაბელაია** *იმ დღეს მომხდარს ასე იხსენებს:*

— მორიგე ვიყავი და დარბაზში მკითხველებს ვემსახურებოდი. იმ პიროვნებისთვის (გასაგები მიზეზების გამო, მის გვარს ვერ დავასახელებ) წიგნი პირადად მე არ მიმიცია, მაგრამ გატანის მომენტში იქ ვიმყოფებოდი. გვყავდა მეორე მკითხველი, რომელსაც ქსეროასლის გადასაღებად ჩავყევი პირველ სართულზე. რადგან ქსეროქსის აპარატთან რიგი იდგა, დაახლოებით 30 წუთის მანძილზე დაცდა მოგვიხდა. დარბაზში რომ ამოვედი, თანამშრომლებმა მითხრეს, რომ წიგნი მოუპარავთ. ის, რომ მკითხველი დარბაზში აღარ იმყოფებოდა, თანამშრომლებმა წიგნის გატანიდან 15 წუთში შეამჩნიეს. დარბაზში რომ ვერ ნახეს, დაცვის თანამშრომლებს ჰკითხეს. მათ არაფერი იცოდნენ. შემდეგ, პატრული გამოიძახეს.

— **შენობიდან გასვლის დროს დაცვის თანამშრომლებს საშვი არ შეუმოწმებიათ? ეს ხომ მათი მოვალეობაა?!**

— როგორც ჩანს, საშვი არ მოუთხოვიათ. რომ შეემოწმებინათ, ხომ დაიჭერდნენ!

— **ამბობენ, რომ მან სხვა მკითხველის მიერ დაკარგული საშვით ისარგებლა. მართალია?**

— არა, მას საშვი თავის სახელზე ჰქონდა. პირადობის მოწმობაში აღნიშნული მისამართი საშვშიც ეწერა. როგორც ირკვევა, მან ბიბლიოთეკაში რეგისტრაცია 10 იანვარს გაიარა. აიღო საშვი, მოვიდა ჩვენთან, გამოიწერა წიგნი, ისარგებლა და შემდეგ ჩააბარა. როდესაც 11 იანვარს კვლავ იმავე წიგნის მოთხოვნით მოგვმართა, ჩვენ ვკითხეთ —



დღესაც თუ გჭირდებოდათ, რატომ არ შეგვანახვინეთ? საცავში აღარ დავაბრუნებდითთქო. გვიპასუხა, რომ წიგნის შენახვა მეორე დღისთვის თუ ხდებოდა, არ იცოდა...

— **თქვენ იმ დღესვე გაგათავისუფლეს?**

— არა, პირადად მე 16 იანვარს გამათავისუფლეს. იმ დღეს მორიგე არ ვიყავი, არ ვმუშაობდი. სახლში დამირეკეს და მითხრეს, რომ გათავისუფლებული ვიყავი.

— **დირექტორთან შეხვედრა არ გიცდიათ?**

— რა აზრი ჰქონდა მასთან შეხვედრას?! საშინლად შეურაცხყოფილები და განადგურებული ვიყავით...

*ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგროვილი პრობლემების არსსა და მათ მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხის მისაღებად, ხელმძღვანელებს* — **ბორის გაგუასა** *და* **ლევან თაქთაქიშვილს** *შევხვდით.*

— **ბატონო ბორის, სანამ ჩვენი შეხვედრის ძირითად თემაზე გადავიდოდეთ, გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ, ამ თანამდებობაზე მოსვლამდე, სად საქმიანობდით?**

— ვმუშაობდი საპატრიარქოში, საგარეო განყოფილების მდივნად; 1992 წლიდან — საქართველოს ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტში; სააქციო საზოგადოება „აბსოლუტ ბანკში“ და ერთხანს გახლდით ბანკის წარმომადგენელი ამერიკაში; ვმუშაობდი აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამაში, 2005 წლიდან კი, ვიყავი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი. ასეთია ჩემ მიერ განვლილი გზა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობამდე.

— **გქონდათ თუ არა შეხება ქალთა კოლონიასთან? ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ იქ მუშაობდით.**

— ციხეებთან და კოლონიებთან მქონდა შეხება, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ვმუშაობდი და უშუალოდ მებარა არასრულწლოვანთა კოლონია. ეს იყო 1991-94 წლებში.

— **ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე თქვენი მოღვაწეობა სკანდალით დაიწყო. რას გვეტყვით 11 იანვარს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით?**

— სამწუხაროდ, მოხდა უნიკალური წიგნის დაკარგვა. გათავისუფლებულ თანამშრომლებს ვადანაშაულებდი იმაში, რომ 4 იანვარს ჩემ მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, მათ არ ჰქონდათ უფლება, გაეცათ წიგნი ქართველოლოგიური განყოფილებიდან: ამ ბრძანების თანახმად, ყველა რარიტეტული ეგზემპლარი იშვიათ გამოცემათა ფონდში უნდა გადაგვეტანა. ბრძანება დაირღვა ორჯერ: 10 იანვარს, როდესაც მკითხველმა პირველად გამოიტანა ბაზროვსკის წიგნი და 11-ში, როდესაც ეს წიგნი მოიპარეს.

— **თქვენ ამბობთ, რომ მკითხველისთვის ბაზროვსკის წიგნი ქართველოლოგიურ განყოფილებიდან არ უნდა მიეცათ?**

— დიახ. ეს წიგნი მათ ფონდში აღარ იყო და უფლება არ ჰქონდათ, სხვა ფონდის განკარგვის.

— **ამბობენ, რომ ეს, ერთადერთი ეგზემპლარი იყო არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკისთვის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. მას ხან 11, ხანაც 13 ათას ლარად აფასებენ.**

— წიგნის შეფასება ძალიან ძნელია. ჩვენი ინფორმაციით, ეს წიგნი, რომელიც უხვად და მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა ილუსტრირებული, რუსეთში 50-70 ათასი დოლარი ღირს. საერთოდ, ბაზროვსკის გამოცემული ჰქონდა ხუთტომეული, მაგრამ IV ტომი ყოველთვის სხვებზე მეტად ფასობდა.

— **რამდენად შეეფერება სიმართლეს ქართველოლოგიის განყოფილების გაუქმების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია?**

— ეს ინფორმაცია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ჩვენ ასეთი გეგმა არ გვაქვს. მისი გაუქმება არც შეიძლება, რადგან ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ძირითად ბირთვს წარმოადგენს. არ ვიცი, ვის აძლევს ხელს ამ ჭორის გავრცელება ან რა მიზანს ემსახურება. დაგეგმილია ბიბლიოთეკის ხუთივე კორპუსის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია. ბიბლიოთეკაში მკითხველი უკეთეს პირობებში იმუშავებს, გვექნება ახალი განათების სისტემა, გაცილებით უკეთესი სამკითხველო დარბაზები. რესტავრაციის დროს გარდაუვალია ის, რომ ქართველოლოგიური განყოფილება გარკვეული ხნით დაიკეტოს.



— **მაგრამ არ გაუქმდება?**

— არავითარ შემთხვევაში...

*დირექტორის მოადგილეს, ლევან თაქთაქიშვილს იმ ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ, რომლებიც მის მიმართ გამოითქვა.*

— **ბატონო ლევან, მკითხველები თქვენ ქართველოლოგიის განყოფილების ფონდის უსაფუძვლოდ განტვირთვაში გადანაშაულებენ...**

— ბიბლიოთეკის რამდენიმე თანამშრომელი და მკითხველთა ნაწილი ფიქრობს — როდესაც ფონდის რაღაც ნაწილი (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის კოლექცია) რარიტეტის განყოფილებაში გადაგვაქვს, ეს ქართველოლოგიური განყოფილების დაკნინებას ნიშნავს...

**ბორის გაგუა:**

— ნებისმიერ განყოფილებაში ფონდი არის ერთიანი და განუყოფელი. ის არ შეიძლება, ექვემდებარებოდეს მარტო ერთ განყოფილებას. ნიკო ნიკოლაძის ფონდი გადატანილია სხვა ფონდებში, მაგრამ ქართველოლოგიურ განყოფილებასაც ექვემდებარება, — ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის, შოთა რუსთაველის ან პერიოდული გამოცემების ფონდი და ა.შ.

— **შეიქმნა თუ არა პერიოდიკის ელექტრონული ვერსია?**

— არ ვიცი.

— **როგორც ცნობილია, საამისოდ 20.000 დოლარი იყო გამოყოფილი...**

**ლევან თაქთაქიშვილი:**

— 1918-21 წლების გაზეთები, „ივერიის“ და „დროების“ მთელი ფონდი მიკროფირებზე უნდა გადაგვეღო. ვინაიდან საქართველოში მიკროფირების დასამზადებელი სპეციალური აპარატი არ არსებობს (იგი 30-დან 60 ათას დოლარამდე ღირს), ჩვენ ეს გავაკეთეთ ციფრული ფოტოაპარატით. მაგრამ როცა ექსპერტებმა ნახეს, დაიწუნეს. მკითხველმა უნდა იმუშაოს პოზიტივზე და არა ნეგატივზე, თუ ნეგატივზე იმუშავებს, ფირიც გაზეთივით დაზიანდება. პოზიტივზე გადატანა დროებით შეჩერებულია. გვინდა, რომ ხარისხიანად, ევროსტანდარტების დონეზე დავამზადოთ.

— **გამოყოფილი 20.000 დოლარი მთლიანად დაიხარჯა?**

— დიახ. ეს 1998 წელს მოხდა. მკითხველს ახლო მომავალში ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ. მოლაპარაკება გვქონდა ხელნაწერთა ინსტიტუტთან და მალე, ქართველოლოგიური განყოფილების მკითხველს საშუალება ექნება, ჩვენს დარბაზშივე ნახოს ხელნაწერთა ინსტიტუტის კატალოგები. ეს განყოფილება არ გაუქმდება. რატომ ჰგონიათ ასე, ძალიან მიკვირს. მალე განხორციელდება ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც, ბიბლიოთეკის ფონდების ელექტრონული ვერსია გაკეთდება და ყველას, ვინც ინტერნეტშია ჩართული, შესაძლებლობა მიეცემა, ისარგებლოს ჩვენი ფონდებით. და კიდევ ერთი სიახლე: გვექნება გამომცემლობა, სადაც მკითხველს შეეძლება, დაგვიკვეთოს ამა თუ იმ რარიტეტული წიგნის ასლი და ჩვენ მას დავუმზადებთ.

— **ბატონო ბორის, საზოგადოებაში გავრცელდა ხმა ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის გაყიდვის შესახებ. თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით?**

— პირადად ჩემთვის, ამის შესახებ ცნობილი არ არის. ინფორმაცია მაქვს მხოლოდ პრესიდან და ეს ჭორი მგონია. თვით პარლამენტის თავმჯდომარეც, არა მგონია, ამ შენობის გაყიდვის მომხრე იყოს.

*ასეთია დღეს არსებული ვითარება და კონფლიქტში ჩაბმული მხარეების პოზიციები. როგორც ხედავთ, კონფლიქტი ჩაცხრა, მაგრამ მრავალწერტილი მაინც დარჩა... კითხვებზე — შემდგომ როგორ განვითარდება მოვლენები და გამოთქმული დაპირებებიდან რა შესრულდება? — პასუხებს დრო გაგვცემს და ჩვენც მომხდარის კვალდაკვალ, ამ საკითხთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოპოვებისთანავე, „გზის“ მკითხველს მოვუთხრობთ.*

# პუტინის გადაწყვეტილების ფარული არსი სააკაშვილს „ამერიკულ ხაფანგს“ უგებენ (?!)



როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილის დამარცხებას ბევრად უფრო დახვეწილი მეთოდებით აპირებს. სწორედ ამაში მდგომარეობს საქართველოში რუსეთის ელჩის დაბრუნებასა და ეკონომიკური ბლოკადის მოხსნასთან დაკავშირებით ვლადიმირ პუტინის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარული არსი. კრემლი საბოლოოდ დარწმუნდა ეკონომიკური სანქციების კონტრპროდუქტიულობაში და ახლა მისი გათვლები ძირითადად იმაზეა აგებული, რომ სააკაშვილი აფხაზეთში მკვეთრ და წინდაუხედავ ნაბიჯებს გადადგამს, რითიც თავისი ამერიკელი მფარველების სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

მოსკოვსა და თბილისს შორის „გაყინული“ ურთიერთობის მთელი პერიოდის მანძილზე, ორი ქვეყნის ხელისუფლების არაფორმალური კონტაქტები ერთი დღითაც კი არ შეწყვეტილა. ასეთ კონტაქტებზე გასვლა სხვადასხვა გზით, მათ შორის, ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენების მეშვეობითაც ხდებოდა. თუმცა, კრემლის კურსის შეცვლის მიზეზი მაინც სხვა რამ გახდა. სპეცსამსახურების მოხსენებებმა და სხვა წყაროებით მიღებულმა ცნობებმა პუტინი დაარწმუნა, რომ რუსული სანქციები სათანადოდ ვერ მუშაობს და საქართველოს ეკონომიკა მაინც წინ მიიწევს. უწინდელი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, პუტინი ამერიკის პრეზიდენტ ეიზენჰაუერს დაემსგავსებოდა, რომელმაც 1959 წელს კუბის მიმართ არაერთი მკაცრი სანქცია გამოიყენა, მაგრამ შედეგად, მხოლოდ ერთს მიაღწია: კუბა, როგორც ამერიკის ტრადიციული „უმცროსი“ პარტნიორი, იმავე ამერიკის გეოპოლიტიკური მტრების ბანაკში მრავალი წლით გადაისროლა.

მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის „გალღობა“ არაერთი უბრალო მოქალაქის ცხოვრებას მოაწესრიგებს. თუმცა, ორ ქვეყანას შორის უმწვავესი პრობლემები უწინდებურად დარჩება. მეტიც, დღეს რუსეთის პოზიციები ბევრად უფრო მყიფე ჩანს, ვიდრე ეს გასულ შემოდგომაზე, სანქციების შემოღებამდე იყო. სააკაშვილი კი თავს ტრიუმფატორად გრძნობს. მაშ, რაღა უნდა გააკეთოს კრემლმა, თუ ვთქვათ, საქართველოს ექსცენტრიკული პრეზიდენტი ჩვენი ოფიცრების დაპატიმრების მსგავსი ახალი პროვოკაციის მოწყობას დააპირებს? ისევ საჰაერო კავშირს ხომ არ გაწყვეტს და ელჩს ხომ არ გაიწვევს? ასეთ შემთხვევაში, უბედური ბატონი კოვალენკო იმ ჩოგბურთის ბურთს დაემსგავსება, რომელსაც შეუჩერებლივ აქეთ-იქით ისვრიან. „კრემლის ახალი მკაცრი ზომების“ ფსიქოლოგიური ეფექტი კი, თითქმის ნულამდე დავა.

თუმცა, მოსკოვში მიაჩნიათ, რომ მათ ამ კითხვებზე პასუხები ნაპოვნი აქვთ. კერძოდ, გადაწყდა, რომ სააკაშვილს საკუთარი თავისთვის ძირის გამოთხრაში ხელი აღარ შეუშალონ. ამერიკის დედაქალაქში „პრეზიდენტ მიშასადმი“ დამოკიდებულებაში სრული თანხმობა და ერთიანობა ნამდვილად არ არსებობს. ზოგიერთი კი, მასში იმ ძალზე სასარგებლო იარაღსაც ხედავს, რომელიც ხანდახან, თავს დაუშვებელი თვითნებობის უფლებას აძლევს და მოსკოვისა და ვაშინგტონის შუბლებით შეჯახებას ცდილობს. ამიტომაც, ჩვენი საგარეოპოლიტიკური სტრატეგები იმედოვნებენ, რომ ჩვენ სხვისი ხელით სააკაშვილის დასჯის შანსი გვაქვს და ეს ასეც მოხდება, თუ მაგალითად, ქართველი ლიდერი აფხაზეთში რაიმე ავანტიურაზე წასვლას გაბედავს. აი, მაშინ, — ირწმუნებიან ჩვენი „თანამედროვე გორჩაკოვები“ *(გორჩაკოვი — ცნობილი რუსი დიპლომატი იყო. — მთარგმნ.)*, სააკაშვილს ამერიკელებისგან „შეჯორვა“ გარანტირებული ექნება.

თუმცა, სწრაფი და „მანევრირებადი“ სააკაშვილი ჯერაც ბევრად უფრო წარმატებული ტაქტიკოსი ჩანს, ვიდრე მისი ბევრად უფრო ძლიერი, მაგრამ მოუქნელი მოსკოველი სპარინგ-პარტნიორები. მიუხედავად ამისა, ვლადიმირ პუტინის ამჟამინდელ გადაწყვეტილებას რაციონალური ალტერნატივა არ გააჩნია. რას იზამ?.. ხანდახან ხომ ჩიხიდან მხოლოდ ერთი — თუნდაც, საკმაოდ უსიამოვნო გამოსავალი არსებობს.

*P.S. კრემლის ახალ კურსს შეიძლება, შინაპოლიტიკური შედეგებიც მოჰყვეს. კერძოდ, ჩვენი „პენტაგონის“ შეფის — სერგეი ივანოვის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ საქართველოში ელჩის დაბრუნება რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოზიციებს საგრძნობ დარტყმას აყენებს, რადგან თუ არაკეთილმოსურნეებს დავუჯერებთ, გასულ წელს, თბილისის რაც შეიძლება მკაცრად დასჯის მთავარი ინიციატორი სწორედ სერგეი ბორისოვიჩი გახლდათ...*

*Московский комсомолец,*
**რუსეთი**

# იერუსალიმში იულია ტიმოშენკო „ოდნავ“ გააწბილეს

როგორც სააგენტო „უნიანზე“ დაყრდნობით, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ იუწყება, ახლახან ისრაელში ვიზიტის დროს, ბლოკ „იულია ტიმოშენკოს“ ლიდერი იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქ თეოფილე მესამეს შეხვდა. ამ შეხვედრიდან ტიმოშენკო ყელზე ახალი პაწია ჯვრითა და ხელში კოლოფით დაბრუნდა. „ეს ჯვარი, — განუმარტა ტიმოშენკომ ჟურნალისტებს, — პატრიარქმა ჩემი ქმრისთვის გადასაცემად მიბოძა. ჩვენთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ეს საჩუქარი ყოველთვის გვემახსოვრება და მე ამ ჯვარს ყოველთვის თან ვატარებ, რათა უფრო თავდაჯერებული და ძლიერი ვიყო“.

როგორც პატრიარქთან ტიმოშენკოს შეხვედრის ერთ-ერთმა მომსწრემ ჟურნალისტებს გაანდო, მეუფემ ტიმოშენკოსთვის ჯვრის გადაცემისას აღნიშნა: „ვიცი, რომ თქვენი ქმარი პრეზიდენტია, ეს მას ჩემგან გადაეცით“. ამის გამგონე, თარჯიმანი ოდნავ შეცბა და წამიერი დაყოვნების შემდეგ, პატრიარქის ეს ფრაზა ტიმოშენკოს აღარ უთარგმნა.



# გრაფი დრაკულას ციხესიმაგრე 78 მლნ დოლარად იყიდება

ჰაბსბურგთა დინასტიის მემკვიდრეები აცხადებენ, რომ ბუქარესტიდან 170 კმ-ის დაშორებით, კარპატების მთებში მდებარე მათი კუთვნილი ბრენის ციხესიმაგრე, სადაც ლეგენდის თანახმად, ცნობილი გრაფი დრაკულა ცხოვრობდა, იყიდება.

რუმინეთის პრინცესა ილიანას ვაჟი, ნიუ-იორკელი არქიტექტორი დომინიკ ჰაბსბურგი თანახმაა, რუმინეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ციხესიმაგრე 78 მლნ დოლარად მიჰყიდოს. ბრენის ციხესიმაგრე რეგიონში ტურისტების მისაზიდად ყველაზე მნიშვნელოვანი სატყუარაა. ადგილობრივ სათვისტომოს არ სურს, რომ ის სასტუმროდ ან გასართობ პარკად გადაკეთდეს, ამიტომ სათვისტომოს წევრები ბანკში სესხის აღებასა და შენობის გამოსყიდვას ცდილობენ. რუმინეთის კულტურის სამინისტრო ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებას და ნაგებობაში გადასახდელი თანხის რაოდენობას არ იწონებს.

ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ ციხესიმაგრეში ცხოვრობდა ბრემ სტოკერის ცნობილი რომანის გმირის, გრაფი დრაკულას პროტოტიპი — პრინცი ვლადი. ■



# ევროპაში „არყის ომი“ ჩაღდება




იუწყება ამერიკული გაზეთი The International Tribune. ამ ომში ერთ-ერთ მხარედ ე.წ. „ტრადიციონალისტები“ — პოლონელები, ფინელები, შვედები და ბალტიისპირელები გამოდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ „არყის“ სახელს მხოლოდ მარცვლეულის, კარტოფილისა და შაქრის ჭარხლისგან გამოხდილი მაგარი სასმელები იმსახურებს. ამ აზრის მომხრეებს იტალიელი, ფრანგი, ბრიტანელი და ჰოლანდიელი მეღვინეები უპირისპირდებიან. ისინი არყის ცნების ლიბერალიზაციას მოითხოვენ და ამტკიცებენ, რომ ამ სასმლის გემო ინგრედიენტებზე არ არის დამოკიდებული.

„ტრადიციონალისტების“ ბანაკში მყოფი ფინეთი, რომელსაც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ადგილი როტაციით ერგო, ევროკავშირისგან ისეთი კანონის მიღებას მოითხოვს, რომელიც არყის არატრადიციული ინგრედიენტებით (როგორადაც ყურძენი, ხილი და თვით ნეკერჩხლის სიროფიც კი მიიჩნევა) მწარმოებელს აიძულებს, ამის თაობაზე მყიდველს არყის ბოთლის ეტიკეტზე გამოსახული დიდი ასოებით აცნობოს.

თავის მხრივ, „ტრადიციონალისტების“ კონკურენტები (მათ შორის, მაგარი სასმელების და კერძოდ, პოპულარული ყურძნის არყის — Ciros-ის მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელი ბრიტანული ფირმა Diageo-ცაა) ირწმუნებიან, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ევროკავშირის ჩრდილოევროპელი და ბალტიისპირელი „ახალწვეულების“ იაფფასიანი ტრიუკია და რომ ამ გზით, ისინი არყის წარმოების ტრადიციის დაუმსახურებლად მითვისებასა და არყის მსოფლიო ბაზრის მონოპოლიზებას ცდილობენ. „ტრადიციონალისტები“ ირწმუნებიან, რომ ნამდვილ არაყს საკუთარი, განუმეორებელი გემო აქვს. მათ მოწინააღმდეგეებს კი, ამაზე მხოლოდ მოწყალედ ეღიმებათ და იქვე ევროკავშირის ამასწინანდელ გამოკითხვასაც იშველიებენ. ამ გამოკითხვის მიხედვით, ბრიტანელთა 2% მიიჩნევს, რომ არაყი გემოთი აქროლად გამხსნელს მიაგავს, ესპანელ რესპონდენტთა 4% კი — ოდეკოლონის გემოსკენ იხრება.

საკითხში ღრმად ჩახედულთა აზრით, არაყზე ლაპარაკისას მარტო მის გემოსა და წარმოების ტრადიციებზე ცოტა ვინმე თუ ჩერდება. მთავარი მაინც, არყის გაყიდვით შემოსული უზარმაზარი ფულია. უფრო კონკრეტულად, დღეს მსოფლიო არყის ბაზრის საერთო მოცულობა 12 მილიარდ დოლარს უტოლდება, ყველაზე სწრაფად განვითარებადი კი, ამერიკული არყის ბაზარია, სადაც ევროპას ყოველწლიურად, 560 მილიონი ევროს (724 მილიონი დოლარის) ღირებულების ნაწარმი შეაქვს და ამით ფრიად კმაყოფილიც ჩანს. თუმცა, როგორც „არყის კანონის“ კრიტიკოსები ირწმუნებიან, მის მიღებას ამერიკასთან არათუ სავაჭრო ურთიერთობის გაუარესება, თვით მასშტაბური სავაჭრო ომის პროვოცირებაც კი შეუძლია. მიზეზი კი ისაა, რომ ამერიკაში არყის არატრადიციული სახეობები (მაგალითად, ნეკერჩხლის წვენისგან გამოხდილი არაყი) სულ უფრო პოპულარული ხდება...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ევროპის ნაწილი, ალბათ, ე.წ. „ტრადიციული“ არყის მომხრე დარჩება, მეორე ნაწილი — „არატრადიციულისა“, ამერიკა, ჩვეულებისამებრ, მათ „გამშველებლად“ გამოვა, საქართველო და მისი განთქმული ჭაჭა კი, დიდი-დიდი, ისევ ჩვენთან ხელახლა „დაძმობილებულ“ რუსებს თუ გაახსენდებათ... ■

გაგრძელება იხ. გვ. 13.

გთავაზობთ წონაში დაკლების მარტივ და ეფექტურ მეთოდს



✔ წონაში დაკლება შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე თვეში 6-12კგ.
✔ წონაში მომატება თვეში 4-6კგ.
✔ მულტივიტამინები მოზრდილებისათვის სიმაღლეში ზრდა-განვითარებისთვის შედეგები გარანტირებულია.





ნუ გადადებთ დაიწყეთ ახლავე

☎ 893-34-34-59; 61-00-14; 94-18-29 იკითხეთ ქ-ნი ლია

ლალი ფაცია

# ვის გამო თქვა მარიკა ვერულაშვილმა



## საკუთარ შვილსა და დედაზე უარი...

პარლამენტის წევრს, საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსს — მარიკა ვერულაშვილს ინტერვიუსთვის ყოველთვის შინ ვსტუმრობდი. იქ მუდამ ქერა, ცისფერთვალება გოგონა — პატარა სალომე მხვდებოდა, რომელიც შორიდან მორცხვად მიცინოდა. ცოტა ხნის წინ, უფრო სწორად — ახალი წლის დღეებში დედა-შვილი საზოგადოებრივი თავშეყრის ერთ-ერთ ადგილას ვნახე. თვალებს არ დავუჯერე — სალომე ისე გაზრდილა, ლამის დედას გაუსწროს სიმაღლეში. 13 წლის კვალობაზე, საკმაოდ დიდია. მერე ისიც შევიტყვე, რომ ახლა დედასთან არდადეგებზე საფრანგეთიდან ჩამოვიდა. შარშან სექტემბერში სასწავლებლად ქალაქ გაპში გამგზავრებულა, წარმატებით ჩაუბარებია გამოცდები სკოლაში და ორი კლასით წინ დაუსვამთ. როგორც ამბობენ, წარმატებული მოსწავლეა. დედა-შვილი, მარიკა და სალომე ჩვენს რუბრიკაში მოვიწვიე... როდესაც მათი ინტერვიუ დღის სინათლეს იხილავს, სალომე უკვე საფრანგეთში, თავის იქაურ თანატოლებთან ერთად იქნება...

ჟურნალისტი – მარიკა ვერულაშვილი
რესპონდენტი – სალომე ცნობილაძე

— **სალომე, ჩვენი საჯარო საუბარი მკითხველს შეიძლება ეუცხოოს, დედა-შვილი ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიაო? — მაგრამ რადგან ახლა ჟურნალისტის როლში მიწევს ყოფნა, რუბრიკის ფორმატიდან გამომდინარე, კითხვები უნდა დაგისვა: საფრანგეთში ცხოვრება მოგწონს?**

— დიახ. საფრანგეთში რომ წავედი, ფრანგული ერთი სიტყვაც კი არ ვიცოდი. ახლა უკვე მესმის რაღაცები და ძალიან მიხარია.

— **სკოლაში სიარულიც გიხარია?**

— იმის გამო, რომ სასიამოვნო, კარგი მასწავლებლები მყავს და არცთუ ისე ურიგო მეგობრები, სკოლაში სიხარულით დავდივარ. მყავს ახლო მეგობარი, რომელსაც სესილი ჰქვია. ფრანგი გოგონაა.

— **რა ენაზე ლაპარაკობთ?**

— ვერ გეტყვი, რომ ფრანგები ინგლისური ენის კარგი ცოდნით გამოირჩევიან, თუმცა, სესილიმ იცის ცოტა ინგლისური. მე მას ინგლისურს ვასწავლი, ის მე — ფრანგულს.

— **შეგიძლია ერთმანეთს შეადარო ქართული და ფრანგული სკოლა? სხვაობა რაშია?**

— აქაც ითხოვენ მასწავლებლები, მაგრამ საშინაო დავალებას საფრანგეთში უფრო მკაცრად გვთხოვენ. მე თბილისშიც საკმაოდ დატვირთული ვიყავი. წუთი მოსვენება არ მქონდა, რადგან ბევრ საგანს ვსწავლობდი. შეიძლება, იქ მასწავლებელმა გაკვეთილი არ გამოგკითხოს, მაგრამ უსწავლელობით შორს ვერ წახვალ, რადგან გამოცდებია ჩასაბარებელი და ტესტები — საწერი.

— **ტესტებს ყოველკვირა წერთ?**

— ყოველკვირაც ვწერთ და ყოველდღეც გვაქვს უფრო მცირე ტესტები დასაწერი, მას დღის შემაჯამებელი ტესტი ჰქვია. ამის გარეშე, ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილი არ დასრულდება.

— **საფრანგეთში ყოფნისას, ყველაზე მეტად რა გენატრება?**

— აქაურობა, შენ, ჩემი ნათესავები, ჩემი მეგობრები და უსაყვარლესი ძაღლი.

— **წელს, საახალწლოდ საშუალება გვქონდა, ყველანი ერთად, ჩემს ძმასთან, ლონდონში შევხვედროდით დღესასწაულს, მაგრამ ეს შენ არ მოინდომე და აქ ჩამოხვედი. რატომ?**

— იმიტომ, რომ საქართველოში მინდოდა ახალი წლის შეხვედრა ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

— **როგორ გგონია, საფრანგეთში ყოფნამ რა შეგმატა? გაიზარდე?**

— როგორ არა?! ნელ-ნელა ვიზრდები, დამოუკიდებელი ვხდები, მარტოს მიწევს საქმეებთან გამკლავება. სასწავლებლად ლონდონში რომ წავსულიყავი, ფრანგულს და ესპანურს ასე კარგად ვერ ვისწავლიდი.

— **საბოლოოდ ჩამოყალიბდი და გადაწყვიტე, რა პროფესიას აირჩევ მომავალში?**

— კი, ეს არის საერთაშორისო ბიზნესსამართალი, რისთვისაც აუცილებელია ესპანურისა და ფრანგულის საფუძვლიანი ცოდნა.

— **ვიცი, რომ ყველაზე მეტად სპორტის გაკვეთილზე გიჭირს: ბევრს გარბენინებენ. სხეულის გაკაჟება არ გინდა?**

— იქ სპორტის მასწავლებელსაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები აქვს: 20 წუთში უზარმაზარ სტადიონს 3 წრე უნდა დავარტყათ, რაც ძალიან მიჭირს. ერთადერთი, რაშიც ვზარმაცობ და წარმატებები არ მაქვს, სპორტია.

— **აქედან რომ მიდიოდი, ბევრ რაღაცას ნათელ ფერებში ხედავდი. იმედები ხომ არ გაგიცრუვდა?**

— მეგონა, რომ უფრო მეტად გამიჭირდებოდა ყველაფერთან შეგუება, იქ არსებული სირთულეების დაძლევა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ფრანგმა ბავშვებმა გამიიოლეს ცხოვრება. კლასელები სწავლაში მეხმარებიან. ფრანგები საურთიერთოდ ცუდები არ არიან, თუმცა, უფროსები მაინც ცოტა ცივები ჩანან. ერთხელ, ჩემს დაქალთან სახლში ვიყავი და მას ისეთი მკაცრი დედა ჰყავს, ტელევიზორის ჩართვას და კიდევ, რაღაცებს უკრძალავდა. გავიფიქრე — ისევ ქართველი დედები სჯობნებიან ფრანგ დედებს-მეთქი.

— **ახლა საფრანგეთში შენი ასაკის ბავშვებში რა არის მოდაში? როგორ იცვამენ?**

— ჩაცმის სტილით დიდად არ განსხვავდებიან აქაური ბავშვებისგან. იქაც მოდაშია ძველბიჭობა, დახეული ჯინსით სიარული... თინეიჯერები ძირითადად, კედებით დადიან.

— **ღამღამობით, ძილის წინ ხომ არ განიცდი რამეს?**

— რომ არ განვიცადო, ამისთვის მაქვს ერთი სათამაშო, ძალიან საყვარელი „კვატი“, რომელიც როცა შენ საავადმყოფოში იწექი, თემურ ჯანაშიამ *(პრეზიდენტის პირადი დაცვის სამმართველოს უფროსი. — ავტ.)* გაჩუქა.

ის სათამაშო ხომ წაგართვი და თან წავიღე. მასთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ. სხვათა შორის, თბილისში რომ წამოვედი, თან ჩამოვიყვანე.

**— ერთი გამაგებინე, ტელეფონი რად გინდა? რომ გირეკავ ან მესიჯს გწერ, რატომ არ მპასუხობ?**

— ეგ მაშინ ხდება, როცა გაკვეთილზე ვარ. მაგ დროს ვერაფრით გიპასუხებ, ხოლო გაკვეთილიდან გაკვეთილამდე შესვენება ისეთი მცირეა, რომ მესიჯის აკრებას ვერ ვასწრებ.

**— სალომე, თაყვანისმცემელი ხომ არ გამოგჩენია და ეს მე არ ვიცი?**

— არა, დედა, ჯერ არა *(იცინის)*.

**— ისე, შენს კლასში თუ არიან გოგონები შეყვარებულები?**

— კი, იქ ყველას ჰყავს შეყვარებული, ყველა დაწყვილებულია.

**— რას ამბობ, სალომე?! ეს არ ვიცოდი. აქამდე რატომ არ მითხარი?**

— ისე, შეყვარებულებს უფრო მეტად ლიცეუმში შეხვდები, ვიდრე კოლეჯში.

**— ლიცეუმამდე კიდევ ორი წელია — ე.ი. მშვიდად ვიყო?.. კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხე: როგორ წარმოგიდგენია შენი თავი 10 წლის შემდეგ? ვინ იქნები და რას გააკეთებ?**

— ვიქნები ჩემი საქმის პროფესიონალი, დაკავებული ადამიანი, ვიმუშავებ ჩემი სპეციალობით. თუმცა, ჯერ სწავლა ლონდონის უნივერსიტეტში უნდა გავაგრძელო...



სალომე: პირობას ვდებ, რომ 2017 წელს ხელფასი 25.000 ევრო მექნება და ძალიან მაგარ საჩუქრებს მოგიძღვნი...

ჟურნალისტი – სალომე ცნობილაძე
რესპონდენტი – მარიკა ვერულაშვილი

**— დედა, მომიყევი შენი დღის განრიგის შესახებ...**

— ჩემი დღის განრიგი და მძიმე სამუშაო გრაფიკი, სხვამ თუ არა, შენ მაინც გადასარევად იცი. ბევრი საქმე მიგროვდება და ვცდილობ, ყველაფერი მოვასწრო, მაგრამ შენგან განსხვავებით, შენთვის ყოველთვის ვიცლი. როდესაც ჩემს სატელეფონო ზარს არ პასუხობ, ეს საოცრად მაგიჟებს.

**— მე ყურადღებიანი ვარ და მაგ ბრალდებას არ ვიღებ... დედა, წელს შენი წელია, რადგან „ტახი“ ხარ. რას ელი მისგან? როგორ განწყობილებაზე ხარ?**

— წინა „ტახის“ წელი ჩემთვის გადამწყვეტი იყო: მაშინ 24 წლის გავხდი და რადიკალურად შეიცვალა ჩემი ცხოვრება — ვმუშაობდი ტელევიზიაში და უარი ვთქვი ჟურნალისტიკაზე, გადავბარგდი პროკურატურაში. ამის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. რომ არა ჩემი ის გადაწყვეტილება, არავინ იცის, სად ვიქნებოდი დღეს. წელს ასეთ რადიკალურ ცვლილებას არ ველი.

**— თუმცაღა, შენი წელია...**

— კი და როგორც მითხრეს, ეს არის ჩემთვის დაშვებული შეცდომების გამოსწორების, სხვათა მიტევების პერიოდი. ასევე, წინა წლებში ჩადენილ ცოდვებზე პასუხიც უნდა ვაგო და მათ შორის, მოვიმკო ყველა ის სიკეთე, რომელიც დამითესავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შეგნებულად ცუდი რამ არავისთვის გამიკეთებია, რაღაც კარგს ველოდები.

**— არ გღლის შენს ტელეფონზე გაუთავებელი ზარები?**

— ჩემი ტელეფონი იცის სრულიად საქართველომ, მირეკავს არაერთი ადამიანი. ზოგჯერ, ისეთ წარმოუდგენელ რაღაცებს მთხოვენ, მიკვირს. რატომღაც ჰგონიათ, რომ ჯადოსნური ჯოხი მაქვს ან შრომითი მოწყობის ცენტრი და შემიძლია, ყველას ყველაფერი შევუსრულო. თუმცა, როცა ვიღაცას წამალი ან გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება, როგორც შემიძლია, ისე დავუდგები ხოლმე გვერდით. მაგრამ ორი წელი, ვიღაც კაცი მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ უნდოდა „ლეჩკომბინატის“ მთავარი ექიმობა. ორი წლის განმავლობაში ვუხსნიდი, რომ მე ეს საკითხი არ მეხება და სურვილის განხორციელებაში ვერ დავეხმარებოდი. ვერაფერი გავაგებინე...

**— დედა, როცა გადაწყდა საფრანგეთში ჩემი წასვლის ამბავი და ბილეთი უკვე ხელში გეჭირა, რა განიცადე?**

— სალომე, უნდა გითხრა, რომ შენ ხარ „უნამუსო“ ადამიანი: თან წაიყვანე დედაჩემიც! წარმოიდგინე, როგორია — ორი ჩემთვის საყვარელი ადამიანის გაშვება უცხოეთში?! სალომე, შენ ხარ ის ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერზე უარი ვთქვი: საკუთარ დედაზეც, შვილზეც — ზუსტად შენ გამო, გესმის?! მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ, რისთვისაც წახვედი. მტკივნეულია უშენობა, მაგრამ როგორც უკვე თქვი, 10 წლის შემდეგ, შენი საქმის პროფესიონალი უნდა იყო. ამაში დღეს ჩემი დახმარება გჭირდება, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ.

**— ახალი წლის დღეებში ერთად ვიყავით ბაკურიანში. ჩვენთან ერთად იყო შენი მეგობარი — ბელა გიორგაძეც. ორივეს საოცრად გეზარებოდათ დილით გაღვიძება. ვერაფრით გიმორჩილებდით — არადა, გინდოდათ, თხილამურებზე დგომა მესწავლებინა, რატომ მაწვალებდით?**

— მართალია, დასვენების საშუალება არ მოგვეცი, უთენია გვაღვიძებდი. თუმცა, თხილამურებზე დგომა ბელას ისე ასწავლე, რომ თბილისში დაბრუნება აღარ უნდოდა.

**— დღევანდელ თაობაში რა არ მოგწონს?**

— კარგად იცი, შენს მეგობრებთან და დაქალებთან როგორი ურთიერთობაც მაქვს. როგორც კი თავისუფალი დრო მიჩნდება, მაშინვე თქვენკენ გამოვრბივარ. რაღაც სხვანაირები ხართ, ჩამოყალიბებულები, გონებაგახსნილები... მიყვარს თქვენთან ურთიერთობა.

**— პირადად მე, რა შენიშვნას მომცემდი?**

— მინდა, რომ სპორტის გაკვეთილები გაგიორმაგონ, რადგან ვფიქრობ, შენი წონა გასაკონტროლებელია.

**— როგორ გგონია, რით ვგავართ ერთმანეთს?**

— მგონი, ორივე გულჩვილები ვართ. როდესაც რაიმე გვწყინს ან გვაწუხებს, ორივეს თვალებიდან ცრემლი მოგვდის.

**— კი, ასეა *(და სალომეს თვალები აუწყლიანდა. — ავტ.)*... რას მისურვებ, დედიკო?**

— რა შეიძლება, დედამ შვილს უსურვოს?! მეტი გამძლეობა, ენერგია, სტიმული გქონდეს მუშაობისთვის. საუკეთესო შანსი მოგეცა: ის, რაზეც სხვები ოცნებობენ, შენთვის რეალურია — უცხოეთში სწავლა.

**— ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბოლომდე დავიხარჯო. უცხოეთში სწავლა შენგან მიღებული დიდი საჩუქარია. პირობას ვდებ, რომ 2017 წელს ხელფასი 25.000 ევრო მექნება და ძალიან მაგარ საჩუქრებს მოგიძღვნი... ახლა პირობა მომეცი, რომ ჩემზე არ ინერვიულებ.**

— კარგი.

**— სანამ ჩამოვალ, იცოდე, შენი თავი ჩემს ბიძაშვილებს ჩავაბარე *(იცინის)*.**

■

# „მათი აუქციონზე გატანა მოხდება, მაგრამ შედეგები წინასწარ ცნობილია...“

## რკინის ქალამნებით — სტრასბურგისკენ



**ლეიბორისტების ერთ-ერთ ლიდერთან, სოსო შატბერაშვილთან ინტერვიუზე რამდენიმე წუთით დამაგვიანდა. მოვუბოდიშე და დაგვიანების მიზეზიც ავუხსენი: ამ ყვითელი ავტობუსებით მგზავრობისას, დროის ხომ ვერ განსაზღვრავ-მეთქი... ავტობუსი კი არა, მაგ ტრანსპორტს „სანდრაბუსი“ ჰქვია, — მითხრა და სანამ ჩანთიდან დიქტოფონს ამოვიღებდი, ჩემდა გასაოცრად, დასძინა: რუბრიკაში „გაბრაზებულები“? გაბრაზებულები არ ვართ, ჩვენ განაწყენებულნი ვართო, — და თხრობაც ყოველგვარი კითხვის დასმის გარეშე (მე მაინც ვიტყოდი, რომ გაბრაზებული ტონით) დაიწყო:**

*თამუნა კვინიკაძე*

— გაბრაზებულები კი არა, ჩვენ განაწყენებულნი ვართ, იმ ძალებზე, რომლებმაც ეს ხალხი მოიყვანა ხელისუფლებაში. ყველაფერი სოროსის კაბინეტსა და კრემლში გადაწყდა და თვით სააკაშვილისთვისაც კი, შოკის მომგვრელი იყო. წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 70% ნდობას ჩვენს პარტიას უცხადებდა. რა მოხდა მერე? ეს ყველამ კარგად ვიცით: ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც ებრძვიან ქართულ კულტურას, უნივერსიტეტს, სახელმწიფოებრიობას. ნუთუ შეიძლება, იყო მომსწრე იმისა, რაც ჯანდაცვის სფეროში ხდება და სიმშვიდე შეინარჩუნო? ჩვენი პარტიის წევრმა, პროფესორმა თამაზ შიოშვილმა, რომელიც გახლავთ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჩამოაყალიბა ექიმთა დაუმორჩილებლობის კომიტეტი. საავადმყოფოების პრივატიზაციას მოჰყვება ექიმთა ტოტალური შემცირება და მკურნალობის თანხის კატასტროფული ზრდა. თუმცა ამას ხელისუფალნი უარყოფენ, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ახალ საავადმყოფოებში, დღე-ღამის განმავლობაში ერთი საწოლის ღირებულება იქნება 1.500-დან 2.000 ლარამდე, რის გადახდასაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვერ შეძლებს. ამ რეფორმის გატარება ნიშნავს ამ ხალხის სასიკვდილო ეშაფოტზე შეყრას. გარდა ამისა, გავითვალისწინოთ, რომ გადარიცხვები, უმწეოთა დახმარებები და სხვა სოციალური სახელმწიფო პროგრამები აღარ ფუნქციონირებს. ის, რასაც გიგი უგულავა წინასაარჩევნო პერიოდში ყოველი გათხრილი ორმოდან ღიმილიანი სახით გვპირდებოდა, დავიწყებას მიეცა. მერიის მიერ 5 მლნ ლარით დაფინანსებული სოციალური პროგრამები 400.000-მდე შემცირდა. თამაზ შიოშვილმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა, ჯანდაცვის სფეროში არსებულ უსამართლობაზე. მინისტრმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მიაყენა. ყველას კარგად გვახსოვს, ბატონი ჭიპაშვილის განცხადება საავადმყოფოთა პრივატიზაციის შესახებ. როგორც ჩვენთვის კულუარულად გახდა ცნობილი, პრეზიდენტი ამ განცხადებას ძალიან აღუშფოთებია. მეორე დღესვე გამოვიდნენ ჯანდაცვის და ეკონომიკის მინისტრები და წინადღეს ნათქვამი უარყვეს. ხოლო მესამე დღეს კვლავ გამართეს სამთავრობო სხდომა. სადაც ახალი განცხადება გააკეთეს: თურმე, კი არ ყიდიან საავადმყოფოებს, პირიქით — 100 ახალი საავადმყოფოს აშენებას აპირებენ, რისთვისაც 350 მლნ ლარია გამოყოფილი. სასწრაფოდ გადაიღეს კლიპები და ა.შ. მე ვსვამ კითხვას: რა საჭიროა 350 მლნ-ის დახარჯვა ახალი საავადმყოფოების მშენებლობისთვის, როცა შეიძლება, სულ რაღაც 35 მლნ-ით მოხდეს არსებული საავადმყოფოების რეაბილიტაცია?! სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ის საავადმყოფოები, რომელსაც გაყიდვას უპირებენ, ქალაქის ცენტრში მდებარეობს. იქ, სადაც მე-9 საავადმყოფოა განთავსებული, 1 კვმ მიწის ფართობი დაახლოებით 1.000 დოლარი ღირს, ხოლო აშენებული ბინის 1 კვმ — 20.000 დოლარი. წარმოიდგინეთ, რა თანხები ტრიალებს! ამ საავადმყოფოს ბედი უკვე გადაწყვეტილია. მოგეხსენებათ, იგი საპატრიარქოს ეკუთვნოდა. უწმინდესმა წერილითაც კი მიმართა ხელისუფლებას ამ ისტორიული შენობის დაბრუნების თაობაზე, რომ თვითონ საპატრიარქო მოახდენდა მის რეაბილიტაციას, მაგრამ თხოვნა ერთ ყურში შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს. გასაყიდადაა გამზადებული თბილისის №1 აფთიაქი, რომელიც მერიის შენობაში მდებარეობს. მერე რა, რომ მას დიდი ისტორია აქვს და აფთიაქი-მუზეუმია?! გასაყიდად გამზადებულია პედიატრიის ინსტიტუტი, მელიქიშვილის გამზირზე. იქ კაზინოს გახსნას აპირებენ, ხოლო თვით პედიატრიული ინსტიტუტი 15-კაციანი შტატით, ოფთალმოლოგიის ცენტრში გადაჰყავთ. გასაყიდად გამზადებულია აგრეთვე, ძველი და ახალი „ლეჩკომბინატები“. ინფექციურ საავადმყოფოს მთლიანად ანგრევენ და იქ კარუსელებს აკეთებენ. ინფექციურის მთელი შტატი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაჰყავთ, ეს კი სანიტარული ნორმების უხეში დარღვევაა: არაფრით შეიძლება, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის განყოფილება საერთო საავადმყოფოში ფუნქციონირებდეს. ბოჭორიშვილის მიერ დაარსებულ სეფსისის ცენტრს ხურავენ და იმ შენობის სასტუმროდ გადაკეთებას აპირებენ. ასე ანგრევენ ჯანდაცვის სისტემას და ჩვენ რაღა „მოხელე-ნაჩალნიკები“ ვართ, თუ გავჩერდებით და მშვიდად ვუყურეთ, როგორ გვიყიდიან უცხოელებზე სამშობლოს?! ეკონომიკის სამინისტროს 33 სამედიცინო ობიექტი აქვს შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში. მათი აუქციონზე გატანა მოხდება, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ აუქციონის შედეგები წინასწარ ცნობილია. მათ შეისყიდიან ის ფირმები, რომელთა ზურგს უკანაც ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, ხოლო მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდებიან. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით პირობა მივცე ჩვენს ხალხს, რომ თითოეული სამედიცინო ობიექტის გაყიდვის ფაქტი ლეიბორისტული პარტიის მიერ გასაჩივრდება და სასამართლო მსჯელობის საგანი გახდება. რა თქმა უნდა, ჩვენ საქართველოს სასამართლოების იმედი არ გვაქვს, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართალი არ არსებობს. მოსამართლეები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებას. მათ არა მარტო მთავრობის წევრები, ნაციონალური მოძრაობის რიგითი პარლამენტარებიც კი ურეკავენ და ეუბნებიან, კონკრეტულ საქმეზე როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლემ იცის, როგორც წაუვა საქმე. ჩვენ ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი გვაქვს. თბილისი პატარა ქალაქია, ყველას გვყავს ნაცნობები და მეგობრები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. ისინი პირად საუბრებში გვეუბნებიან — ნეტავ, სადმე ჯიხური გვედგას, რომ ოჯახის რჩენა შევძლოთ, დღესვე გავიხდიდით მოსამართლის მანტიას და იქიდან წამოვიდოდითო!.. ყოფილა შემთხვევა, როცა დაუმორჩილებელი მოსამართლისთვის, ფიზიკური შეურაცხოფაც მიუყენებიათ და კაბინეტიდანაც გაუგდიათ. მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალიან ცოტაა, უფრო ხშირად, მოსამართლე წინააღმდეგობას არ უწევს ხელისუფალთ და მათ უსიტყვოდ ემორჩილება. ჩვენდა სასიკეთოდ, არსებობს სასამართლო, რომელიც არ ემორჩილება საქართველოს ხელისუფლებას. ეს არის სტრასბურგის სასამართლო. როცა აქ ყველა ინსტანციას მოვივლით, სარჩელს სტრასბურგში შევიტანთ და ვიცი, რომ პროცესს მოვიგებთ. რკინის ქალამნებს ჩავიცვამთ და ისე ვიბრძოლებთ. ■

დასაწყისი იხ. გვ. 8

# ნაპოვნია ჰიტლერის მიერ შესწორებული... „ბიბლია"

რამდენიმე ბრიტანულმა და გერმანულმა გაზეთმა თითქმის ერთდროულად გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნაპოვნია ადოლფ ჰიტლერის მიერ შესწორებული „ბიბლია", სადაც ფიურერს არა მარტო მისი შინაარსის, არამედ მცნებების „რედაქტირებაც" კი მოუხდენია.

როგორც ირკვევა, 1940 წელს ფიურერმა „საკუთარი საღვთო წერილის" 100 ათასზე მეტი ეგზემპლარი დააბეჭდვინა. მიუხედავად ამისა, კარგა ხნის მანძილზე „ჰიტლერული ბიბლიის" შესახებ საერთოდ არაფერი იყო ცნობილი. საქმე ისაა, რომ მორწმუნეებმა თითქმის მთელი მისი ტირაჟი დაწვეს. თუმცა, რამდენიმე ეგზემპლარს მეცნიერებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, გერმანულ ეკლესიებში მაინც მიაკვლიეს, მაგრამ მაშინ, ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა.

„1939 წელს, — აღნიშნავს მესამე რაიხის რელიგიური ისტორიის სპეციალისტი ჰანს იოგბასი, — ჰიტლერმა შეკრიბა თეოლოგების ჯგუფი, რომელთაც „ახალი აღთქმა" უნდა გადაეწერათ და დაემტკიცებინათ, რომ იესო ებრაელი არ ყოფილა". იოგბასის თქმით, მაშინ, გერმანულ ეკლესიაზე ებრაული გავლენის კვლევისა და ამ გავლენის ლიკვიდაციის მიზნით, ცალკე ინსტიტუტიც კი შეიქმნა. 1940 წელს, ამ ინსტიტუტმა გამოსცა წიგნი — „გერმანელები ღმერთთან", რომელშიც „ახალი აღთქმის" ჰიტლერული ვერსიის შინაარსი იყო გადმოცემული. ეს ნაწარმოები გერმანელებ-




ისთვის ისეთივე სამაგიდო წიგნად უნდა ქცეულიყო, როგორებიც Mein Kampf და „ნაციონალ-სოციალიზმის ბიბლია" იყო.

რაიხის თეოლოგებმა ლოცვებიდან ებრაული ფუძის მქონე ყველა სიტყვა (მაგალითად: „ალილუია", „მესია" და ა.შ.) ამოიღეს, ხოლო სახელწოდება „იერუსალიმი", „ღმერთის მარადიული ქალაქით" შეცვალეს. იესო ქრისტეს ჯვარცმა, ებრაელებთან მისი ბრძოლის შედეგად იქნა წარმოდგენილი, რის დასადასტურებლადაც, გერმანელმა ღვთისმეტყველებმა 250-გვერდიანი ნაშრომი გამოსცეს. „იესო ნამდვილად ნაზარეთში დაიბადა, მაგრამ ის ებრაელი კი არა, არიელი იყო", — ამტკიცებდნენ ისინი.

ჰიტლერმა ათ „ბიბლიურ" მცნებასაც კი „რედაქტირება" გაუკეთა, მათი რაოდენობა 12-მდე გაზარდა და თან, მისი აზრით, ისეთი მოძველებული მცნებებიც ამოიღო, როგორებიც „არა კაც ჰკლა" და „არა იპარო" იყო.

**ჰიტლერისეული „მცნებანი":**

1. პატივი ეცი შენს ფიურერსა და ღმერთს.
2. დაიცავი სისხლის სიწმინდე და ღირსების უმწიკვლოება.
3. მზად იყავი სხვებისთვის თავგანწირვისთვის.
4. გაუფრთხილდი საკუთარ კერძო საკუთრებას.
5. ღმერთს მთელი გულით მიენდე.
6. შეინარჩუნე საკუთარი მემკვიდრეობა და ეცადე მის გამრავლებას.
7. იყავი ღვთისმორჩილი.
8. გახსოვდეს: გრძნობები არ ტყუიან.
9. შენი სიცოცხლე და შენი სხეული წმინდაა.
10. დაეხმარე და შეუნდე.
11. პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა. იყავ კარგი მაგალითი შენი შვილებისთვის.
12. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პატიოსნება და ერთგულებაა.

*Informacia.ru, რუსეთი*

■

**რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ**



# „ადამიანი მოვკალი, მაგრამ... ყველაფერი ისე იოძვას, როგორც სინამდვილეში მოხდა"...

**ძალადობის უპირველესი გამომწვევი მიზეზი რომ აგრესიაა, ამას, სამწუხაროდ, რეალობა ყოველდღიურად გვიდასტურებს. ერთია, როცა ბოროტმოქმედი მძიმე დანაშაულს ანგარებით, პირადი კეთილდღეობის მიღწევის მიზნით სჩადის ან სისხლისმსმელი მკვლელი თავის მანიაკალურ ჟინს იკმაყოფილებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენ წინაშე დგას ბოროტმოქმედი, რომელიც უმძიმესი დანაშაულის ჩადენამდე, თავად გახლდათ წარმოუდგენელი ძალადობის, აგრესიისა და მწარე შეურაცხყოფის მსხვერპლი. ხშირია შემთხვევა, როცა მკვლელს მიუტევებელი ცოდვისკენ, მსხვერპლის მხრიდან წამოსული, მისი ღირსების შემლახველი ქმედება უბიძგებს. ასეთ დროს, გაუბედურებული ადამიანი შურისძიების დაუოკებელი წყურვილით ივსება, საკუთარ თავზე კონტროლის უნარს კარგავს, ხელში იარაღს იღებს და კონფლიქტს მისი მეშვეობით უსვამს საბედისწერო წერტილს...**



## მეზი ცანავა

იმერეთის ერთ-ერთ რაიონში რამდენიმე წლის წინ მომხდარი დანაშაული, როგორც ერთ-ერთი მხარე ამბობს, გამოძიების მასალებში ისე არ ასახულა, როგორც სინამდვილეში მოხდა. მხარე ამას გამოძიების მიკერძოებით ხსნის. სასამართლომ განსასჯელი დამნაშავედ ცნო და მკვლელობის ჩადენის ფაქტი არც თავად მსჯავრდებულს გაუპროტესტებია; აღიარა, რომ მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა, თუმცა, მიზეზში სრულყოფილად გარკვევა და გაანალიზება მოითხოვა. განაჩენი მიზეზს მხოლოდ გაკვრით ეხება და ხაზგასმით, გამოძიების მიერ დაფიქსირებულ, დანაშაულის დეტალებს აღნუსხავს, რადგან მუხლის დასადასტურებლად, სწორედ ამას აქვს იურიდიული მნიშვნელობა. ის, რაც ოფიციალური ოქმების მიღმა დარჩა, მსჯავრდებულის მხარემ თავის საჩივარში დაწერა...

28 წლის მახო ჯანელიძე მკვლელობისთვის დააკავეს (რაიონის, ასევე რეალური გვარების დასახელებისგან, ეთიკური მოსაზრებებით, თავს ვიკავებთ). გამოძიების მასალების მიხედვით, დანაშაული მან წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. ამიტომაც, ბრალი 108-ე მუხლით წაუყენეს, ძიების დასრულების შემდეგ კი, ამავე მუხლით გაასამართლეს. პროკურატურის ბრალდე-

ბა რაიონულმა სასამართლომაც დაადასტურა, განსასჯელი დამნაშავედ ცნო და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენი ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრეს, მაგრამ მასში არანაირი ცვლილება აღარ შეუტანიათ.

დაზარალებული მხარე და პროკურატურა სასტიკ მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ. განაჩენის გამოტანის შემდეგ, დაცვის მხარემ სასამართლო ტენდენციურობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მსჯავრდებულს უსამართლოდ მოექცნენ, რადგან ზედმეტად მკაცრი სასჯელი შეუფარდეს. მკვლელობა რომ მართლაც, მახო ჯანელიძემ ჩაიდინა, ეს სადავოდ არავის გაუხდია. დანაშაული თავად ბრალდებულმაც დაკავებისთანავე აღიარა, მაგრამ — არა წინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა. ჩვენების მიხედვით, რომელიც მან სასამართლოს მისცა, დანაშაულის პროვოცირება თავად მსხვერპლმა მოახდინა, შექმნილმა ვითარებამ მკვლელი წონასწორობიდან გამოიყვანა, თავზე კონტროლი დააკარგვინა და ხელში იარაღი ააღებინა... *„მე თავს არ ვიმართლებ, რადგან ადამიანი მოვკალი, მაგრამ მინდა, ყველაფერი ისე ითქვას, როგორც სინამდვილეში მოხდა“*, — აღნიშნა ჩვენების მიცემისას განსასჯელმა. საქმის მასალებში, შუამდგომლობის სახით, არსებობს დაცვის მხარის საკმაოდ ვრცელი სიტყვა, მასში ასახულია ისეთი დეტალები, რომლებიც საბრალდებო დასკვნაში არ დაფიქსირებულა...

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მახო ჯანელიძემ მკვლელობა საკუთარ სახლში მამის თვალწინ, სანადირო თოფით ჩაიდინა; შობის წინადღეს — 6 იანვარს საღამოს, ოჯახში სტუმრად მისული მამის მეგობარი და თანასოფლელი, პოლიციის სამმართველოს რაიონის ქვეგანყოფილების უფროსი, ვაჟა მჟავანაძე გამოასალმა სიცოცხლეს. დანაშაული შურისძიების მოტივით, მკვლელსა და მსხვერპლს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რამდენიმე წამში კი, საბედისწერო სისხლის ღვრით დასრულდა. ძიების მასალების თანახმად, ჯანელიძემ ცეცხლსასროლი იარაღი მეორე ოთახიდან გამოიტანა, თუმცა, სანამ იქიდან შეირაღებული დაბრუნდებოდა, მანამდე, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, აწ გარდაცვლილის ყურადღების გასაფანტავად და თავისი განზრახვის დასაფარავად, კატას დაუწყო ალერსით ძახილი — ფისო, ფისოო!.. — მერე ოთახში ჩახმახშემართული თოფით ხელში დაბრუნდა და სტუმარს სასიკვდილო ტყვია დაახალა...

პოლიციამ ჯანელიძე იმავე დღეს დააკავა. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მან შემთხვევის ადგილი დატოვა და მიმალვა სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მკვლელობის იარაღი — სანადირო თოფი სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილთან ახლოს — ჯანელიძის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ამოიღეს...

*„მომხდარი ფაქტი ისე აღწერეს და დააკვალიფიცირეს, როგორც სისხლის სამართლის უმძიმესი კატეგორიის დანაშაული. მართალია, საშინელება მოხდა და არავის აქვს უფლება, პირადად გაუსწორდეს შეურაცხმყოფელსა და მოძალადეს, ასეთ შემთხვევაში მან სახელმწიფოს სამართალდამცავ სტრუქტურებს უნდა მიმართოს და კანონის შესაბამისად აგებინოს პასუხი მოწინააღმდეგეს, მაგრამ როგორ მოიქცეს კაცი, როცა ეს მოწინააღმდეგე თავად გახლავთ სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელი ან სახელმწიფო მოხელე? ჩვენს ქვეყანაში ხომ შანსი იმისა, რომ სამართალი იზეიმებს და დამნაშავე საკადრისად დაისჯება, მინიმალურია. როცა ეს გაცნობიერებული გაქვს, უსამართლობას კი პირისპირ ეჯახები, უძლიერესი ფსიქიკის ადამიანი უნდა იყო, რომ თავი მაქსიმალურად აიყვანო ხელში და შეურაცხყოფა გადაყლაპო, რათა დაწერილი კანონის წინაშე შეცდომა არ დაუშვა. ჯანელიძე თავ-*



*მოყვარე ახალგაზრდა გახლავთ. ნამდვილ ქართულ ოჯახში, ქართულ წეს-ჩვეულებებზეა აღზრდილი და ამ პრინციპებს ის ყოველთვის თავგამოდებით იცავს. ჰყავს სამაგალითო სამეგობრო წრე, მუდამ სხვას იცავს, თავს კი არავის დააჩაგვრინებს. საერთოდ, ფიცხი ხასიათის ადამიანია, მაგრამ — სამართლიანი. რაიონში მცხოვრებთა უმეტესობის მსგავსად, მის ოჯახსაც საკმაოდ უჭირს მატერიალურად. წლების მანძილზე, დაძაბულმა ცხოვრებამ და ყოფითმა პრობლემებმა, რა თქმა უნდა, მის ნერვებს და ფსიქოლოგიურ წონასწორობასაც დაასვა დაღი. მისი ქმედებაც ამან განაპირობა. ახალგაზრდა, თავმოყვარე ჯანელიძემ ვერ შეძლო იმ შეურაცხყოფის ატანა, რომელიც მას აწ გარდაცვლილისგან შეხვდა...“* — წერია დაცვის მხარის შუამდგომლობაში.

ამ სიტყვების საპირისპიროს ირწმუნებოდა პროკურატურა, რომელიც საქმის ოფიციალურ ოქმებში მომხდარი დანაშაულის შემზარავ დეტალებს აღწერდა. საბრალდებო დასკვნაში ისიცაა აღნიშნული, რომ იმ საღამოს, მჟავანაძის სტუმრობას ჯანელიძე თავიდანვე ამრეზით შეხვდა. მასპინძლისთვის შეუფერებლად მოიქცა და მასზე უფროსი, მით უმეტეს, სოფელში გარკვეული ავტორიტეტის მქონე სტუმრისადმი თავაზიანობისა და პატივისცემის ნაცვლად, აშკარა უკმაყოფილება გამოხატა და მამას, მისი ხელგაშლილად მიღებისთვის საყვედური ხმამაღლაც კი უთხრა. ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრის გაღიზიანება გამოიწვია. მან უხეშად მიმართა ჯანელიძეს და წესიერი საქციელისკენ მოუწოდა. ჯანელიძემ უკან არ დაიხია, რასაც სტუმრის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. ბრალდების თანახმად, მჟავანაძეს ჯანელიძემაც შეაგინა, ბოლოს კი, საბედისწერო პასუხი გასცა...

გარდაცვლილის ნათესავებმა და ახლობლებმა მკვლელის უმკაცრესად დასჯა მოითხოვეს, რადგან მათი თქმით, ჯანელიძეს რეალურად, არავითარი საბაბი არ ჰქონდა, ამ ადამიანისთვის ასე უდროოდ მოესწრაფებინა სიცოცხლე და მისი ოჯახი სამუდამოდ გაეუბედურებინა. დაზარალებული მხარის წარმომადგენლები ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ მჟავანაძე მთელი რაიონისთვის პატივსაცემი კაცი იყო და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. მეგობრები — ძირითადად, პოლიციის თანამშრომლები — მას დადებითად ახასიათებენ. *„კაცი კეთილი განწყობილებით ესტუმრა ოჯახს, საჩხუბარი არაფერი ჰქონდა და არც უჩხუბია. ჯანელიძე თავიდანვე აგრესიულად განწყობილი დახვდა, ჯერ შეურაცხყო, ხოლო შემდეგ, ტყვიაც დაახალა და სიცოცხლეს გამოასალმა“*, — აღნიშნულია დაზარალებულის ჩვენებაში.

რაც შეეხება განსასჯელის მხარეს, — ის ბრალდებასა და დაზარალებულთა ამ პოზიციას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. სასამართლო პროცესის მსვლელობისას, როგორც ოქმებიდან ჩანს, განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საქმის ირგვლივ არსებულ ისეთ ვითარებებსა და დეტალებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომლებიც საბრალდებო დასკვნის მიღმა დარჩა.

დაცვის მხარის შუამდგომლობიდან (სააპელაციო):

*„საქმეს თავიდანვე არასწორი მიმართულება მისცეს და ჩვენებები გააყალბეს, რათა ჯანელიძისთვის რაც შეიძლება დაემძიმებინათ მდგომარეობა. აწ განსვენებულის პოლიციური კარიერა სწორედ იმ რაიონის პოლიციის განყოფილებაში დაიწყო და განვითარდა, სადაც მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 2000 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც პოლიციის სამმართველოს ქვეგანყოფილება ცალკე დაარსდა, მჟავანაძე მის უფროსად დაინიშნა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ქართველ სამართალდამცველთა ობიექტურობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მოკვლევას უშუალოდ გარდაცვლილის მეგობრები აწარმოებდნენ და ცხადია, მათ წინასწარი გამოძიების დანიშვნის პირველსავე წუთებიდან დაიწყეს ფიქრი და ზრუნვა იმაზე, რომ საქმე როგორმე განზრახ მკვლელობის მუხლისთვის მოერგოთ. იმავეს აკეთებდა პროკურატურის გამომძიებელიც და იგივე გაიმეორა რაიონული სასამართლოს მოსამართლემაც. მაგრამ მიუხედავად ცალმხრივი და მიკერძოებული გამოძიებისა,*

ოდნავი დაკვირვებაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რა მოხდა სინამდვილეში... მჟავანაძე რაიონში მართლაც, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ გავლენას მან მოსახლეობის დაშინებისა და ტერორის შედეგად მიაღწია. იყო უკიდურესად აგრესიული ადამიანი, მექრთამე და გამომძალველი, ისევე, როგორც ბევრი მისი კოლეგა. ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია, ეს დაადასტუროს და შესაბამისი ფაქტიც გაიხსენოს. მაგრამ სამწუხაროდ, საქმის შედეგით დაინტერესებული გამომძიებელი ასეთ მნიშვნელოვან მოწმეებს ადვილად მისწვდა და რეალობის დაფიქსირება ოფიციალურ ჩვენებებში თითოეულ მათგანს აუკრძალა. ძნელია გარდაცვლილი კაცის მანკიერ თვისებებზე საუბარი, მაგრამ ჭეშმარიტება მოითხოვს, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. პროფესიიდან გამომდინარე, მჟავანაძე რაიონის მცხოვრებთათვის სანიმუშო და სამართლიანობით გამორჩეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ გახლდათ და ამაზე, სხვათა შორის, საქმეში არსებული, სასამართლო განხილვის პროცესში მოპოვებული მასალებიც მოწმობს. ამ ადამიანს შეეძლო, დაეჩაგრა ყველა, ვისაც მოისურვებდა, ჩაგრავდა არა მარტო ცალკეულ პირებს, არამედ მთელ ოჯახებსაც... ყველამ იცოდა იმის შესახებ, თუ როგორ ისარგებლა თანასოფლელი ქალის, სამი შვილის დედის უმწეობით და ის საყვარლად გაიხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი შვილებისთვის თავისუფლების მოსპობით დაემუქრა... ერთ დღეს, სოფელში მაღაზია გაიქურდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქურდობა სწორედ ამ ქალის უფროსმა ვაჟმა — შაკო სვანიძემ ჩაიდინა. არასრულწლოვანი ბიჭი მაშინვე განყოფილებაში წაიყვანეს. მეორე დღესვე მჟავანაძემ, რომლის ხელშიც იყო ფაქტობრივად, იმ ბიჭისა და მისი ოჯახის ბედი, შაკოს დედას, შვილის ციხიდან გამოხსნის საფასურად, 1.500 ლარი მოსთხოვა. ძალიან კარგად იცოდა, რომ მარტოხელა ქალი ამ თანხის გადახდას ვერაფრით შეძლებდა. მიუხედავად ამისა, თავისი მაინც არ დაიშალა და უსასყიდლოდ დახმარებაზე მას უარი უთხრა. ალბათ, როცა მიხვდა, რომ ნინო სვანიძე ამდენ ფულს ვერსად იშოვიდა და თანხაზე საუბარს აზრი აღარ ჰქონდა, ახალმა აზრმა გაუელვა თავში: ქალს საყვარლობა მოსთხოვა...“

აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარის ამ სიტყვებს საქმის მასალებში არსებული ერთ-ერთი ჩვენებაც ადასტურებს. ჩვენება თავად ნინო სვანიძეს ეკუთვნის. ის აღიარებს, რომ მჟავანაძესთან გარკვეული პერიოდის მანძილზე, ნამდვილად ჰქონდა ახლო ურთიერთობა. მოწმე იმასაც დასძენს, რომ ყველაფერი მისი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა.

**ნინო სვანიძის** ჩვენებიდან:

„...ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩემს შვილს ქურდობაში დასდეს ბრალი. იმას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რეალურად ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული, ფაქტი ის იყო, რომ შვილი ამ გასაჭირიდან როგორმე უნდა გამომეხსნა. იმის წარმოდგენაც კი მზარავდა, რომ შესაძლო იყო, ის ხანგრძლივი დროით გამოემწყვდიათ ციხეში, სადაც მისი ფსიქიკა საბოლოოდ დაინგრეოდა და მომავალი სამუდამოდ დაუმახინჯდებოდა... მჟავანაძემ 1.500 ლარი მომთხოვა, საქმის „გასაკეთებლად“. მე ამ ფულის შოვნის შანსი არანაირად არ მქონდა, გამოსავალს ვეძებდი, თუმცა ვიცოდი, რომ ის ფაქტობრივად, არ არსებობდა... მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. მან მითხრა, რომ საქმეს მოაგვარებდა და დამშვიდება დამიწყო. მისგან უცნაურ ყურადღებასა და გამოხედვას ადრეც ვგრძნობდი... მივხვდი, საითაც მიჰყავდა საუბარი... იძულებული გავხდი, მიმეღო მისი წინადადება და საყვარლობაზე დავთანხმებოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვა გზა არ არსებობდა და ეს მსხვერპლი უნდა გამეღო შვილის გადასარჩენად...“

დაცვის მხარის საჩივრიდან:

„...თავის ჩვენებაში ნინო სვანიძე ხშირად იმეორებს სიტყვას „საყვარელი“, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ მისა და მჟავანაძის ურთიერთობას სიყვარულთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა... გავლენიანმა პოლიციელმა მას სქესობრივი კავშირი შესთავაზა და უმწეო ქალიც იძულებული გახდა, ეს წინადადება მიეღო. ამ შემთხვევაში, მარტოხელა დედის საქციელს შესაძლოა, რაიმე გამართლება მოვუძებნოთ, მაგრამ პოლიციის უფროსის ამორალურ ქმედებას, რომელსაც თავად უნდა დაეცვა მოქალაქეები მსგავსი ძალადობისგან, დადებითი ახსნა არ შეიძლება ჰქონდეს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სვანიძისა და მჟავანაძის ურთიერთობას პირდაპირი კავშირი აქვს ჯანელიძის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. მართალია, გამოძიება ყველანაირად შეეცადა, გვერდი აევლო ამ დეტალებისთვის, მაგრამ სასამართლო პროცესზე ამის გაკონტროლება ველარ შეძლო. საქმის მასალებშიცაა დაფიქსირებული, რომ მჟავანაძე ჯანელიძის მამასთან — ვახტანგ ჯანელიძესთან მეგობრობდა. მისი რიდითა და კეთილგანწყობით სარგებლობდა და საყვარელი, რამდენიმე საათის გასატარებლად, მის სახლში დაჰყავდა. თავიდან, ამის შესახებ არაფერი იცოდა მახო ჯანელიძემ (ეს მისგან მალულად ხდებოდა). მაგრამ როცა ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია, ოჯახში ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. მახომ მამას მოსთხოვა, აეკრძალა მისი მეგობრისთვის მათ ოჯახში აღვირახსნილი დროს ტარება. მამა დაჰპირდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, გავლენიანი მეგობრისთვის წინააღმდეგობის გაწევა მაინც ვერ შეძლო. შეხვედრები გრძელდებოდა და უფრო მეტიც, ყოველგვარი ანგარიშგაწევისა და მორიდების გარეშე. ერთ დღეს, შინ დაბრუნებული მახო თავის საძინებელ ოთახში შევიდა. გაუკვირდა, როცა დილით გასწორებული ლოგინი აშლილი დახვდა. შემცბარმა, ჯერ ოთახს მოავლო თვალი, შემდეგ, საწოლს დააკვირდა და დაინახა, რომ ლოგინი დასვრილი იყო... მაშინვე მიხვდა ყველაფერს. მამის მეგობრის აღვირახსნილობის კვალს რომ წააწყდა, გაცოფებული გავარდა ოთახიდან და გაშმაგებულმა, რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი დალეწა — ფანჯრები, ჭურჭელი... შემდეგ ისევ თავის საძინებელში შევარდა და საწოლს ცეცხლი წაუკიდა. აშკარაა, რომ იმ დროს ფსიქოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ალბათ, იმ წუთებში მის სიახლოვეს მჟავანაძე რომ გამოჩენილიყო, მოკლავდა კიდეც მას...“

მაშინ ამ ამბავმა უსისხლოდ ჩაიარა. მეზობლებმა სახლიც გადაარჩინეს დაწვას და მახო ჯანელიძეც დააწყნარეს. მაგრამ მისი მრისხანება არ ჩამცხრალა. ჯანელიძემ, როგორც თავად აღნიშნა ჩვენებაში, კიდევ ერთხელ შეუთვალა მჟავანაძეს და ასევე, სვანიძესაც — მის სიახლოვეს არ გამოჩენილიყვნენ და სახლს ახლოსაც არ გაჰკარებოდნენ. გააფრთხილა მამამისიც — როგორმე, ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა ეს პრობლემა და ამ უსიამოვნებისთვის წერტილი დაესვა. როგორც ჩანს, გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო. სვანიძის ჩვენების თანახმად, მას შემდეგ, ის ჯანელიძეების სახლში საყვარელთან ერთად ნამდვილად აღარ მისულა, მაგრამ თავად გამოძიების მასალებიდან გამომდინარე, მჟავანაძე თავის გამგებ მეგობართან — ვახტანგ ჯანელიძესთან ურთიერთობის გაწყვეტას სულაც არ აპირებდა. ის არც მის შვილს მორიდებია და მასთან მოსალოდნელი კონფლიქტის მიუხედავად, შობის წინა საღამოს, ნასვამმა გადაწყვიტა, შინ სტუმრებოდა მათ...

„...ბედით განებივრებული კაცი იყო და ალბათ, არ მოელოდა, თუ ვინმე ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდა და არ შეეპუებოდა მას. ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან ბევრ დროს არ გაევლო, მახო ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო და ასეთ ვითარებაში მისი ვიზიტი თავხედობა თუ არა, მეტისმეტად დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო. ბუნებრივია, მისმა გამოჩენამ განსასჯელში აგრესია გამოიწვია. მახო იმ მომენტში ნასვამი იყო. მიუხედავად ამისა, შეძლო თავის შეკავება და პირდაპირ შეტევაზე არ გადასულა. მხოლოდ სიტყვით გამოხატა თავისი უკმაყოფილება და მჟავანაძეს მიმართა — რატომ მოხვედი? ხომ გაგაფრთხილე, რომ ჩემს სახლში აღარ მოსულიყავიო! მჟავანაძემაც უხეშად უპასუხა — მე შენთან კი არა, მამაშენთან მოვედი, შენ არავინ გეკითხება აქ არაფერს და თუ ჭკუით არ იქნები, მე მოგიძებნი შენს ადგილსო. ასეთმა პასუხმა ჯანელიძეში აგრესია გააორმაგა. ისევ შეიკავა თავი და სთხოვა — აქაურობა დატოვეო. პასუხად, მჟავანაძემ ჯერ დედა შეაგინა, შემდეგ, მამის თვალწინ, ხელი ჰკრა ჯანელიძეს და ძლიერი დარტყმით იატაკზე დაანარცხა იგი. მახოს მოთმინების ფიალა აევსო, თვეების მანძილზე დაგროვილმა ბოღმამ ერთბაშად იფეთქა და მისი აზროვნება სრულიად გათიშა. ცხადია, რომ ნებისმიერი თავმოყვარე მამაკაცი, მით უმეტეს ახალგაზრდა, რომელიც ასეთ შემთხვევაში უფრო ფიცხია, დაკარგავდა თავზე კონტროლს. მახოსაც წაერთვა საკუთარი მოქმედების ანალიზისა და შედეგების გათვალისწინების უნარი, რაღაც წამებში, ელვის სისწრაფით წამოვარდა ფეხზე, ხელი დაავლო თოფს და ესროლა კაცს, რომელიც ნელ-ნელა, ეტაპობრივად უბიძგებდა მას, გადაედგა ეს ტრაგიკული ნაბიჯი“, — წერია საჩივარში.

# შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

## ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-52('06) - 2('07)

**წინა კვირას შეგპირდით, რომ ნატალი თქვენთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე გაგცემდათ პასუხს. ერთ კვირაში ნატა სონასთან მიემგზავრება და ამიტომაც გადაწყვიტა, მკითხველების გამოხმაურებები უყურადღებოდ არ დაეტოვებინა.**

მარი ჯაფარიძე



— მიუხედავად იმისა, რომ მკითხველები ძალზე კრიტიკული იყვნენ ჩემ მიმართ და არც სალანძღავ სიტყვებს იშურებდნენ (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ), მაინც მინდა, მადლობა გადავუხადო მათ იმისთვის, რომ ჩემი ამბავი ასე ახლოს მიჰქონდათ გულთან და აზრის გამოხატვა არ ეზარებოდათ. თავიდან ინტერესით ვეცნობოდი ჩემს სახელზე მოსულ მესიჯებს, მაგრამ მერე, ისე მძაბავდა ჩემზე გამოთქმული უარყოფითი აზრი, რომ წაკითხვის სურვილი დამეკარგა. თუმცა, გული არ მითმენდა და მაინც გადავავლებდი ხოლმე თვალს. მინდა გითხრათ, რომ იმ დღეს, როდესაც გამოხმაურებებს ვკითხულობდი, განწყობილება საბოლოოდ მიფუჭდებოდა... თავიდანვე მქონდა გაცნობიერებული, რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემი და ზურას ურთიერთობას, ისიც ვიცოდი, რომ ხალხი ამას არ მოიწონებდა, არც ჩემი ოჯახის წევრები მოიწონებდნენ ჩემს საქციელს, მაგრამ მერწმუნეთ, მხოლოდ სიყვარულის გამო გავრისკე. მკითხველი ჩემ მიმართ გაცილებით ლოიალურია და მეტ სითბოს ამჟღავნებს, მაგრამ ზურა მართლაც კარგი ადამიანია. ვიცი, ბევრი ადამიანია ჩემს დღეში, თუმცა მათგან იმით განვსხვავდები, რომ გავბედე და ხალხის სამსჯავროზე გამოვიტანე ჩემი თავგადასავალი. მახსოვს, ერთი მკითხველი ამბობდა: ზურამ ინტერნეტში ახალი ნატალი რომ გაიცნოს, რას იზამს? პანდორაც ღალატისთვისაა განწირულიო... ღალატისგან დაზღვეული არავინაა. საამისოდ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მამაკაცი კომპიუტერთან დაჯდეს და იქ გაიცნოს ქალი. ზურა შესაძლოა, ქუჩაში შეხვდეს ვინმეს და მოეწონოს... ალბათ, თითზე ჩამოსათვლელად თუ არსებობენ ერთგული მამაკაცები.

**„რა იქნება, რომ ზურამ ცოტა ვაჟკაცობა გამოიჩინოს და ნატა შეირთოს? მგონი, ყველაზე კარგი გადაწყვეტილება ეს იქნება".**

— ჩემი აზრით, ეს იქნება ყველაზე არასწორი გადაწყვეტილება. მარი, შენ ჯერ არ დაგიწერია ის ეპიზოდი, როდესაც მე, ხათუნამ და ზურამ ვილაპარაკეთ; ეს ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. მგონი, ჯობია, მოვლენებს წინ არ გავუსწროთ... რაც შეეხება ზურას და ჩემს ქორწინებას, ამაზე საუბარი ადრეა.

**„ნატალი ისეთ ასაკშია, როცა ოჯახის შექმნა უფრო შეჰფერის, ვიდრე საყვარლის გაჩენა".**

— ამას ჩემი დაც მეუბნება და ზურას გაცნობამდე, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მან მთელი ჩემი ცხოვრება, მომავლის გეგმები შეცვალა.

**„ასე მგონია, რომ ზურა თამაშობს და ნატალი არ უყვარს. თუ არ თამაშობს და როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხანია, ცოლთან მხოლოდ სხვისი თვალის ასახვევად ცხოვრობს, მაშინ ოფიციალურად რომ გაშორდეს და ნატალიზე დაქორწინდეს, არ უნდა?"**

— ამ კითხვაზე შემიძლია, როგორც ფსიქოლოგმა, ისე გიპასუხოთ. საერთოდ, მამაკაცებს უჭირთ ცხოვრების სტილის შეცვლა და ძნელად ეგუებიან ნებისმიერ ცვლილებას, ადაპტაციისთვის საკმაოდ ბევრი დრო სჭირდებათ. ისინი ხშირად ითვალისწინებენ მეგობრებისა თუ ახლობლების აზრს და ოჯახის დანგრევის ეშინიათ. ზურა ოჯახში თავს ცუდად არ გრძნობს. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი „ავტონომიაც" კი აქვს — ცხოვრობს თავისთვის, მას არ აქვს მოვალეობები, როგორც ქმარს. ძალიან უყვარს შვილი და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ბავშვი კარგად იყოს. შესაძლოა, ბევრმა თქვას, რაღა კარგად ყოფნაა, როცა დედა და მამა ერთმანეთს ვერ იტანენო, მაგრამ ზურას მიაჩნია, რომ მას თავისი ცხოვრება აქვს და როცა ბავშვი გაიზრდება, ყველაფერს თვითონ მიხვდება. ჩემი და ზურას ურთიერთობა რამდენიმე თვეს ითვლის და ეს სულაც არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ზურამ ჩემზე იქორწინოს. თუმცა, მკითხველმა უკვე იცის, მან ხელი მთხოვა, მე კი უარი ვუთხარი, რადგან ის ჯერ კიდევ საკუთარ ოჯახში ცხოვრობს. მან ჯერ ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ — ხელახალი ქორწინების.

**„ნატალის თავის წარმოჩენისა და ბაქიბუქობის მეტი არაფერი დარჩენია. არადა, მას ხალხის კი არა, ღმერთის უნდა ეშინოდეს".**

— თავს არასოდეს ვიქებ. რომანში მრავლადაა ისეთი ადგილი, სადაც ბევრი ჩემი უარყოფითი თვისება ჩანს — თუნდაც, სცენა საავადმყოფოში, როდესაც მე და ხათუნა ერთმანეთს შევხვდით. ეს ეპიზოდი თავის მოსაწონებლად არ მომიყოლია, პირიქით, ამით ხაზი გავუსვი იმას, რომ აგრესიული და ფეთქებადი ვარ.

**„ნატალი, ზურას ინვალიდ შვილს რა პასუხს სცემ?"**

— ზურას შვილი ინვალიდი არ არის. მას მცირე პრობლემა აქვს, რომელსაც უმოკლეს დროში ეშველება. ასთმა ინვალიდობას არ ნიშნავს... მართალია, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და ნებისმიერ შემთხვევაში, ინვალიდი იქნება ბავშვი თუ არა, მას მამა სჭირდება... ისე, ყველაფერი ზურას გადასაწყვეტია და მე არაფერ შუაში ვარ.

**„ზურა, გამოდის, მხოლოდ დღეს დადიხარ მოწესრიგებული? არა მგონია, რომ უყურადღებობა მოგეთმინა მეუღლესთან თანაცხოვრების პერიოდში".**

— ამ მესიჯში მკითხველი იმ ეპიზოდს გულისხმობს, როდესაც ზურამ ჩემ მიერ გარეცხილი და გაუთოებული ტანისამოსისთვის მადლობა გადამიხადა. მას არ უთქვამს, რომ ჭუჭყიანი და მოუწესრიგებელი დადიოდა. ზურას ოჯახში ჰყავს დამხმარე ქალი, რომელიც მის ტანისამოსს აწესრიგებს და ნებისმიერ დროს მზად აქვს სასურველი კოსტიუმი, პერანგი თუ ფეხსაცმელი... ზურა გულისხმობდა საყვარელი ქალის მიერ გამოჩენილ ყურადღებას და აღნიშნა, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ, მასზე სიყვარულით არავის უზრუნია.



M K

**„ნატალი, ძალიან მიყვარხარ და გთხოვ, პასუხი გამეცი ერთ კითხვაზე: ვიზა რომ მიიღე, დავიჯერო, ზურას მიატოვებ და წახვალ? რატომღაც, არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე არ მინდა, წახვიდე. ისე შეგეჩვიეთ, რომ თუ ნატალი და ზურა აღარ იქნება „გზაში“, ალბათ მას აღარც გადავშლი. ისე, დასაკარგი არაფერი გაქვს — აქ საყვარელ კაცს მიატოვებ და იქ საყვარელ მეგობარს შეხვდები. კუსკუსა“.**

— ვიზა მივიღე და მომავალ კვირას ჩემს სონასთან გავფრინდები. ჯერჯერობით, ჩემს გეგმაში შედის, რომ მხოლოდ 1 ან 2 თვით წავიდე და მონატრებული მეგობარი მოვინახულო. ამით საკუთარ თავს გამოვცდი და ზურასაც დაფიქრების საშუალებას მივცემ. თუ დრომ და მანძილმა ჩვენს სიყვარულს რაიმე დააკლო, მაშ, ეს გრძნობა წრფელი არ ყოფილა. თუ არა და დავბრუნდები და იმასაც შეგატყობინებთ, რა მოხდება შემდეგ. სიმართლე გითხრათ, სონა ძალიან მომენატრა. ის ჩემი დაქალი კი არა, ჩემი სულის ნაწილია, ჩემი დაა. დიდი სიამოვნებით წავალ მასთან. რა თქმა უნდა, ზურა მომენატრება და გული მწყდება, რომ ცოტა ხნით უნდა დავშორდე, მაგრამ მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს ჩემთან ჩამოსვლა — „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა“...

**„ზურას და ნატალის ამბის გაგრძელებას მთელი გულით ველი. მართლა კარგი წყვილია. მათ კი, ვინც ნოტაციების კითხვით არ იღლება, ვეტყვი, კარგად დაფიქრდნენ. იმავეს არ აკეთებენ იმიტომ, რომ ეშინიათ ჭორების, ოჯახის და კიდევ ათასი რაღაცის. ყველამ თავის ცხოვრებას მიხედოს. ნატალის კი არა, ლამის მეც შემიყვარდეს ზურა. ყველას არ ჰყოფნის გამბედაობა, რომ იბრძოლოს საკუთარი ბედნიერებისთვის. ამ წყვილს ბედნიერებას ვუსურვებ, დანარჩენებმა კი, თავის ცოდვებს მიხედონ. აი, ასე! ლ.ჯ“.**

**„ნატა და ზურა, ძალიან მიყვარხართ. მოუთმენლად ველი ხუთშაბათის მოსვლას, რომ თქვენი ამბის გაგრძელება წავიკითხო. ბედნიერებასა და ულევ სიხარულს გისურვებთ. ლიკა“.**

**„ნატალი და ზურა, უსაყვარლესი და ულამაზესი წყვილი ხართ. თქვენი რომანით ვსულდგმულობ“.**

**„ნატა და ზურა, ამ გულშემატკივრებს ამდენს ნუ ალაპარაკებთ. მარი, ბოროტი ხალხის მესიჯები საერთოდ გააუქმე, ამ 2 ადამიანის ამბავი კი წერე და წერე... ვიცი, ამ მესიჯს არ დაბეჭდავ, მაგრამ ჩემი თხოვნა მაინც გაითვალისწინე... რუსა“.**

**„ვაიმე, ნატ, არ დაშორდე, რა, ზურას... ძალიან საყვარელი წყვილი ხართ. „ალ წაქიდე, ლა“, ამერიკაში. თქვენი სიყვარული მართლაც ლამაზი და გულწრფელია. „მიკალქალთ“, ჭინკა“.**

**„მარი, ზურას მართლა ინვალიდი ბავშვი ჰყავს? რაღაც „პონტში“ მეცოდება ბავშვიც და ხათუნაც, მაგრამ ნატალიც არ არის ცუდი ადამიანი. ზურა კი ვერ გარკვეულა, რა უნდა. სწორედ ამიტომ მეშლება ხანდახან მასზე ნერვები. ნატ, შენ კარგი გოგო ხარ, მაგრამ სხვის უბედურებაზე შენი ბედნიერება არ უნდა ააგო. ისე, ზურას არავინ ეხვეწებოდა, ტვინი რომ შეგიჭამა — მიყვარხარო. ჰოდა, ახლა კეთილი ინებოს და დაგიცვას მისი ოჯახისგან. ვაააჰ! სიხუნია“.**

**„აუ, მარი, დავიტანჯეთ, რააა... ნატ და ზურ, ნუ ებუტებით ერთმანეთს. თუ ერთმანეთს გაუფრთხილდებით, ჩვენც მაგრად ვიქნებით. ისე, პატარა რომ გეყოლებათ, მე მოგინათლავთ. პუსკა“.**

**„ხათუნა ვისზე რას ამბობს? შეყვარებული ფულის გამო მიატოვა“.**

**„ხალხოოო! ასე რამ გაგაბოროტათ? ვითომ რატომ ჰქვია ნატალის და ზურას ურთიერთობას მრუშობა? „ვაფშე“, სანამ ზურას და ნატალის ახსენებთ, „სგუშონი“ ჭამეთ. ნატ, ნუ მოუსმენ ბოროტ ხალხს. თქვენს დიდ გრძნობას და ნერვებს გაუფრთხილდით. მაგარი ხარ, ხათუნას თავისი ადგილი რომ მიუჩინე“.**

**„ნატ, მგონი, იმ დღეს ზურა მიხვდა, რომ ხათუნა მოვიდოდა და იმიტომ ჩქარობდა შენს წასვლას, თორემ მას მართლა მაგრად უყვარხარ და ეს ხომ შენც იცი. აბა, ჰე! გკოცნი ბევრს. ეცადე, ცხოვრება უფრო გაილამაზო. ამ ფსიქოლოგ ქალს რომ ჭკუას გარიგებ, არ გეწყინოს. უბრალოდ, მართლა მიყვარხარ და შენთვის კარგი მინდა“.**

*ახლა კი ამბის თხრობას განვაგრძობთ.*

— ეს თქვენ გამოგიგზავნეს, — მითხრა და მოზრდილი ცელოფანის პარკი გამომიწოდა.

— გმადლობთ! — პარკი გამოვართვი და ვიდრე კიდევ რაიმეს ვეტყოდი, მამაკაცი კიბეზე დაეშვა.

— ვინ იყო? — მოუთმენლად მკითხა ნინომ, რომელიც იქვე იდგა. მხრები ავიჩეჩე და ოთახში შევედი. — გახსენი, რაა... — ისევ ვერ ითმენდა ნინო. ცელოფანში მოზრდილი, ლამაზად შეფუთული ყუთი იდო. სწრაფად შემოვხსენი „ჭრაჭუნა“ ქაღალდი და თავი ავხადე. ნინო მოპირდაპირე მხარეს იდგა და არანაკლები ინტერესით იჭყიტებოდა. ერთმანეთს შევხედეთ და ორივემ ერთდროულად გავიცინეთ — ყუთში ის პალტო იდო, რომელიც დილით ასე ძალიან მომეწონა მაღაზიაში. ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, რომ სიურპრიზი ზურამ მომიწყო. ძალიან მესიამოვნა მისი ყურადღება.

— მეც მივხვდი, რომ პალტო მოგეწონა, მაგრამ არ იყიდე, — გამიღიმა ნინომ.

— ჰო, ძალიან მომიხდა, — ვთქვი და პალტო შემოვიცვი. სარკესთან მივედი და ჩემი თავი შევათვალიერე.

— მაგარია! — ცერა თითი ზემოთ ასწია ნინომ.

— პალტო კი არა, ზურაა მაგარი, — დავასკვენი ხმამაღლა.

— ნუუუ... მაგაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩემი ძმა ყველაზე მაგარი მამაკაცია მსოფლიოში, — თავმომწონედ თქვა „მულმა“ და რომ არ დავთანხმებოდი, ნამდვილად ეწყინებოდა. თუმცა, არც საიმისო საფუძველი მქონდა, რომ საპირისპირო აზრი დამემტკიცებინა.

ზურა საკმაოდ გვიან მოვიდა, დაღლილი ჩანდა, მაგრამ მაინც კარგ განწყობილებაზე იყო. გაბადრული სახით შემოაბიჯა სახლში. მაშინვე მოვეხვიე, ლოყაზე ვაკოცე და მადლობა გადავუხადე საჩუქრისთვის.

— არაფრის, პატარავ... ნინო სად არის? — მომიჭრა მოკლედ.

— აქ ვარ! — ოთახიდან შეეხმიანა ნინო.

— ნატ, მშია! — საცოდავი თვალებით შემომხედა ზურამ. — მაგრამ ალბათ, ჭორაობას გადაჰყევით და ვის ახსოვდა ვახშამი, არა?

— ჩვენც გვშია და შენ გელოდით. წამო, სადმე წაგვიყვანე, რა... — შეეხვეწა ნინო.

— კენჭი ვყაროთ! — იდეა მოგვაწოდა ზურამ. — აბა, ვინ არის მომხრე, რომ მაღაზიიდან გამზადებული საჭმელი მოვიტანოთ და შინ ვივახშმოთ? — იკითხა, თვითონ ასწია ხელი და გადმოგვხედა. ძალიან მეზარებოდა შინიდან გასვლა, მაგრამ ზურას არ ავუბი მხარი. — ვინ არის მომხრე, რომ მცხეთაში წავიდეთ და რესტორანში ვივახშმოთ? — იკითხა ხელახლა. მე და ნინომ ერთდროულად ავწიეთ ხელი. — კარგი, როგორც გინდათ. ხომ ვიცოდი, რომ მაინც ისე იქნებოდა, როგორც თქვენ გინდოდათ, — ჩაიბურტყუნა, მაგიდაზე დადებულ მანქანის გასაღებს ხელი წამოავლო და ორივე წინ გაგვიგდო, თვითონ ბურტყუნ-ბურტყუნით მოგვყვებოდა უკან.

მცხეთიდან საკმაოდ გვიან წამოვედით. დილმის შესასვლელთან ვიღაც მამაკაცი იდგა და გამვლელ მანქანებს ხელს უწევდა.

— გავიყოლოთ! — თქვა ზურამ და მის ფეხებთან დაამუხრუჭა. მე და ნინო უკანა სავარძელზე ვისხედით. უცნობმა

წინა კარი გამოაღო და ზურას გვერდით მოკალათდა. ის კარგად ჩაცმული, ასე, 45-50 წლის მამაკაცი იქნებოდა.

— გამარჯობა! — საერთო სალამი თქვა და უკან მსხდომებს გადმოგვხედა. — მე ნახალოვკელი ვანო ვარ, თუ რამე დაგჭირდეთ, მიკითხეთ. შვილი მომიკლეს ერთი წლის წინ, თავისსავე ძმაკაცებმა გაწირეს... — დაიწყო თავისი ამბის მოყოლა ისე, რომ არც არავის უკითხავს.

— ახლა სად იყავი? — ჰკითხა ზურამ.

— რესტორანში ვმუშაობ, მუსიკოსად. ახლა დავამთავრე სამსახური და შინ მივდივარ. რა ვქნა, ასეთია ცხოვრება. მემღერება თუ არა, მაინც უნდა ვიმღერო. — იმის ნაცვლად, რომ ამ მამაკაცის მიმართ თანაგრძნობა გამჩენოდა, პირიქით, აგრესია ვიგრძენი და გულში ზურას შევუკურთხე.

— რომელ რესტორანში? — არ ეშვებოდა ზურა.

— აი, აქ, ახლოს, — სადღაც უკან გაიშვირა ხელი.

— რა ჰქვია რესტორანს? — ახლა მე ვიკითხე, რადგან ეჭვი გამიჩნდა, რომ ეს კაცი იტყუებოდა.

-— ჩემი შვილი 22 წლის იყო, — პასუხს თავი აარიდა და თავისი ამბავი განაგრძო. — ანგელოზივით შვილი მყავდა, ძმაკაცებმა უღალატეს, — გაიმეორა ისევ.

— სადაური კაცი ხარ? — ახლა ზურამ ჰკითხა.

— წარმოშობით იმერელი ვარ, მაგრამ თბილისში დავიბადე და გავიზარდე. შენ რა გქვია? — ჰკითხა ზურას.

— ზურა.

— ზურა, ძმაო, შენ დიდი კაცი ჩანხარ, ალბათ, ბევრი შეგიძლია. 10 ლარი მასესხე და გეფიცები, დაგიბრუნებ. ის კაცი არ ვარ, ვალის დაბრუნება რომ არ უყვარს...

ამ დროს, დიდუბიდან სანზონისკენ მიმავალ გზაზე ვიყავით. როგორც ჩანს, ზურას მისი შინ მიყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი. მის თხოვნაზე მანქანა გააჩერა, ჯიბიდან ორმოცდაათლარიანი კუპიურა ამოიღო და გაუწოდა. იმანაც გამოართვა და მაშინვე ჯიბეში გააქანა. — ახლა, ზევით, დადიანზე ახვალ თუ არა, იქვე გამიჩერე, — თქვა კმაყოფილმა, როდესაც ფული საიმედო ადგილზე დაიგულა.

ზურა მანქანიდან გადავიდა, წინიდან შემოუარა, მარჯვენა კარი გააღო და თავით ანიშნა, რომ ისიც გადასულიყო. ვანო დაემორჩილა მის უსიტყვო ბრძანებას და მანქანიდან წელმოწყვეტილი გადავიდა. ზურამ კარი თვითონ დახურა, ისევ შემოუარა მანქანას, დაჯდა და გასაღები გადაატრიალა.

— მათხოვარი! — მოტორის ხმაურში ძლივს გავიგონე მისი ხმა.

— კი, მაგრამ უცხო ადამიანს რომ მანქანას უჩერებ, შეიძლება? რა იცი, ვინ არის? — ხმა ამოიღო აქამდე ჩუმად მყოფმა ნინომ.

— მე დაგვიანებული მგზავრი მეგონა. ეგ კი მათხოვარი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, შვილის სიკვდილით სპეკულანტობს და არც ისაა გამორიცხული, რომ აქ ყოველ საღამოს „აბირჟავებდეს“ და ფულს მათხოვრობდეს.

— ეგ არც მუსიკოსი იქნება, — ჩავერიე საუბარში.

— რა თქმა უნდა, — მხარი ამიბა ნინომ.

— კარგი, გოგოებო, დაწყნარდით! — სიმშვიდისკენ მოგვიწოდა ზურამ. — ნი, ამაღამ ნატასთან დავრჩეთ, კარგი?

— შენ თუ გინდა, დარჩი, მე რაღა მინდა? — გააპროტესტა ნინომ.

— დარჩი, რა მოხდა მერე? — გულით დავპატიჟე მეც.

— ხვალ დილით ბათუმში მივდივარ. თუ გინდათ, ორივეს წაგიყვანთ, გაგასეირნებთ და ზეგ უკან დავბრუნდეთ.

— აუ, რა კარგია! — ტაში შემოსცხო ნინომ. — ნატ, წავიდეთ?

— წავიდეთ... — ვთქვი და ზაფხული გამახსენდა. — სასტუმროში მე და შენ ერთ ნომერში ვიქნებით, ხოლო ზურა და თავისი ნაშა — ერთად.

— მოკლედ, ვერ დაივიწყე ეგ ამბავი, არა? — სარკეში გამომხედა ზურამ.

— მაგას რა დამავიწყებს?

— რა იყო, რა მოხდა? — დაინტერესდა ნინო. ზურამ თავად დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა და მოკლედ მოუყვა იმ დღის ამბები, როცა ბათუმში ერთმანეთს მეორედ შევხვდით და მე დილაუთენია სასტუმროს მეძავთან წავასწარი.

— ნწუ... ნწუ... ნწუ... — თავი გადააქნია ნინომ... ამ თემაზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. იმ ღამით ზურა დივანზე დავაწვინეთ, ხოლო მე და ნინო საძინებელში, ჩემს ორსაწოლიან ტახტზე მოვთავსდით. გამთენიისას ზურა თავზე დაგვადგა.

— ვერ ვიძინებ დივანზე, გვერდები მეტკინა, მიიწიე, დამაწვინე, — მეჩურჩულებოდა, მაგრამ ნინოს მაინც გაეღვიძა.

— მოდი, შუაში დაწექი, — ჩურჩულითვე უპასუხა ძმას და ადგილი გაუთავისუფლა. იმანაც უბოდიშოდ გადამაბიჯა, საბნის ქვეშ შეძვრა და გაიტვრინა.

დილით, ყველაზე ადრე ისევ ზურამ გაიღვიძა და საწოლიდან წამოგვყარა. ისე ჩქარობდა, რომ ყავის დალევაც ვერ მოვასწარით. რამდენიმე წუთის შემდეგ, უკვე დასავლეთისკენ მიმავალ ტრასაზე მივქროდით.

იმ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა. საღამოს, როგორც ჩანს, დაღლილობისგან ცოტა მოვიწყინე. ნინო და ზურა ჩემს გამხიარულებას ცდილობდნენ, მაგრამ არ გამოსდიოდათ. მერე სონამ დამირეკა და კარგა ხანს მეჭორავა.

— როგორ ხარ, ნატ?

— კარგად, სონა, შენ?

— მეც კარგად. რატომ აღარ დამირეკე?

— გუშინწინ ხომ გელაპარაკე, გოგო?

— იმის მერე მთელი 2 დღე გავიდა, — გაბუსხული ხმით მითხრა სონამ.

— კარგი, ნუ იბერები... პატარა როგორ არის?

— ჯერ დაუბადებელ პატარას რომ კითხულობ, მამამისმა რა დაგიშავა?

— რობა? როგორ არის რობა?

— ვერ შეიყვარე ჩემი ქმარი, არა?

— მავიწყდება, რომ ქმარი გყავს.

— ბოღმიანი ხარ... ადრე არ იყავი ასეთი და ახლა რა დაგემართა?

— მე ვარ ბოღმიანი? ღმერთო ჩემო, რა უსამართლო ბრალდებაა! — აღვშფოთდი მე.

— აბა, მე ვარ? მე არასოდეს მავიწყდება, რომ ზურა მოვიკითხო. როგორ არის „სიძე“?

— სიძეობას სულ ცოტა უკლია... მშვენივრად გრძნობს თავს. — გადავხედე ზურას.

— მომიკითხე.

— აუცილებლად.

— ნატ, საელჩოდან ხომ არ შეგხმიანებია ვინმე?

— ხუთშაბათს, — მოვუჭერი მოკლედ.

— რა, ხუთშაბათს? — ვერ მიმიხვდა სონა. მე გავჩუმდი.

— ხუთშაბათს გაქვს გასაუბრება?

— ჰო!

— ზურა მანდ არის და ვერ მელაპარაკები?

— ჰო!

— კიდევ არ გითქვამს მისთვის?

— არა!

— იცი, რომ ცუდად იქცევი? — მსუბუქად დამტუქსა სონამ.

— კი, ვიცი!

— მერე?

— რა, მერე?

— მერე, რატომ არ ეუბნები სიმართლეს? როდის აპირებ თქმას?

— როცა ყველაფერი გადაწყდება, მერე.

— რა „ნამიოკებით“ ლაპარაკობ! ახლა ხომ ხარ ღირსი, რომ ზურას დავურეკო და ყველაფერი ჩავუკაკლო?

— ახლა მე, ზურას და — ნინო და ზურა ბათუმში ვართ.

— გასაგებია. კარგი, წავედი ახლა და მერე დაგირეკავ, როცა მარტო იქნები და თავისუფლად საუბარი შეგეძლება. გკოცნი.

— კარგად, სონა! — ტელეფონი რომ გავთიშე, ცოტა ხასიათი გამომიკეთდა.

— მგონი, ის დროა, სონასთან გამგზავრებაზე ვიფიქროთ. ძალიან გენატრება? — მკითხა ზურამ. მხოლოდ თავი დავაქნიე და კვლავ მომეშხამა გუნება, რადგან თავი დამნაშავედ ვიგრძენი იმის გამო, რომ ზურას არ ვეუბნებოდი, საელჩოში, ვიზის მისაღებად საბუთები რომ ჩავაბარე და ხუთშაბათს გასაუბრებაზე მივდიოდი. წამის მეათედში გავიფიქრე, გულახდილად მეთქვა ყველაფერი, მაგრამ ისევ გაჩუმება ვამჯობინე.

ბათუმში მთელი 3 დღე დავრჩით და

სუნთქვით ჩამოარაკრაკა ელენემ.

— შენი განყოფილების საქმე როგორ იქნება?

— არ ვიცი, — ისევ აიჩეჩა მხრები და ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა — ძალიან ძვირი დაჯდება, თორემ მე ვიყიდდი...

— მაგდენ ფულს სად იშოვი? — გამეღიმა მე.

— ვერ ვიშოვი და საქმეც ეგ არის... — საცოდავად ამოიოხრა. — ნატ, მოდი, ავდგეთ და კერძო კლინიკა გავხსნათ მე და შენ. სილამაზის ცენტრი, ქალებისთვის. გასახდომი ვარჯიშები და რამე...

— შენ ფიქრობ, რომ მე და შენ აქედან — „პაკააა“ — გაგვიშვებენ?

— რა ვიცი, გოგო. Правда, ты единственный психолог на всю больницу, но всё равно есть риск остаться без работы. — რატომღაც ჩაურუსულა ელენემ.

— არა უშავს, გადავიტანთ რამენაირად. სონასთან მივდივარ! — ისე მოულოდნელად ვთქვი, რომ ელენე შეხტა.

— რააა? მართლა?! — წამოხტა, მომეხვია და ჩამკოცნა. — აუუ, რა მაგარია! ვიზა მიიღე? როდის მიდიხარ? სონამ უკვე იცის? — დამაყარა შეკითხვები. — ჰოდა, აბა, შენ რაში გენაღვლება, წახვალ და სამსახური რაღად გინდა?!. მერე, ზურა?.. — გაახსენდა უცებ.

— ზურა? აი, ეგ კი ძალიან მძიმე საკითხია, ჩემო ელენე.

— არ გიშვებს?

— არ იცის!

— აუფ, რა მაგარია! შენ გინდა, ამერიკაში ისე წახვიდე და ჩამოხვიდე, რომ ზურამ ვერ გაიგოს?

— კარგი, დამანებე თავი, — ვუთხარი და ხელი ჩავიქნიე. ელენე, აბა, რის ელენე იქნებოდა, თუ მანამდე მომეშვებოდა, ვიდრე ყველაფერს დაწვრილებით არ გამომკითხავდა?

ვუამბე, როგორც იყო საქმე. ის ცოტა დაფიქრდა, მერე საჩვენებელი თითი ჭერისკენ ასწია და თქვა:

— მე ვიცი, როგორ უნდა მოიქცე.

— როგორ? — მართლა დავინტერესდი.

— როგორ და ზურას ეტყვი, რომ საავადმყოფო გიშვებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად და შენ არც კი იცოდი, ისე დაგახვედრეს გამზადებული მიწვევა კონგრესზე ან კონფერენციაზე...

— გავიწყდება, რომ ზურა ყველა საქმის კურსშია და წინასწარ ისიც კი იცის, ხვალ რა მოხდება ქვეყანაში. მაგას „ჭამს“?! — ისევ ჩავიქნიე ხელი.

— ჰო, მართალია, — უცებ დამეთანხმა ელენე და კვლავ ჭერს მიაპყრო მზერა, ახალი გამოსავლის მოსაძებნად. თუმცა, მალევე დაბრუნდა მიწაზე: — რა ვქნა? ტყუილების გუდაში მეტი არაფერი მაქვს... შენი გუდა უნდა გახსნა. — ორივეს სიცილი აგვიტყდა. — ხედავ, რა ძნელია, ზურასნაირ, „ყოლიფერში ჩახედინებულ“ კაცთან ურთიერთობა? — ცრემლნარევი სიცილ-ტირილით მითხრა ელენემ. — მაგას ერთი კარგი „მალიარი“ ან „სანტეხნიკი“ გეშოვა, არ სჯობდა?

ელენეს სიტყვებმა ჩემი და ზურას გაცნობის პირველი დღე და ინტერნეტდიალოგი გამახსენა.

*ზურა:* რატომ არ მეუბნები, სად მუშაობ? დასასვენებლად რატომ არ მიდიხარ? თუ ჩემსავით სამსახური არ გიშვებს?

*პანდორა:* პროფესიით „მალიარი“ ვარ და ვინაიდან ახლა რემონტების სეზონია, ბევრი საქმე მაქვს... :)))

*ზურა:* მერე რა მოხდა? მშვენიერი პროფესია გქონია. ვგიჟდები „მალიარებზე“! :))) მეც მაგით დავიწყე და ხომ ხედავ, სადამდე მოვედი?

*პანდორა:* მე კი სანტექნიკოსობით დავიწყე და უკვე მაღალკვალიფიციური „მალიარი“ ვარ! ე.ი. „მალიართან“ ურთიერთობაზე თანახმა ხარ?

*ზურა:* კი, ჩემო პატარავ. არავითარი სურვილი არ მაქვს, შენი დაკარგვის!

*პანდორა:* ხედავ, რა ნიჭიერი ვარ? ჩემი ადგილი „გოროდშია“.

*ზურა:* პატარავ, შენ სოფლელობის არაფერი გეტყობა, კარგი გაქექილი ვინმე ჩანხარ! :))) ისე კი, ხუმრობა იქით იყოს და, მართლა მაინტერესებს, რას საქმიანობ.

*პანდორა:* პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, ვმუშაობ კერძო კლინიკაში, ჩემი სპეციალობით და კერძო პრაქტიკასაც ვეწევი.

*ზურა:* ოოო, ეს საკმაოდ კარგი და საჭირო პროფესიაა. იქნებ, მეც გავხდე შენი პაციენტი.

*პანდორა:* სიამოვნებით დაგეხმარები. თუ მხოლოდ ფსიქოლოგი გჭირდება და არა — ფსიქიატრი. :)))

*ზურა:* არც ეგ არის სიმართლისგან შორს. ჩემი საქმის გადამკიდეს, მალე მართლაც დამჭირდება ფსიქიატრი. გინდა, გამოგიარო და სადმე გაგასეირნო?

*პანდორა:* შენ როგორ ფიქრობ, ახლა, ღამის 2 საათზე, შენთან შესახვედრად გამოვალ?! უიიი, მანამდე არაფერი ჭამო!..

*ზურა:* ქალაქგარეთ გავიდოდით და გავგრილდებოდით. მოიფიქრე, ურიგო წინადადება არ არის!

*პანდორა:* მეძინება, კარგად!

*ზურა:* არ წახვიდე, რაააააა...

*ზურა:* უი, მაინც წახვედი? რა გაეწყობა, მეც წავალ სახლში, დავეგდები და დავიძინებ...

გამეღიმა. რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ ჩემი და, შემთხვევით ინტერნეტში „შემოხეტებული“ ამ კაცის დიალოგს ასეთი გაგრძელება ექნებოდა?!.

იმ დღეს მთელი საღამო ტანისამოსის ჩაბარგებას მოვუნდი. ჯერ მე ვურეკავდი ნინოს და ვეკითხებოდი — „თბილი ჟილეტი წამოვიღო? ოთახის ჩუსტები?..“ მერე ნინო მირეკავდა — გოგო, ფენი მე წამოვიღო თუ შენ წამოიღებო?

— მე წამოვიღებ.

— კარგი, ახლავე ჩადე ჩანთაში, რომ არ დაგავიწყდეს.

მერე, ისევ მე დავურეკავდი და ასეთ განწამაწიაში ვიყავი, როდესაც ზურა მოვიდა. ახლა იმას შევუჭამე ტვინი შეკითხვებით.

— გოგო, პირველად ხომ არ მიდიხარ, რა გჭირს? — შემეკითხა ღიმილით, ასეთი აფორიაქებული რომ დამინახა.

— შენ წარმოიდგინე, პირველად მივდივარ. მთაში ზამთარში არასოდეს ვყოფილვარ.

— მართლა?! — გაუკვირდა ზურას.

— ჰო, მართლა. ზაფხულობით ზღვაზეც დავდიოდი და მთაშიც, მაგრამ ზამთარში — არა. — ზურას გაოცებული მზერა რომ დავიჭირე, დავამატე: — მაშინ „სპონსორი“ არ მყავდა!

— ახლა გყავს?

— კი, ახლა მყავს! — ეშმაკურად გავიცინე.

— ვერც შენთან ავცდი მაგ „თანამდებობას“, არა?..

— ჩემი „სპონსორი“ — სონაა... შენ კი, ჩემი ცხოვრება და სიხარული ხარ! — ვუთხარი და ჩავეხუტე. — არ გეგონოს, რომ შენს იმედად მოვდივარ ბაკურიანში, — დავამატე მერე.

— ჰო, ჩემს იმედად რატომ უნდა წამოხვიდე? ნება იბოძე და საკუთარი ხარჯი თავად გადაიხადე. მე კი ჩემს დაიკოს „დავასპონსორებ“. ნატ, იცი, როგორ მიყვარს? ჩემი ნინოს გარეშე მე არ ვივარგებ...

— ისიც მაგას ამბობს შენზე.

— შენ კი უფრო მეტად იმიტომ შემიყვარდი, რომ მას ასე კარგად გაუგე და შეიყვარე. ხომ ხედავ, როგორი ხასიათი აქვს? ნინოს რომ ადამიანი ვერ გაუგებს, იმას საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობა არ შეუძლია.

იმ ღამით ზურა შინ წავიდა, რომ თვითონაც მოწესრიგებულიყო. როცა დილით მოვიდა, ნინო უკვე მანქანაში იჯდა და სადარბაზოდან გასული რომ დამინახა, პირი ყურებამდე გაეხა: ზურას დასცინოდა, რომელიც ჩემს 2 უზარმაზარ ჩანთას ძლივს მოათრევდა. ჩანთები საბარგულში მოათავსა და საჭესთან რომ დაჯდა, ნინომ ორლარიანი გაუწოდა: — კურტნის მუშა ახლა ამდენი ღირსო, — თავის ქნევით უთხრა...

მთელი გზა მხიარულად ვიარეთ. ნინო ძალზე დაინტერესდა და დაწვრილებით გამოჰკითხა ზურას, როდის აპირებდა უკან დაბრუნებას. ისე შეაწუხა შეკითხვებით, რომ მკაცრად უთხრა:

— თავი დამანებე, როცა მინდა, მაშინ წამოვალ უკან. აღარაფერი მკითხო, თორემ, თქვენც უკან წამოგაბრძანებთ და მერე დამრჩებით უბაკურიანოდ!..

ნინომ მოკეტა, მაგრამ მომიბრუნდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— აუუუ, ისეთი სიურპრიზი გველის იქ და ისეთ ამბავს გაიგებ, რომ გაგიჟდები. ნეტავ, ზურა არ დარჩეს...

— რას ჩურჩულებთ, ჭორიკანებო?.. — სარკეში გამოგვხედა ზურამ.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



**როცა ჩემმა ერთ-ერთმა ახლობელმა „სმას“ მოუხშირა და თითქმის ყოველთვის კარგ ხასიათზე მყოფს ვხედავდი, მიკვირდა — ასე რამ შეცვალა? ადრე, ნასვამი, სულ სხვანაირი იყო-მეთქი. მერე მეგობრებისგან შევიტყვე, რომ ის წამალს იკეთებდა... ყველანი ვცდილობდით, მისთვის შთაგვეგონებინა, რომ ეს, ავადმყოფობაა და ამ სენისგან აუცილებლად უნდა განკურნებულიყო. ის თითქოს ყურადღებით გვისმენდა კიდეც და გვეუბნებოდა: ვიმკურნალებ, მაგრამ ჯერჯერობით, საამისო თანხა არ მაქვსო. მის ამბავს ძალიან განვიცდიდი და დღესაც განვიცდი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია, აღარ მინახავს. არ ვიცი, სწორედ ამან განაპირობა თუ არა ის, რომ ამ თემით დავინტერესდი, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ კაიფში მყოფი ადამიანების მიმართ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ისინი პარალელურ სამყაროში ცხოვრობენ, ჩვენი არ ესმით და ცდილობენ, იოლად იცხოვრონ — ყოველდღიური პრობლემების გარეშე. მაგრამ ეს რის ხარჯზე ხდება? ამ კითხვაზე პასუხს ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანები თავად გაგვცემენ.**

# „ცაში ფრენის“ მონები

## ჰეროინზე დამოკიდებული ქალის აღსარება, „გაახალგაზრდავებული“ ნარკომანია და წამლისთვის გაძარცული მეგობრები

*ლიკა ქაჯაია*

**დათო,** *48 წლის:*

— ჰა, როდიდან დაინტერესდით ამ თემით? თქვენ ხომ ყველაფერი, ბოდიში და, ფეხებზე გკიდიათ. რა მნიშვნელობა აქვს ვილაცისთვის, მე რას ვაკეთებ?

**— რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ნარკომანების ამბავი არ გვაინტერესებს?**

— აბა, რა ვიცი... ისე, შენ რომ რალაცები მკითხო, მერე, მე რა?.. არ მითხრა, სუბუტექსს ან ფულს „გაგიჩითავო“...

**— არა, მაგას ვერ შეგპირდებით, მაგრამ ვიცი — სწორედაც სუბუტექსის გამო, ოჯახის წევრები გაწირეთ...**

— ეს ვინ გითხრა?.. შენ არავინ გეკითხება, მე რა გავაკეთე. თუ გინდა, ნარკომანებს დაეხმარო, ჯობია, მათ წამალი მისცე: ჩვენ ხომ ავადმყოფი ადამიანები ვართ — როგორც ამას თქვენ, საზოგადოების „უმანკო“ წევრები ამბობთ?!. ისე, ავადმყოფები ისინი არიან, ვინც ამას ფიქრობენ.

**— აბა, თქვენ, ნარკომანები ვინ ხართ?**

— ვინ და ადამიანები, რომლებმაც კაიფის ფასი იციან... ოჯახი გაწირეო, რომ მითხარი, რა იგულისხმე?

**— როგორც ვიცი, ბინა, რომელშიც ცხოვრობდით, გაყიდეთ, ოჯახი ჭერის გარეშე დატოვეთ.**

— ჩემი ოჯახის წევრებს არაფერს ვაკლებ და მათ ქუჩაში ნამდვილად არ სძინავთ.

**— არ მუშაობთ, ფულს საიდან შოულობთ?**

— საიდან და ღმერთი მაძლევს — ქუჩაში რომ გავდივარ, ყოველდღე ასდოლარიანს ვპოულობ.

**— დავიჯერე...**

— თუ არ გჯერა, იქ იყავი. მე ხომ შენს ცხოვრებაში არ ვერევი, შენ რას მერჩი?

**— არაფერს. უბრალოდ მაინტერესებს, ნარკოტიკისთვის თავის დანებებას ხომ არ აპირებთ?**

— არა, ნამდვილად არ ვაპირებ.

**— არც გიცდიათ?**

— რას გადამეკიდე? არც მიცდია და არც არასდროს შევეცდები!

**— კარგი, მაგრამ ხომ იცით, რომ ერთხელაც შეიძლება, საკუთარი თავი დაღუპოთ.**

— ერთხელ ყველანი ვიღუპებით, უკვდავი არავინაა.

**— თქვენს ცოლ-შვილსაც ხომ უპატრონოდ დატოვებთ, ნაქირავებ ბინაში, და როგორ წარმოგიდგენიათ, მათ უთქვენოდ როგორ უნდა იცხოვრონ?**

— უკვე „გამასაღე“, არა?!.

**— არა, გეკითხებით: რომ დაგიჭირონ, რას იზამთ-მეთქი?**

— 500 დოლარს გადავიხდი.

**— საიდან?**

— იქიდან — ციდან, მიწიდან, ზღვიდან... სარჩოს გარეშე ჩემი ოჯახი არასდროს დარჩება და ამაზე ნურავინ იდარდებს. მგონი, ჩემები ჩემზე მეტად, სხვას ვერ შეუყვარდება. სხვის გაკიცხვას სჯობია, საკუთარი ცოდვები მოინანიოთ, სარკეში ჩაიხედოთ და თქვენი ნამდვილი, მგლური სახე დაინახოთ.

**— რატომ? ადამიანები, რომლებიც არ ვკაიფობთ, მგლებს ვგავართ?**

— ჰო, ოღონდ — თქვენ გგონიათ, რომ ცხვრები ხართ, რომლებსაც ჩვენ ვატყავებთ *(იცინის)*...

**— და თქვენ ვინ ხართ, ცხოველის რომელ სახეობას მიეკუთვნებით?**

— ინტერვიუ გინდოდა, კითხვები დამისვი, ახლა კი გეყოფა — მორჩა, აღარაფერზე გიპასუხებ. ისე, ამის დაბეჭდვას თუ აპირებ, მაგრად ცდები, ამით ვერავის გააკვირვებ და სისულელესაც იზამ. გირჩევ, უკეთესი ამბები გამოჩხრიკო, ცნობილი ადამიანების გარდერობზე წერო.

**— გმადლობთ რჩევისთვის, წარმატებებს გისურვებთ!**

— მე კი გისურვებ, ნარკომანების მსხვერპლი არასდროს გამხდარიყავი. მე გადამირჩი, ვინ იცის, სხვები რას მოიმოქმედებენ...

**სალომე,** *28 წლის:*

— ვიცი, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეს ვუქმნი, სიცოცხლე კი, მართლაც ძალიან მწყურია. მაგრამ რას იზამ? კაიფი — კაიფია და ცხოვრებისგან მაქსიმალური კაიფის მიღება მინდა, რაც ზოგჯერ არ გამომდის... როცა ჩემს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, ვფიქრობ: იქნებ, თავი დავაღწიო ამ წუმპეს-მეთქი? — მაგრამ...

**— არ მითხრა, ეს შეუძლებელიაო...**

— ხომ გაგიგონია — ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო. ასეა ჩემი საქმეც...

**— რატომ დაიწყე კაიფი?**

— ცოტა არ იყოს, მძიმე ცხოვრება მქონდა: ობლობაში გავიზარდე, ნათესავები მივლიდნენ, რაღაცნაირად ცხოვრებაზე გავბოროტდი, რადგან მან მშობლები წამართვა... სხვების ოჯახურ იდილიას რომ ვუყურებდი, ნერვები მეშლებოდა, მათზე ვეჭვიანობდი. თან, ცხოვრებაში არავის ვყვარებივარ. ყველა ბიჭი, რომელიც მომწონდა, რატომღაც, თავს მარიდებდა, არადა, შენც ხედავ, მახინჯი არ ვარ... სკოლა რომ დავამთავრე, ნათესავების წყალობით, სამედიცინო ინსტიტუტში, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე. იქ ერთ-ერთმა ლექტორმა დამადგა თვალი და სურვილიც აისრულა.

**— წინააღმდეგობა არ გაგიწევია?**

— რას ამბობ?! შენ მგონი, რაღაც არასწორად გაიგე... უბრალოდ, ერთხელ სახლში წაყვანა შემომთავაზა, მას კი „გაბრიალებული“ „მერსედესი“ ჰყავდა და ვიფიქრე: ჩემს მეზობლებს მაინც მოვაწონებ თავს-მეთქი. მეგონა, პირდაპირ სახლში მიმიყვანდა, მაგრამ მან მცხეთისკენ

აიღო გეზი და რესტორანში დამპატიჟა. ასეთ დაწესებულებაში პირველად შევდიოდი და ცდუნებას ვერ გავუძელი. ვსაუბრობდით ცხოვრებაზე, ჩვენს პროფესიასთან დაკავშირებულ რაღაცებზე და შავ ღვინოს ვწრუპავდით (მაშინ დავლიე პირველად). ისე დავთვერი, რომ ვერც გავიგე. „ღრმად პატივცემულმა“ ლექტორმა შემომთავაზა: მოდი, ამ საღამოს თბილისში არ დავბრუნდეთ, ღამე აქვე, ღია ცის ქვეშ გავათენოთო. ჯერ უარი ვუთხარი, მაგრამ მითხრა: კარგი, მე აქ ვრჩები და შენ თუ გინდა, წადიო... მანქანით ჯერ ჯვრის მონასტერში ამიყვანა, მერე სვეტიცხოველიც ვნახეთ, ბოლოს სადღაც გააჩერა და მითხრა — ქეიფი აქ გავაგრძელოთო, — და „ბარდაჩოკიდან“ არაყი ამოაძვრინა... მერე, აღარაფერი მახსოვს, გარდა იმისა, რომ მეფერებოდა, მკოცნიდა და მეც ვნებას ავყევი...

**— ცოლიანი იყო?**

— აბა, რა! ის კი არა, 3 შვილის მამა ბრძანდებოდა... დილით თბილისში წამოვედით. მთელი გზა მივტიროდი ჩემს დაკარგულ ქალწულობას, ის კი მაწყნარებდა: ნურაფრის გეშინია, ჩემ გვერდით იქნები მანამ, სანამ არ მოგბეზრდება, ყველაფერში დაგეხმარებიო. მერე, ბინამდე მიმიყვანა... შინ მისული, სანამ ყველაფერს გავაცნობიერებდი, ნათესავები დამადგნენ თავზე და ყველაფერს მიხვდნენ, ოღონდ, ის არ იცოდნენ, თუ ვისთან ერთად ვიყავი. მას შემდეგ, ყველა ახლობელი ადამიანი დავკარგე და ჩემი ლექტორის იმედად დავრჩი... თავს მევლებოდა, რასაც ვეტყოდი, აუცილებლად მისრულებდა. რამდენჯერმე საზღვარგარეთაც წამიყვანა. ის იყო ჩემი მამა-მარჩენალი. მერე, სამსახურიც დამაწყებინა და სწორედ იქ გავიცანი გიო.

**— გიო ვინ არის?**

— ის, ვინც ძალიან შემიყვარდა და ვინც წამალზე „შემსვა“... მოკლედ, ჩემმა ლექტორმა ერთ-ერთ საავადმყოფოში დამაწყებინა მუშაობა. ცოტა ხანში, იქ გიო მოიყვანეს, ის ჩემი პაციენტი გახლდა. თავს ისე ასაღებდა, თითქოს ცოტა „ვერ იყო“, სულ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა: პლანი მინდა, კაიფი მაგარია... რა თქმა უნდა, მივუხვდი ჩანაფიქრს. შემდეგ გავიგე — ის ნარკოტიკის მოხმარებისა და ყაჩაღობისთვის დაიჭირეს. პოლიციელებმა აიყვანეს თუ არა, თავი მოიავადმყოფა. მერე, მისმა ახლობლებმა ფული გადაიხადეს და საავადმყოფოში მოიყვანეს. რატომღაც, დანახვისთანავე მომეწონა. ყველაფერში ხელს ვუწყობდი. ვხვდებოდი, ისიც ჭკუას კარგავდა ჩემზე... მისი ძმაკაცები ჩემი დახმარებით, ნარკოტიკს უგზავნიდნენ და ერთ დღესაც, თავის პალატაში სიყვარული ამიხსნა. მალე ძმაკაცებმა გარეთ გაიყვანეს და ჩვენც ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთხელ, შინ მომაკითხა. ჩემ შესახებ ყველაფერი მოვუყევი, ის კი ჩამეხუტა და მითხრა: შენს ლექტორს მე მივხედავ, დღეიდან მარტო ჩემი იქნები, თუ, რა თქმა უნდა, ეს შენც გინდაო. თავი დავუქნიე: მინდა, მაგრამ იმ კაცს ნურაფერს დაუშავებ, კარგი ადამიანია-მეთქი. ის ღამე ერთად გავატარეთ. მეორე დღეს, ჩემს ლექტორს ყველაფერი ვუამბე. გამომლანძღა და ვიჩხუბეთ, მაგრამ ეს არ მადარდებდა... ერთხელ გიო კაიფში, კარგ ხასიათზე მოვიდა ჩემთან. ბევრი მაცინა. ვუთხარი: მოდი, წამალი გამასინჯე, რომ პრობლემები მეც დავივიწყო-მეთქი. მითხრა: არ გინდა, მერე ველარ შეეშვებიო. შევუჩნდი — მხოლოდ ერთხელ გამასინჯე-მეთქი, — და ძლივს დავითანხმე. გავიჩხირე და მართლაც, ყველაფერი ვარდისფრად მომეჩვენა. მას შემდეგ, წამალზე მყარად „შევჯექი“.

**— ერთად იკეთებდით?**

— ჰო. მოდიოდა, ჩემთვის წამალი მოჰქონდა და ერთად ვკაიფობდით. ასე ცხოვრება უფრო იოლი გეჩვენება, მაგრამ მერე იჩენს თავს ისეთი რამ, რაც არა მარტო საკუთარ თავს, არამედ საყვარელ ადამიანსაც შეგაძულებს.

**— რას გულისხმობ?**

— რამდენჯერაც დავფეხმძიმდი, იმდენჯერ, ხან მუცელი მომეშალა, ხან — ნაყოფი აღმოჩნდა ნაკლოვანი და ა.შ.

**— შენ და გიო დაქორწინდით?**

— არა, მას მეუღლე ჰყავდა, მის უჩუმრად ვხვდებოდით ერთმანეთს.



მითხრა: ყველაფერი შენთვის მინდოდა, მსურდა, შვილი გვყოლოდა და ბედნიერი ყოფილიყავი

**— მოკლედ, მაგარი არეული ცხოვრება გქონია.**

— ჰოდა, მაგიტომაც „შევჯექი“ ჰეროინზე...

**— გიო გიყვარდა?**

— ხომ გითხარი, მომწონდა-მეთქი, მაგრამ არჩევანის წინაშე რომ დავმდგარიყავი — ან გიო, ან კაიფი, — მეორეს ვამჯობინებდი... დაახლოებით 2 წელი ვიყავით მე და გიო ერთად. მას ძალიან ვუყვარდი, უჩემოდ აღარ კაიფობდა. თუ სამყოფი დოზა არ ჰქონდა, მე მაძლევდა და თვითონ, „ლომკისგან“ აკანკალებული დარბოდა. ყველაფერს გააკეთებდა, ოღონდ ჩემი ცრემლიანი თვალები არ ენახა და ამით მეც ვსარგებლობდი, შეიძლება ითქვას — „გავნაგლდი“. ერთხელ მითხრა — ისე მიყვარხარ, რომ შენგან ბავშვი მინდა, ამიტომ კაიფს უნდა შევეშვათო. თავიდან მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მთელი სერიოზულობით ლაპარაკობდა და იმისთვის, რომ ჩემთვის დაემტკიცებინა — ამას ორივე შევძლებთო, 2 თვე ერთ-ერთ მონასტერში იცხოვრა... როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო, დავცინე, მაგრამ რომ არა და არ გამოჩნდა, განვიცადე. თან, „ლომკა“ „ავიკიდე“. ძალიან ცუდად გავხდი, არ ვიცოდი, წამლის საყიდელი ფული სად მეშოვა და მის ერთ-ერთ ძმაკაცს დავურეკე: მიშველე-მეთქი. 3 დოზა მომიტანა და მითხრა: გამოიზოგეო. იმწუთასვე გავიჩხირე. სანამ მეყო, ხომ კარგი, მაგრამ მერე... როცა მივხვდი, გიო მართლა 2 თვე არ გამოჩნდებოდა და შესაძლებელი იყო, „ლომკაში“ ამომხდომოდა სული, ჩემს ლექტორს დავუკავშირდი და პატიება ვთხოვე. რატომღაც მაპატია და მასთან ერთად დავიწყე ცხოვრება, ისე, რომ გიო არც მახსენდებოდა...

**— მერე, მონასტრიდან რომ დაბრუნდა, არ მოგაკითხა?**

— როგორ არა?! ერთ დღეს მოვიდა და კარი ისე გავუღე, რომ არც მახსოვდა (კაიფში ვიყავი), სახლში სხვა კაცი თუ მყავდა... გიო ლამის გადაირია, როცა ბინაში ჩემი ლექტორი დაინახა — მივარდა და კარგად „გაალამაზა“. მერე, ჩემზეც აღმართა ხელი და მითხრა: ყველაფერი შენთვის მინდოდა, მსურდა, შვილი გვყოლოდა და ბედნიერი ყოფილიყავი, ამისთვის განკურნებაც გადავწყვიტე, შენ კი ის ქალი აღმოჩნდი, რომელიც ყველა მეძავზე უარესიაო! — და ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ წავიდა.

**— მას შემდეგ აღარ დაკონტაქტებიხარ?**

— კი *(ფიქრობს)*. ამ ამბიდან ცოტა ხანში, ბინა დამეწვა, რომელიც თავის დროზე, გიომ გაარემონტა, ავეჯიც მიყიდა... მოკლედ, მისგან აღარაფერი შემრჩა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ღმერთმა დამსაჯა და გიოს დავუწყე ძებნა. მისი ძმაკაცები ხმას არ მცემდნენ, მეუბნებოდნენ — აქედან წაეთრიე, შენი ბრალია, რომ დაინვალიდდაო: თურმე, ავარიაში მოყოლია და ფეხები დაუკარგავს... ვცადე, მის სახლში მივსულიყავი და დავლაპარაკებოდი, მაგრამ იქიდან მისმა ცოლმა „მომისროლა“. მერე, გიომ თვითონ დამირეკა და მითხრა: ეტყობა, ძალიან ცუდად ხარ, მე რომ მომადექი; მართალია, ისევ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ სიარული რომც შემეძლოს, შენთან მოსვლის ნაცვლად, 9 მთის იქით გადავიკარგებოდი, ასე რომ, ჩემს ძებნას შეეშვი და თუ ოდნავ მაინც მცემ პატივს, კაიფს შეეშვი, თორემ, მე ჩემი ცოდვაც მეყოფა, შენი „გაფუჭებაც“ ჩემს კისერზე რატომ უნდა იყოსო?!. მაშინ შევპირდი: აუცილებლად შევეშვები-მეთქი.

**— მაგრამ ნებისყოფა არ გეყო, არა?**

— ალბათ, რადგან მისი ნათქვამი ერთ ყურში შევუშვი, განვიცადე, მაგრამ მალე, მეორიდან გამოვუშვი.

**— ახლა სად ცხოვრობ?**

— ჩემი ლექტორის საყვარელი ვარ. მან მიშოვა ბინა, სადაც ქირით ვცხოვრობ. იცის, წამალს რომ ვიკეთებ, მაგრამ ამას არ მიკრძალავს. ჩემგან მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ როცა მას ველოდები, ფორმაში ვიყო, სითბო ვუჩვენო, თორემ სხვა არაფერი აინტერესებს. ძალიან მანებივრებს, თავი დედოფალი მგონია... თუმცა, ასე, მარტოსულად ცხოვრება ძალიან ძნელია. ზოგჯერ მინდა, ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდე, პრობლემები ისევე გადავიტანო, როგორც ნორმალურმა ადამიანმა, მაგრამ ნარკოტიკზე ვარ დამოკიდებული და მას თავს ვერ ვანებებ... ძალიან მინდა, მყავდეს შვილი, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან მე უვარგისი, „ბერწი“ ქალი ვარ და ცუდი დედა ვიქნები... მოკლედ, ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, რომელსაც სურვილის მიუხედავად, ვერაფრით გამოვასწორებ. მგონია, რომ ყველა ნარკომანი ასეა. კაიფი, ფერადი ობობის ქსელია, რომლისგანაც თავს ვერავინ დააღწევს. ეს კი სიკვდილის, უბედურების ტოლფასია. ვიცი, ჯოჯოხეთში მოვხვდები, მაგრამ რას ვიზამ? უძლური არსება ვარ.

**შოთა,** *32 წლის:*

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რაზე უნდა გელაპარაკო. ვცხოვრობ ისეთი ცხოვრებით, როგორითაც სხვები, მაგრამ ყოველდღიური პრობლემებისგან გასაქცევად, რაღაც სხვა მეთოდებს მივმართავ.

**— გულისხმობ მეთოდს, რომელსაც კაიფი ეწოდება...**

— ჰო, კაიფს თავისი მუღამი აქვს. როცა საკაიფოდ ხარ, ეს სხვებსაც მოსწონთ, თუმცა, ამის აღიარება უჭირთ. ბევრს უნდა, თვითონაც ამ მეთოდით გაუმკლავდეს პრობლემებს, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმის ეშინია. მერე, ზოგზოგები ნელი ნაბიჯით ეპარებიან წამალს და ვითომ მის გარეშე აღარ შეუძლიათ. როგორც წესი, პირველი კაიფის შემდეგ, ასეთი რაღაცების თქმა — სისულელეა...

**— შენ როგორ შეეჩვიე წამლის გაჩხერას?**

— ისევე, როგორც ბევრი სხვა ადამიანი — მოვხვდი წრეში, სადაც ბიჭებმა იცოდნენ, როგორ შეემსუბუქებინათ საკუთარი ცხოვრება. მათ არ უყვარდათ წუწუნი რაღაც ამქვეყნიურ ამაოებაზე და ეს ძალიან მომეწონა... ჩემთვის არავის უთქვამს — მოდი, შენც გაიჩხირეო და არც იმდენი ფული მქონდა, რომ ამის გამო ჩავეთრიე ვინმეს ამ საქმეში. უბრალოდ, მათ თვითონ ვთხოვე, მეც გამიკეთეთ-მეთქი და „გერო“ ძმურად გამიყვეს.

**— მერე, რა იგრძენი?**

— თავიდან, ცუდად ვიყავი. თითქოს, ჩემმა ორგანიზმმა წამალი არც მიიღო. მაგრამ ვიცოდი, რომ ამისგან სიამოვნებას პირველსავე დღეს ვერ ველირსებოდი და ცოტა ხნის მერე, ისევ გავიკეთე. მეორედ, უკვე მესიამოვნა, თითქოს, თვალებზე ცისარტყელა „მომეხვია“, სიომ სადღაც ზევით ამიტაცა და ღრუბლებში ჩავიძირე... როცა კაიფიდან გამოვედი, მეგობრებს წამლის ერთი დოზა კიდევ ვთხოვე, მათ სიძუნწე არ გამოუჩენიათ და გვერდით დამიდგნენ.

**— მათში არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც წამლის გაჩხერას დაგიშლიდა?**

— რატომ უნდა დაეშალათ ის, რასაც თავად აკეთებდნენ?.. თუმცა, ერთმა კი მითხრა: ბიჭო, არ გინდა, მერე ინანებ, ამას ველარ შეეშვები, მარიონეტივით გატრიალებსო. მე და იმ ტიპმა ვიკამათეთ კიდეც, მაგრამ როცა მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა, თავად გამიჩხირა.

**— წამალს რომ იკეთებ, ეს არასდროს გინანია?**

— მარტო ერთხელ, როცა გოგო შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ როცა გაიგო, რომ ვკაიფობდი, დამშორდა. მართალია, გული მეტკინა და ერთი პერიოდი ისიც კი ვიფიქრე — იქნებ, ამ საქმეს შევეშვა-მეთქი, — მაგრამ ღრუბლებში ფრენა უფრო საკაიფოდ მომეჩვენა და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე.

**— ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობ?**

— როგორ არა?! გავიცნობ ერთ ნარკომან გოგოს და ვიცხოვრებთ ბედნიერად *(იცინის)*...

**— მერე, არ გეშინია, რომ შეიძლება შვილი გაგიჩნდეთ, რომელიც ჯანმრთელი არ იქნება?**

— ყველაფერი უფლის ნებაა...

**— ბედისწერის გჯერა?**

— რომ არა ბედი, იმ ბიჭების „სასტავში“ არ მოვხვდებოდი. უფალს უნდოდა, რომ ასეთი ცხოვრებით მეცხოვრა...

**— უფლის სამსჯავროზე წარდგომის არ გეშინია?**

— არა, რადგან ამ საქმიანობით სხვას არაფერს ვვნებ, არავისთვის მითქვამს — მომბაძე-მეთქი, არ მომიპარავს, არავინ მომიკლავს, ქათამიც კი არ დამიკლავს და რატომ უნდა მეშინოდეს?!. ყველას თავისი ცხოვრება აქვს, ყველამ თავისი ჯვარი უნდა ატაროს...

**— მშობლებმა შენი ნარკომანობის შესახებ არაფერი იციან?**

— ალბათ, ხვდებიან, მაგრამ... მოდი, სხვა რამე მკითხე.

**— კარგი. წამალს სად შოულობ?**

— *(იცინის)* ციდან ცვივა წამალი, ცა ცისფერი ფერია... რა გინდა, „ნასედკობა“ დავიწყო?..

**— არა, მთელი ცხოვრება ძმაკაცების კმაყოფაზე ხომ არ იქნებოდი, წამლის საყიდელი ფული საიდან გაქვს?**

— ვმუშაობ, კარგო, ვშრომობ.

**— სად მუშაობ?**

— *(იცინის)* ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს. მაგრად, ძალიან მაგრად ვიღლები... სიმართლე თუ გინდა, ძმაკაცებს ახლა იქით ვეხმარები, წამალს ძმურად ვიყოფთ.

**— არასდროს გიფიქრია იმაზე, რომ ნარკოტიკს შეშვებოდი?**

— არა, ეს არ მიფიქრია და რომც მეფიქრა, მჯერა — იქიდან, რასაც სხვები წუმპეს ეძახიან, თავს ველარ დავაღწევ, ეს ზღაპარია. წარმატებას ვუსურვებ ყველა ნარკომანს და ვისაც სურვილი აქვს, მალე გამოჯანმრთელებულიყოს — ჩვენ ხომ ავადმყოფებს გვეძახიან...

**თემო,** *26 წლის:*

**— როგორც ვიცი, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ძლიერი იყავი, დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ შენ სხვა ცხოვრება აირჩიე. რატომ?**

— იმიტომ, რომ საკუთარ ბედს ადამიანი თავად ვერ განაგებს. სიგარეტის მოწევა ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე, როდესაც დიდ სპორტულ კარიერაზე ვოცნებობდი. იმისთვის ვეწეოდი, რომ გოგონებისთვის თავი მომეწონებინა, მაგარი ბიჭი ვყოფილიყავი. „კოსმოსს“ ვეწეოდი. მერე, „სასტავმა“ პლანის მოწევა დავიწყეთ. ძველბიჭობას „ვაწვებოდით“. მაგრამ მაშინ, კიდევ იყო ჩემში რაღაც სპორტული. შემდეგ ეს არ გვეყო და როცა არყით კარგად გამოვთვერით და პლანიც დავაყოლეთ, ტვინარეულებმა გადავწყვიტეთ, რომ ის აბები მიგველო, რომლებიც უფრო მეტ კაიფს მოგვცემდა. სასწრაფოდ შევაგროვეთ ფული და ტრამალი ვიყიდეთ. მაგრად გაასწორა და ჩვენც პლანს მოვეშვით, აბებზე „შევჯექით“.

**— არსად მუშაობდი და ტრამალის ფულს სად შოულობდი?**

— ამისთვის, პატარ-პატარა ხულიგნობის ჩადენა გვიწევდა ხოლმე ბიჭებს, მაგრამ უკან ვინ დაგვახევინებდა?! ძველბიჭობაც მოგვეწონა, კაიფიც და ცხოვრების ეს გზა ავირჩიეთ.

**— ქურდობა არასდროს გნდომებია?**

— არა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ კარგი ბიჭი ვყოფილიყავი და ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო...

**— რომელსაც წარმატებული სპორტული კარიერით ვერ მიაღწევდი?**

— ალბათ, ამითაც შეიძლებოდა სიამოვნების მიღება, მაგრამ აბებმა საერთოდ „ჩამძირა“, სპორტი აღარ მაინტერესებდა, მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობდი. მთავარი იყო, ფული მეშოვა და მეკაიფა.

**— ვენა როდის „გაიფუჭე“?**

— რაღაც საქმეზე წავედით, „ნაკოლი“, რა თქმა უნდა, სხვამ მოგვცა და საქმიდან მობრუნებულებს, „ნაკოლშიკმა“ წამალი დაგვახვედრა. ბიჭებმა რომ გაიკეთეს, ვთქვი: ამ ერთხელ მეც გავიკეთებ-მეთქი. მაშინ იმაზე არ ვფიქრობდი, რომ ასეთი კაიფი ჩვევაში გადამეზრდებოდა, მხოლოდ ინტერესი მამოძრავებდა. მაგრამ ამის შემდეგ, ტრამალი ვიღას უნდოდა?! ახლა მეტი ფულის შოვნა მიწევდა, რომ სუბუტექსი ან ჰეროინი მეყიდა.

**— ჰოდა, შენც დაიწყე ყაჩაღობა, არა?**

— არა, მაგის თავი სად მქონდა?! თავიდან, წვრილ-წვრილ საქმეზე დავდიოდი. მერე გადავწყვიტე, ფული უფრო იოლი გზით მეშოვა და სახლში დავიწყე რაღაცების მოპარვა. ვიცოდი, ამას როცა გაიგებდნენ, ჩემებს გულს ვატკენდი, მაგრამ წამალი იმდენად მინდოდა, რომ ყველაფერს გაცნობიერებულად ვაკეთებდი. როცა სახლში მოსაპარი გამოილია,



MK

მერე ნათესავებს მივადექი, სათითაოდ ყველა გავძარცვე.

— **მათ ფულს ჰპარავდი თუ ძვირად ღირებულ ნივთებს?**

— ერთსაც და მეორესაც. რომელი დამადგებოდა ყელზე?.. მერე, ფულიანი მამიკოების გოგოების შებმა დავიწყე და მათ „ვატყავებდი“. ერთმა ლამის თავიც კი შემაყვარა, მაგრამ ნარკოტიკი ყველასა და ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა... მერე ჰეპატიტი ავიკიდე და ჩემი ბავშვობის ძმაკაცმა ეკლესიაში წამიყვანა: ცოდვები მოინანიე, დღეიდან რამდენიმე თვით აქ უნდა დარჩე, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეო. თავიდან, „გამოსწორება“ ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ იქიდან გამოსული, ისევ იმ საზოგადოებაში მოვხვდი, ისევ ჭაობში ჩავიძირე და... ძმაკაცების ოჯახებშიც კი დავიწყე რაღაცების მოპარვა. ყველა ხვდებოდა, რომ მათ მე ვძარცვავდი, მაგრამ თავიდან, არავინ არაფერს მეუბნებოდა, რატომღაც ამის დაჯერება არ უნდოდათ.

— **ახლა სჯერათ?**

— კი. ახლა უკვე ვხვდები, რომ ოჯახში, სადაც არ უნდა მივიდე, ყველა ამრეზით მიყურებს, ჩემი დანახვა აღარავის სიამოვნებს. ის კი არ იციან, რომ ჰეპატიტის გარდა, კიდევ სხვა დაავადებაც მაქვს, რომელიც მალე მომიღებს ბოლოს. ჩემთვის ნარკოტიკის მიღება აღარ შეიძლება, მაგრამ მირჩევნია, ასე მოვკვდე. უკვე მიჭირს ფულის შოვნა, აღარავინ მენდობა და ამისთვის, აფერისტული საქმეების ჩადენა მიწევს. ოჯახის წევრებსა და ნათესავ-მეგობრებს ვატყუებ, თავს ვაცოდებ, ვეუბნები, ვითომ დამიჭირეს, მერე მათ ჩემი მეგობარი პოლიციელები მიაკითხავენ, რომელთაც ჩემს გასათავისუფლებლად ფულს აძლევენ: გაუშვით, ცოდვაა ის უპატრონოო.

— **როგორ ფიქრობ, მართლა საცოდავი ხარ?**

— ჩემზე საცოდავი და გაუბედურებული ადამიანი არ არსებობს. ეს შენც კარგად იცი, მაგრამ კითხვას მისვამ იმიტომ, რომ გგონია, ამის აღიარება გამიჭირდება. არა, მე ვიცი და ყველგან ვამბობ, რომ ეს მართლაც, ისეთი განუკურნებელი დაავადებაა, რომელიც არა მარტო შენ და შენი ოჯახის წევრებს ანადგურებს, არამედ შენ გარეშემო მყოფ ნებისმიერ ადამიანსაც „გუდავს“. ამიტომაც არ მომყავს ცოლად გოგო, რომელიც ძალიან, სიცოცხლეზე (ოღონდ — არა წამალზე...) მეტად მიყვარს. ისიც ვიცი — რომ შევირთო, დიდი შანსია, ინვალიდი შვილი შეგვეძინოს და ამით პატარასაც და საყვარელ ადამიანსაც გავანადგურებ... თავის დროზე, სანამ სასიკვდილო არაფერი მჭირდა, წამლისთვის თავის დანებებას მართლაც შევძლებდი, მაგრამ ახლა უკვე ჩემთვის მნიშვნელობა აღარაფერს აქვს: სულ 3 წელი დამრჩა... ძალიან მინდა, ცხოვრება თავიდან დავიწყო. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, სპორტული კარიერის გზას ავირჩევდი და დღეს ბედნიერად ვიცხოვრებდი ჩემს უდიდეს სიყვარულთან ერთად, რომლისთვისაც მე არარაობა ვარ, რადგან ისიც გავძარცვე — იმ მიზნით, რომ შევძულებოდი — და მიზანს მივაღწიე.

— **რას ურჩევდი დამწყებ ნარკომანებს?**

— შეაფურთხონ ეშმაკს და იცხოვრონ ადამიანურად. ჯობია, იგრძნოთ ფიზიკური ტკივილი, ვიდრე სულის სიდამპლემ და ახლობლების ზიზღნარევმა მზერამ შეგაწუხოთ. იცით, რა ძნელია, როცა ახლობელი, სახლის კარს ცხვირწინ მიგიხურავს და შინ არ შეგიშვებს იმიტომ, რომ ხვდება — ძალაუნებურად რაღაცას დაუშავებ?! ზოგჯერ ამის გაკეთება თავადაც არ გინდა, მაგრამ ნარკოტიკი ყველასა და ყველაფერზე ძლიერია...



ჰეპატიტის გარდა, კიდევ სხვა დაავადებაც მაქვს, რომელიც მალე მომიღებს ბოლოს. ჩემთვის ნარკოტიკის მიღება აღარ შეიძლება

*ბოლოს, ერთგვარ რეზიუმედ, ექიმ-სპეციალისტის მოსაზრებას გავეცნოთ.*

**ზურა სიხარულიძე,** *ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი:*

— საქართველოში დაახლოებით 25-30 ათასი ნარკომანია, მაგრამ ჩვენს ცენტრში მხოლოდ 250 დაავადებულის მკურნალობაა შესაძლებელი. საერთოდ, ნარკომანის მთლიანად განკურნება წარმოუდგენელია, რადგან შეიძლება, მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში წამლის გაჩხერას თავი დაანებოს ან თუნდაც, ამ საქმეს საბოლოოდ შეეშვას, მაგრამ ის მაინც დაავადებულად მიიჩნევა, რადგან ყოველ წუთს არსებობს საშიშროება იმისა, რომ წამალზე ისევ „შეჯდება“. საერთოდ, ასეთ ადამიანებს ძალით ვერ უმკურნალებ, მას თვითონ უნდა გაუჩნდეს ამის სურვილი. მათ განკურნებას 3 მეთოდით ვცდილობთ: ამბულატორიულით, სტაციონარულით და მეტადონით ჩანაცვლების თერაპიით. ამბულატორიული და სტაციონარული მეთოდი იმ ნარკომანთა მკურნალობას ითვალისწინებს, რომელთაც სურვილი აქვთ, ამ დაავადებისგან საბოლოოდ გათავისუფლდნენ. მათი მკურნალობა თვე, თვე-ნახევრის განმავლობაში გრძელდება, არა მარტო მედიკამენტებით, არამედ ფსიქოთერაპიული მეთოდითაც... მეტადონით ჩანაცვლების თერაპია უტარდებათ იმ ნარკომანებს, რომლებმაც უკვე რამდენჯერმე სცადეს მკურნალობა, მაგრამ ამისთვის ნებისყოფა არ ეყოთ. ის გულისხმობს ნარკომანიით გამოწვეული ზიანის შემცირებას, შიდსისა და C ჰეპატიტის რისკის თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ნარკომანი ქალების რიცხვმა საგრძნობლად იმატა და ისინი შედარებით ნაკლებად ცდილობენ განკურნებას, რადგან ამის ხმამაღლა აღიარება რცხვენიათ, ექიმთან საუბარი ერიდებათ... სამწუხაროდ, ნარკომანია „გაახალგაზრდავდა“ — 13 წლის ასაკიდან, ბავშვები უკვე ნარკოტიკულ საშუალებებს ეჩვევიან. ახალგაზრდები კლუბებში პლანის ან ექსტაზის გარეშე არ შედიან. ეს კი პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ ნარკომანი გახდე. დღესდღეობით შეინიშნება ის ტენდენციაც, რომ გოგონებს რატომღაც, ნარკომანი ბიჭები მოსწონთ. ვერ ვხვდები, მათში რა იზიდავთ, რადგან ამ სენით დაავადებული ადამიანები დროთა განმავლობაში, საშინელ ხასიათს ამჟღავნებენ, აგრესიულები ხდებიან (მით უმეტეს, მაშინ, როცა „ლომკაში“ ვარდებიან), სექსიც აღარ აინტერესებთ... ალბათ იმიტომ მოსწონთ, რომ ნარკომანების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. საზოგადოება მეტად უნდა იყოს ინფორმირებული ამ სფეროში. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ნარკოტიკი სპობს და ანადგურებს ადამიანს — როგორც გარეგნულად, ისე სულიერად. ფაქტზე დაჭერის შემთხვევაში, პოლიცია ნარკომანებს 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას აკისრებს, ასეთი მიდგომა კი — არასწორია: ისინი მართლა ავადმყოფები არიან და მათ დაჯარიმება კი არა, ყურადღება და სითბო სჭირდებათ. სახელმწიფომ და საზოგადოებამ მათ განკურნებაზე უნდა იზრუნოს. რითი უნდა გადაიხადოს დაავადებულმა ადამიანმა ჯარიმა, როცა წამალს ქურდობით შოულობს?! ამისთვის მან ვიღაცა უნდა დააყაჩაღოს — ე.ი. ჩვენ მათ დანაშაულის ჩადენისკენ ვუბიძგებთ. სასურველია, რომ ჯარიმისა და 30-დღიანი სასჯელის ნაცვლად, გაიხსნას სამკურნალო დაწესებულება, სადაც ნარკომანებს იძულებითი მკურნალობა მიესჯებათ.

*ჩემი მეგობარი, რომელიც, სამწუხაროდ, ნარკომანია, მწარე იუმორით იტყვის ხოლმე: „ბავშვობაში დედა მაფრთხილებდა — შვილო, ბნელ სადარბაზოში არ შეხვიდე, ვინმემ ნემსი არ გაგირჭოსო... ეჰ, რამდენი წელია, ასეთ სადარბაზოს ვეძებ და ვერ ვპოულობ. ყველაფერს ბედი უნდა, რა!..“*

■

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ერთა ღვალის
უზის წინასწარ:

1. ჯირგა ავღანელი ტომების უხუცესთა საბჭოა.

2. ჰიტლერმა „მაინ კამპფი“ 35 წლის ასაკში დაწერა.

3. შური თანაგრძნობის ყველაზე გულწრფელი ფორმაა.

4. ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება (ფულის გარდა).

5. პიერ რიშარს ჩე გევარას სულის მქონე კლოუნს ეძახიან.

6. ტყვიაგაუმტარი ჟილეტი და ლაზერული პრინტერი ქალმა გამოიგონა.



7. ანდრე ბერის მტკიცებით, ყველა ქალი როდი იგვიანებს პაემანზე — ზოგი საერთოდ არ მიდის.

8. კრუპიეს დახმარების გარეშე კაზინოში თაღლითობით ფულის მოგება თითქმის შეუძლებელია.

9. მიულერი ყველაზე გავრცელებული გვარია გერმანიაში, შმიდტს მეორე ადგილი უკავია, ვაგნერს — მეცხრე.

10. საქართველოს კანონმდებლობით, დონორს 18 წლამდე და 60 წელს ზევით სისხლის ჩაბარება ეკრძალება.

11. „მე არაფერი მაქვს პოლიციის საწინააღმდეგო, მე უბრალოდ მეშინია მისი“, — ამბობდა ალფრედ ჰიჩკოკი.

12. „იზ სტრანი უტეკაიუტ ნე ტოლკო მოზგი, ნო ი მიეცი... იესლი უნიხ ესტ მოზგი“, — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.

13. XX საუკუნის 40-იანი წლების ყველაზე პოპულარული ფილმების სიაში პირველი ხუთი ადგილი კომპანია „უოლტ დისნეის“ სტუდიაში შექმნილ ფილმებს ეკავა.

14. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ კონფისკაცია მოხდა და სურათი სახალხო მუზეუმის კუთვნილება გახდა. მოგვიანებით, იგი ნაპოლეონის მფლობელობაში გადავიდა.

15. „სირცხვილი ფაშისტ ჯალათებს“, — ამ სახელწოდების ქუჩა დღესაც არსებობს ქალაქ გატჩინის მახლობლად მდებარე სოფელში.

16. ეგრეთ წოდებულ „უაზრო“ კანონთა სიაში შესულია კანზასში მოქმედი კანონი, რომლის მიხედვით, ადამიანი, რომელსაც ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლია, ფხიზლად მიიჩნევა.

17. „ჩვენი სახელმწიფო იმ კონტროლიორს ჰგავს, რომელიც დაჭმუჭნული სამგზავრო ტალონის გამო, მგზავრისგან კიდევ უფრო დაჭმუჭნილ ფულს იღებს ჯარიმის სახით“, — ამბობენ რუსები.

18. გოლფში სულ 18 ლუზაა. გოლფკლუბის ტერიტორიაზე მდებარე ბარს კი,





# დარღვეული ოჯახური იდილია და იტალიაში მცხოვრები ქართველის ტკივილი

## „ჯაკომომ გადაწყვიტა, ქართველ პენსიონერებს დაეხმაროს“...

**უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენს ჟურნალში რუბრიკა „ემიგრანტი“ იბეჭდება. საზღვრებს მიღმა მყოფი ქართველები ჩვენთან საუბრით იქარვებენ იმ დარდს, რასაც სამშობლოს მონატრება ჰქვია. ცოტა ხნის წინ, რედაქციაში იტალიიდან გამოგზავნილი წერილი მივიღეთ, რომელშიც ქართველი ქალბატონი, დარეჯან მამაგეიშვილი-კობახიძე თავის ემიგრანტული ცხოვრების შესახებ გვწერს. განვიზრახეთ, მას დავკავშირებოდით და ვრცელი ინტერვიუ ჩაგვეწერა.**

*ნათია ქივიძე*

**— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ჟურნალ „გზას“ დაჰკავშირებოდით? რა სიხშირით კითხულობთ ჩვენს ჟურნალს და რა გზით ხვდება თქვენთან „გზა“?**

— იტალიაში არსებობს რამდენიმე ოფიციალური ქართული ფირმა, რომელთა მანქანებიც რეგულარულად მოძრაობენ იტალიასა და საქართველოს შორის. მათი დახმარებით ვიღებთ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ ძირითადად, ქალბატონ ცისანა იობიძეს უნდა ვუმადლოდეთ, ის გვამარაგებს პრესით. ასე რომ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ჩვენც სისტემატურად ვადევნებთ თვალყურს. ყველა იმ სიახლის გამო, რაც იქ ხდება, ჩვენც ვწუხვართ და გვიხარია. იტალიაში მყოფი ქართველები ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობთ თქვენს ჟურნალს და მოუთმენლად ველით ახალი ნომრის ჩამოსვლას. მართალია, „გზა“ ცოტა გვიან ჩამოდის, მაგრამ ჩვენთვის ყველა ძველი ნომერი ახალია და ყველა რუბრიკა — ერთნაირად საინტერესო. თქვენი ჟურნალით ვიქარვებთ დარდს და ამისთვის დიდ მადლობას გიხდით...

**— როდის და რატომ გადაწყვიტეთ იტალიაში გამგზავრება?**

— იტალიაში წამოსვლამდე მე და ჩემი მეუღლე, ნოდარ კობახიძე საავტომობილო გზების სამინისტროს სისტემაში, კერძოდ კი, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისავტოქარხანაში“ ვმუშაობდით. ჩვენი სამსახურები გაუქმდა და უმუშევრები დავრჩით. მატერიალურად ჩემი და-ძმა და მაზლები გვეხმარებოდნენ, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? 2003 წლის სექტემბერში ჩვენი მშვენიერი ოჯახური იდილია დაირღვა — ჯერ მეუღლე გამგზავრა ავსტრიაში, სადაც სამწუხაროდ, მუდმივი სამუშაო ვერ იშოვა, შემთხვევითი სამუშაოს იმედზე კი, ვეღარ ვიქნებოდით. იძულებული გავხდი, მეც ისევე, როგორც ათასობით სხვა ქართველს, დამეტოვებინა სამშობლო, შვილები და იტალიაში წამოვსულიყავი. პირველ ხანებში, უცხო ქვეყანაში ყოფნა ძალიან მიჭირდა, ნოსტალგია მტანჯავდა, მაგრამ საბედნიეროდ, მუშაობა ერთ არაჩვეულებრივ ოჯახში (პელეგრინოების) დავიწყე... სხვათა შორის, იტალიელები ხასიათით ძალიან ჰგვანან ქართველებს და აქაური რელიეფიც საქართველოსას წააგავს. თანაც, იტალია გადატვირთული არ არის ცათამბჯენებით და არც ძალიან ხმაურიანი ქვეყანაა. ამ ყველაფერმა თანდათან დამამშვიდა. ამასთანავე ვიცი, რომ ჩემს ოჯახს უკვე მატერიალურად აღარ უჭირს, შვილები კარგად არიან და ვიდრე აქ ვიქნები, მათ არც გაუჭირდებათ...

**— თქვენს შვილებზეც გვიამბეთ ორიოდ სიტყვით...**

— გვყავს ორი კარგი შვილი (ყველა ასე ამბობს და მეც ვფიქრობ, რომ ცუდად არ აღგვიზრდია): 20 წლის დათო და 19 წლის დიანა. ორივე ერთად შევიყვანეთ ქუთაისის ოცხელის სახელობის სკოლაში. ამჟამად, მესამე კურსის სტუდენტები არიან: დათო სამედიცინო ინსტიტუტში, დიანა კი — სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლობს. ბავშვები ქუთაისში არიან. იქვე ცხოვრობენ ჩემი და, თამრიკო მამაგეიშვილი-ფახურიძე, ძმა — ჯემალი და მაზლი — ოლეგი, რომლებიც ჩემს მეზობლებთან თუ მეგობრებთან ერთად, ბავშვებს ყურადღებას აქცევენ. ისინი ჩემი იმედი და დასაყრდენი არიან...

**— წეღან აღნიშნეთ, რომ პელეგრინოების ოჯახში იმყოფებით. მათ თუ იციან, სად არის საქართველო და რაიმე წარმოდგენა თუ აქვთ ქართველ ერზე?**

— რა თქმა უნდა. როცა ჩამოვედი, ამ ოჯახს საქართველოზე ზოგადი წარმოდგე-



პელეგრინოების ოჯახი

ცენტრში — 94 წლის სალვატორე და დარეჯან მამაგეიშვილი-კობახიძე

ნა ჰქონდა. მათი შვილები საკმაოდ განათლებულები არიან: იციან, სად მდებარეობს ჩვენი ქვეყანა; იციან, რომ სტალინი ქართველი იყო; ძალიან აფასებენ კახი კალაძეს, მაგრამ ქართველ ხალხზე წარმოდგენას მაინც ჩვენ, აქ ჩამოსულები ვუქმნით. მე გავაცანი მათ ფორე მოსულიშვილის გმირობა, რომელმაც დიდ სამამულო ომში იტალიისთვის გაწირა თავი. ის დაჯილდოებულია იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — ოქროს მედლით და იტალიის ეროვნულ გმირად არის გამოცხადებული. სხვათა შორის, მე, ჩემმა მეგობარმა, ცისანამ და ჩემმა მაზლმა, გონერი კობახიძემ (რომელიც ამჟამად იტალიაში ცხოვრობს და პენსიასაც იქ იღებს; ადრე კი ქუთაისის ერთ-ერთი დიდი ქარხნის, „აისის" ტექნიკური დირექტორი იყო) გადავწყვიტეთ, ჩავიდეთ ქალაქში, სადაც დასაფლავებულია ფორე მოსულიშვილი. ეს გახლავთ არონა, რომელიც იტალიის ჩრდილოეთში, პიემონტის პროვინციაში, ლუგანოს ტბასთან მდებარეობს. პელეგრინოების ოჯახს ჩვენი კულტურაც გავაცანი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქალაქ რუვის ნაციონალურ მუზეუმში (იქ ამ ოჯახმა წამიყვანა ექსკურსიაზე) საკმაოდ დიდი, ძველბერძნული ვაზა ვნახე, მედეასა და იაზონის გამოსახულებით. ექსკურსიამძღოლმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა არგონავტებზე და დიოსკურიელ მედეაზე. მაშინ მომეცა საშუალება, ამ საკითხზე პატარა ჩართვა გამეკეთებინა და მეთქვა, რომ დიოსკურია დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზეა, რომ მედეა ქართველი იყო და შვილები თვითონ კი არ მოკლა, არამედ ბერძნებმა დაუხოცეს შურისძიების მიზნით და მერე, ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ, ამ დიდი ცოდვის გამოსასყიდად. მათ ისიც ავუხსენი, რომ სიტყვა, „მედიცინა" მედეას სახელიდან მომდინარეობს. სხვათა შორის, იტალიელებმა დიდი ინტერესით მომისმინეს და ამ ინფორმაციისთვის მადლობაც გადამიხადეს.

— **გაგვაცანით პელეგრინოების ოჯახი...**

— იტალიაში პელეგრინო ცნობილი და განთქმული გვარია. ის ოჯახი, სადაც მე ვცხოვრობ, მრავალრიცხოვანია. ჰყავთ ექვსი ქალიშვილი: ანტონეტა, მარია, ანა, როზა, იზა, მიკელინა (ყველაზე მხიარული, კეთილი და ძალიან ლამაზი) და ერთადერთი ვაჟი, ბატონი ჯაკომო. ასევე, 16 შვილიშვილი და 13 შვილთაშვილი. ოჯახის გვირგვინია 94 წლის, ბატონი სალვატორე, რომელიც უწყინარი, ფაქიზი და კეთილი მოხუცია. მის სიტყვას ოჯახში დიდი წონა აქვს. მან მიმიღო და დღეს, ყველანი ოჯახის ერთ-ერთ წევრად მიმიჩნევენ. ხშირად მიკეთებენ სიურპრიზებს... ჯაკომო საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია და ამავე დროს, ქველმოქმედებასაც ეწევა. ამ საქმიანობაში მას მეუღლე, ქალბატონი ეკატერინა (რინა) ეხმარება. ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართველები შრომისმოყვარე, კეთილი, ერთგული და პატიოსანი ხალხი ვართ. აქ ხომ საკმაოდ ბევრი ქართველია და ისინი იცნობენ ჩვენს ერს. სწორედ ამიტომ, ჯაკომომ გადაწყვიტა, რომ საქართველოში გახსნას ჰუმანიტარული სააავადმყოფო-პანსიონატი — პენსიონერებისა და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების დასახმარებლად. როცა ეს იდეა განხორციელდება, ეს იქნება კიდევ ერთი ხიდი ორ მეგობარ ქვეყანას შორის. ჩემი აზრით, ქართველი ხალხი ამ სიკეთეს არასოდეს დაივიწყებს. სამწუხაროდ, სულ ახლახან, ჯაკომომ ინფარქტი გადაიტანა და საავადმყოფოს გახსნა ცოტა ხნით გადაიდო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის თავის სიტყვას შეასრულებს.

— **როგორც აღნიშნეთ, იტალიაში ბევრი ქართველია. ერთმანეთს თუ იცნობთ და როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— იტალია 20 პროვინციად არის დაყოფილი. ყველა პროვინციაში თავისებურ დიალექტზე ლაპარაკობენ (როგორც ჩვენთან — გურიაში, სამეგრელოში, კახეთში და ა.შ.). ქალაქი ბარი, იტალიის სამხრეთში, პულიას პროვინციაში ე.წ. „ქუსლთან" მდებარეობს. ბარსა და მის მიმდებარე ქალაქებში 2000 (შესაძლოა, მეტიც) ქართველი ცხოვრობს. უქმე დღეს — კვირას, ქართველების ნაწილი ერთ-ერთ ბაღში ვიყრით თავს. იქ ხდება ინფორმაციების, ჟურნალ-გაზეთების გაცვლა-გამოცვლა, ეწყობა ერთდღიანი ექსკურსიები, დავდივართ მართლმადიდებლურ რუსულ ეკლესიაში, აღვნიშნავთ ერთმანეთის დაბადების დღეებს და ა.შ. მოკლედ, ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. ბარს ხშირად სტუმრობენ ქართველი ხელოვნები, ძირითადად, ქორეოგრაფიული ანსამბლები. ამ დღეებში, აქ სტუმრად იყო სუხიშვილების ანსამბლი, რომელთა კონცერტებსაც თითქმის ყველა ქართველი დაესწრო. რა ლამაზად დავხატე ყველაფერი, არა? ამ ყველაფრის მიღმა კი იმდენი ტკივილი, სევდა და ნოსტალგია იმალება... ვინ იცის, რამდენი უსასრულო ფიქრი და წუხილი გვიტრიალებს თავში — დატოვებულ ქმარ-შვილზე, მშობლებზე, და-ძმაზე. ვინ იცის, ვის როგორ უჭირს, ვის რამდენპროცენტიანი ვალი აქვს გასასტუმრებელი ან თუნდაც, უპროცენტო?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ჩამოსვლა ხომ ძალიან ძვირი ჯდება... ამ ყველაფერთან ერთად კი, გვტანჯავს სამშობლოზე ფიქრი, რომელსაც ვინ იცის, როდის ვნახავთ...

— **თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ალბათ, სამშობლოში აუცილებლად დაბრუნდებით...**

— რა თქმა უნდა. მაგაზე ფიქრით ვათენებ და ვაღამებ: „თვალები სავსე მაქვს ცრემლით და მიხარია/ სახლში მივდივარ!!! „ჩაო", იტალია!/ უცებ, გამეღვიძა... ჰმ, თურმე, რა გიხარია/ სიზმარი ყოფილა, „ბონჯორნო" იტალია." და კიდევ: „ნატვრა შენი ხილვის სიზმრად გადამექცა/ მიკვირს, ცრემლებით რომ გული არ აივსო/ როგორ მომენატრე, დედა საქართველოვ/ როგორ მყვარებიხარ, ჩემო ქუთაისო...

*თუ თქვენ ოდესმე ყოფილხართ ემიგრანტი ან ახლა იმყოფებით ემიგრაციაში და გსურთ, თქვენი თავგადასავლის შესახებ საზოგადოებას მოუყვეთ, მაშინ დაგვირეკეთ: 8.77.72.88.88. ან მოგვწერეთ წერილები მისამართზე:* nati_8888@yahoo.com ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის

**უბის წიგნაკიდან:**

ინგლისელები ხუმრობით მე-19-ე ლუზას ეძახიან. P.S. მკითხველს ემახსოვრება სასტუმრო „აჭარის" უკან მდებარე სახინკლე, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომელთა სასწავლებელი რვა კორპუსში იყო განლაგებული, მეცხრე კორპუსი შეარქვეს.

19. „ღმერთო, ილიკო ჩიგოგიძე მანახე ისეთ დღეში, სულს ვერ იბრუნებდეს და ახლო-მახლო ჩემს გარდა არავინ ჰყავდეს მშველელი", — ნატრობდა ილარიონ შევარდნაძე მას შემდეგ, რაც „ცალთვალა მელამ" მას და ზურიკელას პილპილიანი თუთუნი აჩუქა.

20. „ქვეყნის ეკონომიკა მისი გზებით იცნობა, ქალის აკურატულობა — სააბაზანო ოთახით, მამაკაცის ღირსება — ხელის ჩამორთმევით, სახელმწიფოს მიერ ადამიანებზე ზრუნვა — რაიონული პოლიკლინიკების მდგომარეობით", — წერს მიხაილ ზადორნოვი.

21. „ეს ერთადერთი მყარი და უცვლელი დასაყრდენია, რომლის იმედიც შეიძლება, სალად მოაზროვნე ადამიანს ჰქონდეს", — ამბობდა ბაირონი ფულის შესახებ.

22. „ეტო პოდნიატი ნა სმეხ ისუს ხრისტოს, კატორი მეჟდუ დოსპეხამი ი უსპეხამი ვიბირაეტ დოსპეხი", — ამბობდა ფელიქს კრივინი დონ კიხოტის შესახებ.

23. როდესაც ამერიკის 26-ე პრეზიდენტის ნათესავი, ანა ელეონორა ამერიკის 32-ე პრეზიდენტს გაჰყვა ცოლად, გვარის გამოცვლაც კი არ დასჭირვებია. იგი გვარად რუზველტი გახლდათ.

24. კალიფორნიის შტატმა 1848 წლიდან იწყო აღორძინება, როდესაც იქ ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული, შტატის დევიზი ბერძნული სიტყვა — „ევრიკა" გახლავთ, რაც ქართულად „ვიპოვეს" ნიშნავს.

25. რედიარდ კიპლინგის ნაწარმოებებს მის სამშობლოში ოქროს ფასი ჰქონდა. მწერალი საკუთარ ქმნილებებში უზარმაზარ ჰონორარს იღებდა — თითოეულ სიტყვაში, მას ერთ შილინგს უხდიდნენ.



როდესაც კიპლინგი გარდაიცვალა, ბრიტანეთის დროშაგადაფარებულ მის კუბოს სხვებთან ერთად, ინგლისის პრემიერ-მინისტრი — სტენლი ბოლდუინი და მომავალი მარშალი, ბერნარდ ლოუ მონტგომერი მიასვენებდნენ.



M K

# აკრძალული ხილი



## მადლობა გველს ანუ როგორ მესიჯებს წერენ მაგარი კაცების ცოლები

**ჩვენმა მკითხველმა არც ამჯერად უღალატა ჩვევას, მოუხმო ფანტაზიას, საკმაოდ მრავალფეროვანი აკრძალული ხილის სახეობებს გაგვაცნო და საინტერესო „ასორტიც“ შემოგვთავაზა. მე კი მინდა, ერთხელ კიდევ მოიშველიოთ ფანტაზია, ინტუიციაც დაიხმაროთ და ვიდრე ტექსტს წაიკითხავდეთ, სურათს დააკვირდეთ და ამოიცნოთ, ვინ არის ფოტოზე გამოსახული. წინასწარ კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის ჩვენი ძველი მკითხველი, მგზავნელებს შორის ძალზე პოპულარული და საინტერესო ადამიანია. ახლა კი, ჯერ რამდენიმე ამბავს გავეცნოთ და შემდეგ რესპონდენტსაც მივხედოთ.**

*მარი ჯაფარიძე*

### „გაბმულხარ, ჩიტო, მახეში“

„ჩემი სამსახურიდან ყოველდღე ვხედავდი ერთ ლამაზთვალება ბიჭს. მიუხედავად იმისა, რომ გათხოვილი ვარ და 2 შვილიც მყავს, რა არ ვიღონე მისი ტელეფონის ნომრის გასაგებად. ამაში ერთი ახლობელი დავიხმარე. ჩემი ლამაზთვალება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მუშაობს. ის ჩემი ახლობელი მივიდა და უთხრა, ვითომ მეორე დღისთვის ტრანსპორტი სჭირდებოდა. მერე ნომერიც ჩაიწერა, რათა დაჰკავშირებოდა. ასე ჩავიგდე ხელში მისი ნომერი. 2 საათის შემდეგ გადავურეკე და სხვა ვიკითხე, ვითომ შემეშალა. მისი ხმა რომ გავიგე, ხელები ამიკანკალდა და გავუთიშე. 2 წუთიც არ იყო გასული, რომ მისგან მესიჯი მივიღე — გაცნობას მთხოვდა. თუ ამ ამბავს „გზაში“ წაიკითხავს, მიხვდება, რომ მან კი არა, მე გავაბი მახეში. ჩემი აკრძალული ხილი სწორედ ჩემი ლამაზთვალებაა, მაგრამ რაღაც, ურთიერთობა ვერ ავაწყვეთ, ერთმანეთს წესიერად არც კი ვიცნობთ. მინდა ყველას გასაგონად ვუთხრა, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარს. ზ-ი“.

### „ტუსოვშიცა“

„მარი, სანამ ამერიკაში წავიდოდი, ხშირად გწერდი მესიჯებს. ახლა ჩამოვედი და სულ ცხელ-ცხელი ამბავი უნდა მოგიყვე. აქედან წავედი ერთი ჩვეულებრივი, თბილისელი გოგო, რომელსაც ღამის კლუბისა და ზოოპარკში გართობის მეტი არაფერი მენახა. არა, გასართობის მეტი რა არის თბილისში, მაგრამ პატარა პრობლემები მქონდა ხოლმე: დედა... მამა... ძმა... ბებო... ხომ ხვდებით, არა? ჰოდა, მომეცა თუ არა შანსი, რომ წავსულიყავი, სიხარულით წავე-დიიიიი! მაგარ ოჯახში მოვხვდი, რომელშიც ჩემი ასაკის ახალგაზრდები — 2 ძმა და ერთი და — ცხოვრობდნენ. აუ, იქ დრო ვატარეეე! გადასარევად ვგრძნობდი თავს და ვფიქრობდი: თავი მაგარი ტიპი რომ მეგონა, თურმე რა საცოდავი ვყოფილვარ-მეთქი. თურმე როგორ ერთობა ხალხი! მე კი თინეიჯერობას პენსიონერივით ვატარებდი. სახლიდან მირეკავდნენ ხოლმე: „ბებო შემოგევლოს, სწავლობ? მოკლე კაბას ხომ არ იცვამ? ჭიპი ხომ არ გიჩანს?“ მოკლე კაბაც მეცვა, ჭიპიც გავიხვრიტე და ცხვირიც. ამერიკაში ქართველიც გავჩითე და თავიც შევაყვარე. ახლა ვიზას მიგზავნის, 2 თვეში ისევ მივდივარ, ვეღარ ძლებს ჩემი „დაკუნთული“, მოვენატრე. აი, ასე გავსინჯე ყველანაირი აკრძალული თუ ნებადართული ხილი. ახლა კი ერთი პრობლემა მაქვს: დილა-შუადღე-საღამოს, ჩემს სახლში ომია ჩემი ჩაცმულობის გამო. ასე მოელო ბოლო ჩემს პენსიონერულ თინეიჯერობას. მარიკუზა, ხომ მოგეწონა ჩემი „აკრძალული ხილების“ ამბავი? მინდა ყველას ვუთხრა, რომ თუ საზღვარგარეთ გამგზავრების შანსი მიეცემათ, უარი არ თქვან. ჰო, მართლა, მეც მარი ვარ“.

### რა ხდება?

„ერთი კაცია, 43 წლის, ქონებითა და ცოლ-შვილით უზრუნველყოფილი, ჭაღარა, სიმპათიური და მართლა კაცი. ჰოოოდა, ეს კაცი მეჩალიჩებოდა. მითხრა — რა თქმა უნდა, მე იმ ასაკში არ ვარ და არც იმ ჭკუაზე, რომ ცოლ-შვილს თავი დავანებოო. ჰოდა, უარი ვტკიცე. ადგა და ჩემს 19 წლის ბიძაშვილს დაადგა თვალი. თანაც, დახმარებას მე მთხოვს. უკვე აღარაფერი მიკვირს, მაგრამ მაინც ვკითხე — მე არ დაგთანხმდი და ის რატომ დაგთანხმდებამეთქი? ხელისგული გაშალა და მითხრა: — აი, ამაზე ვატარებ, პირველი ქალი იქნება, თავაწეული, ამაყად ივლისო. საინტერესოა, ნუთუ საყვარელი სწორედ ის სტატუსია, რომ ამაყად იარო?! ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის არის, რომ თუ მე ამ საქმეში ხელს შევუწყობ, მაღარიჩად „ოპელს“ მიყიდის, მას კი, რა თქმა უნდა, უკეთესი, „აუდი“ შეხვდება. მინდა, ხმამაღლა ვუთხრა, რომ ქორწინებამდე სექსი ჩემთვის და ჩემი ჯიშის ყველა ადამიანისთვის აკრძალული ხილია. ჰოდა, გაუფრთხილდით თქვენს დეპოზიტსა და ქონებას, რამეთუ წყალს ნაყავთ. ნეტავ, რა მოსდის ამ ხალხს? სერიალებს უყურებენ დიდი დოზით?“

### ქმარი — აკრძალული ხილი

„ჩემთვის აკრძალული ხილი საკუთარ ქმართან შეხვედრაა. ჩემი დედამთილის წყალობით დამენგრა ოჯახი. ახლა იტყვით, რად გინდა ისეთი ქმარი, თუ დედის ჭკუაზე დადისო? მაგრამ თქვენ არ იცნობთ ქალბატონ ლეილას. სულ 4 თვე ვიცხოვრეთ ერთად. მერე წამოვედი და ძალიან განვიცდიდი ამ ამბავს. ჩემმა ყოფილმა მეუღლემ კი, სულ რაღაც 6 თვეში ისევ მოიყვანა ცოლი — ამჯერად, სწორედ ის გოგო, რომელიც ქალბატონ ლეილას უნდოდა და რომლის გამოც არ უნდოდა ჩემი რძლობა. ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო, ჩემი ყოფილი ქმრის ქორწინება. რაც მისი ოჯახიდან წამოვედი, ნანახი არ მყავდა. ახლა კი გადავწყვიტე, რომ მენახა და რასაც მასზე ვფიქრობდი, ყველაფერი პირში მიმეხალა. დავურეკე და პაემანი დავუნიშნე. მოვიდა. ჩემს დანახვაზე, თვალები ცრემლებით აევსო. შემეცოდა და იმის მაგივრად, რომ მაგრად გამელანძღა, სიყვარული ავუხსენი. იმის მერე ერთმანეთს მალულად ვხვდებით. ეს რომ ქალბატონმა ლეილამ გაიგოს, გადაირევა. ახლა მეც ფეხმძიმედ ვარ და მისი ცოლიც. თითქმის ერთდროულად გვიწევს

მშობიარობა. ის კი გაწამაწიაშია. სიყვარულს მეფიცება და მეუბნება, რომ ყველაზე მეტად მე ვუყვარვარ. არ ვიცი, რა იქნება მომავალში. აუცილებლად გაგაგებინებთ“.

## „უცოდველი“

„ნეტავ იცოდეთ, რა ტკბილია აკრძალული ხილი! გათხოვილი არასოდეს ვყოფილვარ. ყველას ჰგონია, რომ ჩემზე პატიოსანი ქალი დედამიწის ზურგზე არ დადის და მამალი ბუზიც კი არ დამჯდომია ზედ, მაგრამ ის კი არავინ იცის, რომ უკვე მესამე საყვარელს დავშორდი. პირველად, აკრძალული ხილის გემო 19 წლის ასაკში გავიგე და ძალიან მომეწონა. ის კაცი ჩემზე 9 წლით უფროსი იყო. მეხვეწებოდა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას და გათხოვების შემდეგ ველარ წავიდოდი. მას სწორედ იმიტომ დავნებდი, რომ სამუდამოდ მქონდა წასვლა გადაწყვეტილი. 2 წლის მერე მართლაც, გავემგზავრე და 5 წელი გერმანიაში ვიცხოვრე, მაგრამ იქაური კაცები არ მომწონდა და თვალიც კი არავისკენ გამქცევია. მერე ერთი ქართველი კაცი გავიცანი და შემიყვარდა. რა თქმა უნდა, საყვარლებიც გავხდით. მასთან ერთი წელი ვიცხოვრე. მერე დაიჭირეს და გამოადეპორტეს. მე კი დავრჩი. მირეკავდა და მეხვეწებოდა, რომ მეც ჩამოვსულიყავი, მაგრამ სასტიკ უარზე ვიდექი. მერე თვითონ როგორღაც მოახერხა და ჩამოვიდა. მე საქართველო ძალიან მენატრებოდა და ვერ შევძელი, რომ სამუდამოდ დავრჩენილიყავი უცხოეთში. ამიტომ, წამოვედი. თანაც, საკმაო ქონება მქონდა დაგროვილი და იმედი მქონდა, რომ აქაც კარგად ვიცხოვრებდი. მანქანა ვიყიდე და ჩემი მანქანით ჩამოვედი გერმანიიდან. აქაც ავაწყვე პატარა ბიზნესი და საკუთარი თავის უზრუნველყოფას ვახერხებ. ამასობაში, როცა ფირმის რეგისტრაციისთვის დავრბოდი საქმეებზე, გავიცანი ერთი სიმპათიური და კეთილშობილი მამაკაცი. ახლა მასთან ვარ და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. უკვე 31 წლის ვარ, მაგრამ მიუხედავად ჩემი ასაკისა, მაინც მშობლები ერევიან ჩემს ცხოვრებაში. მათთვის კი ჩემი საქციელი ყოვლად მიუღებელია. შვილის გაჩენას ვაპირებ და არავის დავუგდებ ყურს“.

*ახლა კი ის დროა, რომ ჩვენს რესპონდენტს მივხედოთ.*

**პავლიკა ნოზაძე,** *იგივე „მონასტრის ბიჭი“.*

— **მოდი, შენ შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოგვაწოდე.**

— ვარ 24 წლის, თბილისელი, ვსწავლობ სპორტის აკადემიაში, სამწვრთნელო ფაკულტეტზე, ფეხბურთის განხრით. წელს ვამთავრებ. რამდენიმე თვე ვიმუშავე კიდეც ჩემი სპეციალობით, მაგრამ მერე წამოვედი. ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ მოძღვარი გამიბრაზდა და მაიძულა, რომ საბუთები გამომეტანა. გული დამწყდა, მაგრამ მოძღვარს მაინც დავემორჩილე. ცოტა ფეთქებადი ხასიათი მაქვს. ამის გამო, ბავშვებთან ურთიერთობა მიჭირს. მყავს დედა, მამა და ერთი და.



— **ფეთქებადი ხასიათის გამო ოჯახში არ გექმნება პრობლემები?**

— ხანდახან ძალიან მშვიდი ვარ, მაგრამ პრობლემებს მაინც ვქმნი ოჯახში. მე და დედა ვერ ვეწყობით ერთმანეთს. ეს იმის ბრალია, რომ ერთნაირი ხასიათი გვაქვს.

— **მაინც, რის გამო კამათობთ ხოლმე უფრო ხშირად?**

— მაგალითად, იმის გამო, რომ მეუბნება — როდესაც მეგობრები მიმყავს სახლში სტუმრად, წინასწარ გავაფრთხილო ამის შესახებ.

— **მიგაჩნია, რომ მშობელი შენს საქმეში არ უნდა ჩაერიოს?**

— უნდა ჩაერიოს, მაგრამ არ უნდა შემაწუხოს.

— **ბევრი მეგობარი გყავს?**

— კი, ძალიან ბევრი. „გზავნილების“ მეშვეობით კი, მათი რიცხვი კიდევ გაიზარდა.

— **რატომ დაირქვი „მონასტრის ბიჭი“?**

— მე მორწმუნე ადამიანი ვარ. ჩემმა მეგობარმა მომიძღვნა ლექსი, სადაც ერთ ადგილზე „მონასტრის ბიჭი“ მიწოდა. ძალიან მომეწონა და შევირქვი. ამ ბოლო დროს, დიდი სურვილი გამიჩნდა, რომ საერო ცხოვრებიდან წავიდე. მინდა, სასულიერო აკადემიაში ჩავაბარო და მღვდელი გავხდე. ჩემი დიდი ბაბუა, რომლის მოსახელეც ვარ, დიაკვანი ყოფილა. ალბათ გენმა „იყივლა“.

— **მონასტერში ხშირად დადიხარ?**

— კი, მახათას მთაზე რომ მონასტერია, იმას ვსტუმრობ ხოლმე.

— **შეყვარებული გყავს?**

— *(მხრებს იჩეჩს)* არ ვიცი...

— **არ იცი? რატომ? ვერ გარკვეულხარ შენს გრძნობებში?**

— მე კი ვარ გარკვეული, მაგრამ ის არ აღიარებს, რომ ვუყვარვარ. თუმცა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

— **მე კარგად მახსოვს შენი გამოგზავნილი მესიჯი, სადაც წერდი, რომ იმ გოგოს 10 საყვარელიც რომ ჰყავდეს, მაინც გეყვარება. ასე ძალიან გიყვარს?**

— *(თავს აქნევს)?!*

— **თუ გახსოვს, როდის გამოგზავნე პირველი მესიჯი?**

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. თავიდან, დამესიჯება რომ მომინდა, ვცადე, ისეთი მესიჯი გამომეგზავნა, რომელსაც მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავდა. თანაც, ვილაცისთვის გულის გადაშლა მინდოდა. მართალია, ჯერ ბოლომდე არ გადამიშლია გული, მაგრამ ჩემი მესიჯი რომ გამოქვეყნდა, ძალიან მესიამოვნა.

— **შენმა მეგობრებმა თუ იციან, რომ ჩვენთან ამესიჯებ?**

— არ ვეუბნებოდი, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც გაიგეს. ზოგი კითხულობს, ზოგი დამცინის — მოცლილი ხარო, მეუბნება, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ რამდენიმე მათგანი ჩუმ-ჩუმად ამესიჯებს თქვენთან. თუმცა, ვერ გამოვტეხე.

— **მეც და ალბათ მკითხველსაც კარგად ახსოვს, შენი ბებოს და ძაღლის ერთობლივი წასვლა პანაშვიდზე.**

— ძაღლი ისევ სოფელშია, ბებო კი აქ მყავს. როდესაც მას ეს ამბავი ჟურნალში წავაკითხე (თანაც, ამ ამბავს ნახატიც ჰქონდა დართული), ბევრი იხალისა, მაგრამ პრეტენზია გამოთქვა იმის გამო, რომ გაცილებით ლამაზია და ნახატზე გამოსახული ქალი მას არ ჰგავს.

— **ბევრმა მკითხველმა გოგონამ გამომართვა შენი ტელეფონის ნომერი. დაგირეკეს?**

— კი, მართლაც ბევრმა დამირეკა, ზოგმა დამიმესიჯა და მათ უმეტესობასთან დღემდე მაქვს კონტაქტი. ზოგს შევხვდი კიდეც,



ჩემი დიდი ბაბუა, რომლის მოსახელეც ვარ, დიაკვანი ყოფილა. ალბათ გენმა „იყივლა“



ზოგიერთთან კი ჯერჯერობით მხოლოდ მესიჯ-მეგობრობა მაკავშირებს.

**— როდესაც „გზავნილებში“ პირველად დაამესიჯე, ალბათ არც ფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი რესპონდენტი გახდებოდი.**

— ჩვენი შეხვედრა ხომ კარგა ხნის წინ დაიგეგმა. მას შემდეგ სულ ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა, რა უნდა მომეყოლა... დღეს არავისთვის მითქვამს, რომ თქვენთან შესახვედრად მოვდიოდი, მაგრამ დედაჩემი მაინც მიხვდა. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ, მაგრამ წამოსვლის წინ მკითხა — მარისთან ხომ არ მიდიხარო? ჩემი ოჯახის წევრები თქვენი აქტიური მკითხველები არიან. ხუთშაბათს სულ ჩხუბია, ვინ წაიკითხავს პირველად „გზავნილებს“. მამაჩემიც კი აქტიურად ერთვება ხოლმე კამათში და მოითხოვს, რომ რიგი მას დაუთმონ.

**— შენთვის რომელი „მგზავნელის“ ინტერვიუ იქნებოდა საინტერესო წასაკითხი?**

— დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი „სტიქიას“ ინტერვიუს და მგონია, რომ ეს აუცილებელიცაა, რადგან დიდი არეულობა შემოიტანა „გზავნილებში“ და ყველას აინტერესებს, ვინ დგას ამ ნიკის უკან; კიდევ, სიამოვნებით წავიკითხავდი „მუკობაზიერის“ შესახებ.

**— ვფიქრობ, არც „მეგრელი კანიბალკა“ იქნებოდა ინტერესმოკლებული...**

— მაგ გოგონასთან ურთიერთობა მაქვს მესიჯებით და მართლაც საინტერესო ადამიანია.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## „სიმართლე რომ გაიგოს, გამპუტავს“

„მარი, ჯერ არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ უკვე ყელში ამომივიდნენ ჩემი ქმრის ფანები და გადავწყვიტე, მომეწერა. „სტიქიას“ ფანებო, დროა, ბოლო მოეღოს ამდენ ტყუილს. ის ცოლიანია... ვაააა... „ოპოზიცია“.

„მარი, რა დროს აკრძალვებია XX საუკუნეში? თუმცა, ხომ ყველამ იცის, რომ აკრძალული უფრო გემრიელია. მეც მიკრძალავენ სიყვარულს, მაგრამ ჩემსას არ ვიშლი. ჭინკა“.

„მამაჩემს ჰგონია, რომ შეყვარებული ვარ. არადა, როცა მართლა პაემნებზე დავქროდი, მაშინ ის ქლიავის ხეზე იჯდა და ატამს ჭამდა. სიმართლე რომ გაიგოს, გამპუტავს. ჩემთვის სიყვარული რომ არ დაეშალათ, არც შემიყვარდებოდა. მშობლების გასაგონად მინდა ვთქვა: რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია ამომგდები ძალა. ამიტომ არის აკრძალული ხილი უფრო გემრიელი“.

„2 ტუნისელი, 1 ეგვიპტელი, 1 პალესტინელი, 1 კუბელი, 1 იტალიელი და 3 ქართველი — აი, ამდენი და ამდენნაირი კაცისთვის მიკოცნია.. სექსი მხოლოდ ერთთან მქონდა, ქართველთან და დღემდე მიყვარს. დანარჩენი აკრძალული ხილი ევროპაში ვიგემე. პირველად ეგვიპტელმა ჰასანამ მაკოცა და არ მომეწონა. მერე — ტუნისელმა მუჰამედმა. აუუუ! არასოდეს დამავიწყდება! დაუოკებელი ტემპერამენტის ქართველი გოგო ვარ. მაპატიეთ“.

„სამსახურში კომპიუტერი დავავირუსე და ახლა ვზივარ ასე, მოწყენილი. ინტერნეტში ველარ შევდივარ გასართობად და ვარ ასე, ერთ პროგრამაში „გამომწყვდეული“ და ვრიცხავ და ვრიცხავ „დოლარებს“. არა, ინტერნეტში რომ დავკარგულიყავი, მიპოვიდა ვინმე? არა, არა, აკრძალულ ხილს არ გაეკაროთ!“

„მარი, ძაან „ექვსიგინალური“ თემა გაქვს.... ერთ დროს მაგრად მქონდა აკრძალული, რაც მიყვარდა. წარმოიდგინე, წიგნის კითხვას მიშლიდნენ. მე კი იმდენი ვიკითხე, რომ სათვალე დამჭირდა. ბიჭის კოცნა არ შეიძლებაო და იმდენ ხანს ვკოცნიდი, ტუჩები მტკიოდა. მავნესიტო“.

„7 წელია, გათხოვილი ვარ, მაგრამ მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი აღარ გვიყვარს. 2 წლის წინ გავიცანი ბიჭი, რომელიც დღემდე სიყვარულს მეფიცება. აკრძალული ხილი ხომ ძალიან გემრიელია? ჰოდა, მას შეხვედრაზე დავთანხმდი და უკვე 6 თვეა, ვხვდებით. მოპარულს უფრო კარგი გემო აქვს“.

„რა კარგი იქნებოდა, შეყვარებულთან სექსი აკრძალული ხილი რომ არ იყოს საქართველოში. მაშინ ამდენს ხომ არ დავიტანჯებოდი? მეშინია, რომ ვაკოცო და „შემომეუპატიუროს“. აბააა! მაკარენა“.

„წინა ნომერში მესიჯი რომ არ დამიბეჭდე, არ გებუტები, მარი. მე იმან უფრო გამაბრაზა, რომ ვიღაცამ ნიკი მომპარა. რა ყველაფერი წაგლეჯაზეა ამ ქვეყანაში? გიჟი გოგო“.

„იცით, რა დამემართა? 16 წლით უფროსი კაცი ისე შემიყვარდა, რომ სხვისკენ გახედვაც არ მინდა. ბედნიერი ვარ და სულ მინდა, ვკოცნო“.

„მარიკუშლა, ეს რომ არ დამიბეჭდო, გავგიჟდები. „კუშლა“ უკვდავს ნიშნავს, ხოლო „მარიკუშლა“ — მარად უკვდავს. ჰოოდა, აბა, ასეთი სახელი ვის დაურქმევია შენთვის? „გექველწები“, დამიბეჭდეეე... ბებო რატომ გამიგიჟე? თავის პატიმარ შვილზე მესიჯი რომ არ დაუბეჭდე, ლამის ყველაფერი „გაიპუტა“.

„მარი, ახლა იცი, რას ვნატრობ? მინდა, ზიმბაბვეში ან ამაზონეტში ვიყო, რომ შეგეცოდო „საბრალო“ ემიგრანტი და მესიჯი დამიბეჭდო. ქართულ რეალობაში დედამთილის სიყვარული აკრძალული ხილია. ჰოდა, მე ჩემი მომავალი დედამთილი თითქმის ჩემს შეყვარებულზე მეტად მიყვარს. მუმუ, ლალის ხათრით მოგყვები. „შეშლილი გენიოსი“.

„ეჰ... რამდენიმე თვეა, ერთ ახალგაზრდა გოგოსთან დავდივარ ინგლისური ენის გაკვეთილებზე. მისმა, ასევე ახალგაზრდა და უნდა ვაღიარო, სიმპო ქმარუკამ კი, თვალი დამადგა და ახლა გასაქანს არ მაძლევს. ამას წინათ, ცოლი ჩუმად „მოტეხა“ და სახლში მარტო დამხვდა. იმ დღეს მისი შემოტევა გმირულად მოვიგერიე, მაგრამ... ჩემო ლამაზო, ქეთუშას არ აწყენინო... აკრძალული ხილი შენთვის უკვე ციც! ისე კი მაინც საყვარელი დონ ჟუანი ხარ. ბბ.ელი“.

„ერთხელ, მე და ჩემი და სოფელში ვიყავით. მეზობელს, ჟენია ბებოს აივანზე ტყემლის ტყლაპი ჰქონდა გაშლილი გასაშრობად. ამ ტყლაპზე ორივეს ჭკუა გვეკეტებოდა და მისი გასინჯვა ძალიან გვინდოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩუმად ავიპარეთ აივანზე და მოვიპარეთ. აუ, რა მაგარი იყო, იცით? მაგრამ მეორე დღეს მაგრად „დაგვერხა“. იქ ამბავი ატყდააა! ვიღაცას დავუნახავვართ და ჩაგვიშვა. ახლა კი ვკვდებით სიცილით... პატარა „განთიადა“ და „გარიჟრაჟა“.

„მარი, აკრძალული ხილიო, ამბობ და თავადაც კარგად მოგეხსენება, რომ აკრძალული უფრო გემრიელია. მეც მყავს ერთი კაცი, რომელთანაც არაფერი მაკავშირებს, საუბრის გარდა და მაინც ის კაცი ჩემთვის აკრძალულია. ჩემმა მეგობარმა რომ გაიგოს, მშვიდობით, მეგობრობავ! და იცით, რატომ? — ის კაცი მისი იყო!“

„27 წლის ისე გავხდი, რომ არავინ მყვარებია. ასეთ სერიოზულ ასაკში შემიყვარდა პირველად მამაკაცი, რომელიც ჩემზე 29 წლით უფროსია. მას 2 წლის მანძილზე ვხვდებოდი. წარმოიდგინეთ, მისი ქალიშვილი ჩემზე უფროსია. არასოდეს მიგრძნია, ჩვენ შორის ასეთი ასაკობრივი სხვაობა რომ იყო. მასთან სრულ ჰარმონიაში ვგრძნობდი თავს. ამის შესახებ მხოლოდ ერთმა მეგობარმა იცის. ოჯახსა და ახლობლებში უზადო რეპუტაციით ვსარგებლობ. მას ცოლობაზე უარი ვუთხარი, რადგან საზოგადოების ზეწოლას ვერ გავუძლებდი. ესეც ჩემი აკრძალული ხილი“.

„მიშველეთ რამე, ჩემს არანორმალურ დირექტორს ჩემი სკოლიდან გაგდება უნდა. არადა, სკეიდით გადავუარე, მეტი კი არაფერი. სულ არ ვარ „ნაგლი“, ხომ?“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი, დანის ტარება და უზრდელური ლაპარაკია. იმის მიუხედავად, რომ გოგო ვარ, სიამოვნებით ვიქნებოდი კანონიერი ქურდი, ოღონდ მართლა“.

„აკრძალული ხილი? ეჰ... როგორ მინდა, არ ვისწავლო, მინდა გავერთო, პირსინგი გავიკეთო, მკერდზე „ემინემის“ სახე დავიხატო, თმა გადავიპარსო, მაგრამ... ეს ყველაფერი ჩემთვის აკრძალული ხილია და ამ ხილს გემოს ვერასოდეს გავუსინჯავ. მარი, თუ ოდნავ შეგეცოდე, დამიბეჭდე. მე ხომ ყველაფერი მეკრძალება?!“

„მე მალაზიაში ვმუშაობ და ჩემთვის



M K

აკრძალული ხილი საქონლის ნისიად გაცემაა. ახლა უკვე 1.000 ლარის საქონელი მაქვს გაცემული. ჩემმა უფროსმა რომ გაიგოს, მომხსნის. ნათია, ფოთი“.

„შემიყვარდა ბიჭი, რომელიც ჩემთვის აკრძალული ხილია, მაგრამ მის სიყვარულს ვერ ვივიწყებ. ერთი, რამაც შეიძლება დამავიწყოს, ის არის, რომ თმას იზრდის და თანდათან ტყიდან გამოვარდნილ მგელს ემსგავსება“.

„მარი, მგონი, წინა ნომერში დაბეჭდილი „დედის გულის“ ავტორი დედაჩემია. ჩემი აკრძალული ხილიც იმ პატიმრის სიყვარულია, რომელზეც ის გწერდათ. დედას კი ვეტყვი, რომ ძალიან უბედური ვარ, რადგან მიყვარს, ვუყვარვარ, მაგრამ მე კი არა, შავ სამყაროს ეკუთვნის“.

„ეჰ... მართლაც მაგარი გემრიელი ყოფილა ის, რაც აკრძალულია. სიგარეტს ჩუმჩუმად ვეპარები, რადგან ვიცი, რომ მაგრად მომხვდება. ვაიიი, თუ გამიგეეს! გიჟი ნინი“.

„მარი, კონსტიტუციაზე მიდევს ხელი და ისე გწერ. ცხოვრებაში ალარასოდეს დავლევ! მორჩა! ალკოჰოლი ჩემთვის აკრძალული ხილია. ეჰ... წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რამხელა თავი მაქვს ახლა. ბაყბაყდევსაც კი შეშურდებოდა. მთელი ღამე უნიტაზს „სერენადას ვუმღეროდი“. ჰოოდა, შენსა და „გზავნილომანების“ წინაშე პირობას ვდებ: ძირს ალკოჰოლი, გაუმარჯოს ლიმონათს! ეჰ, რას გვიშვრება ეს მთავრობა! ბატონო მიშა, მიიღეთ რა, მშრალი კანონი! ლოთებო, ყველა ქვეყნისა, გამოსწორდით! ლოთი“.

„აკრძალული ხილი ტკბილი მაშინ იქნებოდა, დანაშაულის გრძნობა რომ არ ამწარებდეს. ვერ გავუძელი ჩინური სადილივით ტკბილ-მწარე ბედნიერებას და დავრჩი ჩემს მლაშე ხაშლამასთან ერთად. თავი კი ჰგონია მაგარი კაცი, მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, მაგარი კაცების ცოლები ასეთ მესიჯებს წერენ?“

„მარი, დამღუპე და ეგ არის. ჟურნალის გარეკანზე რომ მოკბეჩილი გლობუსია, ხომ იცი? თუმცა, რას გეკითხები, გეცოდინება, აბა რა! იმ დალოცვილს, ვინც ასე გემრიელად ჩაკბიჩა, რად უნდოდა, ესპანეთიც რომ მიაყოლა? ახლა სადღა წავიდე? ეკო“.

„მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და ბედნიერიც ვარ, მაგრამ დედამთილი მიშლის ნერვებს. რომ შემეძლოს, ამ ქალბატონს წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს ვნახავდი. ხალხო, გავაჩუქებ დედამთილს! არავის გინდათ?“

„ჩემთვის აკრძალული ხილი პატიმართან მესიჯობა იყო, მაგრამ მაგ ხილს უკვე გავუგე გემო. პატარა“.

„სულ მიკრძალავენ ბიჭებთან ურთიერთობას, მაგრამ ვერ ვეშვები და რა ვქნა? ამას წინათ, ინგლისურზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ ძველ შეყვარებულს შევხვდი. ეს რომ გამიგონ, მომკლავენ. რიჟამა, ურეკიდან“.

„აკრძალული ხილი იყო ჩემთვის „გზის“ წინა 2 ნომერი, რომელიც ისევ და ისევ, უფულობის გამო ვერ ვიყიდე. აი, ისევ წუწუნის ხასიათზე ვარ და მგონი, თავი შეგაწყინეთ. დი“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი არის ყველაფერი ის, რასაც უფულობის გამო ვერ შევწვდები. კერძოდ კი — თეატრი, კინო, გამოფენები... კარგია, როცა სურვილები ემთხვევა შესაძლებლობებს“.

„იცით, ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩემთვის აკრძალული ხილი სიხარული და ბედნიერებაა. ალბათ არც ისეთი კარგი გოგო ვარ, რომ ეს დავიმსახურო. არადა, რა გემრიელია!“

„ვიცი, რომ მშობლების ტანჯვა 10 მცნებით აკრძალულია, მაგრამ ნუთუ ეს იმ მშობლებსაც ეხება, ვინც დაბადებისთანავე მიმატოვა? უკვე 19 წლის ვარ და ჩემი



ბიოლოგიური მშობლები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ თავისი შეცდომა გამოასწორონ. მათ, გულში ყველაფერი ვაპატიე, მაგრამ არ ვაგრძნობინებ. ვაიძულებ, ჩემი ყველა ხუშტური უყოყმანოდ შეასრულონ. მე კი ჩემი გამზრდელი დედიკო მიყვარს უსაზღვროდ და მის გამო ყველაფერზე წავალ. „მეგრელი კანიბალკა“.

„ეჰ... ერთ ადამიანს სამჯერ მივეცი შანსი, რომ ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ამ ვირთან დაშორება რა ძნელი იყო. თუ მასზე უკეთესს ვერ ვიშოვი, მისნაირი ძალიან ბევრია. რაიკა“.

„მარი, დიდ მადლობას გიხდი, მესიჯი რომ დამიბეჭდე. საოცარი შეგრძნებაა. გაგეცინება და, მეც ჟურნალისტი ვარ — ჩემი სტატიები ყოველკვირა „ტონობით“ იბეჭდება. თინა“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი ბულაჩაურის დისკოთეკაზე სიარული იყო, მაგრამ მაინც ვიპარებოდი. ოსი ბიჭის სიყვარულიც ამიკრძალეს, მაგრამ მაინც მიყვარს და გადავრიე მამაჩემი. მარიკელა“.

„თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა, მადლობა გადავუხადო იმ გველს, რომელმაც ევა შეაცდინა. სხვანაირად ხომ ვერ დავამშვენებდი ამ სამყაროს?“

„ძალიან მომწონდა ერთი ჩემი თანამშრომელი. დასვენების დღეს ერთმანეთს შევხვდით. სულ არ მქონდა გეგმაში, მაგრამ იმ ღამით ერთად დავრჩით. ვერ ვხვდები, ასეთი ურთიერთობა რატომ უნდა იყოს აკრძალული ხილი? იმ ღამეს ძალიან ბედნიერი ვიყავი“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი შოკოლადია, რომელსაც უზომო რაოდენობით ვჭამ“.

„მარი, გაგებუტე, რადგან მესიჯებს არ მიბეჭდავ. ჰოდა, „გზას“ აღარ ვიყიდი და ჩემთვის აკრძალული ხილი გახდება“.

„შეყვარებული მყავდა. მერე ცოლი მოიყვანა, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვხვდებით. ახლა შვილიც შეეძინა. მეუბნება, რომ ძალიან ნანობს. მეც ძალიან მიყვარს და ვიტანჯები. ჩემი ოჯახის წევრებმა რომ გაიგონ, ჩამომახრჩობენ. ნუთუ არაფერი მეშველება?“

„აკრძალული ხილი მართლაც ძალიან გემრიელია. მაგარი მუღამი აქვს, დაქალებთან ერთად, რომელიმე ბაღში, ბუჩქებს ამოფარებული, სიგარეტს რომ ეწევი. „კრასატუხი“.

„მთელი ჩემი ოჯახი, მეგობრები და ახლობლები მასთან შეხვედრას მიკრძალავდნენ, მაგრამ ჩუმად მაინც ვხვდებოდი. ახლა? ეჰ... ახლა ცოლი და შვილი ჰყავს, მე კი დავდივარ ეულად. ანდრომედა“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი თურმე კაცი იყო. ალბათ მიხვდებით, რაშია საქმე. მაგრად მაწყინა აკრძალულმა ხილმა და ახლა... ეჰ...“

„ეჰ... კი ვიცოდი, თქვენს ყდაზე გლობუსი რომ არის, მისი ჩაკბეჩა არ შეიძლებოდა, მაგრამ ისაო, აკრძალული ხილიოოო, ჰოოდა, მივქარეეე! ნეტავ, რისგან იყო გაკეთებული? ვერ ვულაპავ!“

„აკრძალულ ხილს 16 წლის ასაკში მივეძალე და ქალწულობა უმადურ ადამიანს ჩავაბარე“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი ის არის, რომ შვილი მინდა, მაგრამ ჯერ ქმარი არ მყავს. გავაჩინო და ქოქოლას დამაყრიან. არადა, რა ვქნა? 33“.

„ჩემთვის აკრძალული ხილი ძილია. ღამე მღვიძავს და დღისით მძინავს. ამის გამო კი, კურიოზულ სიტუაციებში ვვარდები ხოლმე. ერთხელ, გოგონასთან ტელეფონით ლაპარაკისას ჩამეძინა და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ის ვერ მიხვდა — რომ გამეღვიძა, ისევ ლაპარაკობდა. აბა, ასეთ ადამიანთან ურთიერთობას ვინ ისურვებს? და ვარ ახლა მარტოხელა. „ღამურა“.

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — იმედგაცრუება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

# „სექსუალური რევოლუცია" — სცენაზე და „ცვინებში"



**სიტყვა „ვერბატიმის" ლათინური თარგმანი ნიშნავს — „სიტყვასიტყვით". ეს გახლავთ დოკუმენტური თეატრის შექმნის ინგლისური მეთოდიკა. ვერბატიმი თეატრის სრულიად ახალი ჟანრია და ევროპაშიც ცოტა ხნის წინ მოიკიდა ფეხი. ასეთი ჟანრის სპექტაკლი რომ შეიქმნას, ადამიანებს დიქტოფონით სირბილი და ინტერვიუების ჩაწერა უხდებათ. დრამატურგი ირჩევს თემას, რომელიც აქტუალურია. ამის შემდეგ საჭიროა, მოიძებნოს საინტერესო საინფორმაციო წყაროები და გაკეთდეს ინტერვიუები. ზოგ შემთხვევაში დრამატურგი ასრულებს ამ საქმეს, ზოგ შემთხვევაში კი, თავად მსახიობები. შემდეგ ამ რეალურ ამბებზე იწერება სცენარი და რეჟისორი აძლევს სპექტაკლს დასრულებულ სახეს. ვერბატიმში მსახიობები „ისაკუთრებენ" რეალური პერსონაჟების თავს გადახდენილ ამბებს და ამ პერსონაჟებად გარდაიქმნებიან. საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ასეთი ჟანრის სპექტაკლი, „სექსუალური რევოლუცია", „თეატრალურ სარდაფში" ახალგაზრდა რეჟისორმა, ნინო ბასილიამ დადგა. სპექტაკლში ქართველი ქალბატონების რეალური ამბებია გადმოცემული.**

მარინა კობახიძე

სექსის გარეშე ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ მასზე ლაპარაკის გარეშე — წარმოუდგენელი. „სექსუალური რევოლუციაც" ამ თემაზეა აგებული და მთელი სპექტაკლი ქალთა და მამაკაცთა სექსუალურ პრობლემებს ეძღვნება. გართობის ინდუსტრიაში ყველაზე წარმატებულ იდეად შესაძლოა, კაცობრიობის 2 სხვადასხვა სქესად დაყოფა ჩაითვალოს. ქალი და მამაკაცი, კაცობრიობის 2 ნახევარი... დავა იმაზე, თუ რომელია პირველი და რომელი — მეორე ნახევარი. მუდმივი საყვედური ერთურთზე და... იმის აღიარებაც, რომ ერთი ნახევრის გარეშე მეორე ნახევრის სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა... სქესთა ბრძოლა სამყაროს დასაბამიდან მოდის და მუდამ ტრადიციული „იარაღით" მიმდინარეობს. ეს იარაღი სექსი გახლავთ. სპექტაკლი წარმოადგენს სპექტაკლის რეპეტიციას, სადაც 3 მსახიობი ქალი სცენარს კითხულობს. ეს დაქალების ჭორაობას უფრო ჰგავს. შესაძლოა, ბევრმა ქალმა რომელიმე პერსონაჟში საკუთარი თავი ან მეგობარი ამოიცნოს. თითოეული მსახიობი განსხვავებულ პერსონაჟს თამაშობს და მათი ცხოვრების სტილიც განსხვავებულია. როლის კითხვის დროს კი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ სექსზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე და გლობალურ დათბობაზეც კი. პირველი პერსონაჟი, რომელსაც მსახიობი ნინო ხომასურიძე თამაშობს, რამდენჯერმე გათხოვილი ქალბატონი გახლავთ, მდიდარი სექსუალური წარსულით, რომელიც მამაკაცებს 3 კატეგორიად ყოფს: იმპოტენტები, პედერასტები, ბოზები... და სვამს რიტორიკულ კითხვას, რომელსაც პასუხს თავად სცემს: „რა გვინდა მამაკაცებისგან? ძირითადად ფული!" მისი პირველი ქმარი მოწესრიგებული ჩინოვნიკი გახლდათ. „გაპიწკინებული", სუფთა ფრჩხილებითა და გაპრიალებული ფეხსაცმლით... მეორე ქმარი „მარშრუტკის" მძღოლი იყო, რომელიც ნატურალური წვენების დისტრიბუციას ეწეოდა. ორივე ქორწინება კრახით დამთავრდა იმის გამო, რომ იყო სექსი, მაგრამ არ იყო ორგაზმი...

მეორე პერსონაჟი, რომელსაც მაია ლომიძე განასახიერებს, სოფელში გაზრდილი და საკმაოდ გვიან გათხოვილი ქალია, რომელსაც სწორედ იგივე პრობლემა აქვს. ის ნამდვილი „ოჯახის დედაკაცია", რომლისთვისაც ყველაფერი საკვებსა და ჭამასთან ასოცირდება. — რატომ არის ჭამა ასეთი მნიშვნელოვანი? — კითხულობს ის სპექტაკლის დასაწყისში. ის აღშფოთებული ლაპარაკობს მამაკაცის მოღალატე ბუნების შესახებ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ამტყუნებს მას. „წავა, აბა რას იზამს? იმიტომ წავა, რომ არ უნდა, ყოველდღე ლობიო ჭამოს; მას ხანდახან მწვადიც უნდა; ჰოდა, თუ ვერ შეძლებ, რომ ერთდროულად „მწვადიც" იყო და „ლობიოც", მაშინ წავა და „მწვადს" სხვაგან „შეჭამს"... მას მიაჩნია, რომ ეკონომიკა, სექსი და პოლიტიკა ერთი და იგივეა. „სექსის დროს მამაკაცი იცლება, ქალი კი — ივსება, ჰოდა, გამოდის, რომ ნახმარი და მიტოვებული, კაცი ყოფილა..." — ამბობს მისი პერსონაჟი. ამ სიტყვების გაჟღერებისას დარბაზში მსხდომმა მამაკაცებმა რეპლიკებისგან თავი ვერ შეიკავეს — „იოცნებეთ, იოცნებეთ... — აბა, აბა, მასე გეგონოთ თქვენ..." — გაისმოდა დარბაზში. — „პედერასტზე უარესი, მხოლოდ „ჟმოტი" მამაკაცია..." — ამ ფრაზამ კი ქალბატონები გამოაცოცხლა და მათი აღფრთოვანება გამოიწვია... ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ სპექტაკლი, გარდა ჟანრისა, იმითაც გახლავთ განსხვავებული, რომ მასში საკმაოდ უხვადაა გამოყენებული ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ვაგინა, ორგაზმი, ორგაზმის სიმულაცია, მასტურბაცია, ონანიზმი, აქტი და სხვა... იმასაც გეტყვით, რომ ამ სპექტაკლზე დასასწრებად, კავალერი საკმაოდ ფრთხილად უნდა შეარჩიოთ. მამასთან, ძმასთან, მეგობართან ერთად, მისი ყურება ცოტა უხერხული იქნება... სპექტაკლზე ქმართან ან საყვარელთან ერთად თუ წახვალთ, ეს თქვენს ურთიერთობასაც წაადგება, რადგან პერსონაჟები მამაკაცებს ისეთ საკითხებზე საყვედურობენ, რომელზეც თქვენ შესაძლოა, ასე თამამად ვერ ისაუბროთ პარტნიორთან.

მესამე, გვანცა გიორგობიანის პერსონაჟი, ძეგლებზე შეყვარებული ქალია. უფრო სწორად, ძეგლების ქვეშ სექსზე შეყვარებული, თავზე ხელაღებული ქალი, რომელსაც თბილისის ყველა ძეგლის ქვეშ აქვს სექსი მოსინჯული, გარდა იმ ძეგლისა, რომელიც ქალაქის შემოსასვლელში დგას. ყველაზე მეტად კი, ვაკის პარკში მდგარი ძეგლის ქვეშ მოსწონს სექსი, რადგან ის ძეგლი დიდია... მას, „წითელქუდას" და „კონკიას" საკუთარი — სექსუალური ვერსიაც აქვს და იმასაც ამბობს, რომ კაცი ვაგზლის ბოზივით უნდა გყავდეს: როცა გინდა — მოიყვანო, როცა გინდა — წაიყვანო და დარწმუნებულია, რომ ყველა შურისმაძიებელი ქალი — ბოზია. ამ პერსონაჟს გასათხოვარი მსახიობი თამაშობს, მაგრამ ორგაზმის იმიტაციას ისე ოსტატურად აკეთებს, რომ გაგაოცებთ.

„მამაკაცს ცოტა ჭუჭყიანი ფრჩხილები უნდა ჰქონდეს და ბენზინის სუნიც უნდა ასდიოდეს... მაშინ არის ის ნამდვილი მამაკაცი", — ეს მეოთხე, ტრაგიკული პერსონაჟის, „ტეხრეჟის" სიტყვებია, რომლებსაც ნინო ლეჟავა ასახიერებს. ის გახლავთ კაცისმკვლელი, მეძავი ქალი, რომლის მსხვერპლიც 4 მამაკაცი გამხდარა და თითოეულ დანაშაულზე „სროკი" აქვს მოხდილი. — ყველა კაცი „სპრავედლივად" მყავს მოკლულიო, — ამბობს ის და მიაჩნია, რომ მამაკაცებს მასში ჩასახლებული დემონი კლავს და არა — თვითონ.

სპექტაკლის პრემიერას ის ქალბატონებიც ესწრებოდნენ, რომელთა თავს გადახდენილი ამბები სცენაზე გაცოცხლდა, მაგრამ არც მაყურებელმა იცოდა მათი ვინაობა და არც მსახიობებმა. სპექტაკლის ბოლოს კი, ისინიც ისევე უკრავდნენ ტაშს თავიანთ ცხოვრებისეულ შეცდომებს, როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი... სპექტაკლმა შესაძლოა, ბევრი ადამიანი ჩააფიქროს და აიძულოს, საკუთარ წარსულს გადაავლოს თვალი... ქართველი მამაკაცებისა და ქალების სექსუალური აღზრდა „სექსუალური რევოლუციით" დაიწყო... ალბათ ასე თამამად და გახსნილად არავის უთქვამს საყვედური ქართველი მამაკაცებისთვის იმის გამო, რომ ისინი საწოლში მაშინ არიან მაგრები, როცა ცოლებს ღალატობენ. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში აქცენტი ძირითადად, სექსუალურ აქტებზეა გადატანილი, თვითონ სპექტაკლი ერთი აქტისგან შედგება, მისგან მიღებული სიამოვნება კი მაყურებელს კარგა ხანს გაჰყვება...



M K

# „განაშვენილი" „მელოდიო"-თიკო, რომელიც მალე „ხმელი" გახდება

**60-90-60. ეს გახლავთ ბევრი ქალისთვის საოცნებო ციფრთა კრებული. ვის შეუძლია დაასახელოს ისეთი ქალი, რომელიც დახვეწილ და სრულყოფილ სხეულზე არ ოცნებობს? XXI საუკუნეში შეუძლებელი არაფერია. უამრავი გასახდომი მეთოდი არსებობს, მაგრამ ხან ნებისყოფა არ გვყოფნის, ხან — დრო, უფრო ხშირად კი — ფინანსები, რომ თავს მივხედოთ და საკუთარი თავით ჩვენც კმაყოფილი დავრჩეთ და გარშემო მყოფნიც აღვაფრთოვანოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბიგ-თიკოს უკვე წლებია ვიცნობ, ამას წინათ, გვერდი ისე ავუარე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ამ გოგონას პირველად ვხედავდი. რომ გამიღიმა და „ჩაწიკწიკებული" კბილები გამოაჩინა, მაშინღა მივხვდი, ვინ იყო ეს „შხვართი" ქალი. — უი, ეს რა დაგმართვია-მეთქი! — შევიცხადე, რადგან თითქოს, ჩემი ძველი მეგობარი სადღაც გამქრალიყო და მასზე ძველისგან დარჩენილი თვალები, ღიმილი და მოუსვენარი ხასიათი მიმანიშნებდა, რომ ეს სწორედ ბიგ-თიკო გახლდათ.**



მარი ხაჭარიძე

— **თიკო, როგორ „დაპატარავებულხარ", გოგო!**

— იმიჯს ვიცვლი, იმიჯს! დადგა ის დრო, როცა რაღაც აუცილებლად უნდა შემეცვალა. რამდენიმე ახალი სიმღერა ჩავწერე, მაგრამ კლიპის გადაღებას ჯერ არ ვჩქარობ, რადგან მაყურებლის წინაშე სრულიად განსხვავებული იმიჯით უნდა წარვდგე და ჯერ ჩემი ბოლომდე გარდაქმნა არ მომხდარა.

— **გარეგნობასთან ერთად, სიმღერის სტილსაც ხომ არ ცვლი?**

— არა, რეპს არ ვღალატობ, თუმცა, ახალ დეტალებს აქაც შევიტან.

— **რატომ გადაწყვიტე გახდომა? მაგალითად, ლალი ფაცია ამბობს, რომ მისი რჩევა გაითვალისწინე.**

— იმის შემდეგ, რაც ლალიმ ეს რჩევა მომცა, ძალიან ბევრი დრო გავიდა. იმ დროისთვის სავსებით მისაღები იყო ისეთი ბიგ-თიკო, როგორიც მე ვიყავი. მე, ჩემი წონით თუ ვიზუალურობით განსხვავებული ვიყავი და იმისთვის, რომ „კარგი ტიპი" იყო, სულაც არ არის აუცილებელი, მოდელის გარეგნობა გქონდეს. მართალია, ხშირად მესმოდა, ზურგს უკან თუ პირდაპირ, რომ ჩემი წონის ადამიანი სცენაზე არ უნდა მდგარიყო, მაგრამ ვფიქრობ, ბევრმა სწორედ იმიტომ შემიყვარა, რომ არ მქონდა სექსუალური ქალის იმიჯი და ერთი „ბულკივით" გოგო-რეპერი ვიყავი. ახლა, როდესაც გახდომა დავიწყე, ბევრს უთქვამს: — რატომ ხდები? ჩვენ ასეთი შეგიყვარეთ, მაშინ უფრო კარგი ტიპი იყავიო. საზოგადოებამ მიმიღო ისეთი, როგორიც ვიყავი. ერთი ეტაპი გავიარე. დროა, შევიცვალო და ვნახო, როგორ მიიღებს ხალხი ასეთ თიკოს. მე არ მქონია არანაირი კომპლექსი ჩემი წონის გამო. ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელიც სულ რაღაც 55 კილოგრამს იწონის, მაგრამ კომპლექსებით სავსეა. მე მაშინაც ლამაზი ვიყავი, როდესაც 85 კილოს ვიწონიდი, ახლაც ლამაზი ვარ და ალბათ, უფრო ლამაზი ვიქნები, როცა ბოლომდე გავხდები.

— **მითხარი მიზეზი, რის გამოც გახდომა გადაწყვიტე.**

— კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. რომ გითხრა, გახდომა ჩემი თვითმიზანი იყო-მეთქი, მოგატყუებ. ეს ჟურნალმა „კოსმოპოლიტენმა" გადამაწყვეტინა, რომლიდანაც დამირეკეს და შემომთავაზეს პროექტში მონაწილეობის მიღება. ეს პროექტი ითვალისწინებდა დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრთან ერთად გახდომას. თავიდან, ეჭვის თვალით ვუყურებდი ამ ყველაფერს და უარის თქმას ვაპირებდი, რადგან ჟურნალისთვის ფოტოები „კოლგოტებში" უნდა გადაგვეღო, მე კი წარმოვიდგინე ჩემი თავი — 85 კილო, კოლჰოტებში ნამდვილი საოცრება ვიქნებოდი... მერე, ჩემმა მეგობარმა, ქეთათომ დამირეკა და მირჩია, უარი არ მეთქვა პროექტში მონაწილეობაზე. მეც ვიფიქრე: მე ხომ ბიგ-თიკო ვარ და ბევრი რამ შემიძლია. მოდი, ამაშიც გამოვცდი თავს-მეთქი და აი, შედეგიც სახეზეა.

— **რამდენი ხანია, რაც პროექტი დაიწყო და რამდენი კილოგრამი გაქვს დაკლებული?**

— თითქმის 2 თვე გავიდა და 12 კილოგრამი დავიკელი. კიდევ 10 მაქვს დასაკლები.

— **თუ საიდუმლო არ არის, რამდენი კილოგრამი იყავი თავიდან?**

— 85. კიდევ კარგი, რომ ასაკსა და წონას არასოდეს ვმალავ. ანდა, როგორ უნდა დამალო წონა? ხომ გეტყობა, რაც ხარ...

— **კიდევ კარგი — რატომ?**

— როდესაც ჟურნალისთვის პირველი ფოტოები გადაგვიღეს, გულის ფანცქალით ველოდი, როგორი გამოვიდოდა, რადგან ვიცოდი, რაღაც საშინელება იქნებოდა. ჟურნალი ხელის კანკალით გადავშალე და რას ვხედავ? სურათზე ჩემზე დიდად, ჩემი წონა ეწერა.

— **იქნებ, მოკლედ აღგვიწერო, რას აკეთებ საიმისოდ, რომ გახდე?**

— ეს არის 6-თვიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უამრავ პროცედურას. მათ შორის მასაჟს, ფიზიკურ დატვირთვას, კედრის კასრში ჯდომას, საუნას, წყლის პროცედურებს და ა.შ. ეს ყველაფერი ისეთი სასიამოვნოა და ისე მივეჩვიე, რომ ახლავე ვნერვიულობ, პროექტი რომ დამთავრდება, მერე რა მეშველება-მეთქი. ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურ პროგრამას ადგენენ. მაგალითად, ჩემი ჭარბი წონა თურმე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ყოფილა გამოწვეული. ამიტომ, ჯერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მომიგვარეს და მერე, გახდომა დავიწყე. თანაც, როგორც ამბობენ, ამ მეთოდით გახდომის შემდეგ წონაში აღარ მოიმატებ, რაც ბევრი ქალისთვის პრობლემას წარმოადგენს. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ მეთოდის არსი ის გახლავთ, რომ არ უნდა იშიმშილო.

— **ეს ყველაფერი ძალიან ძვირი ჯდება?**

— ვერ ვიტყვი, რომ იაფია, მაგრამ არც ისეთი კატასტროფული ფასი ღირს, რომ ვერ შესწვდე. თუმცა, თუ საკუთარი იმიჯის შეცვლას გადაწყვეტთ, ბევრ რამეზე უარის



რეპერები — ლექს-სენი და ბიგ-თიკო

თქმა მოგიწევთ, რომ ფული დაზოგოთ და გახდომა შეძლოთ.

**— მოგწონს საკუთარი თავი?**

— დიახ. მოდი, ასე გეტყვი: ჩემი თავი ახლა უფრო მეტად მომწონს.

**— ანუ ადრეც მოგწონდა და ახლა უფრო მეტად?**

— რა, არა? ცუდი გოგო ვიყავი? არ გახსოვს, როგორი საყვარელი და „კარგი ტიპი" ვიყავი?

**— მახსოვს, როგორ არა, მაგრამ მე ახლა უფრო მომწონხარ. თუმცა, ვფიქრობ, რომ ერთი პრობლემა გვექნება — „ბიგ" რომ აღარ ხარ, ახლა რა დაგიძახოთ?**

— ახლა ჯერ „მედიუმი" ვარ, მაგრამ მალე, „სმოლ" ვიქნები...

**— ალბათ, ერთი პრობლემა შენც გექნება — ჯერ ისევ ძველ ტანისამოსს ირგებ თუ უკვე დაიწყე გარდერობის შეცვლა?**

— ოოო, ეგ მართლა დიდი პრობლემაა. ყველაფერი „გამიდიდდა". არ მომწონს, რომ შარვლები და ქვედაბოლოები „ბულავკით" მაქვს დამაგრებული და ისე დავიარები, მაგრამ ამ ეტაპზე, სხვა გზა არ მაქვს, რადგან ჯერ კიდევ დასაკლები მაქვს წონა და კიდევ მომიწევს გარდერობის შეცვლა. ამიტომ, ბოლომდე რომ გავხდები, მაშინ ვიყიდი ტანისამოსს. ამ ყველაფერში სახალისო ის გახლავთ, რომ ჩანთაში „მოძრავი ბუფეტი" მაქვს და როცა საჭიროა, აუცილებლად უნდა ვჭამო. ამიტომ, მიწევს ტრანსპორტში, ქუჩაში ჭამა. ამას წინათ, თურმე ჩემს ახლობელს ერთგან უთქვამს — თიკო ძალიან გახდა, მაგარ ფორმაშიაო. ვიღაცას კი უთქვამს — გახდა კი არა, ამას წინათ „მარშრუტკაში" დავინახე, ისე მადიანად ილუკმებოდა, მაგას რა გაახდუნებსო?!

**— ახლობლებს მოსწონთ შენი ახალი გარეგნობა?**

— კი, უმეტესობას მოსწონს, მაგრამ ზოგიერთი მსაყვედურობს, რადგან თურმე, ისეთი უფრო საყვარელი ვიყავი...

**— ჰო, მაშინ ბუნჩულა, საყვარელი გოგონა იყავი. ახლა კი, „განაშებული" ხარ.**

— (*იცინის*) კი, ბატონო, ვიქნები „განაშებული" ბიგ-თიკო... თუმცა, ჩემი მიზანი ის არ არის, რომ ძალიან მაგარი ნაშა ვიყო და კაცებს თვალები დავუბრმავო. დამიჯერე, ამას გულწრფელად გეუბნები.

**— კაცებზე გამახსენდა, თაყვანისმცემლები მოგიმრავლდა ალბათ...**

— მე ყოველთვის ვამბობდი, სიყვარულს წონა არ განსაზღვრავს-მეთქი და ეს ასეცაა, მაგრამ ჩემს გახდომასთან ერთად, მამაკაცები გააქტიურდნენ. ისე, ჩემთვის არავის უთქვამს, ჯერ გახდი და მერე შეგიყვარებო. თუმცა, ძალზე დელიკატურად მიუნიშნებიათ ხოლმე, რომ გამხდარი უფრო მაგარი ქალი ვიქნებოდი. ჯერჯერობით, ისევ თავისუფალი ვარ, მაგრამ... ჩემს პროდიუსერს ყველაზე მეტად აღელვებს ჩემი გახდომა და წუწუნებს — ახლა რა მოვიფიქრო „ისეთიო", მაგრამ ის ისეთი ნიჭიერია, აუცილებლად მოიფიქრებს რამე ძალიან მაგარს. თუ არა და, ბალიშებს მაინც ჩამილაგებს ტანისამოსში და ისევ ძველი ბიგ-თიკო გავხდები. ■



# ვისთვის აპირებს აპარტამენტის საჩუქრად გადაცემას ირაკლი მარხულია

**„ჯეობარი 3"-ის გამარჯვებული, ირაკლი მარხულია მართლაც, ბევრი გოგონასთვის სასურველი მამაკაცი ყოფილა: აურაცხელი მესიჯი მივიღე მისი თაყვანისმცემლებისგან, რომლებიც ირაკლის მიმართ სიმპათიას და სიყვარულს გამოხატავენ. მთელი კვირის განმავლობაში მის ფანებს აქტიურობა არ შეუსუსტებიათ, მიგზავნიდნენ კითხვებს, რომლებიც ირაკლისთვის უნდა დამესვა და ამ კითხვებზე პასუხებს ინტერვიუს ბოლო ნაწილში შემოგთავაზებთ.**

*სოფო ჯონიშვილი*

**— ირაკლი, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— მყავს დედა, მამა და და. დედა პედაგოგია, მამა — ინჟინერი, მე კი, მე-4 კურსის სტუდენტი ვარ.

**— ჰოროსკოპით რა ხარ?**

— მერწყული.

**— რამდენი წლის ხარ?**

— 21-ის.

**— შენი თავი დაგვიხასიათე.**

— (*იცინის*) მარტო კარგი ვთქვა?..

**— არა, ცუდიც მითხარი, ოღონდ გულახდილად, არ მომატყუო.**

— კარგი, ვეცდები, არ მოგატყუო. ე.ი. ჯერ კარგი თვისებებით დავიწყებ (იცინის): ვარ მშვიდი, წყნარი და გაწონასწორებული ადამიანი, წონასწორობას არასოდეს ვკარგავ. არ მიყვარს ერთფეროვნება და ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ცხოვრება მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს. ბუნებით რომანტიკოსი გახლავარ, არ ვარ ბოღმა, ბოროტი და შურიანი.



ვერ ვიტან ქედმაღალ და ამაყ გოგონებს

**— ახლა უარყოფითიც მითხარი.**

— ჩემს უარყოფით თვისებად მივიჩნევ იმას, რომ ძალიან ჯიუტი ვარ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში — დამთმობიც. რა ვიცი, კიდევ, რა ვთქვა?..

**— მეტი ცუდი თვისება არ გაქვს?**

— მაქვს, ალბათ, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

**— მაშინ, მე დაგეხმარები: ალკოჰოლური სასმელი გიყვარს?**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ სმა არ მიყვარს, მაგრამ ამ ბოლო დროს, რაღაც, ხშირად მიწევს. იმდენს არასდროს ვსვამ, რომ გონება დავკარგო და გავითიშო.

**— როგორი სიმთვრალე გაქვს?**

— ძალიან კარგი (*იცინის*). როცა ნასვამი ვარ, კიდევ უფრო რომანტიკული ვხდები, „სიყვარულის ბუშტი მისკდება" ხოლმე. ცნობილია, რომ ალკოჰოლი ადამიანს სითამამეს მატებს. ჰოდა, მეც ამით ვსარგებლობ და რასაც ფხიზელი ვერ ვამბობ, სიმთვრალეში ვამჟღავნებ, გულში აღარაფერს ვიტოვებ.

**— გაბრაზებას როგორ გამოხატავ?**

— (*იცინის*) როგორც უკვე გითხარი, წონასწორობას არასოდეს ვკარგავ. კონფლიქტურ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნებას ყოველთვის ვახერხებ. ვცდილობ, სიტყვით, წყნარად განვმუხტო სიტუაცია.

**— გინება იცი?**

— ოო!.. მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიგინები, როცა საკუთარი თავის გაკონტროლებას ვერ ვახერხებ — ან როცა ძალიან ვმწარდები.

**— ახლა ის მითხარი, როგორი გოგონები მოგწონს?**

— ჩამოყალიბებული ქალის იდეალი ნამდვილად არ მაქვს. მნიშვნელობა არა აქვს, შავგვრემანი იქნება თუ ქერა, მთავარია, ადამიანი იყოს. ვერ ვიტან ქედმაღალ და ამაყ გოგონებს. ყველაზე მეტად, მანილოსნებში პრინციპულობა მომწონს. განათლებული და მიზანდასახული რომ უნდა იყოს, ამაზე აღარ ვლაპარაკობ.

**— შენს ყურადღებას აქტიური გოგონები უფრო იქცევენ თუ პასიური?**

— საერთოდ, აქტიური ადამიანები ძალიან მომწონს. დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებელია, რომ თამამი იყო, მაგრამ სასურველია, ეს უზრდელობასა და უმსგავსობაში არ გადაიზარდოს. აქტიურ და თამამ გოგონებთან ურთიერთობას შედარებით უფრო კარგად ვაწყობ.

**— მარტო რომ ცხოვრობდე, საკუთარი თავის მოვლას შეძლებდი?**

— ჩემს ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდი, როცა მარტო ვცხოვრობდი, საჭმელსაც ვაკეთებდი, სახლსაც ვალაგებდი, ვრეცხავდი და ვაუთოებდი კიდეც. ასე რომ, მსგავსი რაღაცების კეთება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

**— ყველაზე ხშირად, ოჯახში**

**რას გსაყვედურობენ?**

— ხშირად — არა, რადგან კარგად ვიქცევი, ჭკვიანი ბიჭი ვარ (*იცინის*). უბრალოდ, ხანდახან იმისთვის მსაყვედურობენ, რომ გვიანობამდე არ მივდივარ შინ. დედა ყოველთვის ზის და მელოდება.

**— ამჟამად, შენი გული თავისუფალია?**

— კი, მაინც თავისუფალია. ვეძებ, ვეძებ!..

**— ცოლს ქართული ტრადიციული წესების დაცვით მოიყვან თუ?..**

— ზუსტად ვერ გეტყვით, კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ მოვიქცევი. შესაძლებელია, ტრადიციული წესები არ დავიცვა ანუ არ მივიდე ოჯახში, გოგოს მშობლებთან და მათ ოფიციალურად მისი ხელი არ ვთხოვო. იმ შემთხვევაში, როცა მშობლებმა გოგოს მხრიდანაც და ბიჭის მხრიდანაც იციან, რომ მათი შვილები ერთმანეთს ხვდებიან, ერთმანეთი უყვართ, ზედმეტი ოფიციალობა საჭირო აღარ არის.


**მზითევს და მის ქონებას ყურადღებას არ მივაქცევ**

**— თუ წარმოგიდგენია, როგორი იქნება შენი ქორწილი?**

— ასეთ რაღაცაზე არასდროს მიფიქრია, ალბათ იმიტომ, რომ ჯერჯერობით, რჩეული არ მყავს. როცა ვიპოვი იმ ადამიანს, რომელიც ჩემს გულს დაიპყრობს, ამ ყველაფერზე მაშინ ვიფიქრებ. ისე, დიდი სურვილი მაქვს, რამდენიმე დღე ოკეანეში იახტაზე გავატარო ჩემს რჩეულთან ერთად.

**— განათხოვარ გოგოს ცოლად მოიყვან?**

— თუკი შემიყვარდება, ამას ყურადღებას ნამდვილად არ მივაქცევ. მთავარია, გიყვარდეს ის ადამიანი, ვინც შენ გვერდით უნდა იყოს. თუკი რაღაცის გამო, სიყვარულზე უარს იტყვი, შეიძლება, მეორედ ვეღარც შეიყვარო და მთელი ცხოვრება დაიტანჯო. ამიტომ ვფიქრობ, რომ სიყვარულზე უარი არ უნდა თქვა. ძნელია იცხოვრო იმ ადამიანთან, რომელიც არ გიყვარს, ცოლად მხოლოდ იმის გამო შეირთო, რომ ტრადიციებს ვერ უღალატე, მშობლებს გული არ ატკინე და ა.შ.

**— ცოლს რომ მოიყვან, ცალკე ცხოვრებას აპირებ?**

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ცალკე ვიცხოვროთ. ვნახოთ, რა იქნება.

**— მომავალი ცოლის მზითევზე რას იტყვი?**

— (*იცინის*) მზითევს და მის ქონებას ყურადღებას არ მივაქცევ, მთავარია, მიყვარდეს და ჩემ გვერდით იყოს.

**— თაყვანისმცემლები გაწუხებენ?**

— ოო!.. კი, უკვე მაწუხებენ, ამიტომ შეიძლება, მობილურის ნომერი შევცვალო...

**— რა მავნე ჩვევები გაქვს?**

— 4 წელია, სიგარეტს ვეწევი. ძალიან მიყვარს ავტომობილის დიდი სიჩქარით ტარება. ვიცი, რომ ცუდია, მაგრამ...

**— პლანი მოგიწევია?**

— მხოლოდ ერთხელ.

**— გოგოს გამო თუ გიჩხუბია?**

— კი, როგორ არა?! ოღონდ, სიყვარულის გამო არა — უბრალოდ, რაღაც მომენტში, ქალის პოზიცია დამიცავს და მეტი არაფერი.

**— ირაკლი, „ჯეობარმა“ რა მოგიტანა?**

— მოდი, ამ კითხვაზე ერთი სიტყვით გიპასუხებ: ყველაფერი.

*ახლა კი ირაკლის თაყვანისმცემლების მიერ გამოგზავნილ კითხვებსა და მის პასუხებს გაგაცნობთ:*

**კესო:**

„იკა, ჩემო ძვირფასო, არ გინდა, შენი კვადროციკლი მაჩუქო? იცი, რა საყვარელი გოგო ვარ?“

— *კესო, ძვირფასო, შენით დიდად მოვიხიბლე. რაც შეეხება კვადროციკლის ჩუქებას, ჯერ მოვიფიქრებ — როდის და სად გადმოგცე, საზეიმო ვითარებაში... ჰოდა, მერე აუცილებლად დაგიკავშირდები.*

**თიკო, 16 წლის:**

„გამარჯობა, ირაკლი. გულით მინდა, გაგიცნო. საქართველოში არ ვცხოვრობ, მაგრამ პრობლემა არ არის, მალე ჩამოვალ. მიპასუხე, გთხოვ, შეიძლება ერთმანეთი გავიცნოთ?“

— *შეიძლება, როგორ არ შეიძლება?! იმედი მაქვს, კარგი გოგო ხარ.*

**კესო:**

„ირაკლი, სვანური პლანი მოგიწევია?“

— *სვანეთი ძალიან მომწონს, მაგრამ სვანური პლანი ნამდვილად არ მომიწევია.*

**ქეთუსია:**

„იკა, მაინტერესებს, როკს თუ უსმენ? შენი საყვარელი ფერია — ქეთუსია“.

— *სიმართლე გითხრა, ხშირად არა, მაგრამ ხანდახან ვუსმენ. გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.*

**უცნობი:**

„ირაკლი, შენი ავტოგრაფი მინდა, როგორ მოვახერხო? დამეხმარები?“

— *დაგეხმარები, ძვირფასო — შეგიძლია, სახლში მესტუმრო ან მესიჯით გამოგიგზავნი, პრობლემა არ არის.*

**უცნობი, 20 წლის:**

„მარხულიას ბიჭო! ურთიერთობაში რაღაც ზედაპირული მეჩვენები, შენს სამყაროში ხარ ჩაკეტილი?“

— *პირველ რიგში, გეტყვი, რომ სახელი მაქვს, „მარხულიას ბიჭო“ რა მომართვაა? მეორე: ძალიან ცდები — არც ზედაპირული ურთიერთობა მჩვევია და არც საკუთარ თავში ვარ ჩაკეტილი. ასე რომ...*

**მაკუნია, სენაკიდან:**

„ირაკლი, მაინტერესებს, სენაკში ვინმეს თუ იცნობ?“

— *მაკუნია, სენაკში ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს.*

**უცნობი:**

„ირაკლი, სად შეიძლება შენი გაცნობა? ამ ზაფხულს ქობულეთში წახვალ?“

— *ჩემი გაცნობა სად ან როგორ შეიძლება, ამას ვერ გეტყვი. დასასვენებლად ქობულეთში ან ბათუმში ნამდვილად წავალ.*

**ხატია:**

„ირაკლი, მაინტერესებს, სიმღერის ნიჭი თუ გაქვს. ვფიქრობ, რომ ამ სფეროში მაგრად გაქაჩავდი“.

— *გენაცვალოს ირაკლი ძია, ამ საკითხზე ნამდვილად არ მიფიქრია. ისე, მეუბნებიან, რომ ხმაც კარგი მაქვს და სმენაც. რა ვიცი, აბა. „ტაია-ტაიას“ კი კარგად ვმღერი და...*

**უცნობი:**

„ირაკლი, ცოლად არაქალიშვილ გოგოს შეირთავდი?“

— *მნიშვნელობა არა აქვს, ქალიშვილი იქნება თუ არა. მთავარი, ჩემო კარგო, სიყვარულია.*

**ლიკა:**

„იკა, მაინტერესებს, ბინა თუ იყიდე?“

— *ჯერჯერობით, არა.*

**ლევანი-91:**

„ირაკლი, „ჯეობარიდან“ გამოსვლის შემდეგ, სამსახური არ შემოგთავაზეს?“

— *ძალიან ბევრი შემოთავაზება მივიღე, მაგრამ ჯერჯერობით, გადაწყვეტილება არ მიმიღია, რომელ მათგანს ავირჩევ.*

**თამო:**

„ირაკლი, რომელ „ჯეობარელთან“ მეგობრობ?“

— *თითქმის ყველასთან. განსაკუთრებული ურთიერთობა არც ერთთან არ მაქვს.*

**უცნობი:**

„მთელი „ჯეობარის“ მსვლელობის დროს გაკვირდებოდი და მივხვდი, რომ ძალიან ნებისყოფიანი ადამიანი ხარ. როგორ ახერხებ ამას?“

— *როგორ ვახერხებ, არ ვიცი, უბრალოდ, დაბადებიდან ასეთი ვარ. ბოლომდე შემიძლია, ადამიანს მოვუთმინო. უცებ აფეთქება არ მჩვევია.*

*P.S. მაშ ასე, ირაკლის ინტერვიუს გაეცანით და ახლა ჯერი თქვენზეა — დაუმესიჯეთ ირაკლის, გაუზიარეთ თქვენი შეხედულებები. მე კი, პირობას გაძლევთ, რომ ყველა საინტერესო მესიჯს გამოვაქვეყნებ, ხოლო თუ ირაკლი რომელიმე მათგანის ავტორით დაინტერესდება, დაგეკონტაქტებით. მესიჯებს ველი ნომერზე: 8.98.23.09.21* ■



**ცოტა ხნის წინ, მოდის სახლმა „ლიზი ექსკლუზივმა“ საზოგადოებას შემოდგომა-ზამთრის კოლექცია წარმოუდგინა. ტრადიციული ჩვენებებისგან განსხვავებით, საღამოს პანტომიმის თეატრის მსახიობები ამშვენებდნენ, — პლასტიკითა და მიმიკით, პოდიუმზე გამოსული გოგონების მიმართ სიმპათიას გამოხატავდნენ... რას სთავაზობს მოდელების სახლი საზოგადოებას, რა გეგმები აქვს სამომავლოდ სახლს და როგორ გავხდეთ მოდურები, ამის შესახებ დიზაინერი თამუნა შამათავა ისაუბრებს.**

## „წელის ხაზი ოდნავ მაღლა ავიდა, მკერდის ხაზი კი, შედარებით გამოიკვეთა“

*სოფო ჭონიშვილი*

— **თქვენს ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო რომანტიკულ-კლასიკური სტილის სამოსი...**

— რომანტიკული სტილი ხაზს უსვამს ქალის სილამაზეს, სინაზეს, ეფექტურობას. ეს სტილი, კლასიკურისგან განსხვავებით, უფრო თამამი და თავისუფალია. ასეთი სტილის კოსტიუმებს წვეულებებზე იცვამენ. რომანტიკული სტილი, დიზაინერს იმის საშუალებას აძლევს, რომ ბოლომდე გამოიყენოს და ჩადოს კოსტიუმში ის ფანტაზია, რომელიც მისი შექმნის დროს უჩნდება. რაც შეეხება კლასიკურ სტილს, ის უფრო მკაცრი და სოლიდურია. თუ რომანტიკულ სტილში შეგვიძლია, მაქმანები, „რუშები“, ჟაბოები გამოვიყენოთ, კლასიკურში ეს დაუშვებელია. XV საუკუნეში, როცა რომანტიკული სტილის სამოსი შეიქმნა, მოდის მიმდევარი ქალბატონები ფაიფურის თოჯინას შეადარეს.

— **როგორია მკაცრი კლასიკური სტილი?**

— კლასიკური სტილში, მიდი-ქვედაბოლოები და რაც შეიძლება ნაკლებად დეკოლტირებული ზედა სამოსი იგულისხმება.

— **თქვენს კოლექციაში შავი ფერის სამოსი ჭარბობს, რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ ქართველებს შავი ფერი განსაკუთრებით გვიყვარს, ამასთან, შავი — სოლიდური და ელეგანტურია.

— **კოსტიუმებში თექას ხშირად იყენებთ.**

— დიახ, წელს, ისევე როგორც შარშან, თექა აქტუალურია. თექისგან ძირითადად პალტოს ვქმნი, რომელიც ნატურალური ბეწვითა და ნაქარგებითაა გაფორმებული.

— **კოსტიუმების შესაქმნელად ქსოვილებს თბილისში ყიდულობთ თუ საიდანმე ჩამოგაქვთ?**

— ქსოვილები ძირითადად, სტამბოლიდან ჩამომაქვს. კოლექციაში ძირითადად, ხავერდი, ტაფტა, აბრეშუმი და დეკორატიული თექაა გამოყენებული.

— **როგორც ვიცი, თავადაც კარგად ქარგავთ.**

— ბავშვობიდან ვქარგავ. როცა ახალ სამოსს ვიძენდი, ყოველთვის ვცდილობდი, რაღაც ჩემებურად გადამეკეთებინა, მასზე სხვადასხვანაირ ორნამენტს ვაქარგავდი. კოლექციაში ბევრი ხელით ნაქარგი კოსტიუმი მაქვს.

— **მოდი, წლევანდელი მოდის ტენდენციებზე ვისაუბროთ.**

— წელს სპორტული სტილი ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის და განსაკუთრებულ ადგილს კლასიკურ-რომანტიკული იკავებს: წელის ხაზი ოდნავ მაღლა ავიდა, მკერდის ხაზი კი, შედარებით გამოიკვეთა. მოდაშია არა ავანგარდული და სპორტული, არამედ მკაცრი, კლასიკური სტილი.

— **როგორც ვიცი, აქსესუარებსაც თავად ქმნით, ასეა?**

— დიახ, აქსესუარებს თვითონ ვქმნი, იმის მიხედვით, თუ რომელ კოსტიუმს როგორი სტილის სამკაული მოუხდება. მოდაში ისევე რჩება მასიური აქსესუარები, დიდი ზომის ჩანთები, ბისერებითა და ნაქარგებით გაწყობილი. რაც შეეხება ქუდებს — მოდაშია, შლაპის ტიპის ქუდები, ოღონდ — დაბალი პანამით.

— **ქამრებზე რას გვეტყვით?**

— წელს აქტუალურია ბეწვის ქამრები, ბისერებითა და ნაქარგებით გაფორმებული. ასევე მოდაშია დიდი ტყავის ქამრებიც.

— **ძირითადად, ვინ არიან თქვენი შექმნილი ტანსაცმლის მომხმარებლები?**

— ჩემი კლიენტები ის ადამიანები არიან, ვინც კარგად მიცნობს და ამასთან, ჩემი შესაძლებლობებიც იცის.

— **პრეტენზიული კლიენტები გყავთ?**

— ყველა ადამიანი ინდივიდუალურია. არსებობენ იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან, თუ რა უნდათ. არიან ისეთებიც, რომლებმაც არ იციან, რა უნდათ და ამასთანავე, არც შენ გენდობიან. ამ დროს, დიდი ენერგიიის ხარჯვა მიწევს, წინასწარ ვცდილობ, დავანახვო, რა გამოვა და როგორი იქნება.

— **საქართველოში დიზაინერები მომრავლდნენ. კონკურენციას გრძნობთ?**

— ვფიქრობ ეს, მისასალმებელია. მთავარია, მათ დროს გაუძლონ. საბოლოოდ, დარჩება ის, ვინც დამსახურებულ ადგილს დაიკავებს. და თუ ამ გადარჩევის პროცესს გავუძლებ, მივიჩნევ, რომ დიზაინერი ვარ.

— **უახლოეს მომავალში კიდევ აპირებთ ჩვენების მოწყობას?**

— უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა საგაზაფხულო კოლექციაზე. შესაბამისად, ჩვენებასაც გაზაფხულზე ვგეგმავთ.

■







# ყვავილების ვალსი – მიანიჭეთ საყვარელ ადამიანს სიხარული



**დაბადების დღის, ქორწილის მისალოცად, რომანტიკული პაემნის მოსაწყობად ან უბრალოდ, ემოციისა და გრძნობების — სიყვარული, სიხარული, ცრემლები, მწუხარება — გამოსახატავად ყვავილების თაიგული გამოგადგებათ.**

## ენიჭება თუ არა მნიშვნელობა ყვავილების შერჩევას?

ზოგიერთი მამაკაცი ყვავილების მაღაზიაში შეირბენს და პირველსავე თაიგულს, რომელიც ხელში მოხვდება, ყიდულობს. ასე არ მოიქცეთ, რადგან შესაძლოა, ამით საყვარელი ადამიანის გული ვერ მოიგოთ. უპირველეს ყოვლისა, გაიხსენეთ, რას აღნიშნავთ და ბოლომდე მიენდეთ საკუთარ გემოვნებას. თუ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებთ, მაშინ ყურადღება გამყიდველის რჩევას მიაქციეთ.

პირველი კრიტერიუმი თაიგულის შერჩევისას არის ის, რომ ყვავილები ახალი დაკრეფილი იყოს. არ ღირს ისეთი თაიგულის ყიდვა, რომელიც 2 ან 3 დღის წინ არის შეკრული — ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ წინდაუხედავად მოიქეცით ან საყვარელ ადამიანს შესაბამისად ვერ აფასებთ, რადგან ასეთი ყვავილები ერთ დღესაც ვერ გასტანს, დაჭკნება და მისგან მიღებული სიამოვნებაც უმალვე დავიწყებას მიეცემა.

## როგორ შევამოწმოთ, თაიგულში ცოცხალი ყვავილებია თუ არა?

ყვავილების მწვანე ფოთლებს და მის ფერად გვირგვინს ყავისფერი ლაქები არ უნდა ჰქონდეს. თუ ვარდის თაიგულს ყიდულობთ, დაიმახსოვრეთ: ფურცლებს არ უნდა ჰქონდეს ჩამომჭკნარი გვერდები, არ უნდა იყოს ზედმეტად გაშლილი, რადგან ეს ყვავილების სიბერის მიმანიშნებელია. სასურველია, რომ ვარდს პირველი ფურცლები ანუ ე.წ. სამოსი არ ჰქონდეს შემოცლილი. თუ ის ახალი დაკრეფილია, მაშინ ამის აუცილებლობა არ არის, მაგრამ ზოგიერთი გამყიდველი ცდილობს, თაიგულის ვიზუალური ეფექტის გახანგრძლივებას და ამის გამო, ყვავილს არა მარტო სამოსს, არამედ მომდევნო ფურცლებსაც (რომლებიც ჭკობას იწყებს) აცლის.

## რომელი და რამდენი ყვავილი მივართვათ საყვარელ ადამიანს?

როგორც ამბობენ, ყვავილების რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ თაიგულში 3, 5, 7, 9 ან 11 ყვავილია, ამით შეგიძლიათ თამამად გამოხატოთ მწუხარება ვიღაცის ან რაღაცის მიმართ, ხოლო თუ თქვენ პაემანზე ან სამხიარულო სუფრაზე მიდიხართ, ჯობია, ისეთი თაიგული შეიძინოთ, რომელშიც 2, 4, 6, 8, 20 და ა.შ. ყვავილი იქნება შეკრული... თუმცა, ჩვენ მაინც არ ვიცავთ ამ უძველეს წესს და არა მგონია, ვინმე იმას აქცევდეს ყურადღებას, თუ რამდენი ყვავილი მიართვეს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უყურადღებობის გამო არავინ დაგიჭერთ, ვფიქრობ, ამის გაკეთება მაინც ღირს (თქვენ მისი მშობლები და ბებია-ბაბუები უფრო შეგიყვარებენ).

ყვავილების თაიგულის შერჩევისას ბევრი იბნევა და საყვარელი ადამიანისთვის ყიდულობს ქოთნის ყვავილს. დაიმახსოვრეთ: ასეთი ყვავილი შეიძლება აჩუქოთ ძალიან ახლობელს, მეგობარს, ნათესავს, მას, ვისაც ოთახის ყვავილი ნამდვილად უყვარს...

ტაქტიანი მამაკაცი ყოველთვის ითვალისწინებს იმას, თუ ვის როგორი ყვავილი უნდა მიართვას. მაგალითად, ვარდი შეიძლება მიართვათ საყვარელ ადამიანს. ალბათ გაგიგონიათ, რომ წითელი ვარდი სიყვარულის სიმბოლოა, თეთრი — მეგობრობის, ყვითელს კი მოვალეობის მიზნით უძღვნიანო. სინამდვილეში, ასე არ არის. ნუ დაავიწყდება, რომ ყვითელი ფერი მზისა და სიხარულის ნიშანია. ყვითელი ყვავილის მირთმევა ყურადღებასა და პატივისცემას გამოხატავს.

## რისი მირთმევა არ შეიძლება?

მაგალითად, ეტიკეტი არ გაძლევთ უფლებას, მოზარდ გოგონას ან გათხოვილ ქალბატონს გაუგზავნოთ წითელი ვარდი — ვნების სიმბოლო, ხოლო ნათესავს — შერეული ყვავილების თაიგული. ასევე, ახალგაზრდებს არ უნდა აჩუქოთ მიხაკი.

თაიგულის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ მთავარია, არა მარტო ყვავილების სახეობა, არამედ, მათი შეფერილობაც. მაგალითად, ვარდისფერი — სიყვარულის სიმბოლოა, წითელი — ცეცხლის და ვნების, მწვანე — ნდობის, ცისფერი — იმედის, ლურჯი — იმედის და ნდობის ერთად და ა.შ.

ყვავილების მიძღვნა შეგიძლიათ (და ეს საჭიროცაა) წლის ნებისმიერ დროს, დღისით თუ ღამით ნებისმიერი საბაბით. ყვავილები შეგიძლიათ მიუძღვნათ მაშინაც, თუ გინდათ, რომ ადამიანს განწყობილება აუმაღლოთ და ასიამოვნოთ. მაგრამ თუ თქვენ საყვარელ ადამიანს მხოლოდ დაბადების დღეზე უძღვნით ყვავილებს, ეს უყურადღებობისა და მისდამი უპატივცემულობის ნიშანია.

აქციეთ ერთი უბრალო დღე ჯადოსნურ ზღაპრად, საყვარელ ადამიანს ბედნიერება მიანიჭეთ, აჩუქეთ მას ყვავილები! ■

## ქათამი თაფლით, ვარდისფერი მურაბით და თხილით

**მოსამზადებლად საჭიროა:** ქათამი, რომელიც დაახლოებით 1 კგ-ს იწონის, 2 ს/კ თაფლი, 2 ს/კ კარაქი, 1 ჩ/კ ვარდისფერი მურაბა, 1 ს/კ წვრილად დაფქული მიწის თხილი, 1 ს/კ კოჭა (იგივე, ჯანჯაფილი).

**მომზადების წესი:** გამდნარ კარაქში აურიეთ თაფლი. ამ მასის ნახევარზე მეტი შპრიცის დახმარებით ქათმის მკერდსა და ბარკლებში შეიყვანეთ. მურაბა, მიწის თხილი და კოჭა აურიეთ ერთმანეთში და ქათამს ზემოდან წაუსვით. შემდეგ კი, შეწვით ჰაერღუმელში. ■





M K

## ტვინების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა არის ბჟა?

2. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის კასრშია...“?

3. ამ მავნე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა.

4. სიცილიაში მოგზაურობის დროს კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუხუნითა და გრიალით გულგახეთქილს, მესანიდან არ მოუწია გაქცევამ. რა მოხდა იმ ღამეს?

5. დაასახელეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომლის დედაც უელსის პრინცის საყვარელი იყო.

6. რა არის აგალმატოფილია?

7. ეს მხატვარი მექანიკას მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს ეძახდა.

8. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც საკუთარ სხეულზე ორჯერ უფრო გრძელი ენა აქვს.

9. მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება (საბჭოთა კავშირის დაშლის წინ) უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ამ მომღერალ ქალს მიანიჭა. დაასახელეთ იგი.

10. „შეუპოვრობით სავსე მზერა მაკედონელის, ლისიპემ სპილენძს შეადუღა. ცოცხლობს ბრინჯაო. ასე გგონია, ზევსს უყურებს, ამბობს ქანდაკი: გქონდეს ოლიმპო, დედამიწის მე ვარ მფლობელი“, — წერდა ასკლეპიადე სამოსელი. ვინ იყო ლისიპე?

11. „იგი უნდა წაიყვანოს კონსტებლ უილიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც უნდა გადაიყვანონ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე ჩამოკიდონ, სანამ სანახევროდ არ მოკვდება, შემდეგ თოკი გადაჭრან, სასქესო ორგანოები მოჰკვეთონ, მუცელი გაუფატრონ, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნეულობა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და მისი სხეულის ოთხი ნაწილი დაკიდონ ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი გამოკიდონ ლონდონის ხიდზე,“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ამ ინგლისელ განმანათლებელს. მოგვიანებით მეფემ სასჯელი შეამსუბუქა და ბრძანა, დამნაშავისთვის მხოლოდ თავი მოეკვეთათ. დაასახელეთ იგი.

12. ცნობილია, რომ ვიღაც ქალმა სოკრატეს ნარეცხი წყალი გადაასხა თავზე. რისი გულისთვის?

13. ეს ფრინველი ჩინელ ზოოფილთა „სისუსტე“ გახლდათ. სექსუალური აქტის დროს, მას ერთი დაკვრით აგდებინებდნენ თავს, რათა მოფართხალე ფრინველისგან მეტი სიამოვნება მიეღოთ.

# ანეკდოტები

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ერთი წუთით მეზობელთან გადავალ, გაზქურაზე ლობიოს ვტოვებ, იხარშება და ყოველ ნახევარ საათში წყალი ჩაამატე.

***

მოსაზრება: დაიბადოს მუნჯი — ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა ქალისათვის.

***

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტარიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კაუჩუკის ხის წვენში ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

***

პატარა ინდიელი ეკითხება დედას:

— დედი, რატომ ეძახი ჩემს დას ამომავალ მზეს?

— იმიტომ, რომ მზის ამოსვლისას ჩაისახა.

— აბა, ჩემს ძმას რატომ ეძახი ცისფერ ყვავილს?

— იმიტომ, რომ მინდორში, ყვავილებში ჩაისახა. დღეს რაღაც ძალიან ბევრ შეკითხვას იძლევი, გახვრეტილო რეზინავ!

***

ნარკუშა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:

— რუსთაველზე გამიყვანე.

— რუსთაველზე ვართ, — უთხრა მძღოლმა.

— ვააა!.. აჰა შენ ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

***

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე კაკუნია. მიხო ნამძინარევი ხმით კითხულობს:

— რომელი ხარ?

— ჟან კლოდ ვან დამი.

— აბა, დავაი აქედან, თორე გამოვალ და ოთხივეს თავყბას დაგისიებთ.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:

— გუშინ მეზობელ კაცს დავნებდი.

— სიყვარულით?!

— ჰო, აბა, 100 დოლარი რა ფულია?!

***

ორგანული ქიმიის მთავარი კანონი: თუ 1 კილოგრამ მურაბას და 1 კილოგრამ ნეხვს შევურევთ, მივიღებთ 2 კილოგრამ ნეხვს.

***

ქალის ლოცვა:

— ღმერთო, მომეცი სიბრძნე, რათა მამაკაცს გავუგო, სიყვარული — რათა ვაპატიო და მოთმინება — რათა მის ხუშტურებს გავუძლო. ძალას კი არ გთხოვ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება!

***

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანაწერი:

— ძვირფასო მგზავრებო! გთხოვთ, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანალში. ამ უხერხულობისათვის წინასწარ გიხდით ბოდიშს, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ, გვამების გარჩევისას ძალიან გავწვალდით.

***

— ბუძგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?

— კი.

— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

***

— მოშე, რატომ ხარ მოწყენილი?

— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

***

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი ამბობს:

— აბა, ბავშვებო, ამოიღეთ სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები. დღეს უნდა დავხატოთ ცხენი. ჩვენი ქეთინო კი შეეცდება, გაუნძრევლად იჯდეს.

***

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ეს-

— ათასი ლარი.
— არა, ძმაო, მაგდენი არა მაქვს!
— მაშინ ფიჭვისა წაიღე, სულ 500 ლარია.
— არც მაგდენი მაქვს.
— მაინც, რამდენი გაქვს?
— ორმოცდაათი ლარი.
— ორმოცდაათ ლარად, ჩემო შალიკია, აგერ ოთხ ცალ „რუჩკას“ მოგყიდი. გოუკეთე შენს სიდედრს აქეთ-იქიდან და ისე გაასვენე.

***

სვანი ეკლესიაში შევიდა. მესანთლე სანთელს აწვდის.



— არ მინდა სანთელი, ფარანი მაქვს.

***

სვანი ქალაქში ჩავიდა. დაინახა შუქნიშანი, რომელიც ძალიან მოეწონა, ამოთხარა, სოფელში წაიღო და მიწაში დაარჭო. ხედავს, არ ანათებს:
— რა უბედურებაა, არაფერი ხარობს ჩვენს მიწაში, კაცოო!

***

სვანი მთვრალი ბრუნდება სახლში, სარკეში იხედება და იწყებს ჩხუბს:
— ეს შენა ხარ, ჩემს ცოლთან რომ დადიხარ ყოველდღე?! — და მუშტს ურტყამს სარკეს. სარკე იმტვრევა, სვანი კი აგრძელებს, — ახლა აკრიფე შენი დამსხვრეული სათვალეები და მოუსვი აქედან.

***

სვანი მივიდა აფთიაქში:
— ბუასილის სანთლები გაქვთ?
— კი, გვაქვს.
— შანდლები?

***

— რა არის, კაცო, ეს წყალწყალა სოუსი რომ მომიტანე?!
— უკაცრავად, ბატონო, სამზარეულოს სახურავია დაზიანებული.

***

მიხო ბირჟაზე ზის. ცოტა მოშორებით ორი ავტოინსპექტორი მანქანებს აჩერებს. გადის დრო, ინსპექტორებთან ახალთახალი „მერსედესი“ ჩერდება, იქიდან გადმოდის ოთხი მუტრუკი, სულ წიხლებით სცემენ პოლიციელებს, მერე სხდებიან მანქანაში და გზას აგრძელებენ. ნაცემ-ნაბეგვი ერთ-ერთი პოლიციელი ძლივძლივობით სწევს თავს და მიხოს ეკითხება:
— ნომერი, ნომერი თუ დაინახე?!
— კი, ძმაო, როგორ არა!.. ეგეთი ნომერი ცირკშიც არ მინახავს!..

***

მიხოს ცოლს მეთერთმეტე შვილი შეეძინა. ექიმი ეუბნება:
— შენთვის მეტი მშობიარობა აღარ შეიძლება, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები უნდა იხმარო.
— აბა, რას მეუბნები, ექიმო, ბავშვებს ხომ ღმერთი გვაძლევს, როგორ შეიძლება ამაზე უარის თქმა?!
— შე ქალო, წვიმასაც ღმერთი გვიგზავნის, მაგრამ ქოლგას ხომ ხმარობ?!

***

— მიხო, გაიგე, ჩვენი გუნდის თავდამსხმელს თავის მოკვლა რომ უნდოდა?
— მერე, რა ქნა?
— როგორც ყოველთვის, ააცილა.

***

— რას უჩივით? — ეკითხება ექიმი პაციენტს.
— თავად ვერ ხვდებით?
— თქვენ ვეტერინარს უნდა მიმართოთ, მხოლოდ მას შეუძლია, შეკითხვების გარეშე დიაგნოზის დასმა.

***

სვანმა სტუდენტმა ქალი დაითრია და სახლში აიყვანა. მოკლედ, ერთ ამბავში არიან. ბოლოს, ქალი ეკითხება:
— ჰა, რა ქენი, მორჩი?
— არა, ჯერ მეოთხე კურსზე ვარ!

***

სვანი ძილის წინ ცოლს ეუბნება:
— გვერდით ორი ჭიქა დამიდგი, ერთი წყლით სავსე, მეორე კი — ცარიელი.
— რად გინდა?
— ღამე შეიძლება, წყალი მომწყურდეს.
— ცარიელი ჭიქა რაღად გინდა?
— ხომ შეიძლება, არ მომწყურდეს!

## ცოდნის სამჭედლო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ემელიანე პუგაჩოვი.
2. „...იციან“.
3. იაკობ გოგებაშვილი.
4. ეს ქალაქია ათენი.
5. ნატო ვაჩნაძე.
6. „აქებდეთ ღმერთსა!“
7. მკვდარი ზღვა.
8. ლიტერატურის დარგში.
9. ილიკო ჩიგოგიძე და ილარიონ შევარდნაძე.
10. მაუგლი იფიცებდა ბაგირას მიერ მოკლულ ხარს, რომლითაც შავმა ავაზამ პატარაობაში მისი სი-ცოცხლე გამოისყიდა.
11. დაბლიშვილი.
12. „...მე კი ფეხით დავდივარ!“
13. მოსამართლე დათანხმდა, მაგრამ დაიმუქრა, მთელ სექტას ჩამოვახრჩობ, თუკი ჯვარზე გაკრული სამ დღეში მკვდრეთით არ აღდგებაო.



უკომენტაროდ




დასაწყისი იხ. „გზა“, №3

## გაგა ვაჩნაძე

რეზი ადგა. თავი უსკდებოდა. რა შხამი დავლიე, ნეტავო? — ფიქრობდა. მაცივრიდან წინა ღამეს გადანახული ლუდის ბოთლი გამოიღო. გინდაო? — ტკუცასაც შესთავაზა, მაგრამ იმან იუარა: ლუდი უშველის ახლა ჩემს გაჭირვებასო?!.

— შენ რა, ხუთას ლარს მისტირი? — გაუკვირდა რეზის.

— შენ გგონია, მარტო ხუთასი ლარი დავკარგე?! — შეუბრუნა კითხვა ტკუცამ. — ვინლა დამსვამს საჭესთან?

— შენ, ბიჭო, სანთელი დაანთე, რომ არ ჩაგიშვას ვინმემ! რას მიქარავ! რა საჭე, რის საჭე! ვერა ხარ, შენ, ხომ იცი! — საფეთქელთან მიიდო თითი რეზიმ.

— რა ხდება, ბიჭებო? — სამზარეულოში მთქნარებით შემოიხედა, მათ ლაპარაკზე გაღვიძებულმა ნელიკომ.

— რას წამოხტი? წადი, დაიძინე! — გაუწყრა ცოლს რეზი.

— რამე მოხდა, ტკუცა? — მიაჩერდა სტუმარს, ცუდი წინათგრძნობის მოლოდინში ნელიკო.

ტკუცამ რეზის შეხედა. რეზიმ წარბის აწევით ანიშნა, არაფერი თქვაო და ტკუცამაც მოკეტა. ნელიკო შემოვიდა და სკამზე დაჯდა. ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს.

— მითხარით, რა მოხდა! — ბრძანებაში ხვეწნაც გაურია ნელიკომ.

— არაფერი-მეთქი, ხომ გითხარი! წადი, რა, დაიძინე! — გაუმეორა რეზიმ. მაგრამ ნელიკო დასვენებას აღარ აპირებდა.

— სანამ ყველაფერი ისევ ხუხულასავით თავზე დამენგრევა, მინდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს თავს... — თქვა მან და რეზის სიგარეტის კოლოფიდან ღერი ამოაძრო. ტკუცამ კი, კაი კავალერივით, სანთებელა მოუმარჯვა. მისი მოძრაობა რეზის არ გამოჰპარვია. ამას ყველაფერი ცალ ფეხზე ჰკიდიაო, გაიფიქრა.

— რატომ არ მეუბნები? მტერი ხომ არა ვარ, ბიჭო, შენი?! — ისევ ქმარს ჩააცივდა ნელიკო. — როგორ, დილაუთენია, ეს კაცი უმიზეზოდ დაგვეცა თავს?

— რა ქალის საქმეა, კაცი კაცთან რატომ მიდის დილაადრიან, ვერ გაიგე! — აყვირდა რეზი.

— შენ ცოტა ტონს დაუწიე, გაიგე?! ჩემი საკუთარი სახლის ბედი დევს სასწორზე და მე არ უნდა ვიცოდე, რა მოხდა? ისეთი სიფათები გაქვთ, დაძმარებული... — აღარ დაამთავრა ნელიკომ.

— არაფერი არ მოხდა, ყველაფერი კარგად არის... — თავს ძალა დაატანა რეზიმ და წამოდგა. — მოდი, წავიდეთ მე და შენ, ტკუცა, თორემ ეს ქალი აქ არ დაგვალაპარაკებს... — ჩაიბურტყუნა რეზიმ, სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიტენა და კარი გამოაღო.

ნელიკო, რომელიც აქამდე, ასე თუ ისე, მშვიდად ლაპარაკობდა, ახლა მთლად გამოვიდა წონასწორობიდან — წამოხტა, ქმართან გაჩნდა, მკლავზე სწვდა და მოაბრუნა.

— არ მეტყვი, რა მოხდა? ხომ მაინც უნდა გავიგო, არა?! ხომ ვიცი, რომ ჩემი გადასარჩენი უნდა იყო, ბოლოს, მაინც!.. — თვალებში უყურებდა საბოლოოდ წამხდარ ქმარს ნელიკო.

— გაიგებ და გაიგე... რას იმუქრები? ბიჭოს! — ხელი აუქნია, გააშვებინა ცოლს და ტკუცას მიმართა: — წავიდეთ, სანამ ხორცებს გამომაგლეჯს ეს ჩემისა, გამოადგი, რა, ფეხი, დაჰიპნოზებული ხარ, თუ რა არის, ტო! — პარტნიორზე ამოიღო ბოლმა და კაცები გავიდნენ.

ნელიკოს სისხლი თავში აუვარდა, ყელის ძარღვები კი დასკდომამდე დაჰბერვოდა. პირი გამშრალი ჰქონდა. სკამზე დაჯდა, ღრმა, გრძელი ნაფაზი დაარტყა და თავი ხელებში ჩარგო.

— დედა, რა მოხდა? — იკითხა ცარიელ ტრუსში სამზარეულოს კართან ასვეტილმა სანდრომ.

— მოდი ჩემთან, — ხელით ანიშნა ნამძინარევ შვილს ნელიკომ და სიგარეტი საფერფლეში ნერვიულად ჩასრისა. ბავშვი მივიდა და კალთაში ჩაუჯდა. სანდრო 7 წლის იყო, პირველ კლასში სწავლობდა.

— რატომ გაიღვიძე? დღეს ხომ კვირაა, გძინებოდა კიდევ... — თავზე ხელი გადაუსვა შვილს დედამ.

— შენმა ყვირილმა გამაღვიძა, — უსაყვედურა სანდრომ.

დედამ მხარზე, ყელთან დაადო თავი შვილს. სანდრომ მკერდზე სისველე იგრძნო და მიხვდა, რომ დედა უხმოდ ტიროდა. ეს უკვე მერამდენედ!..

— ნუ ტირი, დე, ტირილით ვერაფერს უშველი... — დიდი კაცივით ჩაილაპარაკა სანდრომ.

ნელიკომ თვალები შეიმშრალა. ყელთან ბურთი მოადგა, რაღაც მაინც ახრჩობდა. „ესენი, ჩვენხელები, ღრმა მოხუცებულები იქნებიან, ალბათ...“ — გაიფიქრა და შვილი ჩამოსვა.

— წადი, პირი დაიბანე. ჩაის დაგალევინებ. ოღონდ, ჯერ ტელევიზორი ჩამირთე!

სანდრომ ტელევიზორის ღილაკს თითი მიაჭირა და სამზარეულოდან გავიდა. ეკრანზე ახალი ამბების გამოშვება მიდიოდა.

— გუშინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა გორი-მცხეთის ტრასის მონაკვეთზე... — სერიოზული სახით ამცნობდა საზოგადოებას დიქტორი. — ერთმანეთს შეასკდა ჯიპი და „მერსედესის“ მარკის ავტომობილი. ორივე მანქანაში მსხდომი ექვსივე ადამიანი დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ ავტოავარია გამოიწვია გადაჭარბებულმა სისწრაფემ, რომლითაც ორივე ავტომობილი მოძრაობდა. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ავარიის მიზეზი, ტრასიდან გადასული და ამობრუნებული, რუსული წარმოების უნომრო „კრაზიც“ იყო, რომლის ძარაც უკანონოდ მოჭრილი, გასაყიდად აკრძალული, ძელქვის ხის მასალით იყო დატვირთული. მცხეთა-მთიანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, რუსლან ბურდულმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას



მოუმარჯვა თენგიზს. — გიჟების ქვეყანაა, დამთხვეულების. ამათ ვერც ევროპა უშველის, ვერც ამერიკა...

— ისე, ხომ მაგარი იყო?.. ხომ არ დაგავიწყდებათ, არა, არასოდეს?! — ხარხარებდა თენგიზი.

— და საერთოდ, რა!.. ამ ქვეყანაში ადამიანები აღარ არიან, არა. ჩვენ ანტიპოდები ვართ, ადამიანების ანტიპოდები... ჰო, ჰო... აი, ეს ქალი, რა... — თითი დაადო მკერდზე ანის მურადმა. — ქალია, ყველაფერი აქვს, რაც ქალს სჭირდება: სახე, მკერდი... დაბლაც ყველაფერი აქვს, რაც ქალს უნდა ჰქონდეს... მაგრამ რაც მთავარია, ის არა აქვს, ხალხო!

— ვაიმე, რა საინტერესოა! რა არა აქვს, რა არის მთავარი? — საოცრად დაინტერესდა ჯულიეტა.

— სული, სული არა აქვს!.. — გამოაცხადა მურადმა.

— საიდან დაასკვენი? — შეეკითხა თენგიზი.

— არ ვეცოდები. აი, თუ გინდათ, ჰკითხეთ, აქ არ ზის?! იცის კი, რა არის სული?

— არც ვიცი და არც მაინტერესებს... რაც არ არსებობს, რატომ უნდა მაინტერესებდეს?! ან თქვენ კი, გაქვთ სული?.. ან — იყენებთ რამეში, გჭირდებათ?.. შეგიძლიათ მაჩვენოთ, დამანახვოთ?

— დიახ, გვჭირდება. თუ ადამიანს სული აქვს, ფასიც მეტი აქვს. აი, თქვენ იცით ჩემი ფასი? — გამოაცხადა თენგიზმა.

— რა-ა? — შეეკითხა მურადი.

— ჰო, რამდენი ველირები, აბა? — ანიშნა ხელით საკუთარ პერსონაზე, უკვე კონიაკით გვარიანად გალეწილმა თენგიზმა.

მურადმა ჯერ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, წამით ჩაფიქრდა და უეცრად მთელი ხმით ამღერდა:

— „შაური — შენ, შაური — მე, შაურიც — მამაშენს, სამ შაურად სულ გიყიდით, შენ და მამაშენს“... ოსა-ა! — და გაგრძელდა, რაღა თქმა უნდა, თბილისური გრიალი...

ცოტა ხანში, ღამის სიბნელეში, საჭესთან მჯდომი გალეწილი მურადი თბილისის ქუჩებს „რვიანებით“ მიუყვებოდა. გვერდით კი, შეშინებული ანი ეჯდა და ცდილობდა, მურადს საჭის სწორად დატრიალებაში მიხმარებოდა. ხან მანქანას აცდენდნენ, ხან — ბოძს, ხანაც — ჩანთიან ქალს და ასე, ანის წივილ-კივილში, როგორც იქნა, პროკურატურამდე მიაღწიეს. ანი მანქანიდან გადმოვიდა და შენობაში შევიდა. თეჯირს იქით მორიგე პოლიციელი იჯდა და ყვინთავდა. ანიმ დაუბრახუნა. მორიგე გამოფხიზლდა.

— რა ამბავია?! ნელა რომ დააკაკუნოთ, არ გამეღვიძება?

— ბოდიში. ლალი იაშვილის დაკავების ბრძანება თქვენთან დევს? — შეეკითხა ანი.

— რა-ა?

— ბრძანება — ლალი იაშვილის დაკავების.

მორიგემ მაგიდას დახედა. რაღაც ფურცელი აიღო.

— ეს? თქვენ ვინა ხართ?

— მე მურად ოქროპირიძის ასისტენტი ვარ, გამომძიებლის.

— ახალი ხარ?

— არც ისე...

— მაშ, მე რომ პირველად გხედავ? რა გქვია?

— მომეცი, რა, ეგ ფურცელი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება.

— აჰა! — მიაწოდა მორიგემ ფურცელი და თვალიც ჩაუკრა.

ანიმ ფურცელი გამოართვა.

— დახუჭე, რა, თვალები და დაიძინე! — ურჩია მან მორიგეს, შეტრიალდა და უკანალის სექსუალური რხევით გავიდა. მორიგეს თვალები გაუფართოვდა. ანი კართან შეჩერდა, მოტრიალდა, მორიგეს ფურცლიანი ხელი დაუქნია, გაუღიმა და გარეთ გავიდა.

ანი მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მურადი დაელმებული თვალებით მიაშტერდა.

— მოგცეს? — ჰკითხა მან.

— აი, — უჩვენა ფურცელი ანიმ. — გამოფხიზლდი, რა, ბიჭო, ცოტათი მაინც.

— წავედით ახლა პოლიციაში. — მაგარი მთვრალი იყო მურადი. სიმღერების ხასიათზე დამდგარიყო: — „სიყვარულო, სიყვარულო, რა ხარო... იმისთანა საყვარელი რამ ხარო, აბა, მითხარ, გულო, რით გაგახარო... ისღა დამრჩა, თავი კედელს ვახალო“. — მოკლედ, ემღერებოდა და ისიც მღეროდა...

მანქანა პოლიციასთან გაჩერდა. ანი ფურცლით ხელში გადმოხტა და მორიგეს მიადგა. მის დანახვაზე მორიგემ რატომღაც, შუბლი შეკრა. ანიმ კი ფურცელი დაუდო წინ.

— ეს რა არის? — იკითხა მორიგემ.

— ბრძანებააა... ქალბატონია დასაჭერი. ერთი, — მოახსენა ანიმ.

მორიგე ფურცელს დასცქეროდა.

— ვინ აწერს ხელს?

— დარჩიაშვილი, პროკურორი. დარეკილია. იციან, — მოახსენა ანიმ.

— ჰოო? ახლავე უნდა გავიდნენ? — იკითხა მორიგემ.

— კი, — უპასუხა ანიმ.

— კაი, შევუტან, — თქვა მორიგემ და წამოდგა.

— მე წავიდე? — შეეკითხა ანი.

— როგორც გინდა, გენაცვალე! — გაიკრიჭა მორიგე.

— ჰმ... — ვითომ ეწყინა ანის და გარეთ გავიდა.

— რა ქენი? — შეეკითხა მურადი, როცა ანი მანქანაში ჩაჯდა.

— აიყვანენ. ესეც ასეე!.. — ხელები მოიფშვნიტა ანიმ. — ახლა ვასიკოს გავუაროთ და წავიყვანოთ, რომ გადაიღოს ყველაფერი.

— რაში გავყავი, ნეტავ, თავი, წარმოდგენა არა მაქვს... — ჩაილაპარაკა მურადმა.

— მახეში, მა-ხე-შიიი! — „მიულოცა“ ანიმ.

მანქანა ღამის თბილისში გასრიალდა.

მეორე დილას, ნამთვრალევი, დაღლილი და დახეულ ჯინსში გამოწყობილი ანი რედაქციაში პირველი გამოცხადდა, მაგიდას მიუჯდა, ჩანთიდან კოსმეტიკური საშუალებები ამოალაგა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. სარკიდან თითქოს ვიღაც სხვა შემოჰყურებდა. „აუ, რა მაგრად მაქვს ქუთუთოები ჩასივებული!..“ საათს შეხედა და ვასიკო გაახსენდა. „სად არის ეს კრეტინი აქამდე?!.“ მოძებნა ვასიკოს ნომერი მობილურში და ზარი გაუშვა.

— ვასო, ცოცხალი ხარ? სადა ხარ აქამდე? მოვკვდი ნერვიულობით. დერეფანში?

— აქა ვარ, აქ? — შემოგლიჯა რედაქციის კარი ვასიკომ.

— დებილი ხარ, რა! რაღას მპასუხობდი, ვერ გამითიშე?! რას დამაკარგვინე ტყუილად?

— შენსას გაიგებს კაცი რამეს? ვიფიქრე — რომ არ ვუპასუხო, ტელეფონი არ დაახეთქოს და არ გატეხოს-მეთქი... — ვასიკომ კამერა მაგიდაზე დადო.

— მასეთ გიჟადაც მთვლი?! — შეეკითხა ანი.

— რა, არა ხარ?.. სულ მგონია, რომ სატანაზე ერთი, ასი დღით ადრე მაინც უნდა იყო დაბადებული.

— ჰა, აბა, აბა, მთლად მოუკრეფავებშიც ნუ გადადიხარ, თორემ, შეიძლება, ნაღმზე დაგედგას ფეხი და აფეთქდე... ეს პომადა მიხდება?

— რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა?.. მე შენში ქალს ვერ ვხედავ, საერთოდ...

— არ მოვინდომო, თორემ, ისე გაგთიშო...

— შე-ენ?.. მე-ე?.. ასი ათას კილომეტრში გადავსახლდები...

— ასეთი ურჩხულიც გგონივარ? — ეწყინა ანის.

— მგონიხარ კი არა — ხარ!

— რა დაგემართა, ვასო?! გიჟი, ურჩხული, დრაკონი... კიდევ რას დამარქმევ?

— მომკლავ, რომ გითხრა.

— ისეთი რა უნდა მითხრა?.. თქვი, ნუ გეშინია.

— არა, ტო, მაგრად გაგიტყდება... — ყოყმანობდა ვასიკო.

— არ გამიტყდება, თქვი! — გაათამამა ანიმ.

— ნაბოზარი! — წამოსცდა ვასიკოს.

— რა-ა?! — სკამიდან წამოფრინდა და ძუ მგელივით დაეტაკა ანი ვასიკოს. — ვინ არის, ნაბოზარი, ვინ?! მე ქმარი მყავს, შე დაუნო, ოფიციალური ქმარი!.. — თან, მთელი ხმით კიოდა და ისეთი გამეტებით და ისე ოსტატურად ურტყამდა მტკივან ადგილებში, რომ ვასიკოს სუნთქვაც კი შეეკრა. მალე სკამი გადააყირავეს და იატაკზე გაგორდნენ. ვასიკო იძულებული იყო, თავი დაეცვა და რომ როგორმე გაეკავებინა ანი, ორივე მკლავი შემოაჭდო. მერე კი, რადგან ქალი ფეხებს არ აჩერებდა, შუაკაური იხმარა. ანი კი, ვეღარაფერი რომ ვერ გააწყო, კბილებით მის ყბას ჩააფრინდა. ისე, რომ ვასიკო მთელი ხმით აბღავლდა. ბიჭს ერთი რამ ვერ აეხსნა ვერაფრით: ანი ერთადერთი არ იყო, ვისაც ქმარი ჰყავდა, მაგრამ ნებისმიერ მომენტში თავისუფლად ღალატობდა, არადა, ანიც და სხვებიც, ვინც ქმრებს ღალატობდნენ, სწორედ იმით ტრაბახობდნენ, რომ ისინი გათხოვილები იყვნენ. ეს ხომ უარესიაო?! — ფიქრობდა ვასიკო და რატომ აწვებოდნენ თავიანთ ქმრიანობას ეს კახპები, ვერაფრით აეხსნა...

მოკლედ, რედაქციაში შემოსულმა ლოლამ სწორედ იმ მომენტს შეუსწრო, როცა ანი კბილებით ვასიკოს ნიკაპს ჩააფრინდა და

ვერც იტალიელებმა. რაღაც საქონლის ნაწილი გადაედო და უკვე მიესაკუთრებინა ორივეს. ჩხუბი კი, ერთი დიდი ყუთის გამო ჰქონდათ, რომელშიც ქალის იაფფასიანი, ტყავის ხელჩანთები იდო... გვერდებზე, ფერდებსა და თმაზე უკვე „ნამუშევრები“ იყვნენ, ახლა კი, რადგან ქალებს გაეკავებინათ, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადასულიყვნენ.

— პირველად ხომ არ მიკეთებს, არა?! — ხელებს შლიდა მოსეირეებისკენ ზინა. — სულ იმას ვამბობ, ეს თუ წამოვიდა, არ წავალ-მეთქი და...

— ვინ ვის უკეთებს, საკითხავია... სულ უკან დამდევს გველივით, გეფიცებით! მაინცდამაინც, რაც მე მომეწონება, ის უნდა, იმიტომ, რომ გემოვნების ნასახი არ გააჩნია თვითონ და რა უნდა აიღოს, წარმოდგენა არა აქვს! — უმტკიცებდა ქალებს ლილი.

— ვაიმეე! — თვალები შუბლზე ამოასხდა ზინას. — მე ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, მუსიკას ვასწავლიდი ნიჭიერთა ათწლედში და ეს ორკლასდამთავრებული ჩემზე ამბობს, გემოვნება არა აქვსო, გესმით?!

— კარგით ახლა, დაამთავრეთ, გეყოთ! — დაუყვირა ორივეს მზიამ. — დედას ვფიცავარ, ვამბობდი, არ წამოვიყვანთ-მეთქი და მაინც შემომეტენნენ ორივენი! — და ისევ მოჩხუბრებს მიუბრუნდა: — დაუთმოთ უნდა ერთ-ერთმა.

— შენ უთმობ ვინმეს რამეს?! არ არსებობს, არ დავუთმობ მე ამ ყუთს ამას! — ავარდა ისევ ლილი.

— მე არ გითმობ, გენაცვალე! შენ რა შუაში ხარ?!. — გამწარდა ახლა ზინა.

— მაშინ — არც ერთს! მე ვიღებ ამ ყუთს! — გამოაცხადა მზიამ, რაზეც ორივე მოჩხუბარი ისევ დასაბმელი გახდა...

— გიცხონდა, აი!.. მე ვიღებ! — გამოაჯავრა მზიას ზინამ. — აიღებ და, „ცინკის“ კუბოთი მოგიწევს ამ ყუთთან ერთად საკუთარ სახლში შებრძანება! ზედ დაგაკლავ ამ ყუთზე!

— აბა, როგორ გაგაშველოთ, ვერ გავიგე, ეე! — აღშფოთდა მზია. — გაუშვით ხელი, გოგოებო, დაუხოცავთ და დაუჭამიათ ამ „ხლამისთვის“ ერთმანეთი!.. მე ამ იტალიელებისა მრცხვენია, თორემ, რომც მაჩუქონ, რა სირად მინდა ეს ათთეთრიანი „პიდარასტკები“, არ ვიცი... — თავი მოიქავა და სოფი ლორენის პოზა მიიღო მზიამ.

— ბრავო! — ტაში შემოსცხეს რატომღაც, იტალიელებმა. დარწმუნებული ვარ, მრავლისმნახველები იყვნენ, რადგან ამ ბოქსებს მთელი მსოფლიოს ვაჭრობა ესეოდა, მაგრამ ასე ჰგვანებოდა ვინმე ქცევასა და ტემპერამენტში იტალიელებს?! — ალბათ, არც ერთი ერი...

ვერ გეტყვით, რამდენად შეეფერებოდა, ერთ დროს ასეთ მიუწვდომელ, ახლა კი, ლამის ქალაქის გარეუბნად ქცეულ, იტალიის ამ საკურორტო ზონაში ჩვენი ქალების საქციელი ჩვენს ნამდვილ იერს — ქართულს, ასეთ მშობლიურსა და ახლობელს, — მაგრამ ჩვენების ყველა ჩასვლაზე რომ იქ მსგავსი საბრძოლო და საომარი ბატალიები მეორდებოდა, ეს ცხადია...

მოკლედ, აქ უნდა მივატოვოთ ეს ჩვენი ფათერაკიანი მოგზაურები და ისევ საქართველოში გადმოვინაცვლოთ.



ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელი ლერი კაპანაძე ერთი იმ იურისტთაგანი გახლდათ, ვისაც მწარე და უღიმღამო ბავშვობის მოგონებანი სამუდამო, მოურჩენელ დაღად ატყვიათ და სიმდიდრისა და გალაღებული ცხოვრების მიმართ სიკვდილამდე, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ამიტომაცაა, რომ თუ ხელთ ვინმე მდიდარი და გავლენიანი კაცის საქმე ჩაუვარდათ, ბევრად შეუვალნი და მიუკერძოებელნი ხდებიან და სანამ აღრიალებულს და აქვითინებულს არ ნახავენ ამ ხალხს, ვერ ისვენებენ. ახლაც ამ პროფესიის ადამიანთათვის დამახასიათებელი „ყნოსვით“, მწარე ბოლის სუნს გრძნობდა და იცოდა, რომ ვიღაც-ვიღაცებს უკვე საკმაოდ მაგრად ეწვოდათ კუდი... ჰოდა, ამ თავის სანუკვარ სიამოვნებაზე აბა, უარს როგორ იტყოდა?! და ისიც სასწრაფოდ ჩაქანდა მარტვილში.

როცა ავტობუსი ქალაქის სადგურში შევიდა, ჩვეულებრივი, დასავლური ნესტიანი დილა თენდებოდა. გვარიანად ჟინჟლავდა, მაგრამ მომავალი სიამოვნების განცდა, იმდენად დიდი იყო, რომ ლერი კაპანაძეს ამისთვის სულ არ მიუქცევია ყურადღება. სადგურის ბუფეტში ფენოვანი ხაჭაპური იყიდა და პოლიციის შენობისკენ ღეჭვა-ღეჭვით გაუყვა.

იცოდა, იქაურებს დიდად არ გაუხარდებოდათ მისი დანახვა, მაგრამ ლერის ეს ამბავიც არაფრად მიაჩნდა.

— მაშ, „კრაზი“ არავის ჰყავს რაიონში? — კიდევ ერთხელ გაუმეორა შეკითხვა დედაქალაქიდან ჩასულმა რიგითმა გამომძიებელმა რაიონის პროკურორს, ელიზბარ თელიას და მეტი დამაჯერებლობისთვის, თვალებში დაჟინებით მიაცქერდა.

— „კრაზი“, „კრაზი“... — დააკაკუნა მაგიდაზე კალამი რაიონის პროკურორმა და ვითომც ახლაღა მოაგონდა: — უნდა ეგდოს, მგონი, ახალაია ხვიჩას სახლის წინ, თუ არ ვცდები, მარა, დაგორავს თუ არა, ჯერ კიდევ არაფერი ვიცი... — იცრუა პროკურორმა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ ის „კრაზი“ აგერ უკვე სამი თუ ოთხი წელი, არა მარტო ახალაიებს, არამედ ლამის მთელ უბანს ინახავდა და ასეთ პატარა ქალაქში, ნემსი რომ ნემსია, ის არ იმალება და „კრაზი“ როგორღა დაიმალებოდა, სასაცილო არ არის?!

— თუ ადგილზე არ დაგვხვდა, მაშ, დაგორავს, — გამოიტანა ლოგიკური დასკვნა გამომძიებელმა და წამოდგა. პროკურორიც ადგა. მაგრამ ლერიმ ხელები გაასავსავა: — მე თვითონ, მე თვითონ, თქვენ რატომ შეგაწუხოთ?.. — თქვა და კარისკენ წავიდა.

— რა შეწუხებაა, როგორ გეკადრებათ?! — დაადევნა ზრდილობისთვის, როგორც იქაურთა წესია, პროკურორმა, თორემ, გაყოლას სულაც არ აპირებდა, რადგან თბილისიდან ჩამოსული გამომძიებელი როგორც კი მისი კაბინეტის ზღურბლს გასცილდებოდა, ამ ვიზიტის შესახებ აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინა გამგებელიც, „კრაზის“ პატრონიც და შპს „ქორის“ მფლობელი, დარეჯან ქოიავაც. მოკლედ, საქმე არ მქონდა და გამომიჩინესო, — გაიფიქრა და კიდევ იმანაც გაუელვა — ალბათ, უკანასკნელი ხელფასი ავიღეთო ყველამ, — რადგან კოჭებში შეატყო გამომძიებელს, რომ ამ საქმეს ბევრად ცუდი სუნი უდიოდა, ვიდრე იმ დილას ეგონა, ტელეეკრანზე ახალაიების გადაბრუნებული „კრაზი“ რომ დაინახა...

— ხვიჩა არაა სახლში, პირადად ხვიჩა გნებავთ თქვენ?.. შემობრძანდით!

ხვიჩა შინ არ დახვდა გამომძიებელს. მაგრამ ეზოში მაინც შევიდა და იქვე გაჩერდა.

— თქვენ მეუღლე ბრძანდებით?

— დიახ, — ცოტა შემკრთალი უმზერდა უცხოს ქალი, რომლის გვერდით სამი პატარა იდგა და აგრეთვე გამომძიებელს მისჩერებოდა.

— თქვენ რა გაინტერესებთ მაინც, მე ვერ გაგცემთ პასუხს? — შეეკითხა ქალი.

— „კრაზი“ გყოლიათ... — თქვა, თითქოს სასხვათაშორისოდ, გამომძიებელმა.

— კი... მაგრამ მე რომ მაგ საკითხზე პასუხს ვერ გაგცემთ?!. — ზრდილობიანად უპასუხა ქალმა.

— უკვე გამეცით პასუხი, — მიუგო ლერი კაპანაძემ. — ხვიჩაზეა გაფორმებული?

— არა, ბატონო, ხვიჩა რა შუაშია? ეგ მანქანა ჩემი ქმრის კი არ არის.

— აბა? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— ეგ მანქანა იაპონელების იყო... — „მოხია“ უეცრად ქალმა.

— იაპონელების?! „კრაზი“?! — ვერ დაიჯერა გამომძიებელმა.

— კი, კი! — ლამის იყვირა ქალმა, რომ გამომძიებელი დაერწმუნებინა. — მაგის გარდა, ორი სხვა „მექანიზმიც“ იდგა აქ... ერთი — ამწე, „კატო“ რომ აწერია ხორთუმზე და მეორე — ტრაქტორი, ისიც წითლად შეღებილი... უფრო სწორად, ფორთოხლისფრად...

— მერე? — გაგრძელებით დაინტერესდა გამომძიებელი.

— მერე, წაიღეს იაპონელებმა ის ორი... ათი წლის მერე წაიღეს, კი... შემობრძანდით, ხვიჩა მოვა მალე და ის უკეთეს პასუხს გაგცემთ, თუ გაინტერესებთ... — თქვა ქალმა და სახლისკენ გაიშვირა ხელი.

— კი, მაგრამ რას აკეთებდნენ აქ იაპონელები? — არ სჯეროდა მაინც ქალის ლაპარაკის ლერის.

— ასფალტს აგებდნენ, ხომ...

— მოკლედ, მე ვერ გავიგე, ის „მექანიზმები“ წაიღეს, „კრაზი“ დატოვეს... თქვენი ქმრისაა ახლა ეს „კრაზი“? — შეეკითხა ქალს ლერი.

— შინ თუ არ შემობრძანდებით, აქ მაინც დაბრძანდით, ბატონო, — სთხოვა ქალმა. — ვინ ბრძანდებით, ვერ გვეტყვით? თორემ, მაგ „კრაზის“ და საერთოდ, მაგ „მექანიზმების“ წასაღებად, ვინ აღარ იყო აქ მოსული?!.

— ვისზე ამბობთ?

— დაწყებული მერიიდან, პოლიციის უფროსით დამთავრებული. მაგრამ ხვიჩამ არ დაანება...

— რას ნიშნავს, არ დაანება? თავისი ხომ არ იყო, იაპონელების იყოო, ასე არ თქვით? — ვერ მიუხვდა კაცი, რას ამბობდა ქალი.

— დიახ და იმათვე წაიღეს... იმ ორ „მექანიზმში“ ორი ათასი დოლარი გადაუხადეს ხვიჩას იაპონელებმა...

— და „კრაზი“ აჩუქეს, ხომ? — ისევ „კრაზს“ დასტრილებდა გამომძიებლის ტვინი.

— ათი ათასი ეკუთვნოდა თურმე ხვიჩას, მაგრამ არ ვიცოდით ეს ჩვენ, ისე გაგვიხარდა ის ორი ათასი... გვეგონა, მობრუნდებოდნენ და „კრაზსაც“ წაიღებდნენ, მაგრამ რომ წავიდნენ, მას მერე აღარ გამოჩენილან... ხვიჩას დარჩა ეს „კრაზი“, დაუტოვეს იმათმა...

— ახლა სადაა?

— ხვიჩა?.. ხვიჩა საპარიკმახეროშია, თმა უნდა გაიკრიჭოს. მოვა მალე.

— „კრაზი“?

— „კრაზს“ აქირავებს ხვიჩა, მაგრამ ბოლოს ვინ წაიღო, არ იცის... დილას გამოვედით და არ დაგვხვდა......— გენიალურად იცრუა ქალმა.

ამ დროს, ჭიშკარი გაიღო და პურით ხელში, ეზოში კაცი შემოვიდა.

— ა, მოვიდა თვითონ და ის გაგცემთ პასუხს ახლა, ჩემზე უკეთესად იცის, რა უნდა თქვას... ა, შენ გკითხულობს, — მიანიშნა სტუმარზე ქმარს ცოლმა. — წამოდით თქვენ აქეთ, წამოდით! — დაუტატანა ბავშვებს ქალმა და სახლისკენ გაირეკა.

ხვიჩას აშკარად შეეტყო, რომ უცხო კაცის დანახვა არ ესიამოვნა. ხელი ჩამოართვა.

— გამომძიებელი ლერი კაპანაძე.

— ხვიჩა... — ჭაღარაშერეული, დაბალი, გრძელცხვირა კაცი აღმოჩნდა ხვიჩა.

— შენი „კრაზი“ სად არის? — ეგრევე მიახალა გამომძიებელმა.

— ჩემი არ არის ის „კრაზი“... — გულზე ხელი მიიდო ხვიჩამ.

— შენ რომ აქირავებ?.. — არ დაუთმო გამომძიებელმა.

— მე ვაქირავებ მარტო, პატრონს ხომ უნდა დავახვედრო და დაყანგულს ხომ არ დავახვედრებ?! მაგრამ ვინ წაიღო ახლა და სადაა, რომ არ ვიცი, რა გითხრათ?.. — მხრები აიჩეჩა კაცმა. — დიდი ხანია, მოხვედით?

— არც ისე... — მიუგო გამომძიებელმა.

— მაგული, გარეთ დასვი, ქალო, ეს კაცი?! — და რაღაც, მეგრულად მიაყოლა. ალბათ, ცოლს შეუკურთხა. — შემობრძანდით, გარეთ რატომ დაგსვათ ამ ქალმა? ძაღლს და მამაძაღლს სავარძელში წამოისვამს და...

ლერი კაპანაძე იმწამსვე მიხვდა, რომ ამ კაცს ვერაფერს დააცდენინებდა: „კაცი იაპონელებს საკუთარ „მექანიზმებში“ ფულს აწერს და გაუფორმებელ „კრაზზე“ ათქმევინებ რამეს?!“ — გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია, თუმცა მაინც ჰკითხა:

— არც ეჭვი გაქვს ვინმეზე, ვისაც შეეძლო, რომ წაეყვანა?



— არ ვიცი, ძმაო, რა გითხრათ, ვის დავადო ხელი. თუ არ გჯერათ, საფლავში მძინარე მშობელი მამა დავიფიცო, შემიძლია... ქუჩაში გდია დღე და ღამე, „სეკრეტებზე“ ხომ არ მეყოლება. გამოვიხედე დილას და აღარ იდგა... ცოტა კი შევფიქრიანდი, მაგრამ თუ თბილისში წაიღებდნენ, მაგას ხომ ვერ წარმოვიდგენდი!.. მანქანას პასპორტიც არ გააჩნია, პასპორტი!

— ხვიჩა, შემოიპატიჟე ეგებ, ეგ კაცი. რატომ ზიხართ, ბატონო, გარეთ? შემობრძანდით სახლში! — გამოსძახა კარიდან მაგულიმ.

ლერიმ ცოლსაც შეხედა და ქმარსაც და მერე მშვიდად უთხრა ხვიჩას:

— ეს რომ დიდი ქალაქი ყოფილიყო, იქნებ, დამეჯერებინა კიდეც შენი ნათქვამი, მაგრამ თუ გამოძიებას ხელს უშლი და სიმართლეს არ ლაპარაკობ, შენს თავს დააბრალე! — მიტრიალდა და სწრაფად გავიდა.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ?!. — გამოუდგა ხვიჩა, მაგრამ გამომძიებელი აღარ მიტრიალებულა.

მანქანის მძღოლი რომ უბრალო პაიკი იქნებოდა და მეფე-დედოფალი სხვაგან უნდა ეძებნა — ბევრად უფრო მაღალ ფენაში, გამომძიებელმა ძალიან კარგად უწყოდა... თუმცა, ჩვენს დროში ამ გაძვალტყავებული ქვეყნის ამ მიყრუებულ კუთხეში რა დონის მეფე-დედოფალი ბატონობდა, არც ისე ადვილი წარმოსადგენი იყო მისთვის. ეს — მისთვის, თორემ, მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ იქაური ხალხის მამები არცთუ ისე ცუდად გრძნობდნენ თავს. როგორ გგონიათ, ვინმეს რამეს შეარჩენდნენ?.. და როგორც რუსები ამბობენ — „ქონში ცურავდნენ“. უკანონო ხეტყის მოჭრა და მით უმეტეს, აკრძალული ტყის გაკაფვა არცთუ ისე პატარა დანაშაული გახლდათ და იქაურები მართლაც, მაგრად შეფუცხუნდნენ. მოქრთამვაში გაწაფული კი გახლდნენ, მაგრამ ასეთი გახმაურებული საქმის ჩაფარცხვა და თან, ისეთი ფიგურების სიკვდილი, როგორიც იარაღის გამყიდველები იყვნენ, ვინ იცის, რა ძალების ამოქმედებას გამოიწვევდა და ეს ჩვენი ჩინოვნიკებიც მაგრად დადგომას აპირებდნენ.

როგორც ყველგან, მათაც ჰყავდათ „თავიანთი სვეტა“, რომელიც, მაღალ ფეხებთან ერთად, მშვენიერ თეძოებსა და მკერდს ფლობდა, წითელ, მარწყვის ტუჩებს და ჟუჟუნა, ულამაზეს თვალებს... მოკლედ, სვეტა თუ იხსნიდა უგემურ, თითქმის სასოწარკვეთის ზღვარზე მყოფ რაიონის მამებს და, არცთუ ისე უსაფუძვლოდ მათ შეშფოთებულ მეორე ნახევრებს, რომლებიც მუდამ პირველნი არიან, მაგრამ რატომღაც, ხალხი დღემდე „მეორეებს“ უწოდებს...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# „ტანგო“ ~ სისხლიანი ორთაბრძოლიდან აღმოცენებული ცეკვა

**„არგენტინის მხურვალე ცის ქვეშ... ყველა ცეკვავს „ტანგოს“, — მღეროდა — „12 სკამის“ უკვდავი გმირი, დიდი კომბინატორი ოსტაპ ბენდერი, რომელსაც ალბათ გააოცებდა იმის შეტყობა, რომ XIX საუკუნის მიწურულს, ეს ცეცხლოვანი ცეკვა უკიდურეს სიღატაკესთან ასოცირდებოდა.**

„ტანგო“ XIX საუკუნის ბოლოს, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში დაიბადა. იმ პერიოდში, ეს მშვენიერი ქალაქი სამხრეთ ამერიკის უდიდესი პორტი და ახალი სამყაროს ჭიშკარი იყო. ეკონომიკური აღმავლობის წყალობით, ქვეყანას უამრავი ემიგრანტი მიაწყდა. არგენტინა უცხოელი მეზღვაურებით, ჯარისკაცებით, გაკოტრებული ფერმერებით, ღატაკი პოეტებითა და მუსიკოსებით, გაქცეული კატორღელებითა და ავანტიურისტებით გაივსო. ეს მრავალენოვანი, ჭრელი ბრბო ბუენოს-აირესის პორტის მიმდებარე ჯურღმულებში ბინადრობდა, კრეოლებთან, არგენტინელ მწყემსებთან და ხანჯლებით შეიარაღებულ ყასბებთან ხელჩართულ ჩხუბს მართავდა. სისხლიანი ორთაბრძოლების შემდგომ კი, ისინი პორტთან ახლოს მდებარე ტავერნებში სრულიად განსხვავებულ შეჯიბრებას აწყობდნენ — ერთმანეთს ცეკვის ხელოვნებაში ეჯიბრებოდნენ. მრავალეროვანი ქალაქის გულში ასე იშვა „ტანგო“, რომელიც თავდაპირველად აფრიკული „ტანგანოს“, ესპანური „ფლამენკოს“, კრეოლთა „მილონგის“, კუბური „ჰაბანერასა“ და ათეულობით სხვა ცეკვის ნაზავს წარმოადგენდა.

თავდაპირველად, „ტანგოს“ მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ. ცეკვა უფრო, გაშმაგებულ დუელს წააგავდა: მოედანზე ხანჯლების ალესილი პირები, ძალა და უმწეობა, სისხლი და სიკვდილი ბობოქრობდა. სულ მალე დუელში ქალებიც ჩაერთვნენ. ტავერნებს ძირითადად, უძველესი პროფესიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. შორეულ ევროპაში დარჩენილ სატრფოთა მონატრება, მარტოსულ მამაკაცზე ქალის ძალა და მეძავ ქალზე მამაკაცის ძალაუფლება — ეს ის გრძნობებია, რომლებმაც ცეკვის უცნაური ფსიქოლოგიური ქარგა წარმოშვა და სიყვარულისა და განშორების, ვნებისა და მორჩილების, უპირატესობისა და დამცირების განცდა, პლასტიკაში ასახა. ახალმა ცეკვამ მთელი ქალაქი დაიპყრო. ბადურა წინდებსა და ღრმად შეჭრილ კაბებში გამოპრანჭული ქალები და ვიწროფარფლიან შლაპებსა და შავ კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცები ბარებში, ტავერნებსა და ქუჩებში, გიტარის, ფლეიტისა და ვიოლინოს აკომპანიმენტის თანხლებით თავდავიწყებით ცეკვავდნენ. მოგვიანებით, ამ ინსტრუმენტებს ბანდონეონიც (პატარა გერმანული გარმონი) დაემატა და როგორც ამბობენ, მას შემდგომ, ის „ტანგოს“ განუყოფელ ნაწილად იქცა.

ვნებიანად მოცეკვავე ორილიას (ქალაქის ღატაკი მოსახლეობა) შემხედვარე, ბუენოს-აირესელი არისტოკრატია თავდაპირველად ცხვირს იბზუებდა, მაგრამ მალე ახალმა ცეკვამ შეძლებულ ევროპელთა სალონებიც დაიპყრო. პარიზში „ტანგოს“ მოდამ ეპიდემიის სახე მიიღო. ქალაქი „ტანგო“-სალონებით გაივსო. თერძები „ტანგოს“ საცეკვაო სპეციალურ კოსტიუმებს კერავდნენ. საერთო აჟიოტაჟს ექიმებიც კი შეუერთდნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათი გამოკვლევების თანახმად, „ტანგოს“ მრავალფეროვანი ილეთები სისხლის მიმოქცევასა და ზოგადად, ჯანმრთელობას აუმჯობესებდა. „ტანგოს“ ტრიუმფული სვლით აღფრთოვანებულმა არგენტინელებმა ეს ცეკვა ეროვნულ მონაპოვრად გამოაცხადეს და სულ მალე ქვეყანას ახალი კერპი მოევლინა, რომელმაც „ტანგო“-რევოლუცია მარტომ მოაწყო. ეს ადამიანი შარლ გარდე იყო.

გარდე საფრანგეთში დაიბადა, მაგრამ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ფსევდონიმად ახალი სახელი — კარლოს გარდელი დაირქვა. დღეს ეს სახელი ყველა ღირსეულმა „ტანგომანმა“ და უკლებლივ ყველა არგენტინელმა იცის. გარდელი „ტანგოს“ მუსიკაზე პირველი ამღერდა და თავაშვებული, აღვირახსნილი საპორტო ცეკვა, ჭეშმარიტ პოეზიად გადააქცია. გარდელი მღეროდა იმაზე, რომ სიყვარული წარმავალია, იმაზე, თუ რა ძნელია უცხო მიწაზე ცხოვრება; თავის სიმღერებში იმ გრძნობებსაც ეხებოდა, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს ეუფლება, როდესაც ის ვიოლინოსა და ბანდონეონის გულის ამაჩუყებელ ჰანგებს ისმენს. გარდელს სრულიად არგენტინა ეთაყვანებოდა. ყველა მისთვის მიბაძვას ცდილობდა (მისი საყვარელი მკაცრი შავი კოსტიუმი და აქლემის ბეწვის პალტო დღემდე „ტანგო“-სტილის კლასიკად მიიჩნევა) და როდესაც ავტოკატასროფაში ტრაგიკულად დაიღუპა, ქვეყანაში ეროვნული გლოვა გამოცხადდა.



ლეგენდარული კარლოს გარდელი

მას შემდგომ, მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, თუ რა ხდება არგენტინაში, — აღმავლობისა თუ კრიზისის დროს ქვეყანაში „ტანგოს“ არასდროს ივიწყებენ. თანამედროვე ბუენოს-აირესში „ტანგო“ ტურისტულ ღირსშესანიშნაობათა უმთავრესი ნაწილია. ზაფხულის თბილ საღამოს წყვილები მოედნებზე, ავტობუსის გაჩერებებზე, სკვერებსა და ქუჩებში ცეკვავენ „ტანგოს“ და ტურისტებს მათთან შეერთებასა და თუნდაც რამდენიმე პას გამეორებისკენ მოუწოდებენ. „ტანგოს“ ჯადოსნურ ხიბლსნაზიარები ტურისტები ძველი გრამოფონისა და კარლოს გარდელის ჩანაწერების საშოვნელად ბაზრობებს ლაშქრავენ, შემდგომ



„ბუენოს-აირესის ერთ-ერთი „ტანგო“-კლუბი

კი საცეკვაო კლუბებს ავსებენ, რათა კიდევ ერთხელ გაიმეორონ ის ილეთები, რომლებიც გუშინ მოედნებსა და სკვერებში იხილეს. ეს ტურისტები არგენტინაში კიდევ ბევრჯერ ჩავლენ, რადგან სწორედ იქ დაეუფლონ „ტანგოს“ ცეკვის ურთულეს ხელოვნებას... არგენტინელი ეკონომისტები „ტანგოს“ ქვეყნის „ძირითად საექსპორტო საქონელს“ უწოდებენ და ირწმუნებიან, რომ სწორი ორგანიზაციის პირობებში, ეს ცეკვა სახელმწიფოს 400 მლნ დოლარის შემოსავალს მოუტანს.

ბუენოს-აირესში ჩასული ტურისტები ფულს მხოლოდ „ტანგოს“ სწავლაში როდი იხდიან. მათ სურთ იხილონ, თუ როგორ ასრულებენ ამ ცეკვას პროფესიონალები. პორტენოსებზე (ასე უწოდებენ თავიანთ თავს ბუენოს-აირესელები) უკეთ ვის ძალუძს იმის ჩვენება, თუ რაოდენ სანახაობრივი და გამაოგნებელი შეიძლება იყოს ეს ვნებიანი ცეკვა, როდესაც მას ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავეები სცენაზე ასრულებენ. არგენტინელების მიერ დადგმული მრავალი „ტანგო“-შოუ მსოფლიოში უდიდესი წარმატებით სარგებლობს. ამგვარ დადგმებში „ტანგოს“ პირვანდელი სახე შეცვლილია. სპეციალურად დადგმულ სასცენო ვარიანტში, ცეკვის ტრადიციულ მოძრაობებს ბალეტის, აკრობატიკის, სამეჯლისო ცეკვების ელემენტები და ის ყველაფერი ემატება, რასაც ქორეოგრაფს მისი ფანტაზია უკარნახებს. ამით შოუ მხოლოდ მდიდრდება და სანახაობითი თვალსაზრისით უფრო მომგებიანი ხდება. სასცენო ცეკვის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ცნობილმა არგეტინულმა თეატრმა — Esquina Carlos Gardel („კარლოს გარდელის კუთხე“) მაყურებელს შთამბეჭდავი, შესანიშნავი სპექტაკლი — Solo Tango el Show უჩვენა. მისმა გენერალურმა პროდიუსერმა, ხუან ფაბრიმ არგენტინაში, „ტანგოს“ სიყვარულითა და ამ ცეკვის ფეერიულ სანახაობად გადაქცევის ნიჭით გაითქვა სახელი. მის 24-საათიან საცეკვაო ტელეარხს 6-მილიონიანი აუდიტორია ჰყავს. ფაბრის დადგმებს (მან 10-ზე მეტი შოუ დადგა) ბროდვეის მიუზიკლებს ადარებენ. სპექტაკლი — Solo Tango el Show — რამდენიმე საოცრად ელვარე და სანახაობრივი საცეკვაო ნომრისგან შედგება, რომელიც მაყურებელს არგენტინის, „ტანგოს“ ისტორიისა და სიყვარულის დიადი ძალის შესახებ მოუთხრობს. დადგმაში 10 პროფესიონალი მოცევავე, ორკესტრი და არგენტინის სცენის ვარსკვლავები მონაწილეობენ. საგასტროლო ტურნეში თეატრთან ერთად მოგზაურობენ: „ახალ ლოლიტა ტორესად“ შერაცხული მომღერალი როქსანა ფონტანი, „ტანგოს“ ლეგენდარული მოცეკვავე და მასწავლებელი კარლოს კოპელო და Esquina Carlos Gardel-ის სიამაყე, მომღერალი რაფაელ როხასი, რომელიც დიდ გარდელს, გარეგნობის გარდა, ხმის ტემბრითაც წააგავს. „როდესაც დარბაზში სინათლე ჩაქრება, თქვენ საათ-ნახევრით დაივიწყებთ, რომ ქვეყანაზე „ტანგოს“ გარდა, სხვა რამეც არსებობს“, — ამბობს არგენტინის „ტანგოს“ აკადემიის საპატიო წევრი, ბუენოს-აირესის საპატიო მოქალაქე ხუან ფაბრი, რომელსაც ჟურნალისტებმა „მისტერ „ტანგო“ შეარქვეს.

„ტანგო“-შოუ იმდენად მომნუსხველი სანახაობაა, რომ ნებისმიერ ადამიანს „აავადებს“. ყველას სურს, დაუყოვნებლივ შეისწავლოს ეს ცევა და პარტნიორთან ერთად, „ტანგოს“ რიტმში თავდავიწყებით იტრიალოს. მსოფლიოში უამრავი საცეკვაო კლუბი არსებობს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, „ტანგოს“ ხელოვნებას დაეუფლოს. „ტანგეროსები“ („ტანგოს“ მოყვარულნი) პრაქტიკული მეცადინეობების გარდა, სპეციალურ წვეულებებზე — მილონგებზეც იკრიბებიან. „მილონგა“ — „ტანგოს“ წინამორბედი არგენტინული ცეკვაა, რომელსაც სალონებში ახლაც ასრულებენ, მაგრამ თანამედროვე მოცეკვავეთათვის მილონგა ის ადგილია, სადაც „ტანგო“ სრულდება. ჩვეულებრივ დისკოთეკას მილონგასთან საერთო არაფერი აქვს.



არგენტინაში „ტანგო“-შოუს ყველა თეატრში, კლუბსა და რესტორანში იხილავთ

ათწლეულების განმავლობაში ბუენოს-აირესის კლუბებში კანონთა მთელი კოდექსი შეიქმნა, რომელიც შემდგომ მსოფლიოს სხვა „ტანგო“-სალონებშიც გავრცელდა. მილონგას ცხოვრება ამ კანონებს ექვემდებარება. მას იქ მისული ყველა მოცეკვავე ემორჩილება. ნებისმიერმა ახალბედამ იცის, რომ ერთ პარტნიორთან 4-5 სიმღერა ზედიზედ უნდა იცეკვოს, რადგან ნაკლები ცეკვის შესრულება, პარტნიორის უპატივცემულობას ნიშნავს, უფრო მეტის კი — სხვა მოცეკვავეებისადმი უპატივცემულობას... როდესაც ცეკვის შემდგომ, გოგონა პარტნიორს მადლობას უხდის, „ტანგოს“ ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მას პარტნირი არ მოეწონა და სთხოვს, საცეკვაოდ აღარ გაიწვიოს. საერთოდ, „ტანგოს“ შესრულების დროს, ლაპარაკი მიღებული არ არის. პარტნიორები შესაძლოა, წლების მანძილზე ყოველდღე ერთად ცეკვავდნენ და ერთმანეთისთვის სიტყვაც არ ჰქონდეთ ნათქვამი; „ტანგოს“ კანონების თანახმად, ქალი არ უნდა იღიმებოდეს, რადგან ღიმილი — იმის ნიშანია, რომ მისი მოპოვება ძალზე იოლია, ამიტომ თავმოყვარე მოცეკვავე მოღიმარ ქალს ახლოსაც კი არ გაეკარება. ტანგეროსს იმ ქალთან მისვლის უფლება არა აქვს, რომელიც მილონგაზე მარტო არ მისულა. კავალერმა ქალს პაემანი სხვათა გასაგონად არ უნდა დაუნიშნოს. ღმერთმა არ ქნას, რომ წყვილმა მილონგა ერთად დატოვოს — მათი რეპუტაცია სამუდამოდ შეილახება!

„ტანგოს“ თანამედროვე თაყვანისმცემლებმა, რა თქმა უნდა, მრავალი პირობითობა უარყვეს. ტანგეროსის კლასიკური შავი კოსტიუმი — ფერადმა პერანგმა და განიერმა შარვალმა შეცვალა. ქალთა ტრადიციული წითელი კაბა, ვიწრო ქვედაბოლო და ბადურა წინდები — შარვალმა, მაისურმა და თანამედროვე მოდის სხვა მოტივებმა ჩაანაცვლა. უცვლელი მხოლოდ ფეხსაცმელი დარჩა — „ტანგოს“ საცეკვაო სპეციალური ფეხსაცმელი შეკვეთით იკერება და ბუენოს-აირესის სპეციალიზებულ მაღაზიებში იყიდება. იმ ქალბატონებს, რომელთათვისაც „ტანგო“ ცხოვრებისეულ საქმედ იქცა, არსენალში არანაკლებ 10 წყვილი სპეციალური ფეხსაცმელი აქვთ, ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე 10 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. გამოცდილი ტანგეროსი ფეხსაცმლის მიხედვით კარგ პარტნიორს ადვილად იპოვის. თუ გოგონას ძალზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული შეუძლია, ის კარგი მოცეკვავეც იქნება და შესაბამისად, „სათადარიგოთა სკამზე“ დიდხანს არავინ გააჩერებს!

რატომ ხიბლავს „ტანგო“ ასე ძლიერ ადამიანებს? რაში იმალება მისი საიდუმლო? „ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ადამიანებმა ერთმანეთთან ჩახუტების ნიჭი დაკარგეს“, — ჩივიან „ტანგომანები“ და ირწმუნებიან, რომ სწორედ „ტანგოს“ ძალუძს, ეს სასიამოვნო უნარი დაუბრუნოს.

„ტანგოს“ მკვლევრები (ასეთი კი მრავლადაა) ამ ცეკვას სოციალურსაც უწოდებენ და დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ „ტანგო“ — ადამიანური ცხოვრების პროექციაა. ეს მომაჯადოებელი ცეკვა მთლიანად იმპროვიზაციაზეა აგებული, ამიტომ მოცეკვავეს პარტნიორის სურვილის ამოცნობა (ისევე როგორც ოჯახურ ცხოვრებაში) და ახალ პირობებთან სწრაფად ადაპტირება (როგორც ბიზნესში) უნდა შეეძლოს. ამის გამო, თითოეული „ტანგო“-გაკვეთილი შესანიშნავ თერაპიულ ეფექტს იძლევა, რომლის გავლის შემდგომ, ადამიანს საკუთარ თავში და გარე სამყაროში გარკვევა უადვილდება. ამასთან, მოცეკვავეები ცეკვის პროცესში იმდენად ჩართულნი არიან, რომ მათთვის გარე სამყარო ქრება. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არგენტინაში, სადაც ერთ ეკონომიკურ კრიზისს მეორე ცვლის, მეორეს კი — მესამე და ა.შ. ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე პერიოდებში „ტანგო“-სალონები დღე და ღამე შეუსვენებლად მუშაობს და მუდამ ხალხით არის სავსე, რადგან „ტანგოში თავდავიწყება“ მათ პრობლემებს მილონგის კარს მიღმა ტოვებს და ადამიანებს ცხოვრებას უმსუბუქებს. ■

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

## იოკო ონოს მძღოლი თავს მის საყვარლად ასაღებს

იოკო ონოს მძღოლი ჯონ ლენონის ქვრივის დაშანტაჟებას ცდილობს. იმისათვის, რომ მისი პირადი ცხოვრების დეტალები საიდუმლოდ შეინახოს, 50 წლის მძღოლი კორალ კარსანი ონოსგან 2 მლნ დოლარის გადახდას მოითხოვს. კარსანი ირწმუნება, თითქოს 10 წლის განმავლობაში იგი იოკოს „საყვარელი და მეგობარი“ იყო და რომ მათ შორის „ღრმა ემოციური და ფიზიკური ურთიერთობა ჩამოყალიბდა“. მიუხედავად ამისა, მძღოლი ონოს სექსუალურ ძალდატანებაში ადანაშაულებს და ბრალდების მოწმედ იოკოს ვაჟს, შონ ლენონს, ჟურნალ The Rolling Stone-ის გამომცემელ იან ვენერს და „პოლს“ (ამ სახელის მიღმა, სავარაუდოდ, პოლ მაკარტნი უნდა იგულისხმებოდეს) ასახელებს.



კორალ კარსანი ირწმუნება, რომ მას ხელთ აქვს ფოტოსურთები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტები, რომელთაც „ქვეყნიერების შეძვრა“ ძალუძთ. მძღოლი შონ ლენონის და მისი მეგობარი გოგონას საუბრის ჩანაწერის შესახებაც ლაპარაკობს, სადაც ვაჟიშვილი მამას „სულელად“ მოიხსენიებს, რომელიც „ცოლს სცემდა“ (სიტყვასიტყვით — a wife-beating asshole). ამ დოკუმენტების გასანადგურებლად კორალი 2 მლნ დოლარს ითხოვს. იოკო ონოს წარმომადგენელი ელიოტ მინტზი კარსანის ქმედებას „აშკარა გამოძალვის“ კვალიფიკაციას აძლევს. იმ შემთხვევაში, თუ გამოძალვის ფაქტი დადასტურდა, მძღოლს 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება. კარსანი 2006 წლის 13 დეკემბერს დააკავეს, მაგრამ საქმის სკანდალური დეტალები მოგვიანებით, მას შემდეგ გახმაურდა, რაც სასამართლოზე კარსანის მიერ დაწერილი წერილის შინაარსი წაიკითხეს.

■

## ნიცელმა ახალგაზრდამ ქერიმოვის Ferrari–ს ნამსხვრევები აუქციონზე გაიტანა



ავტომანქანა Ferrari-ს ნაწილები, რომლითაც 2006 წლის ნოემბერში რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი და მეწარმე სულეიმან ქერიმოვი ნიცაში ავტოკატასტროფაში მოყვა, ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს. ავტოკატასტროფის ადგილთან ახლოს მცხოვრებმა საქმიანი ალღოთი დაჯილდოებულმა 18 წლის ჭაბუკმა ავტომობილის კორპუსის რამდენიმე ნამსხვრევი შეაგროვა და ინტერნეტის ქსელში ორიგინალური „სუვენირების“ გაყიდვის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, მაგრამ მოგების მიღება არ დასცალდა. ამ განცხადებას შემთხვევით ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელი გადააწყდა, რომელმაც ამ ინფორმაციის თაობაზე ხელმძღვანელობას აცნობა. პოლიციელები, რომლებიც ავტოკატასტროფის საქმეს იძიებენ, ყმაწვილს დაუკავშირდნენ და ზრდილობიანად აუხსნეს, რომ ნივთმტკიცებით ვაჭრობას შესაძლებელია, დიდი უსიამოვნება მოჰყვეს. „სუვენირების“ მფლობელმა ავტომობილის ფრაგმენტები პოლიციას გადასცა, ამიტომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღარ აღძრულა. მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ სულეიმან ქერიმოვი და მისი თანამგზავრი, ცნობილი ტელეწამყვანი თინა კანდელაკი გასული წლის 25 ნოემბერს ნიცაში, პრომენადდეზ-ანგლეს სანაპიროზე ავტოკასტროფაში მოყვნენ. დიდი სიჩქარით მოძრავი სპორტული ბოლიდი Enzo Ferrari გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ხეს შეასკდა და ცეცხლი წაეკიდა. ქერიმოვმა უმძიმესი დამწვრობა მიიღო, მისი თანამგზავრი კი იოლად გადარჩა და იმავე საღამოს მოსკოვში დაბრუნდა. დაზარალებულ დეპუტატს ჯერ მარსელის საავადმყოფოში უმკურნალეს, შემდეგ კი ბელგიის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც დღემდე ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. გამოძიების ოფიციალური ვერსიის თანხამად, დიდი სიჩქარისა და წვიმის შემდგომ სველი ასფალტის გამო, მძღოლმა ავტომობილის მართვაზე კონტროლი დაკარგა, ბოროტი ხმები კი ირწმუნებიან, კატასტროფა იმ დროს მოხდა, როდესაც ქერიმოვი მომხიბლავი თანამგზავრის საკოცნელად გადაიწიაო.

■

## უკრაინული მოდის მიმდევარი ჰოლივუდელი ვარსკვლავი



მსოფლიოს ყველაზე სასურველ ქალთა სიის ათეულში შესული მსახიობი და მოდელი სიენა მილერი „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოების ცერემონიაზე იმ საქვეყნოდ ცნობილი ნაწნავით გამოცხადდა, რომელიც დღემდე უკრაინის ოპოზიციის ლიდერის — იულია ტიმოშენკოს საფირმო ნიშნად და კუთვნილებად მიიჩნეოდა. ეს ამბავი წამყვანმა საინფორმაციო სააგენტოებმა სასწრაფოდ აიტაცეს და იულია ტიმოშენკოს ძველი ვარცხნილობისა და სიენა მილერის ახალი ნაწნავის კომბინირებული ფოტოები გამოაქვეყნეს. როგორც ცნობილია, ამა წლის 11 იანვარს იულია ტიმოშენკო უმაღლესი რადის წინაშე ახალი იერით — ჩვეული ნაწნავის გარეშე, გაშლილი თმით წარდგა. ოპოზიციის მშვენიერმა ლიდერმა თმა უკანასკნელად 2005 წლის ოქტომბერში, ქალიშვილის — ევგენიას ქორწილში გაიშალა. 2002 წლის მარტში, იულია ტიმოშენკომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე თმა გაიშალა და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ნაწნავი ყალბი არ იყო. 2005 წლის ივნისში, იულია ტიმოშენკო, რომელიც იმჟამად უკრაინის პრემიერ-მინისტი იყო, ჟურნალ Playboy-ს პოლონურმა გამოცემამ „თვის ადამიანად“ დაასახელა.

■



*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# ისეირნეთ თხილამურებით

**ზამთარი ამინდის ცვალებადობით გამოირჩევა, ერთმანეთს ენაცვლება თოვა, ქარბუქი, ყინვა, თვალისმომჭრელი მზე. ვარდისფრად გვეფაკლება ლოყები, მაგრამ წლის ეს სეზონი ჩვენი ორგანიზმისთვის სახიფათოცაა. ამ დროს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესი ნელდება. ადამიანები ძნელად იტანენ დაბალ ტემპერატურულ რეჟიმს. მოკლე დღეები კი, უარყოფითი ემოციების მიზეზი ხდება. გარდა ამისა, ზამთარში საკმაოდ ხშირად მწვავდება სხვადასხვა ქრონიკული დაავადება.**

**ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამ პერიოდში არ უნდა დავაქვეითოთ ჩვენი ორგანიზმისთვის ჩვეული სასიცოცხლო რიტმი. ბუნებრივი პროცესების შენელებას აქტიური ცხოვრების წესით უნდა ვუპასუხოთ. უნდა დავიტვირთოთ ზამთრის სპორტის სახეობებით და შევაგუოთ ორგანიზმი სეზონურ პირობებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ხშირად ცივდება.**

**ზამთარში სასარგებლოა ტყიან ან მთიან ზონაში გასეირნება და სუფთა ჰაერის სუნთქვა. საუკეთესო შედეგს კი მაშინ მიიღებთ, თუ თხილამურებით 2-3 ან სულაც 5 კილომეტრს გაივლით. კარგია ბუნებაში აქტიური დასვენება. ცივი, სუფთა ჰაერი 20%-ით მეტ ჟანგბადს შეიცავს, ვიდრე ზაფხულის ჰაერი. თანაც, ზამთარში ჰაერი გაჯერებულია ორგანიზმისთვის სასარგებლო, უარყოფითად დამუხტული იონებით.**

## რატომაა სასარგებლო თხილამურებით სეირნობა?

თხილამურებზე დგომა სპეციალურ ხანგრძლივ შესწავლას არ საჭიროებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ტრასაზე დგომისას, მოთხილამურე ერთდროულად ამუშავებს ხელების, მუცლის, ზურგის, გულისა და სხვა ორგანოების კუნთებს. თანმიმდევრული მოძრაობისას, რიგრიგობით იტვირთება ყოველი სახსარი და მსხვილი კუნთი. შედეგად კი, იხსნება სისხლძარღვთა სპაზმი, ნორმალური ხდება წნევა. სპეციალურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თხილამურებით ერთსაათიანი აუჩქარებელი სეირნობის შემდეგ, ჰიპერტონიული დაავადების მქონე პირებს სისხლის წნევა საშუალოდ 25 მმ-ით უქვეითდებათ და ამ ნიშნულზე დღე-ღამის განმავლობაში რჩება.

თხილამურებზე დგომისას, ადამიანი ვერ გრძნობს სიცივეს, ხშირად მას სცხელა კიდეც.

თხილამურებით სიერნობა მხოლოდ კარგი კლიმატოპროცედურა როდია, იგი განტვირთავს ნერვულ-ფსიქიკურ სფეროს, ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემებს.

თხილამურებით სიარულისას გაძლიერებულად მუშაობს თირკმლები, ფილტვები, საოფლე ჯირკვლები. ამ დროს ორგანიზმი თავისუფლდება მასში დაგროვილი წიდებისა და შხამებისაგან, ძლიერდება იმუნიტეტი.

თხილამურები წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სახსრების სამკურნალოდ, სიმსუქნესთან საბრძოლველად, ძილის გასაუმჯობესებლად.

თუ ზამთარში ბაკურიანში ან გუდაურში დაისვენებთ, აუცილებლად ჩაიტარეთ „სათხილამურო“ თერაპია. თუ თხილამურებით თუნდაც ყოველ მეორე დღეს ისეირნებთ, მალე აღმოაჩენთ, რომ თავს უკეთ გრძნობთ. კარგ ეფექტს მიიღებთ ჰიპერტონიის საწყის სტადიაზე. სულ რაღაც 10-12 დღეში თხილამურებზე სეირნობის მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ ჯანმრთელობის მდგომარეობას, გაიძლიერებთ მის დამცავ ძალებს. თუმცა, მყარი ეფექტის მისაღწევად კვირაში ორჯერ მაინც უნდა დადგეთ თხილამურებზე, ზამთრის სეზონის განმავლობაში კი — 20-50-ჯერ.

ზოგიერთი ადამიანი ერიდება ფიზიკურ დატვირთვას და ათასგვარ გამართლებას ეძებს საიმისოდ, რომ იგი თავიდან აიცილოს. ქალაქში მცხოვრებთაგან მხოლოდ ერთეულები ახერხებენ დასვენების დღეებში თოვლიან რაიონებში გასვლას. არადა, თუ ამას მოახერხებთ, დროსა და ფულს ფუჭად არ დახარჯავთ — ეს უეჭველად გამაჯანსაღებელი იმპულსის მომნიჭებელი იქნება. ■

## გულ-სისხლძარღვთა დაავადებები უფრო ხშირად მამაკაცებს ემართებათ



თუ გულის არეში დისკომფორტი იგრძენით, ხანდახან კი, ჩხვლეტა და წიწკნის შეგრძნება გაწუხებთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს — მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია განსაზღვროს, საშიშია თუ არა თქვენი მდგომარეობა. გულს ყურადღებით უნდა მოეპყროთ, მით უმეტეს, რომ გულის დაავადება ჩვენს დროში ძალიან გახშირებულია. გული ყველაზე საიმედო და გამძლე ორგანოა — იგი მაშინაც კი მუშაობს, როცა ტვინი კვდომას იწყებს. მიუხედავად ამისა, იგი გაფრთხილებას საჭიროებს: „კვებეთ“ ჟანგბადით, ნუ მოშხამავთ ნიკოტინითა და ალკოჰოლით, ნუ დატვირთავთ მეტისმეტად. გულს ყველაზე დიდ ზიანს აყენებს არასწორი კვება, წნევის ცვალებადობა, ემოციური გადაძაბვა და არასწორი ფიზიკური დატვირთვა.

გულის დაავადების პირველი ნიშნებია:

- ტკივილი გულის არეში;
- სუსტი, აჩქარებული პულსი;
- ქოშინი უმნიშვნელო ფიზიკური დატვირთვის დროს;
- მოდუნება;
- ცუდი განწყობილება;
- გაღიზიანებულობა;
- ცუდი ძილი;
- გულის ფრიალი;
- ნაადრევი დაბერება;
- დაღლილობა და სხვა.

დაავადების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, კარდიოლოგის კონსულტაციაა საჭირო. გახსოვდეთ, რომ სენის თავიდან აცილება უფრო იოლია, ვიდრე მკურნალობა.

მიჩნეულია, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება მამაკაცებში უფრო ხშირია, ვიდრე — ქალებში. ესტროგენი

(ქალური სასქესო ჰორმონი) იცავს ქალის ორგანიზმს, კერძოდ კი — არტერიებს ყველაზე გავრცელებული დაავადებისგან — ათეროსკლეროზისგან, რომელიც გულის შეტევების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ვიდრე ჰორმონები „მუშაობენ“, ქალი დაცულია, მაგრამ მენოპაუზის (კლიმაქსის) დაწყებისთანავე, გულის შეტევათა სიხშირე სუსტი სქესის წარმომადგენლებში მკვეთრად მატულობს. ამ დროიდან ქალები გულის შეტევით, მამაკაცებთან შედარებით ოთხჯერ უფრო ხშირად იღუპებიან, ინფარქტებისა და ინსულტების რაოდენობით სწრაფად ეწევიან მამაკაცებს.

## როგორ ვიწინასწარმეტყველოთ შიზოფრენია



შოტლანდიელი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტვინის სკანირების მეშვეობით, შესაძლებელია, ვიწინასწარმეტყველოთ, დაავადდება თუ არა ადამიანი შიზოფრენიით.

ედინბურგელ სპეციალისტთა ჯგუფმა გამოიყენა მაგნიტური რეზონანსის ტექნიკა, რომელმაც აჩვენა ცვლილებები ტვინის რუხ ნივთიერებაში, ექსპერიმენტში მონაწილეთა მცირე ჯგუფში. გარკვეული ხნის შემდეგ, ამ ადამიანებს დაავადების პირველი ნიშნები გამოუვლინდათ.

ცნობილია, რომ მათ, ვისაც შიზოფრენია უვითარდებათ, დაავადების დაწყებამდე ორი წლით ადრე აწუხებთ შიშის შეტევები. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სკანირების მეშვეობით შესაძლებელია განვსაზღვროთ, რამდენად რეალურია ფსიქიკური დაავადების განვითარების საშიშროება.

## თერაპიული კლონირება ნებადართულია!

ავსტრალიაში საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა კანონი, რომელიც სამეცნიერო მიზნებისთვის ადამიანის ემბრიონის თერაპიული კლონირების ნებართვას იძლევა. ემბრიონის მისაღებად, დონორის კვერცხუჯრედში პაციენტის სომატური (არასასქესო) უჯრედის ბირთვს ჩანერგავენ. ამგვარად მიღებული ემბრიონი პრაქტიკულად, ავადმყოფის გენეტიკური ასლი იქნება. თუმცა აკრძალულია ემბრიონის იმპლანტაცია (ჩანერგვა) საშვილოსნოში და მისი ზრდა მე-14 დღეს უნდა შეჩერდეს. ემბრიონიდან აღებული ე.წ. ღეროვანი უჯრედები მკურნალობის ეფექტური საშუალება იქნება სხვადასხვა ნეიროდეგენერაციული დაავადების, აგრეთვე — ზურგისა და თავის ტვინის ტრავმების დროს.

## წამალი მელოტებისთვის

მათთვის, ვისაც ხუჭუჭა თმა აქა-იქ საგრძნობლად შეუთხელდა, სულ მალე, დაკარგული თმის დასაბრუნებლად, საკმარისი იქნება წამლის დალევა.

რუსმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს თმის ზრდაზე პასუხისმგებელი გენი. რუსი და ამერიკელი გენეტიკოსების მიერ ჩატარებული გამოკვლევისას კი დადგინდა, რომ მელოტებში ამ გენის მუტაცია აღინიშნება.

აღმოჩენილი გენეტიკური დეფექტი მილიონობით ადამიანის გამელოტების მიზეზის დადგენაში დაგვეხმარება. თმის ცვენის მექანიზმი ხომ დღემდე გარკვეული არ არის. აღმოჩენა, რაღა თქმა უნდა, მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებაში დაგვეხმარება. რუსი მეცნიერები გვპირდებიან, რომ გააგრძელებენ მუშაობას სპეციალურად მელოტებისათვის განკუთვნილი წამლების შესაქმნელად.

# რამდენიმე მცდარი მოსაზრება ქალის ჯანმრთელობის შესახებ

**ქალის თეთრეული გავლენას არ ახდენს მკერდის კიბოს განვითარებაზე.** ცივილიზაციის დაავადებათა ჰავაის ინსტიტუტის სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ ქალებში, რომლებიც ბიუსტჰალტერს დღე-ღამეში თორმეტ საათზე მეტხანს ატარებენ, მკერდის კიბოს განვითარების ალბათობა გაცილებით მეტია მათთან შედარებით, ვინც მას საერთოდ არ ატარებს. ასეთი ურთიერთკავშირი იმით აიხსნება, რომ იღლიაში დიდი რაოდენობით ლიმფური კვანძი და სისხლძარღვია თავმოყრილი, ბიუსტჰალტერი კი მკერდის აწევის დროს საკმაოდ ძლიერ ზეწოლას ახდენს მათზე.

**ისტერია მხოლოდ ქალებს ემართებათ.** სინამდვილეში, ისტერია ქალებში სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში, მაგრამ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ეს დაავადება მაინც ემართებათ.

**მომავალმა დედამ ორი ადამიანისთვის საჭირო საკვები უნდა მიიღოს.** ბევრს მიაჩნია, რომ ორსულობისას ქალმა მეტი უნდა ჭამოს. ეს მთლად ასე არ არის. კვება ამ პერიოდში მრავალფეროვანი და სრულფასოვანი უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება მეტისმეტად დანაყრება, ჩასახული ორგანიზმი ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს იმ რაოდენობით იღებს, რაც მისი განვითარებისთვის არის აუცილებელი. თუ ეს ნივთიერებები ჭარბად მიეწოდება, ნაყოფს აღარ ექნება სტიმული, რომ იბრძოლოს არსებობისათვის.

**გარდატეხის ასაკში გოგონებს ხმა არ ეცვლებათ.** სინამდვილეში, ხმის ცვლილება ვაჟებშიც ხდება და გოგონებშიც — უბრალოდ, სუსტი სქესის წარმომადგენლებში ეს პროცესი ნაკლებად შესამჩნევია. ბიჭებში ხორხის ზომა თითქმის ორჯერ მატულობს, გოგონებში კი — ერთი მესამედით. ხორხის პროპორციულად, დიდდება ხმის იოგებიც, რომელთა სიგრძეც ხმის სიმაღლეს განსაზღვრავს.

**საყურე მხედველობას აუარესებს.** საყურით დაბრმავების შემთხვევები დღემდე არ დაფიქსირებულა. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ყურების გახვრეტისას შეიძლება დავიზიანოთ აკუპუნქტურული წერტილი და გავიუარესოთ მხედველობა. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ზოგჯერ ყურის ბიბილოზე ეძებენ „მხედველობის წერტილს“ და სპეციალურად ხვრეტენ, რათა თვალი განკურნონ.

**ცელულიტი დაავადებაა.** ბევრი სპეციალისტი ამბობს, რომ ცელულიტი ფიზიოლოგიური ნორმაა, მეორეული სასქესო ნიშანია და არა დაავადება. სხვათა შორის, ცხიმოვან ქსოვილსა და კანს შორის მოთავსებული ცელულიტური უჯრედების თხელი ფენისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.



**კლიმაქსი გაახალგაზრდავდა.** კლიმაქსის დაწყების საშუალო ასაკი 47 წელია. სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, გასულ საუკუნესთან შედარებით, ქალის ორგანიზმში ასეთი ცვლილებები უფრო გვიან იწყება.

# აბრაგად გავარდნილი გლეხი და ახალწლის ღამეს დატრიალებული ტრაგედია

**ჩვენი ქვეყნის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც 1921 წელს, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობით დაიწყო და საბჭოთა წესწყობილების დამყარების პირველ წლებს უკავშირდება, არაერთი პიროვნებისა თუ ოჯახის ტრაგედიას ინახავს. მათ შორისაა კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ერთმა სათნო ქალბატონმა — სალომე ღარიბაშვილმა ამას წინათ მომითხრო.**

**მისი დიდი ბაბუა, კონსტანტინე კარტოზია ერთ-ერთი მდიდარი გლეხი გახლდათ. საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, ის ტყეში, აბრაგად გაიხიზნა და ცდილობდა, თავისი თანამოაზრეები შემოეკრიბა. მაგრამ ბოლშევიკებთან ბრძოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ, ერთი მოკლული რუსი ჯარისკაცის გამო, მის ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს: ახალი წლის ღამეს, როდესაც 1922 წლის 1-ელი იანვარი თენდებოდა, მისი ოჯახის 6 წევრი (მათ შორის, 4 ბავშვი) უმოწყალოდ ჩაცხრილეს და სახლიც ცეცხლს მისცეს.**



*ბექა ხოტივარი*

— ამ სურათზე, ცენტრში გამოსახული არიან ჩემი დიდი ბაბუა (ბებიაჩემის ბაბუა) კონსტანტინე კარტოზია, დიდი ბებიის დედამთილი, მართა კარტოზია, მათი 2 რძალი, ქალიშვილი და შვილიშვილები. ყველაზე უმცროსი, რომელიც მარცხნივ მჯდომ ქალბატონს კალთაში უზის, ბებიაჩემი, ნინო გახლავთ. ის ქალბატონი კი — დედამისი, ე.ი. ასევე ჩემი დიდი ბებიაა, მას დარო ერქვა. დანარჩენების სახელები არ ვიცი. არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ ჩემი ვარაუდით, სურათი 1917 წელს უნდა იყოს გადაღებული, რადგან ბებიაჩემი 1916 წელს გახლდათ დაბადებული და ამ სურათზე დაახლოებით 1 წლის იქნება.

**— ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგვიყვეთ, ვისგან გაქვთ გაგონილი?**

— ნინო ბებიისგან. ის დედაჩემის დედა გახლდათ. საერთოდ, არ უყვარდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ წესად ჰქონდა, რომ როგორც კი რომელიმე შვილიშვილი (სულ 4 ჰყავდა) 18 წლის გახდებოდა, აუცილებლად უყვებოდა ამ ამბავს, რადგან უნდოდა, რომ მის შთამომავალს წინაპრის ისტორია სცოდნოდა. როგორც ბებო ამბობდა, ბაბუამისი გურიაში ჩასახლებული კარტოზია გახლდათ. რატომ, რისთვის ან როგორ მოხვდა ეს გვარი გურიაში, არავინ იცის. დღემდე არ შემხვედრია ამ გვარის წარმომადგენელი, რომელსაც უთქვამს, რომ გურულია. ასევე ბებოს თქმით, ისინი ცხოვრობდნენ გურიის მთიან სოფელში, რომელსაც მელისყური ერქვა. ასეთი სოფელი ამჟამად გურიაში არ არის, როგორც ჩანს, სახელი გადაარქვეს ან საერთოდ, აღარ არსებობს... აი, რას გვიამბობდა ბებია: თურმე, ბაბუაჩემი საკმაოდ მდიდარი გლეხი ყოფილა. მას 2 ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ჰყოლია უამრავი ძროხა, ხარი, თხა და კამეჩიც კი. როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მისთვის თურმე უთქვამთ, რომ მთელი ნახირი კოლმეურნეობისთვის უნდა ჩაებარებინა. მის სახლში კი კოლმეურნეობის კანტორის გახსნა მოუწადინებიათ. კონსტანტინე რაიონში დაუბარებიათ და ტკბილი სიტყვით უცდიათ მისი დაყოლიება. ისიც იქიდან თავის ქნევით წამოსულა, მაგრამ შინ მისულს უთქვამს — თავს შევაკლავ და ჩემი შრომით დაგროვილ ქონებას არავის დავუთმობ. თუ რამ ფული, ოქრო ჰქონდა, ფუთაში გამოუკრავს, ნახირი წინ გაუდენია, იარაღი აუსხამს და თავის 2 ვაჟთან ერთად, ტყეში გახიზნულა. შინ მხოლოდ ქალები და ბავშვები დატოვა, რადგან იფიქრა, რომ მათ ხელს არავინ ახლებდა, ხოლო თვითონ და მისი ვაჟები ტყიდან მოამარაგებდნენ ოჯახს... სადღაც ზევით, მთაში საძოვრები ჰქონიათ და იქ საცხოვრებელი ქოხიც მდგარა. ღამღამობით ხან ერთი ბიჭი მოდიოდა სახლში, ოჯახისთვის ყველი, რძე და ფული მოჰქონდა, ხან — მეორე; ხანაც, თვითონ კონსტანტინე მოდიოდა. ბოლშევიკებმა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი იცოდნენ. მართასთვის უთქვამთ — შენს ქმარს გადაეცი, შინ დაგვხვდეს, სალაპარაკო გვაქვს და თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებსო. ერთ მშვენიერ დღეს, კონსტანტინე თავად დასდგომია „ყვარყვარეებს“ თავზე. კანტორაში რუსი ჯარისკაცებიც ყოფილან, რომლებიც ალბათ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, დაცვას წარმოადგენდნენ. კონსტანტინეს ქამარში დამბაჩა ჰქონია გარჭობილი და ამის გამო შენობაში არ უშვებდნენ. რუს ჯარისკაცებთან შელაპარაკება მოსვლია, ერთისთვის ფეხებში დაუხლია ტყვია და გაქცეულა. ეს დეკემბრის დასაწყისში მომხდარა. ამის შემდეგ, ხელისუფლებას ბევრჯერ უცდია მისი შემორიგება — თუ შენს ქონებას ჩაგვაბარებ, ხელს არ გახლებთო, — შეუთვლიათ, მაგრამ კონსტანტინეს ყური არ დაუგდია მათთვის... ახალი წელი ახლოვდებოდა. როგორც ჩანს, ხელისუფალთ იფიქრეს, რომ ახალი წლის ღამეს ისიც და მისი ვაჟებიც შინ მივიდოდნენ და მის ოჯახზე თავდასხმა დაგეგმეს. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები შინ არ იყვნენ, მაინც შეჭრილან სახლში და ოჯახი დაუწიოკებიათ. მართა



მაგარი ქალი ყოფილა და თურმე, მომხდურებს იარაღით დახვედრია. ხმაურზე ბავშვები დაწიოკებულან (ყველას ერთ ოთახში ეძინა, როგორც ჩანს). მართას გაუსვრია და ერთი კაცი დაუჭრია. დანარჩენებმა კი ცეცხლი გახსნეს და ყველა ამოხოცეს. ერთი რძალი, თავისი შვილებიანად, მამის ოჯახში, სხვა სოფელში ყოფილა წასული და გადარჩა. მართა, მისი რძალი და 4 შვილიშვილი კი, უმოწყალოდ ამოხოცეს, თურმე.

**— ბებიათქვენი როგორღა გადარჩა?**

— ბებია მაშინ 4-5 წლის იყო. ხმაურზე გაღვიძებია და შეშინებული, დედის კაბის ქვეშ შემძვრალა. დედა რომ უსულოდ დაცემულა, ისიც წაქცეულა და დედის კალთის ქვეშ მოყოლია. როგორც ჩანს, შიშით ხმა ვერ ამოიღო და გაუნძრევლად იწვა. ამის გამო ვერ შენიშნეს პატარა ნინო და სიკვდილს სასწაულის ძალით გადაურჩა. მერე სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ და წასულან, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოგზავნილი მკვლელები. მაგრამ ცეცხლი მალე ჩამქრალა და სახლი მთლიანად არ დამწვარა. კონსტანტინეს მთიდან დაუნახავს ცეცხლი და მიმხვდარა, რომ მისი სახლი იწვოდა. იმ ღამითვე წამოსულა შინისკენ და მხოლოდ გამთენიის ხანს მიუღწევია. პატარა ნინო სწორედ კონსტანტინეს უპოვია. ის კვლავ გარდაცვლილი დედის კაბის ქვეშ იწვა და ეძინა... გადარჩენილი ბავშვი კონსტანტინეს თავისი ძმისთვის მიუბარებია, მიცვალებულები დაუმარხავს, დაუტირებია და კვლავ ტყეში გახიზნულა. ამის შემდეგ, ნინოს არც ბაბუა უნახავს და არც მამა. ბაბუის ძმასთან იზრდებოდა და იმისათვის, რომ იმ კაცს საბჭოთა ხელისუფლებისთვის საკუთარი ერთგულება დაემტკიცებინა, გოგონას სასტიკად ექცეოდა, თურმე: ოჯახში ყველაზე მძიმე საქმეს აკეთებინებდნენ და მოახლედ იყენებდნენ... როდესაც ნინო წამოიზარდა, თბილისში გამოპარულა. თვითონ დაწვრილებით იხსენებდა ხოლმე, თუ როგორ იარა ხან ურმით და ხან — ფეხით, რომ დედაქალაქში ჩამოეღწია. ბევრი იჯახირა იმის გამოც, რომ სამსახური ეშოვა, რადგან „სამშობლოს მოღალატის" შვილის დამღა ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვილაც ღვთისნიერი კაცი დახმარებია და ტანსაცმლის ფაბრიკაში მოსწავლედ მოუწყვია. იქ გაიცნო ბაბუაჩემი და გათხოვდა კიდეც.

**— ბებო ცოცხალია?**

— არა, ის საკმაოდ მოხუცი, 3 წლის წინ გარდაიცვალა. სოფლიდან წამოსვლის შემდეგ, ბებო უკან აღარ დაბრუნებულა და თავის ნათესავებთან კონტაქტი გაწყვიტა. ამიტომ, დღემდე არ ვიცი, კიდევ ცხოვრობენ თუ არა იქ მისი ნათესავები ან რა ბედი ეწია მათ. ამბავი კი, სწორედ იმ ოჯახის წევრებისგან ჰქონდა მოსმენილი, რომლებსაც გურიიდან გამოექცა. ■



# „გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი მოტყინარეი, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი"

**ქრისტიან დიდმოწამეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქრისტიანულ ქვეყანაში დაიბადნენ და მამა-პაპათაგან არაქრისტიანულ რჯულს მისდევდნენ, მაგრამ ჭეშმარიტი — მართლმადიდებლური რჯულის გაცნობისა და მასში განსწავლის შემდეგ, ამ რჯულზე მოექცნენ, შემდეგ კი, მოწამებრივად აღესრულნენ კიდეც ჭეშმარიტი ღმერთის რწმენისა და მისი მტკიცედ და უშიშრად აღიარებისთვის. ერთ-ერთი მათგანია წმინდა აბო თბილელი, რომელიც, როგორც იოანე საბანისძე მოგვითხრობს, — „დედულად და მამულად არაბი იყო". წმინდა ეკლესია აბო თბილელს 21 იანვარს მოიხსენიებს.**

*შორენა მერკვილაძე*

## ქართლს მოსვლა და ჭეშმარიტი ნათლისღება

17 წლის ასაკამდე აბო არაბეთის ქალაქ ბაღდადში ცხოვრობდა. თავისი ასაკისთვის საკმაოდ კარგად განსწავლული გახლდათ — შესწავლილი ჰქონდა არაბული მწიგნობრობა. ამასთანავე, ფლობდა ნელსაცხებელთა მომზადების საიდუმლოს. იქვე გაიცნო ქრისტიანული რჯულის მტკიცედ დამცველი, ქართლის ერისთავი ნერსე, რომელმაც 3 წელი გაატარა არაბთა ტყვეობაში და იქაც ახერხებდა თავისი სარწმუნოებრივი წესების შესრულებას. აბო მოიხიბლა უცხო ტყვის სარწმუნოებრივი სიმტკიცით. მისი თვისებებით, ამიტომაც ძალზე დაუახლოვდა, ხოლო არაბთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, საქართველოშიც თან გამოჰყვა მას.

არაბმა ჭაბუკმა საქართველოში ჩამოსვლისთანვე მიჰყო ხელი ქართული ენის შესწავლას და მალე აითვისა კიდეც. ამასთან ერთად, შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართველთა ზნე-ჩვეულებანიც. ყველაზე მეტად კი ქართველთა სარწმუნოებით დაინტერესდა, ამიტომაც დაეწაფა „წმინდა წერილის" კითხვას; სასულიერო პირთა დახმარებით, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ქრისტიანული სარწმუნოება. გულით უარყო მამაპაპისეული რჯული და ფარულად შეუდგა ქრისტეს გზას. უფლის სახელზე ლოცულობდა, მარხულობდა, ლიტანიობდა... თბილისში ვერავინ მოასწრებდა წირვალოცვაზე მისვლას...

იმხანად ქართლი მაჰმადიანებს ეპყრათ, რომლებიც სდევნიდნენ და ყველანაირად ავიწროებდნენ ქართლის მორწმუნე ერისთავს — ნერსეს. იგი იძულებული გახდა, ქართლიდან გახიზნულიყო და ხაზარეთისთვის შეეფარებინა თავი. მას თან აბოც გაჰყვა. სწორედ ხაზარეთში ყოფნისას მოინათლა იგი ქრისტიანული წესით და მთელი არსებით მიეცა ქრისტინულ ცხოვრებას. მასთან საუბარს აფხაზთა კათოლიკოსი და მთავარიც კი დიდ ბედნიერებად მიიჩნევდნენ. ახალნათელღებული, ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი, მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ ისეთ ადგილას მოახვედრა, სადაც ყველა ქრისტიანი იყო და უშიშრად აღიარებდნენ ქვენიერების შემოქმედს.

მალე ნერსე ერისთავს ქართლში დაბრუნების ნება დართეს. აბოც მასთან ერთად წამოსასვლელად გაემზადა. ნუ წახვალ ნერსესთან ერთად, რადგან ადგილი, სადაც ის მიდის, სარკინოზებს უპყრიათ და ვაითუ, თვისტომს, სარწმუნოების შეცვლა არ გაპატიონ, ქრისტიანული რწმენა დაგაგდებინონ და კვლავ მაჰმადის რჯულზე მოგაქციონო, — ურჩია აფხაზმა მთავარმა ლეონ მეორემ. მაგრამ აბომ მტკიცედ უპასუხა — რადგან ქრისტემ შემიწყალა და ღირსი გამხადა, ბნელეთიდან გამოვეყვანე, აღარასოდეს უარვყოფ მის სახელს. ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ხელს ვერც ოქრო-ვერცხლი და ვერც ტანჯვა-წამება ვერ ამაღებინებს: „და აწ ნურც შენ დამაყენებ აქ, რამეთუ რაი მადლ არს ყოფაი ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტესათვის? აწ გევედრები, განმიტევე მე, რაითა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანობაი ჩემი ქრისტეს მოძულეთა მათ... არა მეშინის მე სიკვდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტესაგან". ამ მტკიცე გადაწყვეტილებით გაჰყვა აბო ქართლში ნერსე ერისთავს.

## განცხადებული ქრისტიანობა და მოწამებრივი აღსასრული

თბილისში ჩამოსვლის დღიდან, აბოს მართლაც, აღარ დაუმალავს, რომ ქრისტიანული რჯული მიიღო. განცხადებულად იღვწოდა ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ხშირად ქადაგებდა კიდეც. როდესაც ქართლს მყოფმა არაბებმა თვისტომის გაქრისტიანება იხილეს, მის წინააღმდეგ აღდგნენ: „რომელნიმე ჰყვედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვითა შეაჯერებდეს", — გადმოგვცემს

აბო თბილელის ცხოვრების აღმწერელი იოანე საბანისძე. ჭეშმარიტი უფლისგან განმტკიცებულ ჭაბუკს არც მათი მუქარისა ეშინოდა და არც რჩევას და ვედრებას ითვალისწინებდა; უშიშრად ქადაგებდა და აღასრულებდა ყოველივეს, რაც ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით მოეთხოვებოდა. ასე გაგრძელდა 3 წელიწადი, შემდეგ არაბებმა შეიპყრეს და თბილისის ამირას მიჰგვარეს. მან საპყრობილეში ჩააგდო, თუმცა, სტეფანოზ ერისმთავრის თხოვნით, რამდენიმე დღეში გაათავისუფლა. ცხადია, აბო კვლავ ძველებურად შეუდგა ქრისტიანული რჯულისთვის მოღვაწეობას...

მალე თბილისში ახალი ამირა დასვეს, ახლა მასთან მივიდნენ ქართლს მყოფი არაბები აბოს დასასმენად: ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი დადის წარმოშობით არაბი და მაჰმადიანად აღზრდილს, ჩვენი რჯული დაუტევებია, ქრისტიანობა მიუღია, ქალაქში უშიშრად დადის და სხვა არაბებსაც უქადაგებს ქრისტიანთა რჯულს; მისი შეპყრობა და წამება უნდა ბრძანო მანამ, ვიდრე კვლავ მამაპაპისეულ რჯულს არ დაუბრუნდება; თუ საჭირო გახდება, უნდა მოკლა კიდეც, თორემ, ბევრი ჩვენგან მიჰბაძავს მას და მიიღებს ქრისტიანობასო. ამის შესახებ თბილისში მცხოვრებმა ქრისტიანებმაც შეიტყვეს და აბო გააფრთხილეს — საწამებლად გეძებენ და დაიმალეო. მან კი სიხარულით უპასუხა: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკვდილიდდცა“.

მალე აბო, ამირას მსახურებმა შეიპყრეს და თავიან მსაჯულს წარუდგინეს. მან ჯერ ტკბილი სიტყვით და დაყვავებით შესთავაზა, მამაპაპისეულ რჯულს დაჰბრუნებოდა, ამისთვის აურაცხელ სიმდიდრესაც შეჰპირდა: „ოქრო და ვერცხლი შენივე თავის წარსაწყმედად შეინახე. მე პატივს კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიჭი ქრისტესმიერი, გვირგვინი ცხოვრებისა და უხრწნელობისაი და პატივი საუკუნო ცათა შინა“, — მტკიცედ განუცხადა აბომ. განრისხებული ამირას ბრძანებით, აბოს ხელ-ფეხი შეუბორკეს და საპყრობილეში ჩააგდეს. ამან კიდევ უფრო გაახარა მომავალი მოწამე — მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ ესოდენ დიდი წყალობის ღირსად აქცია. იქაც ლოცვით, მარხვითა და ფსალმუნთა გალობით განადიდებდა ჭეშმარიტ უფალს. მეგობრების დახმარებით, მთელი თავისი ქონება გაყიდა და ეკლესია-მონასტრებს, უპოვართ და საპყრობილეში მყოფ პატიმრებს დაურიგა.

„ხვალე განსვლაი არს ჩემი ხორცთაგან და მისვლა უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“, — აუწყა აბომ საკანში მასთან ერთად მყოფ პატიმრებს საპყრობილეში ჩაგდებიდან



მეცხრე დღეს. უკანასკნელი, რაც კი დარჩენოდა, ეს იყო სამოსი, ისიც განიძარცვა და გააყიდვინა; ქრისტიანებს სთხოვა, მიღებული მცირე თანხით, ქალაქის ეკლესიებში მისი სულის მოსახსენიებლად სანთლები დაენთოთ და საკმეველი ეკმიათ. თვითონ ორივე ხელში თითო ანთებული კელაპტარი დაიჭირა და რკინის, მძიმე ბორკილებშესხმულმა, ფეხზე მდგომმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა.

მეორე დღეს — ეს იყო 786 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულის დღეს — სიხარულით აღვსილმა აბომ თავზე ნელსაცხებელი წაისვა და წმინდა ზიარების მიღება ითხოვა. ესწრაფვოდა კიდეც ქრისტესთვის ტანჯვა-წამებას...

საპყრობილიდან გაყვანილი, კვლავ ამირას წარუდგინეს: „არა დაგიტევებიეს სიცოფე იგი და უგუნურებაი შენი?“ — ჰკითხა მან. აბომ კი მიუგო — უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავ, ქრისტედ შედგომის ღირსი ვერ გავხდებოდიო... როდესაც ამირა მიხვდა, რომ აბოს ვერასგზით ვერ დააგმობინებდა ქრისტეს რჯულს, ბრძანა, ეწამებინათ. ნეტარი აბო ორმოცი სებასტიელი მოწამის ეკლესიის ეზოში შეიყვანეს — სწორედ იქ, სადაც ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განისწავლებოდა. იქვე მოჰკვეთეს თავი. მან სიკვდილის წინაც მოასწრო პირჯვრის გადასახვა და ლოცვის აღვლენა.

სარკინოზებმა ისიც იცოდნენ, რომ ქრისტიანები, უფლისთვის წამებულთა ნეშტებს განადიდებდნენ და თაყვანისცემის საგნად აქცევდნენ, ამიტომ ამირას, აბო თბილელის გვამის დაწვის ნებართვა სთხოვეს. მისი თანხმობის შემდეგ, წამების ადგილიდან ყოველივე გულდასმით აღიღეს, წამებულის სისხლით გაჯერებული მიწაც კი ამოკვეთეს, შემდეგ, მეტეხის სასაფლაოზე გადაიტანეს, საგანგებოდ მომზადებულ შეშაზე დადეს და ცეცხლი მოუკიდეს. ცხვრის ტყავში გამოკრილი ფერფლი კი მტკვარში გადაყარეს. ეგონათ, ამით სამუდამოდ გაანადგურებდნენ ქრისტესათვის წამებულ მოწამეს, მაგრამ მწარედ შეცდნენ: აბოს გმირობამ სარწმუნოებაში მერყევი ქრისტიანები განამტკიცა, მორწმუნენი კიდევ უფრო გააძლიერა, ეკლესიამ კი, წმინდანად შერაცხა და საბოლოოდ, მისი სახით, ღვთის წინაშე კიდევ ერთი მეოხი შევიძინეთ... „ხოლო ყოვლადძლიერმა ღმერთმან უფროის გამოაჩინა ძალი თვისი და პატივი სცა თვისსა მას მარტვილსა და აჩვენა სასწაული საკვირველი, რაითა უწყოდიან ყოველთა, რამეთუ ქრისტეს მოწამე არს“.

იმავე ღამით, აბო თბილელის წამების ადგილი საოცარმა ნათელმა მოიცვა. როგორც იოანე საბანისძე გადმოგვცემს: „გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი მოტყინარეი, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი... და დგა იგი ზე ჰაერთა, რომელი გამოუტევებდა ბრწყინვალებასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქვეყნისაი, არამედ ვითარცა საშინებაი ელვისაი“... აბოს წამების ადგილზე მოკიაფე „ზეციურ ვარსკვლავს“ რამდენიმე ღამის განმავლობაში უამრავი ადამიანი ხედავდა — ქრისტიანები სიხიარულითა და აღტაცებით შესცქეროდნენ მას, სარკინოზები კი — შიშითა და ძრწოლით.

## წამების ადგილას აგებული სამლოცველო

ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, ქრისტესთვის წამებულთა წამების ადგილას ხშირად სამლოცველოს აგებდნენ. აბო თბილელის წამების ადგილზეც აუგიათ წმინდანის სახელობის ნიში, სავარაუდოდ — XVIII საუკუნეში. 1882 წელს, ეს ადგილი მიხეილ საბინინს მოუწესრიგებია და გაუმშვენებია. მისივე თაოსნობით დაიწერა წმინდა აბო თბილელის ხატი, რომელიც მისსავე სახელობის ნიშში დააბრძანეს. XX საუკუნის პირველ ნახევარში მტკვარზე მეტეხის ახალი ხიდის აგება წამოიწყეს, ამიტომ კომუნისტებმა აბოს სახელობის ნიში ააფეთქეს და მიწით დაფარეს. 1994 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, აბოს მარტვილობის ადგილას კვლავ დაიწყო წმინდა აბო თბილელის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გამწმენდი სამუშაოების მიმდინარეობის დროს, აბო თბილელის სახელობის ნიშის ნაშთიც აღმოაჩინეს. ■

გოჩა მანველიძე

# თეთრი სიკვდილი



დასაწყისი იხ. „გზა“, №34-3

გოგამ სწრაფი მზერა მოავლო დარბაზს, შემდეგ კი განაპირა მაგიდას მიაშურა, რომელთანაც ბიბილური იჯდა.

— არ დაჯდე!.. — ინფორმატორმა უკმაყოფილო მზერა შეაგება მიახლოებულ უცნობს. მაგრამ გოგას ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. სკამი ოდნავ უკან გასწია და მაგიდას მიუჯდა.

— ყრუ ხომ არ ხარ, ბიჭო?! — შეუბღვირა ბიბილურმა. — სხვაგან დაჯექი!..

— რატომ? — ცერად გახედა გოგამ.

— არ მევასება, როდესაც „სტავკის“ გაკეთებისას თავზე მადგანან!

— თუ ძმა ხარ, შენს საქმეს მიხედე. არც შენ მაინტერესებ, არც შენი „სტავკა“ და არც ეს ტოტალიზატორი!

— მაშინ აქ რას აკეთებ? — გაუკვირდა ბიბილურს.

— მოდი, რა, შენს საქმეს მიხედე! არ დამიწყო დაკითხვა?!. — ცივად მიუგდო გოგამ და ზურგი შეაქცია.

ბიბილურს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სწორედ ამ დროს დარბაზი გაბმულმა ყვირილმა შეაზანზარა.

— გოოოლ!..

ბიბილური ფეხზე წამოვარდა და ტელევიზორის ეკრანს მიაშტერდა. წამის შემდეგ კი ისევ სკამზე დაეხეთქა და ბრაზით შეიგინა:

— თქვენი დედაც!..

— რა მოხდა, ძმაო? გამაზე?.. — თანაგრძნობით ჰკითხა გოგამ.

— გავმაზე, თანაც — ბოლო თამაშზე! „ჩელსის“ და მისი პატრონის დედაც!.. — გინება განაგრძო ბიბილურმა. — აზრზე ხარ, ძმაო?! თორმეტიდან, თერთმეტს მოვარტყი!.. ამ სირებზე „ნიჩია“ მქონდა დადებული და არ მოიგეს?!.

— თერთმეტს მოარტყი?! — გაუკვირდა გოგას.

— აბა, მაგის დედაც!.. — ბიბილურმა ბრაზით მოჭმუჭნა ტოტალიზატორის ქვითარი და კუთხისკენ მოისროლა.

— ვაა... მაგარია... რატომ გადააგდე? თამაში ხომ გრძელდება!

— რა გრძელდება, ძმაო?.. ორი წუთი დარჩა. ნაღდად წავაგე! — ბიბილურმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ჯიბეები მოიქექა. — მაგათი დედაც!.. ბოლო მაყუთი წავაგე!

— რომ მოგერტყა, რამდენს მოიგებდი? — პაუზის შემდეგ ჰკითხა გოგამ.

— ოთხს...

— ლარს?.. — გაიკვირვა გოგამ. — ამაზე ნერვიულობ?!

— მეკაიფები?! — ბრაზი მოერია ბიბილურს. — რა ლარი, ბიჭო?! ოთხი ათასს ვიგებდი!

— რამდენი გქონდა დადებული?

— ათი ლარი.

— ათ ლარად ოთხი ათასს იგებდი?! — გაიკვირვა გოგამ.

— შენ რა, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდი?! — გაღიზიანდა ბიბილური. — პატარა „ფოსტაა“, მაგრამ თუ მოარტყი, მაგარ მაყუთს გაქაჩავ!..

— არ ვიცი, ძმაო. ტოტალიზატორი არ მაინტერესებს, — გულგრილი იერით უპასუხა გოგამ.

— მაშინ, აქ რა გინდა?

— საქმე მაქვს. ახლობელს ველოდები.

— ამ უბნელია? — დაინტერესდა ბიბილური.

— ჰო, — თავი დაუქნია გოგამ.

— ვინაა? უბანში ყველას ვიცნობ.

— ღორო იცი?..

ბიბილურმა სწრაფი მზერა ესროლა და შემდეგ უპასუხა:

— ჰო, ვიცნობ ღოროს.

— ხომ არ იცი, სად არის? ტელეფონით ვერ დავიჭირე, სახლშიც არ არის. ვიცი, რომ აქ ხშირად იჩითება, — განაგრძო გოგამ.

— ძალიან გჭირდება?

— რომ არ მჭირდებოდეს, აქ არ მოვიდოდი.

— „სტავკის“ მაყუთს იკისრებ? — ჰკითხა ბიბილურმა.

— რაში?

— ღოროს მოგიძებნი... — პაუზის შემდეგ თქვა ბიბილურმა.

გოგამ შეფარული მზერა ესროლა. ინფორმატორი აშკარად ტყუოდა: ღორო ნარკოტიკით ვაჭრობისთვის, ერთი კვირის წინ აიყვანა პოლიციამ და ამჟამად მისი ნახვა მხოლოდ ციხეში იყო შესაძლებელი.

— მოსულა, — გოგამ თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა, — რამდენი გინდა?

— ოცი ლარი, — სწრაფად უპასუხა ბიბილურმა, — ფაიზალ „სტავკას“ გავაკეთებ.

— მიდი, — დაეთანხმა გოგა და ხელში ოცლარიანი კუპიურა ჩაუჭმუჭნა.

ფსონის დადებას იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე გოგა ვარაუდობდა. ფულის მიღებისთანავე, ბიბილურმა მაგიდაზე საფეხბურთო სტატისტიკის ამსახველი ცხრილები გაშალა და საჭირო გუნდების შერჩევას შეუდგა.

— დიდხანს გელოდო, ძმაო? — გოგას მალე მოჰბეზრდა ლოდინი.

— ჰო... ახლავე... — ბიბილურმა ნაჩქარევად შეავსო ბლანკი და უახლოესი ფანჯრისკენ გაქანდა. ორიოდე წამში უკან მობრუნდა, კმაყოფილი იერით მოიფშვნიტა ხელები და თქვა: — მორჩა, ახლა ნაღდად მოვარტყი... წავედით?

...ბიბილური მთელი საათის განმავლობაში აბითურებდა გოგას. სხვადასხვა ადგილას მიჰყავდა და უკან ყოველთვის ერთი პასუხით ბრუნდებოდა:

— აქაც არ არის...

ამასობაში მოსაღამოვდა და მოვლენების დასაჩქარებლად, გოგამ უკმაყოფილო სახით ჰკითხა მეგზურს:

— როდემდე უნდა მატარო აქეთ-იქით?.. ტაქსი კი არა ვარ, ძმაო. ან ის კაცი მომძებნინე, ან კიდევ, კარგად იყავი!

— ხომ ხედავ, ვერსად დავიჭირე... ისე, რაში გჭირდება ღორო? — შემპარავად წამოიწყო ბიბილურმა.

— საქმე მაქვს.

— მე ვერ დაგეხმარები?

— ვერა! — ცივად მოსხიპა გოგამ.

— არ გინდა ჩემთან ასეთი ლაპარაკი, ძმაო. კაი ბიჭი ვარ, ვიღაც არ გეგონო. ღოროსაც კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, რისთვისაც ეძებ... — თვალი გაუსწორა ბიბილურმა.

— რისთვის ვეძებ?

— წამალი გინდა?..

გოგამ სწრაფი მზერა ესროლა და შემდეგ უპასუხა:

— გაქვს რამე „პრასვეტი“?

— უბანია, ძმაო... მაყუთის ამბავია, თორემ, წამალს როგორ ვერ გაგიჩითავ?!.

— რა წამალზე ბაზრობ?

— შენ რა გინდა? — კითხვით უპასუხა ბიბილურმა.

— სუბუტექსი.

— აგაღებინებ... ასი დოლარი დაჯდება...

— დღესვე?

— მოიცადე... — ჩაილაპარაკა ბიბილურმა და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

საუბარმა ორიოდე წუთი გასტანა. ბოლოს ბიბილურმა აპარატი გათიშა და გოგას მიუბრუნდა.

— ერთ „ზახოდს“ ახლავე აგაღებინებ. მეტი თუ გინდა, ხვალამდე უნდა მოითმინო. რას იტყვი?

— ტილაობას არ ვაპირებ — პარტიას ავიღებ, — პაუზის შემდეგ უპასუხა გოგამ.

— მოსულა. სად და როდის მნახავ?

— შენ როგორ გაწყობს?

— ასე, პირველი საათისთვის ტოტალიზატორთან მოდი, — დაასრულა ბიბილურმა და მანქანიდან გადავიდა.

მესხი მოღრუბლული შეეგება ინფორმატორს და მაშინვე შეტევაზე გადავიდა.

— შენ შიგ ხომ არ გაქვს, ახვარო?! რა პაემანებს მინიშნავ?! რამდენჯერ გაგაფრთხილე: ახლოს არ გამეკარო-მეთქი!..

— გადაუდებელი საქმეა, მერაბ, — თავი იმართლა ბიბილურმა, — ტელეფონით ვერაფერს გეტყოდი.

— რა მოხდა? — მოლბა მესხი.

— გოიმი გავჩითე, — სხარტად უპასუხა ბიბილურმა.

— დაწვრილებით მომიყევი.

ბიბილურმა გოგასთან შეხვედრის დეტალების აღწერა დაიწყო, მაგრამ მესხმა ტოტალიზატორის ხსენებისთანავე შეაწყვეტინა ლაპარაკი და ისევ შეუტია:

— რა თქვი?! ტოტალიზატორში შეხვდი?!

— ჰო, — გაუბედავად უპასუხა ბიბილურმა.

— მე ხომ გაგაფრთხილე, ახვარო, უბანში არ გამოჩნდე-მეთქი!

— როდემდე ვიყო ასე? — გაიკვირვა ბიბილურმა. — თბილისიდან ხომ არ გადავსახლდები?!

— კარგი. მაგაზე მერე მოგელაპარაკები... განაგრძე... — უბრძანა მესხმა.

ბიბილურმა სწრაფად დაასრულა სათქმელი და მოლოდინით სავსე მზერა მიაპყრო.

— კიდევ რა იცი იმ ტიპის შესახებ? — პაუზის შემდეგ ჰკითხა მესხმა. — ვინ არის და რას საქმიანობს?

— გაკვრით ახსენა: მამაჩემს ლილოს ბაზრობაზე „ბუტკები“ აქვსო. მილიონერი არ არის, მაგრამ რაღაც მაყუთი ნაღდად აქვს.

— ესე იგი, პარტია უნდა? — ჩაფიქრდა მესხი.

— ჰო, — თავი დაუქნია ბიბილურმა, — ერთ „ლისტს“ ავიღებო.

— წამალს ხვალ მოგცემ, — სწრაფად გადაწყვიტა მესხმა, — დილით შემეხმიანე.

— ჰო, მაგრამ... — ყოყმანით წამოიწყო ბიბილურმა.

— რა გინდა? — ცერად გახედა მერაბმა.

— მე რას მომცემ?

— რასაც დაიმსახურებ!..

— ეგ ხვალ იქნება. დღეს?..

— წამალი გინდა?

— სხვანაირად არ გაიგო, მერაბ. „პროსტო“ ცუდად ვარ. დილამდე ვერ გავძლებ...

— შენ ხომ არ უბერავ, ბიჭო?! — მოულოდნელად იფეთქა მესხმა.

— კარგი... დაწყნარდი... — მოიბუზა ბიბილური.

— დაახვიე აქედან და გაჩხერა არ გაბედო, თორემ იმ გოიმის მაგივრად, შენ მოხვდები „ტისკში“!.. — ბრაზით დაასრულა მესხმა და ბიბილური ხელის კვრით გადააგდო მანქანიდან.



გოგა ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა შეხვედრის ადგილას. ბიბილური უკვე ელოდა. მოუსვენრად სცემდა ბოლთას ტოტალიზატორის წინ და პერიოდულად საათს ამოწმებდა. გოგას მანქანის შემჩნევისას, სწრაფად გადაკვეთა ქუჩა, გვერდზე მიუჯდა და ჰკითხა.

— როგორ არის საქმე?

— შენკენ? — კითხვით უპასუხა გოგამ.

— ჩემკენ ყველაფერი ჯიგრულადაა.

— ჩემკენაც... სად უნდა შევხვდეთ იმ კაცს?

— იმ კაცს არ შევხვდებით, — უპასუხა ბიბილურმა.

— რატომ? — გაიკვირვა გოგამ.

— თვითონ არ მოინდომა: საშარო საქმეა. თან, შენც არ გიცნობს... ისე, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? წამალი აქ არის. მომეცი მაყუთი და ახლავე მოგიტან სუბუტექსს.

— არა, ძმაო, — იუარა გოგამ, — სანამ წამალს არ ვნახავ, მაყუთს ვერ მოგცემ.

— არ მენდობი? — იწყინა ბიბილურმა.

— არ გინდა, რა, ეს ბაზარი. რა დროს „გენდობი-არ გენდობია“?! ბავშვი ხომ არა ვარ. ვნახავ წამალს — მიიღებ მაყუთს, არ ვნახავ და, შენ — შენთვის, მე — ჩემთვის...

— მაყუთი მიჩვენე, — ბრაზნარევი ხმით თქვა ბიბილურმა.

— აქ? — გოგამ ჟესტით მიანიშნა ტოტალიზატორის წინ მდგარ კაცებზე.

— ტოტალიზატორია, ძმაო: აქ ვერავის გააკვირვებ ათასი და ორი ათასი დოლარით.

— კარგი, — დაეთანხმა გოგა და ორად გაკეცილი დოლარების დასტა გაუწოდა.

ბიბილურმა სწრაფად გადათვალა ფული, დასტა უკან დაუბრუნა და შემდეგ უთხრა:

— ჩათვალე, რომ სახლში ხარ. წავედით...

სამასიოდე მეტრის გავლის შემდეგ, ბიბილურმა საცხოვრებელ კორპუსთან შეაჩერებინა მანქანა და კარის სახელურს წაეტანა.

— რამდენ ხანში დაბრუნდები? — გოგამ დაძაბული მზერა მოავლო ეზოს.

— თუ ძმა ხარ, ნუ პანიკობ. შევალ და გამოვალ, — დაამშვიდა ბიბილურმა, შემდეგ, მანქანიდან გადავიდა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

ბიბილური მართლაც, სწრაფად დაბრუნდა უკან. მანქანაში ჩაჯდა და უსიტყვოდ ანიშნა: წავედითო.

— „ბიჭია“? — ჰკითხა გოგამ, როგორც კი კორპუსი უკან მოიტოვეს.

პასუხად ბიბილურმა ქარხნულად შეფუთული სუბუტექსის აბები გაუწოდა. გოგამ ოდნავ უკლო სისწრაფეს, აბები დაათვალიერა, შემდეგ კი, სიგარეტის კოლოფთან ერთად გაუწოდა და სთხოვა:

— თუ ძმა ხარ, „ლისტი“ დაშალე და ტაბლეტები კოლოფში ჩამიყარე.

ბიბილურმა სწრაფად შეასრულა თხოვნა. მერე კოლოფი უკან დაუბრუნა და თქვა:

— აჰა, ძმაო... ახლა კი, მისალები მივილოთ...

— რაზეა ბაზარი, ძმაო!.. — ამ სიტყვებთან ერთად, გოგამ კოლოფი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და ასდოლარიანების დასტა გაუწოდა.

ბიბილურმა კიდევ ერთხელ გადათვალა ფული და კმაყოფილი სახით ჩაილაპარაკა:

— კაი კაცი ხარ, ძმაო. მიყვარს შენნაირ ხალხთან ურთიერთობა.

— სად მიგიყვანო? — ჰკითხა გოგამ.

— აქ ჩამოვალ. იმ მოსახვევთან შემიჩერე.

— როგორც გინდა, — ჩაილაპარაკა გოგამ და მანქანა ტროტუართან მიაყენა.

— აბა, მაგრად! რამე თუ დაგჭირდეს, მომაკითხე, — ბიბილური მეგობრულად დაემშვიდობა გოგას, მანქანიდან გადავიდა და უახლოეს ეზოში მიიმალა.

მისი წასვლის შემდეგ, გოგამ მოძრაობა განაგრძო, მაგრამ — არა დიდი ხნით. ორასიოდე მეტრის გავლის შემდეგ, ისევ გაჩერდა, მანქანიდან გადავიდა და გზისპირას მდებარე სუპერმარკეტში შევიდა.

ის იყო, გოგა თავის მანქანას მიუახლოვდა, რომ იქვე მდგომი ორი კაცი ეცა.

— ხელი გამიშვით!.. — თავგამოდებით გაიბრძოლა გოგამ. მაგრამ თავდამსხმელებმა ამის საშუალება არ მისცეს. სწრაფად შებოჭეს, მანქანის საბარგულზე დააწვინეს და ზურგს უკან ამოუგრიხეს მკლავები. იმავ წამს მათ კიდევ ერთი კაცი შეუერთდა. მან დამცინავი მზერა ესროლა გოგას, პირადობის მოწმობა უჩვენა და თქვა:

— ნუ ღრიალებ! კრიმინალური პოლიციიდან ვართ!..

„მერაბ მესხი“, — ამოიკითხა გოგამ მის პირადობის მოწმობაში.

ამასობაში მისმა ხელქვეითებმა მაჯებზე ხელბორკილი მოარგეს. შემდეგ, მათ გარშემო თავშეყრილ ცნობისმოყვარეებს დაკავებულის ჩხრეკაზე მოწმედ დასწრება შესთავაზეს. ამ წინადადებას აღფრთოვანებით არავინ შეხვედრია. რამდენიმე ახალგაზრდა სასწრაფოდ გატრიალდა უკან. მაგრამ პოლიციელებმა მაინც შეაჩერეს ერთი ქალი და ერთიც — შუახნის მამაკაცი.

— რა გაქვს ჯიბეში? — განაგრძო მესხმა.

გოგამ დუმილით უპასუხა.

— გაჩხრიკეთ! — ბრძანა მესხმა.

მისმა თანაშემწეებმა — ბრეგვაძემ და რევიშვილმა გოგას სწრაფად ამოუბრუნეს ჯიბეები და მისი ნივთები, საბუთები, კალამი, ფული, სანთებელა და სიგარეტის კოლოფი საბარგულზე დააწყვეს.

— ეს შენი ნივთებია? — ჰკითხა მესხმა.

— ჩემია, — დაუდასტურა გოგამ.

— ესე იგი, შენია... — ჩაილაპარაკა მესხმა, შემდეგ, სიგარეტის კოლოფიდან აბები ამოყარა და დაამატა: — ეს რა არის?

— აბები, — მშვიდად უპასუხა გოგამ.

— მაგას უშენოდაც ვხვდები, — შეუღრინა მესხმა, — რა წამალია?

— ზაზუნების საკვებია...

მესხმა განრისხებული მზერა ესროლა, მაგრამ მაშინვე მოთოკა თავი და მშვიდად შენიშნა:

— არა მგონია, სახუმაროდ გქონდეს საქმე...

— არ ვხუმრობ. ეს ზაზუნების საკვებია. კიდევ რა გაინტერესებთ?

— ბევრი რამ. მაგალითად, რომელ ზოომაღაზიაში შეიძინე ეს საკვები. მაგრამ ამაზე უკვე სხვაგან ვილაპარაკებთ, — დამცინავად ისროლა მესხმა და აბები კოლოფში დააბრუნა.

ცოტა ხნის შემდეგ, გოგას დაკითხვა მესხის კაბინეტში განახლდა.

— ჰა, ისევ პირველ ჩვენებას აწვები? — დამცინავად ჰკითხა მესხმა.

— ახალს ვერაფერს გეტყვით, — უპასუხა გოგამ.

— აუ, შენ რა მაგარი „ნაგლი“ ყოფილხარ! — ბრაზი მოერია მესხს. — ბიჭო, ვერ ხვდები, რომ მაგრად გაქვს გათხრილი? ამას სად წაუხვალ?! — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა სიგარეტის კოლოფი შეათამაშა ხელში. — ფაქტზე აგიყვანე. მოწმეებიც მყავს!.. ახლა...

— ეს რა, დაკითხვაა? — შეაწყვეტინა გოგამ.

— არა, ძმაკაცური ბაზარია! — შეუბღვირა მესხმა.

— მაშინ, ადვოკატი მომიყვანეთ...

— ვაა!.. განათლებული კაცი ყოფილხარ! — ჩაიცინა მესხმა. — როგორი ადვოკატი გინდა — აქაური თუ ევრო?

— ტელეფონით დამარეკვინეთ და ადვოკატი თვითონ მომაკითხავს.



— სად მუშაობ?

— უმუშევარი ვარ, — უპასუხა გოგამ.

— ხედავთ, სადამდე მივიდა ცხოვრება?.. — რევიშვილს გადაულაპარაკა მესხმა. — რომ ჰკითხო, უმუშევარია და პირადი ადვოკატით მემუქრება!

— ეგ თქვენი საქმე არაა, — ჩაურთო გოგამ.

— მამის მაყუთით ბლატაობ?.. ბევრს შოულობს ლილოს ბაზრობაზე?

— საიდან იცით ამის შესახებ? — გაიკვირვა გოგამ.

— ბიჭო, მე ძალიან ბევრი რამე ვიცი შენ შესახებ. ისიც კი, თუ რა „სროკს“ შეგთხრის სასამართლო!..

— ადვოკატი მომიყვანეთ, — ჯიუტად გაიმეორა გოგამ.

— ადვოკატი... — მესხმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. — ბიჭო, ასე ძალიან მიგეჩქარება „სროკზე“?

— რა შუაშია „სროკი“?

— შენი აქ ყოფნის შესახებ მარტო ჩვენ ვიცით. არ „გამიპრავებიხარ“. უზრდელი და „ნაგლი“ კი ხარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ შენთან ბაზარი შეიძლება. თუ შევთანხმდებით, შანსს მოგცემ და ეს საქმე აქ მოკვდება. თუ ვერა... დანარჩენზე სასამართლოში მოგიწევთ შენ და შენს ადვოკატს ბაზარი!.. იცოდე, რომ მაგრად გაქვს გადებული. ფაქტზე აგიყვანე. მოწმეებიც მყავს. ახლა შენი „ტავარი“ ნარკოლოგიურში რომ გავუშვა, ვეღარავინ გიშველის — ვერც შენი ადვოკატი და ვერც მამიკო, თავისი მაყუთით. რამე თუ გაქვს დასახარჯი, გირჩევნია, აქ დახარჯო. სასამართლო უფრო ძვირი დაგიჯდება და ჯდომაც მოგიწევს. მოკლედ, შენ თვითონ გადაწყვიტე, რა გირჩევნია — სახლში დაბრუნება, თუ „სროკზე“ წასვლა?

— რა გინდათ ჩემგან? — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა გოგამ.

— ეგ შენ თვითონ უნდა თქვა. მე უკვე ვთქვი სათქმელი...

— რამდენს მთხოვთ? — ჰკითხა გოგამ.

— დღესვე თუ მოაბამ თავს, რვაში გაგიშვებ, — მცირე პაუზის შემდეგ თქვა მესხმა.

— რვა, რა? — გახედა გოგამ.

— რვა ათასი „მწვანე“, — დააზუსტა მესხმა, — გასაგებია?

გოგამ თავი დახარა და იატაკს მიაპყრო მზერა.

— რას გაჩუმდი? — მესხს სწრაფად


M K

მოჰბეზრდა დუმილი. — გაქაჩავ?

— არა! — ცივად ისროლა გოგამ.

— რა, არა? — პასუხმა აშკარად გააღიზიანა მესხი.

— მომიყვანეთ ადვოკატი!

— ბიჭო, შენ სულელი ხომ არა ხარ?! — ღვარძლით ისროლა მესხმა. — იცი, რით აგიყვანე?.. იცი, რამდენს გაქაჩავს ეს წამალი?.. ათი ტაბლეტი სუბუტექსია, მთელი „ლისტი“!.. პროკურორისა და მოსამართლის ენაზე ამას, განსაკუთრებით დიდი ოდენობა ჰქვია და ამისთვის ულაპარაკოდ გაგიდებენ თოთხმეტწლიან „სროკს“!..

— მაგასაც ვნახავთ, — შეუღრინა გოგამ და თვალი თვალში გაუყარა.

— როგორც გინდა, — მცირე პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა მესხმა, შემდეგ, ბრეგვაძეს მიუბრუნდა და უბრძანა: — „ტავარი“ ნაკოლოგიურში წაიღე, თან, დასკვნა დააჩქარებინე. ეს ახვარი დღესვე უნდა გავუშვა ციხეში!..

ბრეგვაძემ უსიტყვოდ აიღო სიგარეტის კოლოფი და კარს მიაშურა. მაგრამ ვიდრე კაბინეტიდან გავიდოდა, კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ანა გამოჩნდა, რომელსაც უკან რამდენიმე კაცი და ქალი მოჰყვებოდა, მათ შორის — ვიდეოკამერით შეიარაღებული ახალგაზრდაც ერია, რომელიც დაწინაურებასა და კაბინეტში მყოფთა ობიექტივში მოქცევას ცდილობდა.

— რა ხდება აქ?! — მესხი გააფთრებული წამოიჭრა სკამიდან.

— ეს მე უნდა გკითხოთ! — ცივად უპასუხა ანამ. — რა ხდება აქ და რისთვის დააკავეთ ჩემი თანამშრომელი?

— თანამშრომელი?! — დაიბნა მესხი.

— გოგა წერეთელი ჩემი ოფისის თანამშრომელია, — ამ სიტყვებთან ერთად, ანამ გოგას პირადობის მოწმობა გაუწოდა.

მერაბი მხოლოდ მოწმობის ხილვამ გამოაფხიზლა, ანას უკან მიუგდო დოკუმენტი და გააფთრებული აყვირდა:

— ახლავე გადით აქედან და ეს კამერიანი მომაშორეთ!..

მისი ბრძანების შესრულება არავის უცდია.

— რას მიყურებთ?!. — უყვირა მესხმა თანამშრომლებს. — ყველა გაყარეთ!

რევიშვილი და ბრეგვაძე უმალ გამოცოცხლდნენ და ერთად ეცნენ გოგას გულშემატკივრებს.

— ხელი არ მახლოთ! — რისხვით შესძახა ანამ. — ვინ მოგცათ ადვოკატის გაძევების უფლება?!

ამის გაგონებაზე, თანამშრომლებმა შეფარული მზერა ესროლეს მესხს.

— ადვოკატი დარჩეს. დანარჩენები კი — გაიყვანეთ! — განკარულება შეცვალა მერაბმა.

ორთაბრძოლა რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ანას თანმხლებნი თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ პოლიციელებმა მაინც გაიტანეს თავისი და კაბინეტიდან ყველა გაიყვანეს.

— ახლა კი, ყველანი დავმშვიდდეთ და ისე ვილაპარაკოთ, — ანამ გამჭოლი მზერა მიაპყრო მესხს.

— რა უნდა ვილაპარაკოთ?!. საერთოდ არ მაინტერესებს, რომელი ოფისის წარმომადგენელია დაკავებული — ის მთელი გროვა სუბუტექსით ავიყვანეთ და ჩემგან რაიმე შაღავათის იმედი ნუ გექნებათ. ახლა ჩემი თანამშრომლები ამოღებულ აბებს ნარკოლოგიურ ექსპერტიზას გადასცემენ. დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ. რამე ხომ არ გაქვთ ამის საწინააღმდეგო?!.

— არა, მაგრამ პროცედურაში ჩვენი წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

— რისთვის? — დაიძაბა მესხი.

— მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ამოღებული აბების რაოდენობა არც შემცირდება და არც გაიზრდება.

— რას ამბობ?! — გაიცინა მესხმა. — მაგას იმდენი წამალი ამოვუღეთ, რომ მთელი თქვენი ოფისის ციხეში გასაშვებად მეყოფა!..

— მე კონკრეტული წინადადებით მოგმართეთ! — ცივად შენიშნა ანამ.

— რაც გინდათ, ის ქენით. თუნდაც მთელი ოფისი გაჰყევით იმ წამალს ნარკოლოგიურში, — გულგრილად ჩაილაპარაკა მესხმა.

— და კიდევ ერთი... — სწრაფად დაამატა ანამ. — დაკავებულთან პირისპირ დალაპარაკება მსურს!

— ილაპარაკეთ, — მშვიდად დაეთანხმა მესხი და კაბინეტიდან გავიდა.

ნარკოლოგის დასკვნის მიღებამდე, მესხს უსიამოვნო საუბარმა მოუწია პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსთან, მირიან სოსელიასთან.

— სამსახურის დატოვების დრო ხომ არ დაგიდგა?! — ბრაზით წამოიწყო მირიანმა, როგორც კი ისინი მარტონი დარჩნენ კაბინეტში.

— რატომ? — გაიკვირვა მერაბმა.

— მე მეკითხები, რატომ?.. ის არ კმარა, რაც მოხდა? — ხმას აუწია მირიანმა. — გორგაძის საქმე ძლივს მოვიშორე თავიდან და ახლა მიქაძე შემომტენე?!

— რაში მადანაშაულებთ, ვასილიჩ?! „ნასედკამ“ ოპერატიული ინფორმაცია მომაწოდა. რა უნდა მექნა? არ უნდა ამეყვანა ის დამპალი?!

— ის დამპალი კი, ჟურნალისტი და თანაც, მიქაძის ოფისის წარმომადგენელი აღმოჩნდა!.. — ცივად შენიშნა მირიანმა.

— რა არის დაუჯერებელი? წამალს პარლამენტარებიც იჩხირავენ! — მხრები აიჩეჩა მესხმა.

— ბიჭო, არ გინდა ახლა, ლოზუნგობია! მე არ მაინტერესებს, რას იკეთებენ პარლამენტში — წამალს თუ ოყნას. ჯობია, ის ამიხსნა, როგორ გადააწყდა ბიბილური წერეთელს?

— წერეთელმა თვითონ სთხოვა: წამალი ამაღებინეო და...

— და შენ გგონია, რომ ეს შემთხვევით მოხდა?!. — არ დაასრულებინა მირიანმა.

— არ ვიცი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენ სუფთები ვართ. რატომ ღელავთ, ვასილიჩ? ის ნაბიჭვარი ნაღდ ფაქტზე ავიყვანეთ! მოწმეებიც სუფთა მყავს. მაგაში ვერავინ შეგვედავება. მალე ბიჭები ნარკოლოგის დასკვნას მოიტანენ და ყველაფერი დამთავრდება. მე თუ მკითხავ, ჩვენ კი არა, მიქაძემ და მისმა ხალხმა უნდა იხალონ თავში ქვა. მართლა მაგრად გაიჩალიჩეს. ეგენი ბოლომდე თუ არ ჩავწიხლო, კაცი არ მერქვას! ნახე, რა ამბავი ატყდება, როდესაც ამ ფაქტებს უკანალზე ავაკრავ წერეთელსა და მიქაძეს და ისე გავისტუმრებ ციხეში. ძიებაც გასათვალისწინებელია. ვინ იცის, რა ჩვენებას მოგვცემს წერეთელი. ჩვენ ხომ არ ვიცით, ვისთან ერთად აპირებდა კაიფს. რა, მარტო ხომ არ გაიჩხერდა ამდენ წამალს!.. იქნებ, ისეთი სახელიც ამოვარდეს, რომ... — მერაბმა თვალი ჩაუკრა პოლიციის შეფს.

— არა!.. — სწრაფად მოსხიპა მირიანმა. — ეგ აღარ მჭირდება. საქმეს ზედმეტი მიდი-მოდის გარეშე გამოიძიებ!..

— როგორც თქვენ იტყვით, — პირფერობა მოიშველია მესხმა.

— მაგრამ გაფრთხილებ, მერაბ: იალლიშს აღარ გაპატიებ. არაფერს არ მივაქცევ ყურადღებას — არც ძველ ძმაკაცობას და არც საერთო ნაცნობებს!.. — თვალი თვალში გაუყარა მირიანმა.

— ყველაფერი... — წამოიწყო მესხმა, მაგრამ ვიდრე დაასრულებდა, მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა.

მერაბმა ეკრანს დახედა.

— ესეც ასე! ბრეგვაძეა... — კმაყოფილი სახით გადაულაპარაკა მირიანს და აპარატი ჩართო.

რას ეხებოდა მათი საუბარი, მირიანისთვის ჯერჯერობით უცნობი იყო. მაგრამ მესხის სახეზე მომხდარმა ცვლილებამ უმალ მიახვედრა, რომ მას რაღაც ძალიან ცუდი აცნობეს. საუბრის დასასრულს კი, მერაბი ფეხზე წამოიჭრა და მთელი ხმით უყვირა თანამოსაუბრეს:

— ხომ არ შეიშალე, ბიჭო?! მაგათ უთხარი, რომ თავიდან შეამოწმონ. რას ჰქვია — არ არის?! მე არ ვიცი, რა გაგატანეთ ექსპერტიზაზე?!

— რა მოხდა? — დაძაბული სახით ჰკითხა მირიანმა.

პასუხად მესხმა გაოგნებული მზერა მიაპყრო და ჩავარდნილი ხმით უპასუხა:

— ბრეგვაძე მატყობინებს, რომ ამოღებული აბები სუბუტექსი არ ყოფილა!..

— როგორ?! — დაიბნა მირიანი. — ახლა არ მიმტკიცებდი: ნაღდი ფაქტით ავიყვანეო?!

— ნაღდი იყო... ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ... რაღაც გამიჩალიჩეს იმ ნაბიჭვრებმა!.. — მერაბმა კბილები გააღრჭიალა, შემდეგ, მოულოდნელად მოსწყდა ადგილს და კაბინეტიდან გავარდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# მალხაზ ასათიანი: «ჩემი კარპი ყოველთვის დავით ყიფიანი იყო»



## ვარჯიში ტრენაჟორებზე, ფიქრი ხაჭაპურზე და მომატებული კილოგრამები

**მოსკოვის „ლოკომოტივმა“ რუსეთის ჩემპიონატისთვის მზადება კი დაიწყო, მაგრამ გუნდთან ერთად არ არის მისი ერთ-ერთი ლიდერი — მალხაზ ასათიანი. ამჟამად, საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი გერმანიის პატარა ქალაქ რუიტში იმყოფება, სადაც მძიმე ტრავმის შემდეგ, რეაბილიტაციის კურსს გადის. გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტი ეფიმ შაინსკი ჩვენებურს გერმანიაში ესტუმრა და ასათიანის რუიტული ყოფის თაობაზე საინტერესო რეპორტაჟი გააკეთა, რომელსაც „გზის“ მკითხველს ვთავაზობთ.**

*კვირას, რუიტის სპორტულ ბაზაზე ასათიანთან ერთად ვსეირნობდი, რომელიც გერმანელი ფიზიოთერაპევტის ზარს ელოდა. ამ უკანასკნელს, „ლოკომოტივის“ მცველისთვის ვარჯიში უნდა დაენიშნა. ვიხსენებდით, როგორ შევხვდით აქ, როდესაც მოსკოვური კლუბი შეკრებას გადიოდა. ასევე, მოვუყევი ვალერი ლობანოვსკისთან რუიტში ჩემი სტუმრობის შესახებ. მოგვიანებით, სუფთა ჰაერზე გამოსულები მაგიდას მივუსხედით და ასათიანმა მითხრა: „რუიტს და მის მიმდებარე ტერიტორიებს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ. გასული წლის შემოდგომაზე, როდესაც ჯვარედინ მყესზე ოპერაცია გამიკეთეს, აქ თვენახევარი გავატარე. კიდევ კარგი, რომ საქართველოდან ჩემი მეგობარი მესტუმრა. რაც არ უნდა იყოს, მარტო ყოფნა მაინც რთულია. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში ყავარჯნებით დავდიოდი. მახსოვს, მასთან ერთად შტუტგარტში ჩავედი, სადაც თამაშს ლევან კობიაშვილის „შალკე“ ატარებდა. ლევანი მცირე ტრავმის გამო არ თამაშობდა და სტადიონზე ლაპარაკით გული ვიჯერეთ. საერთოდ, მასთან ვმეგობრობ და იგი ოპერაციის შემდეგ ყოველდღე მირეკავდა.*

— **ამჟამად, თავს როგორ გრძნობთ?**

— უკვე, ნორმალურად. სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ექიმმა ფრელიხმა რუიტის სიახლოვეს მდებარე ბიბლინგენეში ოპერაცია გამიკეთა. შაბათს ფიზიოთერაპევტ იენსის მეთვალყურეობის ქვეშ მსუბუქად სირბილი დავიწყე და ფეხი არ მტკენია. იენსი ფრელიხთან მუშაობს და ძალიან კარგი ბიჭია. მასთან ერთად, აქ სამი კვირის განმავლობაში დავრჩები.

— **რა ენაზე ურთიერთობთ?**

— სხვადასხვა ენაზე. ზოგჯერ, ინგლისურად ვლაპარაკობთ, მაგრამ ყველაზე ხშირად, ურთიერთობა საფეხბურთო ენაზე გვაქვს.

— **უფრო სწორად?**

— ჟესტებისა და მიმიკის დახმარებით. სხვათა შორის, ერთმანეთის კარგად გვესმის.

— **რუიტის შემდეგ რას გეგმავთ?**

— არ ვიცი. თუ ყველაფერი კარგად იქნება, „ლოკომოტივთან“ ერთად შეკრებაზე წავალ.

— **რუიტში რა პროგრამით მუშაობთ?**

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. პირველ დღეებში მხოლოდ მოედანზე დავრბოდი და ასევე, კიბეზე — ზევით-ქვევით. ვნახოთ, შემდეგ იენსი რას შემომთავაზებს. ამ ბაზაზე სატრენაჟორო დარბაზიც არის და აუზიც. ვიცი, რომ ვარჯიში დღეში ორჯერ მომიწევს.

— **ბურთთან ერთად თუ ივარჯიშებთ?**

— ბურთი ძალიან მომენატრა, მაგრამ იენსი მასთან შეხების უფლებას არ მაძლევს.

— **ექიმ ფრელიხს შეხვდით?**

— დიახ, მასთან სახლში ვიყავი. გამსინჯა და მითხრა, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის.

— **ვინმემ ძველით ახალი წელი თუ მოგილოცათ?**

— მშობლებს და მეგობრებს (როგორც საქართველოდან, ასევე მოსკოვიდან) არ ვავიწყდები. ისინი მუდმივად მირეკავენ. აქ მხოლოდ ტელევიზორით ვერთობი, რომელიც ნომერში მიდგას და მუდმივად ვუყურებ საფეხბურთო რეპორტაჟებს — ინგლისიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან. რა თქმა უნდა, რუიტში ყოფნა მოსაწყენია, მაგრამ რას ვიზამ, რეაბილიტაცია მესაჭიროება.

— **თანაგუნდელებთან კონტაქტი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. ხუთი დღის წინ, შვებულების დასრულებისას, ერთმანეთს მოსკოვში შევხვდით, ვისაუბრეთ და დავშორდით. ისინი ამჟამად პორტუგალიაში არიან.

— **მომავალი სეზონის დაწყების წინ როგორი განწყობილება გაქვთ?**

— საწყენია, რომ ჩემპიონატის დასაწყისს გავაცდენ. ახლა ჩემთვის მთავარია, სათანადო კონდიციები დროულად დავიბრუნო. იმედი მაქვს, მაისის ბოლოს მოედანზე გამოსვლას შევძლებ.

— **ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად, რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი ალბათ, უკვე აღარ დაგაკმაყოფილებთ?**

— ჩვენ მიზნად ყოველთვის ჩემპიონობას ვისახავთ. ისედაც საწყენია, რომ უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ჩემპიონატის მიწურულს საჭირო ქულებს ვკარგავდით. ახლა ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ოქროს მედლები „ლოკოს“ დარჩეს. ყველანი ჩემპიონობის სურვილით იწვიან, ისინიც კი, ვისაც კარიერაში ბევრი ტიტული აქვთ მოპოვებული. გამარჯვება არავის სწყინდება. დარწმუნებული ვარ, პირველი ადგილის დაკავება შეგვწევს. გუნდში მშვენიერი ფეხბურთელები გვყავს და ამასთანავე, კლუბში სიომინიც დაბრუნდა. სხვათა შორის, 2003 წელს, „ლოკომოტივში“ სწორედ მან ამიყვანა.

— **გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელს, ანატოლი ბიშოვეცს თუ გაესაუბრეთ?**

— ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. მომიყვა, როგორ თამაშობდა კახი ასათიანის და გივი ნოდიას გვერდით. მის მიერ გაწვრთნილ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელმაც 1988 წელს სეულში ოლიმპიადა მოიგო, ჩემი თანამემამულე, გელა კეტაშვილი თამაშობდა.

— **წარსულს თუ გავიხსენებთ, „ლოკომოტივში“ გატარებული პირველი დღე რითი დაგამახსოვრდათ?**

— „ლოკომოტივს“ პირველად იტალიაში, დაბა ჩოკოში შეკრებაზე ყოფნისას შევუერთდი. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან მსურდა, ყველაფერი სწრაფად გამეგო, იქ კი სიტუაცია ისეთი გახლდათ, როგორც ჩქარ მატარებელში — ხალხი, საუბარი, ვარჯიშები.

— **გუნდში მეტსახელი თუ გაქვთ?**

— არა, ყველა მალხაზს მეძახის. შეიძლება, ახლა მოიფიქრონ რაღაც, რადგან გუნდში მახვილი ენის პატრონები გვყავს.

— **ავტობუსში რომელ ადგილას ზიხართ?**

— უფრო შუაში. თავდაპირველად, ყველა, ვინც დუბლშემადგენლობაში თამაშობს, უკან ზის.

— **საქართველოში „ლოკომოტივს“ გულშემატკივრობენ?**

— მთელი საქართველოს თაობაზე ვერ გეტყვით, მაგრამ ქუთაისში ნამდვილად „ლოკომოტივს“ ქომაგობენ. ჩემი მეგობრე-

ბი და ახლობლები ჩვენი გუნდის გამოსვლას თვალს ადევნებენ.

**— კლუბში ეროვნული საკითხი როგორ წყდება?**

— არანაირად. ჩვენთან მსგავსი პრობლემა არ არსებობს. საერთოდ, ჩემი აზრით, ყველა საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანად შეიძლება.

**— მოედანზე თქვენი საყვარელი პოზიცია რომელია?**

— თავს ყველაზე კარგად გამთამაშებლის პოზიციაზე ვგრძნობ.

**— ფეხბურთში რისი კეთება არ გიყვართ?**

— ნებისმიერ ფეხბურთელს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, რომ სირბილი არავის უყვარს. თამაში და გოლების გატანა მშვენიერია, მაგრამ ცხენივით სირბილი სასიამოვნო ნამდვილად არ გახლავთ.

**— დღესდღეობით, კერპი თუ გყავთ?**

— ვფიქრობ, მისაბაძი მაგალითი ყველას უნდა ჰყავდეს. ჩემთვის ასეთი პიროვნება ყოველთვის დავით ყიფიანი იყო. ის უდიდესი ფეხბურთელი და საუცხოო პიროვნება გახლდათ. თანამედროვეთაგან, ყოველთვის რობერტო ბაჯო მომწონდა.

**— მოედანზე გასვლის წინ, თქვენთვის რისი გაკეთებაა აუცილებელი?**

— მე მართლმადიდებელი ვარ და სანამ მინდორზე გავალ, ყოველთვის პირჯვარს ვიწერ.

**— იღბლიანი ადამიანი ხართ?**

— დიახ, რადგან ჯერჯერობით, ხშირად მიმართლებს. როდესაც რაღაც ძალიან გინდა, აუცილებლად გამოგივა. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ამას იღბალი დავარქვა თუ ჯილდო გაწეული შრომისთვის.

**— ფეხბურთი სიამოვნებაა თუ შრომა?**

— ორივე ერთად. ფეხბურთისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ და საერთოდ, ამის გარეშე რაიმის კეთება არ მიყვარს.

**— ნამდვილი ქართველი ასათიანი მოედანზე საკუთარ ხასიათს ასე იშვიათად რატომ ამჟღავნებს?**

— ხანდახან, ემოციის გადმოფრქვევა ყველა ადამიანს ახასიათებს და ფეხბურთელებიც ადამიანები არიან. მსგავსი რამ მეც მემართება ხოლმე. კარგად მესმის, რომ უხეშობას უხეშობით არ უნდა უპასუხო და მსაჯთან კამათიც არ შეიძლება. შემდეგ, ძალიან ვნანობ ხოლმე, როდესაც გაფრთხილებას მომცემენ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ არბიტრთან ურთიერთობის გარკვევას აზრი არა აქვს. ვფიქრობ, გამოცდილების მომატებასთან ერთად, უფრო თავშეკავებული გავხდები, თუმცა, თამაში თამაშია და ყველაფერია მოსალოდნელი.

**— თქვენ, როგორც ფეხბურთელის ოცნება რა არის?**

— საერთოდ, ყოველთვის მაღალი მიზნები უნდა დაისახო და მათ მიღწევას შეეცადო. კლუბთან ერთად რუსეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში მსურს. საქართველოში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნება ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე თამაშია. ვიდრე მიზანი არსებობს, ყოველთვის საინტერესოა, ხოლო მიზნის გარეშე, ინტერესიც ქრება...

*გარეთ ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ იენსი არ რეკავდა. ჩვენ სასტუმროში გადავედით, სადაც რბილ ტყავის სავარძლებში ჩავეფალით და ამინდზე, მკაცრ შტუტგარტელ მესაზღვრეებზე ვსაუბრობდით. ასათიანი მიყვებოდა, თუ მის თვალწინ, გერმანიაში როგორ არ შემოუშვეს ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც პასპორტში ცინცხალი ვიზები ჰქონდათ ჩარტყმული. ვიხსენებდით ნანი ბრეგვაძეს, სოსო პავლიაშვილს, ზურაბ სოტკილავას. ფიზიოთერაპევტი კი, არსად ჩანდა. — უცნაურია, რაღაც გერმანელის საქციელს არ ჰგავს — აღვნიშნე მე. ასათიანმა მიპასუხა: ეს ალბათ, „ახალი" გერმანელია. იენს დემელტმა მაშინ დარეკა, როდესაც უკვე არავინ ელოდა და მალხაზს ვარჯიში საღამოს დაუნიშნა.*

*სატრენაჟორო დარბაზში შესული ასათიანი პირველ რიგში, სასწორზე დადგა, ამოიოხრა და თქვა: მინიმუმ ორი კილოგრამი მოვიმატე. ყველაფერი გასაგებია — ახალ წელს საკუთარ სახლში, ქუთაისში შეხვდი. საქართველოში დიდხანს დარჩენა სახიფათოა, რადგან წონაში ბევრს იმატებო.*

*მალე იენსი შემოვიდა და მუშაობა დაიწყო. ორივე მათგანი მიმართვისას მუდმივად იყენებდა ფრაზას — „ჩემო მეგობარო" და ხშირად იღიმებოდა. განსაკუთრებით ასათიანი, რომელსაც ასეთი დატვირთვის შემდეგ, წესით, საქმე სახუმაროდ არ უნდა ჰქონოდა. ვარჯიშის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგები, მაგრამ გეტყვით, რომ საათ-ნახევრის განმავლობაში, „ლოკომოტივის" ფეხბურთელმა საგანგებო ტრენაჟორზე ფეხებით ჯამურად, 15 ტონა რკინა ასწია, ფუთიანი გირებით, მაქსიმალური სისწრაფით დამრეც კიბეზე აირბინა, აურაცხელი რაოდენობის აჩქარება გააკეთა პატარა ბატუტზე, რომელიც გასაბერ მაშველ რგოლს ჰგავდა. თუმცა, ამასთან ერთად, მოკლე პაუზებისას ხუმრობდა. — „იენს, იცი, რა არის ხაჭაპური?" — ჰკითხა ასათიანმა ღიმილით. ფიზიოთერაპევტმა კითხვა შეუბრუნა: „როგორ? როგორ? ხატსა-პუ-რი?" მალხაზმა გაიცინა და შემდეგ შეეცადა, გერმანელისთვის ცნობილი ქართული კერძის მომზადების რეცეპტი აეხსნა. ვარჯიშის დასაწყისში, ქართველს რატომღაც კულინარიულ თემებზე საუბარი იზიდავდა და თქვა, რომ მისი დასრულებისას, აუცილებლად წავიდოდა რომელიმე კაფეში. იენსი კი, წამწამით ხელში იდგა და ტემპს უმატებდა. „მალხაზი ახლა რასაც აკეთებს, ძალიან რთულია", — ამიხსნა ფიზიოთერაპევტმა. თუმცა, ასათიანს თავი ყოჩაღად ეჭირა და მცირე შესვენებისას ცდილობდა, გაეღიმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩანდა, ვარჯიში არცთუ ისე უადვილდებოდა. „ასეთი სახის წვრთნა ნამდვილი წამებაა, ფეხბურთი კი, დიდი ბედნიერება. თუმცა, ამ წამების გარეშე, ბედნიერება არ არსებობს", — თქვა მალხაზმა. ვარჯიშის მიწურულს, ფეხბურთელმა მოულოდნელად გერმანულად ლაპარაკი დაიწყო და მწვრთნელს ნაოპერაციებ მუხლზე მიუთითა, რომელშიც არასასიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა. იენსმა მას რუსულად განუმარტა, რომ მსგავსი დატვირთვის ფონზე, ეს ბუნებრივი რეაქციაა. წვრთნის მიწურულს, ასათიანი უკვე აღარ ბჭობდა და მხოლოდ წყალს სვამდა. „წამება" რომ დასრულდა, მან თქვა: ახლა ჭამაზე ფიქრიც კი არ მსურს. ერთი სული მაქვს, საწოლამდე როდის მივალო.*

*იგი დასასვენებლად წავიდა და დემელტთან ერთად, დარბაზში მარტო დავრჩი.*

*„მალხაზმა ძალები უნდა აღიდგინოს. მან სათანადოდ უნდა ავარჯიშოს კუნთები, რომლებიც მარცხენა მუხლის კარგად მუშაობას უზრუნველყოფს. ყოველდღიური წვრთნის განმავლობაში, ასათიანს კოორდინაციაც გაუუმჯობესდება. დარბაზის გარდა, საცურაო აუზსა და მოედანზე ვივარჯიშებთ", — განმიმარტა იენსმა.*

**— პაციენტი თქვენზე როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?**

— მან დიდი პროგრესი განიცადა. ოპერაციიდან სამი თვისთავზე, მშვენივრად გამოიყურება. მე მალხაზის დისციპლინირებულობა, მონდომება და პუნქტუალობა მომწონს. ფეხბურთელს ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ მწყობრში დროულად ჩადგეს.

**— ბურთთან ერთად ვარჯიშს როდის დაიწყებს?**

— ამ ეტაპზე, ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. ყველაზე მსუბუქ ვარჯიშებს ბურთით ჩვენ უკვე ორ კვირაში დავიწყებთ.

**— ასათიანი „ლოკომოტივში" თამაშს როდის შეძლებს?**



— თუ ყველაფერი ნორმალურად იქნება, ოპერაციიდან ექვსი თვისთავზე, ის ვარჯიშს გუნდთან ერთად დაიწყებს. კიდევ ორი თვის შემდეგ, ფეხბურთელი მწყობრში საბოლოოდ ჩადგება.

**— დიდი დატვირთვების ფონზე, ფეხბურთელის საერთო ფიზიკურ მდგომარეობაზე კონტროლი თუ ხორციელდება?**

— ექიმი ფრელიხი პაციენტს სისხლის ანალიზს რეგულარულად უტარებს და ელექტროკარდიოგრამასაც უღებს. ჩვენ ყველასთან, ვინც მოგვმართავს, ასე ვმუშაობთ. ■

*მოამზადა ლაშა თაბაგარმა*

# ქართული ხასიათით გაჯერებული ამერიკული ბალეტი და უმემკვიდრეოდ დარჩენილი ბუმბერაზი



ირმა ახალაია

**ქართველი გიორგი ბალანჩივაძე თუ ამერიკელი ჯორჯ ბალანჩინი? იქნებ ამას არც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, როდესაც საქმე დიდ ხელოვნებასა და ხელოვანს ეხება... და მაინც... 18 წლის გიორგი ბალანჩივაძემ ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის არსებული სისტემა ზედმიწევნით აკონტროლებდა პიროვნების თითოეულ ნაბიჯს და მის მიერ დაშვებულმა მცირედმა უზუსტობამ განაპირობა ის, რომ არა ქართველი, არამედ ამერიკელი ბალეტმაისტერი გამხდარიყო.**

## ის, ვისაც ცეკვა საშინლად სძულდა...

განსაკუთრებული და უჩვეულო ალბათ არც არაფერი ყოფილა იმაში, რომ კომპოზიტორ მელიტონ ბლანჩივაძის ოჯახში დაბადებული ანდრია და გიორგი ბალანჩივაძეებს მუსიკის არსი ბავშვობიდანვე ჰქონოდათ გაცნობიერებული. შვიდი და ცხრა წლის ბიჭებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია რიმსკი-კორსაკოვის ოპერას — „ზღაპარი მეფე სალთანზე“. ამ დღიდან დაიწყო მათი განსაკუთრებული სწრაფვა კლასიკური მუსიკისადმი.

მთელი ბავშვობა პეტერბურგში გაატარეს, ამიტომაც მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა პეტერბურგის წარჩინებული საზოგადოება. უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, — გიორგი ბალანჩივაძეს მაშინ ყველაზე მეტად ცეკვა სძულდა. მორცხვი და მორიდებული ყმაწვილი არასოდეს მონაწილეობდა საერთო მხიარულებაში.

შეიძლება ითქვას, გიორგი ბალანჩივაძეს არ აურჩევია ცეკვა, თავად ცეკვამ აირჩია იგი. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრალურ სასწავლებელში კომისიის წევრებმა მიღებაზე უარი უთხრეს გიორგის დას — თამარს და არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერეს, რომელსაც თავზარი დაეცა, რადგან ვერ იტანდა ცეკვას. უდიდესი წინააღმდეგობისა და პროტესტის მიუხედავად, არჩევანის უფლება არ მისცეს და პანსიონში დატოვეს. პარალელურად, პეტერბურგის კონსერვატორიაში ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდა. ყოველი ნიუანსი, უმნიშვნელო მოძრაობაც კი, მისი მხედველობის არეში ექცეოდა. მუსიკამ და ცეკვამ გიორგი ბალანჩივაძის ცხოვრებაში თავის ადგილი დაიმკვიდრა.

1916 წელს მელიტონ ბალანჩივაძე თავის ვაჟთან — ანდრიასთან ერთად თბილისს გამოეშურა. ამ დროისათვის გიორგის უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული „ახალგაზრდა საბალეტო ჯგუფი“ და ახლომდებარე ქალაქებში გასტროლებზე დადიოდა. იმდენად რთული იყო ცხოვრების პირობები, რომ მისი ტოლი ბიჭები კატების გატყავებასა და მის ჭამასაც კი არ თაკილობდნენ. სწორედ ამ მძიმე მდგომარეობამ განაპირობა ახალგაზრდა ბალერონის ჯანმრთელობის შერყევა. სიკვდილის პირას მყოფი ვაჟისთვის მამის დაბრუნება სიცოცხლის ტოლფასი აღმოჩნდა. — „მას შემდეგ, როცა გამიჭირდებოდა და გაუსაძლის სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი, სულ მამა მეცხადებოდა. მამა ჩემთვის ღმერთივით იყო, რომელიც მუდამ გვერდში მეგულებოდა“, — ასე იხსენებდა იმ დღეს, უკვე ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

თეატრალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი უკვე მარიას თეატრში ცეკვავდა, პარალელურად, თავის დასშიც მოღვაწეობდა. ერთ-ერთმა გასტროლმა კი საბოლოოდ გადაწყვიტა გიორგი ბალანჩივაძის ბედი.

## „სასწრაფოდ დაბრუნდით, პასუხს აგებთ!..“

1923 წელს, ლუნაჩარსკის ინიციატივით, ლენინმა თანხმობა განაცხადა საბალეტო დასის საფრანგეთში გამგზავრებაზე. ისინი სულ თორმეტნი იყვნენ, მათ შორის — გიორგი ბალანჩივაძის პირველი მეუღლეც. ამ დროისათვის ახალგაზრდა ბალეტმაისტერი მძიმე სენით — ტუბერკულოზით იყო დაავადებული. ამიტომაც სერგეი დიაგილევმა იგი სამკურნალოდ შვეიცარიაში გაგზავნა, სადაც ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს და ნახევარი ფილტვი ამოჰკვეთეს, ამასთან ერთად ორი ნეკნის ამოღებაც გახდა საჭირო. საავადმყოფოში თვე-ნახევარი დაყო, ხოლო როცა საფრანგეთში დაბრუნდა, მისი დასი უკვე სამშობლოში დაბრუნებულიყო. მარიას თეატრში სასწრაფოდ გაგზავნა წერილი, სადაც თავის მდგომარეობას ხსნიდა და ითხოვდა, მისთვის დრო მიეცათ მკურნალობის კურსის ბოლომდე ჩასატარებლად. „სასწრაფოდ დაბრუნდით, პასუხს აგებთ!..“ — წერდა მარიას თეატრის კომენდანტი ნენეცკი. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო: სამშობლოში დაბრუნება უკვე სიკვდილის ტოლფასი იყო. 18 წლის ვაჟმა ერთბაშად დაკარგა ყველა და ყველაფერი — სამშობლო, დედ-მამა, და-ძმა, მეგობრები... იგი საფრანგეთში დარჩა და საბალეტო დადგმებზე მუშაობა დაიწყო. მთელი თავისი ემოციები და გრძნობები გიორგი ბალანჩივაძემ ცეკვაში ჩააქსოვა.

ბალანჩივაძის გვარის ტრანსფორმაცია სერგეი დიაგილევს ეკუთვნის. 1924 წლის 21 დეკემბერს, გიორგი ბალანჩივაძე ჯორჯ ბალანჩინი გახდა და მსოფლიომაც სწორედ ამ სახელით გაიცნო.

...1933 წელს, ჯორჯ ბალანჩინს გასტროლი ჰქონდა ლონდონში. სპექტაკლით აღფრთოვანებულმა ერთ-ერთმა მაყურებელმა, ვინმე ლინკოლნ კირსტაინმა, შემდგომში, „ნიუ-იორკ-სიტ-ბალეტის“ გენერალურმა დირექტორმა, ჯორჯ ბალანჩინი ამერიკაში სამუშაოდ მიიწვია. — რომელ ბალეტზეა ლაპარაკი, როცა საბალეტო სკოლაც კი არ გქონიათ?! — იყო პასუხი... მაგრამ ხუთი თვის შემდეგ, ჯორჯ ბალანჩინი ამერიკაში გაემგზავრა.



ჯორჯ ბალანჩინი სარეპეტიციო დარბაზში (1968 წ.)

## დიდი ხელოვანი დიდ ქვეყანაში

ამერიკის საბალეტო სკოლა ექვს კაცზე იყო დამოკიდებული. სპექტაკლები „მეტროპოლიტენ ოპერაში“ იდგმებოდა. პრეზიდენტ კენედის დროს, როკფელერმა 12 მილიონი დოლარი გაიღო ამერიკული ბალეტის განვითარებისათვის, აქედან 9 მილიონი პირადად ჯორჯ ბალანჩინს გადაეცა. მერე უკვე ჰქონდა საკუთარი თეატრი — „ნიუ-იორკ-სიტი-ბალე“ ბროდვეიზე. უკვე კარგა ხანია, ბალეტი მისთვის მთელ ცხოვრებად ქცეულიყო. 5 ცოლიდან ვერც ერთისგან მემკვიდრეს ვერ ეღირსა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ბალეტი იყო მისთვის ყველაზე ღირსეული „მემკვიდრე“. შვილი რომ მყოლოდა, მაშინ ბალეტს ასე ვერ მოვუვლიდიო, — ამბობდა. მესამე მეუღლე — ინდიელი ბელადის ქალიშვილი მარია ტალოჩეფი უმნიშვნელო შენიშვნის გამო დასიდან დაითხოვა. უკომპრომისო და დაუღალავი შრომის ფასად, მან „ბალეტში რევოლუცია მოახდინა და სამუდამოდ შეუცვალა ცეკვას სახე არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში“.

## ქართული ჩოხა, ქართული ხასიათი და ქართულ ღვინოს დანატრებული ემიგრანტი

ამერიკამ მას დიდება და სახელი მოუტანა, მაგრამ საქართველოს გარეშე წუთითაც არ უცხოვრია, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში თითქმის არ ყოფილა. ქართული ხასიათიდან იმერული სიფიცხე და სისხარტე დაჰყვა. ეს მის ცეკვებშიც ნათლად იგრძნობოდა. საგანგებოდ ქართული ჩოხაც კი შეიკერა, რათა უცხოეთში ტანსაცმლით მაინც ეგრძნო სამშობლოსთან სიახლოვე. ძალიან უყვარდა ცხარე კერძები. თითქმის ყველას, ტყემალსა და ტყლაპს ატანდა. ნიუ-იორკიდან 6 კმ-ის მოშორებით, ქინძიც კი ჰქონდა დათესილი. მხოლოდ იმას ნანობდა, რომ ამერიკაში ქართულ ღვინოსა და „ბორჯომს“ ვერ შოულობდა.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამერიკაში სუხიშვილების ანსამბლი ჩავიდა. მინდა, თუნდაც ჩემი იმერული პატივმოყვარეობა კიდევ ერთხელ დავიკმაყოფილო სუხიშვილების ანსამბლის ცქერითო, — უთქვამს. თავად, ორჯერ ეწვია საქართველოს თავისი დასით და ეს იყო მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღეები.

1981 წელს მსოფლიო მნიშვნელობის ბალეტმაისტერს გულის ოპერაცია გაუკეთეს. კატეგორიულად აუკრძალეს მკვეთრი მოძრაობები, მაგრამ... საგასტროლოდ მიმავალ თავის დასს მაინც გაჰყვა...

ანდერძის თანახმად, ნიუ-იორკის ფრანგულ სასაფლაოზე დაკრძალეს. მისმა ძმამ, ანდრია ბალანჩივაძემ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია -ის მიერ ნაკურთხი მშობლიური მიწა ამერიკაში გაგზავნა და გარდაცვალებიდან წლისთავზე ის გიორგი ბლანჩივაძის ანუ ჯორჯ ბალანჩინის საფლავზე მოაბნიეს... ■

**„დიდი ხანია, რაც ქართულ ხალხურ სიმღერებს ვმღერი, მაგრამ 1 წელია, რაც ამ საქმეს ხელი სერიოზულად მოვკიდე და 2006 წელს გამოვუშვი ჩემი პირველი ალბომი, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოვიდა“, — ამბობს მომღერალი ნინო ჩხეიძე, რომელსაც თინეიჯერობის ასაკში, გარშემო მყოფებზე დიდი ქალის შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდა, დღეს კი, ბავშვობის წლების დაბრუნებაზე ოცნებობს...**

# მოზარდი ტელეჟურნალისტი და მომღერალი მეუღლემ გამოაფხიზლა



ლიკა ქაჯაია

— დღესდღეობით, მეორე ალბომზე ვმუშაობ, რომელშიც 10 სიმღერა შევა. დისკი თებერვლის დასაწყისში გამოვა. ჩემი სიმღერები ძირითადად, ქალაქური ჟანრისაა.

— **რატომ აირჩიე ეს სტილი?**

— იმიტომ, რომ ეს სტილი ჩემთან ახლოსაა, ოჯახში ხალხური და ქალაქური სიმღერების გარდა, თითქმის არაფერს ვუსმენთ... მაგრამ ალბათ, სხვა ჟანრშიც მოვსინჯავ ძალებს.

— **მაგალითად, რომელში?**

— ქართულ ფოლკში, რომელიც ისე იქნება გაკეთებული, რომ ის თინეიჯერებსაც მოეწონებათ და ტრადიციების მიმდევარ ადამიანებსაც.

— **როგორ ფიქრობ, მოზარდ მსმენელს ქალაქური სიმღერები არ იზიდავს?**

— ამ ბოლო დროს, ამ ჟანრსაც დიდ პატივს სცემენ — მღერიან, ღიღინებენ, ცეკვავენ, ოვაციებით გვაჯილდოებენ და თქვენ წარმოიდგინეთ, კივიან კიდეც. ეს ცვლილება ძალიან მახარებს, რადგან კარგად მახსოვს ის პერიოდიც, როცა ქალაქურ და ხალხურ სიმღერებს არავინ უსმენდა...

— **ნინო, რამდენი წლის ხარ?**

— 25-ის. მყავს მეუღლე და 3 წლის, არა, უფრო სწორად, ორწლინახევრის ქალიშვილი — მარიკო.

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— ტელეჟურნალისტი ვარ, თუმცა, ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია... ამჟამად, მაგისტრატურაში ვსწავლობ და იმედი მაქვს, რომ მერე კარგი ჟურნალისტი ვიქნები *(იცინის)*.

— **შენთვის თინეიჯერობა რასთან ასოცირდება?**

— მხიარულობასთან, ხალისთან. ძალიან მინდა, ახლაც თინეიჯერი ვიყო, მენატრება ის პერიოდი.

— **რომელი პერიოდი?**

— როცა ბავშვი ვიყავი და „ქალობა“ მეჩქარებოდა.

— **ანუ ამ ასაკში სათამაშოები არ გიზიდავდა?**

— როგორ არა, სათამაშოები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ რატომღაც, ძალიან ადრე დავსერიოზულდი. ამ ასაკში ისე ვიქცეოდი და ისე ვიცვამდი, როგორც დიდი ქალი... ვფიქრობ, ახლა თინეიჯერი რომ ვიყო, სულ სხვანაირი ვიქნებოდი.

— **მაინც, როგორი?**

— თავქარიანი. თუმცა, არ მივიჩნევ, რომ ის პერიოდი ჩემთვის ცუდი იყო; უბრალოდ, ჩემს თავქარიანობას დღევანდელი ცხოვრება მოიტანდა, დღეს ხომ ბავშვები რაღაც სხვანაირები არიან.

— **როგორები არიან?**

— უფრო თავისუფლები, ვიდრე მე ვიყავი მათ ასაკში — გინდ ჩაცმულობით, გინდა — ქცევით. უკომპლექსოები, უშუალოები არიან და ეს ძალიან კარგია. ალბათ, ეს გაევროპელებამ მოიტანა.

— **როგორ ფიქრობ, მიმბაძველობა კარგი თვისებაა?**

— გააჩნია, რაში ჰბაძავ ადამიანს. ისე, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ტრადიცია, კულტურა, მენტალიტეტი, რითიც სხვებისგან რადიკალურად განვსხვავდებით. კარგია, როცა სხვას კარგ რაღაცაში ვბაძავთ, ცუდი რაღაცის გაკეთების უფლებას კი, ჩვენი შინაგანი კულტურა არ უნდა გვაძლევდეს.

— **თვითონ ტრადიციების მიმდევარი ხარ?**

— რა თქმა უნდა და ძალიან მინდა, ჩემი შვილიც ასე აღვზარდო... ტრადიციებს ვიცავ დღესასწაულებზე, ვიცი ოჯახის და მშობლების პატივისცემა, ისეთ რაღაცას არ გავაკეთებ,

რაც დედ-მამას არ მოეწონება, მათ თავზე ვერ „გადავახტები“. ვფიქრობ, ყველა შვილი ასე რომ იქცეოდეს, ძალიან მაგარი იქნება.

**— ალბათ, გაპრანჭვა ადრეულ ასაკში დაიწყე, არა?**

— კი. ძალიან მიყვარდა მკვეთრი მაკიაჟის გაკეთება, ვბაძავდი სხვადასხვა მსახიობს (ოღონდ, კონკრეტულად ვის, ეს უკვე აღარ მახსოვს), ვიცვამდი ქალური სტილის სამოსს, მინდოდა, გარშემო მყოფებზე შთაბეჭდილება მომეხდინა.

**— თუ ცდილობდი, სხვებისგან რაიმით გამორჩეული ყოფილიყავი?**

— შეიძლება ვცდილობდი, მაგრამ ამისთვის, თავს არასდროს გადავიპარსავდი. ვიყავი ერთი პრანჭია და მორჩილი გოგო...

**— არც არავის ფანი ყოფილხარ?**

— არავისზე ვგიჟდებოდი, გოგი დოლიძის გარდა. მის სურათებს და მასზე გავრცელებულ ნებისმიერ ინფორმაციას ვაგროვებდი. როცა გარდაიცვალა, მისი ამბავი ძალიან განვიცადე, ვუსმენდი ყველა მის ჩანაწერს... სხვათა შორის, დღემდე ვაგროვებ ყველა ქართული კონცერტისა თუ კლიპის ჩანაწერს.

**— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?**

— არც ფრიადოსანი ვიყავი და არც, ოროსანი. ძირითადად, მთელი ჩემი ენერგია და ყურადღება მუსიკაზე მქონდა გადატანილი — მუსიკალურ ათწლედში დავდიოდი. ბევრი მეუბნებოდა, პიანისტობის ბუნებრივი ნიჭით ხარ დაჯილდოებული და იქნებ, ეს გზა აირჩიოო, მაგრამ ზარმაცი გახლდით და პიანისტობას კი, ბევრი შრომა სჭირდება, ამიტომაც გადავიფიქრე მუსიკალურ ტექნიკუმში ჩაბარება.

**— მასწავლებლები არასდროს გაგიბრაზებია ან კლასიდან არასდროს გაუგდიხარ ვინმეს?**

— არა, მსგავსი რამ არ მახსოვს, მე ხომ წესიერი, დამჯერი ბავშვი ვიყავი *(იცინის)*.




**— არც „შატალოზე“ დადიოდი?**

— სკოლის გაცდენის ინიციატორი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ თუ ვინმე იტყოდა — წავიდეთო, მეც მორჩილად მივყვებოდი და ვსეირნობდით რუსთაველის გამზირზე, ჩავდიოდით ალექსანდრეს ბაღში ან ვაკის პარკში და ა.შ.

**— მერე, პარკში რითი ერთობოდით?**

— ვჯდებოდით კარუსელებზე, ვჭამდით მზესუმზირას, სასაცილო რაღაცებზე ვლაპარაკობდით და ა.შ.

**— მშობლები რას გიკრძალავდნენ?**

— არასდროს მომსვლია თავში რაღაც ცუდის გაკეთების სურვილი და შესაბამისად, არც არაფერს მიშლიდნენ. არ მინდოდა, მშობლებისთვის გული მეტკინა და ამიტომაც, არასდროს მომიწევია სიგარეტი. ასეთი სისულელეების გამო, მათი წყენინება არ მიღირდა, ისინი ხომ ყველაფრით მანებივრებდნენ.

**— არც მეგობართან ღამით დარჩენას გიკრძალავდნენ?**

— არა, ამის პრობლემა საერთოდ არ მქონია, ისინი ბოლომდე მენდობოდნენ.

**— მაშინ, როგორ ფიქრობ, მშობელმა შვილი საერთოდ არ უნდა აკონტროლოს?**

— სწორედ ამ თემაზე ვბჭობდით მე და ჩემი მეგობრები რამდენიმე დღის წინ და მივედით დასკვნამდე, რომ ალბათ, ეს რაღაც დოზით აუცილებელია, მაგრამ მშობელმა და შვილმაც ყველაფერში ზომიერება უნდა დაიცვან, მათ უნდა იპოვონ ოქროს შუალედი. შვილს ყველაფერი თუ აუკრძალე, ასე არაფერი გამოვა, პირიქით, ბავშვი იმ აკრძალული რაღაცით უფრო დაინტერესდება, მოიხიბლება. ხომ გაგიგონიათ, რომ აკრძალული ხილი უფრო გემრიელია.

**— როგორ ფიქრობ, ოქროს შუალედი ადვილი საპოვნელია?**

— სწორედ ეს არის ის, რასაც ძალიან ძნელად პოულობს არა მარტო ბავშვი, არამედ უკვე ჩამოყალიბებული აზროვნების მქონე ადამიანი. არ ვიცი, თავად შევძლებ თუ არა ამ ოქროს შუალედის პოვნას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შევეცდები მაინც. თუმცა, ჩემი შვილის თინეიჯერობამდე ძალიან ბევრი დროა და ღმერთმა უწყის, მაშინ რა ფასეულობებით იხელმძღვანელებენ.

**— როგორ ფიქრობ, ვინ არიან პენსიონერი თინეიჯერები?**

— ყველა თინეიჯერი თავისებურია, ზოგი დაკომპლექსებულია რაღაცის გამო, ზოგი პირიქით, ძალზე თავისუფალია, მაგრამ ვერც ერთი თვისების მქონეზე ვერ ვიტყვი, რომ პენსიონერია.

**— მე ვიგულისხმე ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც თინეიჯერებივით გამოიყურებიან.**

— მგონი, ასეთი ადამიანები სასაცილოები არიან, თავისი ასაკი ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს. როცა 50 წლის ხარ და ასაკს კიკინებით მალავ, ეს მიზანშეწონილი არ არის. მთავარია, ისე გამოიყურებოდე, რომ შენი წლოვანებით ყველა გააკვირვო და მათ აღიარონ, რომ ამ ასაკშიც კი, ძალიან ლამაზი ბრძანდებით.

**— გული ხომ არ გწყდება იმაზე, რომ თინეიჯერობის ასაკი შესაბამისად ვერ გამოიყენე, ნაადრევად დასერიოზულდი?**

— არა, გული რატომ უნდა დამწყდეს, ის დროც გადასარევი იყო, დიდობა მინდოდა და ალბათ, ესეც იმ ასაკისთვის დამახასიათებელი თვისებაა.

**— ბიჭებს შენ გამო არასდროს უჩხუბიათ?**

— არა და ასეთ რაღაცებს საერთოდ ვერ ვიტან. მიმაჩნია, როცა ქალის გულისთვის კაცები ჩხუბობენ, დამნაშავე ყოველთვის მანდილოსანია. ეტყობა, ის ისე იქცევა, რომ თაყვანისმცემლებს ერთმანეთი დაახოცვინოს... მე ყველაფერზე ჩამოყალიბებული აზრი მქონდა, სიტუაციას იქამდე არასდროს მივიყვანდი, რომ ვიღაცებს ერთმანეთი მოეკლათ...

**— თაყვანისმცემლები სიურპრიზებს არ გიკეთებდნენ?**

— როგორ არა. ერთხელ, სახლში დაქალთან ერთად ვიყავი, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. კარი რომ გავაღე, იქ ვიღაც გოგონა დამხვდა, რომელმაც ყვავილები და სათამაშო გამომიწოდა. ვუთხარი: ვერ გამოგართმევ, ეტყობა, ბინა შეგეშალა, სხვაგან მოხვდი, თორემ ამას ვინ გამომიგზავნიდამეთქი, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ მე მომართვეს, მაგრად გამიხარდა, ჭკუაზე აღარ ვიყავი. სხვა რა მინდოდა, პატარა გოგოს *(იცინის)*.

**— ამ ასაკში შეყვარებული არ გყავდა?**

— გაგიჟებული არავისზე ვყოფილვარ, პატარ-პატარა გატაცებები კი იყო.

**— როგორ ფიქრობ, ამ ასაკში ოჯახის შექმნა დასაშვებია?**

— მგონი, რომ არა. თინეიჯერობისას დაოჯახება ნაადრევია, რადგან მათ ეს ასაკი ოჯახური ტვირთის გარეშე უნდა გაიარონ. რაც არ უნდა კარგი მეუღლე გყავდეს, ვერ გაუძლებ იმ დატვირთვას, რასაც ოჯახი, პასუხისმგებლობა ჰქვია; მერე, ბავშვი გაჩნდება და დაკარგავ იმ ლამაზ წლებს, როცა უნდა გაერთო, იმხიარულო... სად ეჩქარებათ? გათხოვდით და მოიყვანეთ ცოლი 25 წლის ასაკში, თუმცა, თვითონ 22 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, მაგრამ ადრე არც ეს ასაკია *(იცინის)*... როცა 17-18 წლის მოზარდი ქმნის ოჯახს, ხშირ შემთხვევაში, ისინი ვერ იკმაყოფილებენ თინეიჯერულ მოთხოვნილებებს, უნდათ მეგობრებთან ერთად სიარული, გართობა, მაგრამ ამის საშუალებას ოჯახი არ იძლევა და სიყვარულიც ადვილად ინგრევა.

**— თინეიჯერულ ასაკში როგორ ერთობოდი?**

— ჩემს მეგობარს ჰყავდა მანქანა (მაშინ საჭესთან ქალი და ისიც, თინეიჯერული ასაკის, იშვიათობა იყო) და დავქროდით ალმა-დალმა, დავდიოდით ყავის სახლში, ვჭორაობდით ბიჭებზე, შეყვარებულებზე და სხვადასხვა ქალურ რაღაცებზე, ვიკრიბებოდით მეგობრების ოჯახში და ა.შ.

**— როგორ ფიქრობ, რითი განსხვავდებიან ქართველი თინეიჯერები უცხოელებისგან?**

— არ ვიცი, რადგან უცხოელ თინეიჯერებთან ურთიერთობა არ მაქვს, მაგრამ ერთადერთი, რაც უცხოელებში ძალიან მომწონს, ის არის, რომ როცა საზღვარგარეთ ვიყავი, სასტუმროში ვცხოვრობდი და დილით ნომრიდან რომ გამოვდიოდი, ყველა მიღიმოდა, ხალხი ერთმანეთს თბილად ესალმებოდა, მშვიდი სახეები ჰქონდათ, რაც საქართველოში ნაკლებად იგრძნობა. აქ დაზაფრულები დადიან. თუმცა, ალბათ ეს ცხოვრების ბრალია.

**— ნინო, რისი კომპლექსი გაქვს?**

— ყოველთვის მინდოდა, იმაზე მეტად გამხდარი ვყოფილიყავი, ვიდრე ვარ. მქონდა აგრეთვე იმის კომპლექსი, რომ ჩემი ლაპარაკით ან ზედმეტი ყურადღებით ვინმე არ შემეწუხებინა. მაგალითად, ვერასდროს დავრეკავდი ბიჭთან, თაყვანისმცემელთან, მათთან ურთიერთობაში პირველ ნაბიჯს არასდროს გადავდგამდი.

**— როცა შენს ქმარზე იყავი შეყვარებული, მასაც არ ურეკავდი ხოლმე?**

— ეს სხვა ამბავია. აქ სიყვარული იყო და კომპლექსიც არ მაწუხებდა.

**— შენი მეუღლე სად და როგორ გაიცანი?**

— ის ჩემი სიმღერებით მოვხიბლე. ერთხელ, მეგობრის სახლში მოუსმენია ჩემი „ხევსურული ბალადა“, რომელსაც „ქართულ ხმებთან“ ერთად ვმღერი და ჩემი გაცნობის სურვილი გამოუთქვამს. მერე, მეგობარმა ერთმანეთი გაგვაცნო და სიყვარულიც თავისთავად მოვიდა... ის სიურპრიზებით ხშირად მანებივრებდა.

**— შეგიძლია, რომელიმე მათგანი გაიხსენო?**

— აბსოლუტურად ყოველდღე მიგზავნიდა რაღაცებს — სანთელს, ყვავილებს, სათამაშოებს. მოკლედ, ყველაფერ იმას, რაც შეიძლება საყვარელმა ადამიანმა გაჩუქოს. ძალიან მანებივრებდა და თავიც შემაყვარა. მერე, დაქორწინებაც გადავწყვიტეთ.

**— ასეთი ლამაზი, თანაც, პოპულარული ცოლი რომ ჰყავს, არ ეჭვიანობს?**

— ამის საბაბს არ ვაძლევ, თუმცა, ერთმანეთზე, ზომიერების ფარგლებში, მართლაც ვეჭვიანობთ, მაგრამ ამ მიზეზით, ჯერჯერობით არ გვიჩხუბია და ამისგან უფალმა დაგვიფაროს.

**— ამბობენ, რომ გათხოვება კარიერაში ქალს ხელს უშლისო...**

— ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა, მეუღლე ყველაფერში მეხმარება. ის კი არა, ადრე ცოტა ინერტული ვიყავი, მაგრამ მისი აქტიურობა გადმომედო, მან გამომაფხიზლა.

**— რას ურჩევდი თინეიჯერებს?**

— სულ კარგ ხასიათზე იყვნენ. გააკეთონ ბევრი სიკეთე, ისწავლონ უფროსების პატივისცემა, წაიკითხონ ბევრი წიგნი, რათა მომავალში უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

# გამოხმაურება

**ნიკა,** *18 წლის:*

„ვა, ნატა, „პონტებში“ შენც გაიჩითე? ახლა არ მითხრა, მე ყველგან გაჩითული ქალი ვარო. იცი, რა მაინტერესებს? იუმორთან როგორ ხარ? ზოგიერთი გოგონასავით შენც იუმორის საწინააღმდეგო აცრა ხომ არ გაქვს გაკეთებული?“

**ტატა ზარანდია:**

**— არა, არაფრის საწინააღმდეგო აცრა არ მაქვს გაკეთებული და არც რაიმე პონტში გავჩითულვარ, ის კი არა, სადაც ვიყავი გაჩითული, იქაც მოვუკელი სიარულს.**

**ნანა,** *25 წლის:*

„სიხარულო, ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ ეს ბიჭი ვინ არის, გვერდს რომ გიმშვენებს? ხომ არ გაქვს იმის სურვილი, რომ გამაცნო და დაგვაქორწინო? ასეთი კაცი ხელიდან როგორ გაუშვი? ლამაზი კი ხარ, მაგრამ ეტყობა, კაცის ბოლომდე „შებმა“ არ გეხერხება“.

**— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. არ ვიცი, კაცის „შებმა“ რამდენად მეხერხება, მაგრამ ნიკას კი გაგაცნობდი...**

**ლიკა,** *20 წლის:*

„ჰაი, მაინტერესებს, ანრი ჯოხაძის სახელი მართლა არ იცოდი, თუ უბრალოდ, დაივიწყე? ამით „მარკების“ აწევა გინდოდა? გთხოვ, გულწრფელად მიპასუხე“.

**— სიმართლე გითხრა, იმწუთას მართლაც დამავიწყდა, რადგან ძალიან დაბნეული ვიყავი, მეჩქარებოდა. ვერ ვხვდები, ამით „მარკები“ როგორ უნდა ამეწია?!.**

**ლაშა,** *24 წლის:*

„შენ ჩემი მზე ხარ, ამომავალი, მე გული მტკივა, მომე წამალი... რას იზამ, მიმკურნალებ?“

**— შევეცდები, გიმკურნალო, მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოვახერხო.**

**პაწკა,** *17 წლის:*

„როგორ ხარ? „ჯეობარის“ ნოსტალგია არ გაქვს? მე ძალიან მინდა, მსგავს პროექტში მონაწილეობა, მაგრამ ამის უფლებას მშობლები არ მაძლევენ. როგორ „შევაბა“ ისინი? შენ როგორ მოახერხე მათი დათანხმება?“

**— „ჯეობარის“ ნოსტალგია ცოტა არ იყოს, მართლაც მაქვს. ამ პროექტში მონაწილეობის გამო, ჩემს მშობლებთან არანაირი პრობლემა არ მქონია. აქ ცუდი არაფერია, მთელი საქართველო გაგიცნობს. მშობლებს ნორმალურად აუხსენი, რომ იქაც ისე მოიქცევი, როგორც შინ და მგონი, გაგიგებენ.**

**მარი,** *15 წლის:*

„ტატა, მაინტერესებს, პირველად ვინ გიყვარდა და თუ აუხსნია შენთვის ვინმეს რაიმე ორიგინალური ხერხით სიყვარული? იცი, ამას წინათ, ჩემმა შეყვარებულმა, როცა ის მასწავლებელმა დაფასთან გაკვეთილის მოსაყოლად გაიძახა, იმის მაგივრად, რომ ლექსი წაეკითხა, მე გამომიტყდა სიყვარულში და ლექსიც მომიძღვნა. მასწავლებელმა კი იმის ნაცვლად, რომ კლასიდან გაეგდო, ხუთიანი დაუწერა, ოღონდ გააფრთხილა — შემდეგში ასე აღარ მოიქცეო. როგორია?“



**— ძალიან მაგარია, როცა ამდენი ადამიანის თანდასწრებით სიყვარულს გიხსნიან. ეტყობა, გამბედაობა არ აკლია... ჩემთვისაც აუხსნიათ ორიგინალურად სიყვარული. რაც შეეხება ჩემს პირველ სიყვარულს, ის მაშინ მეწვია, როცა 8-9 წლის ვიყავი და მახსოვს, მაშინ საღეჭი რეზინის — „დონალდოს“ „ნაკლეიკებს“ ვაგროვებდი. მერე, როცა ეს კევი აღარ გამოდიოდა, ის ბიჭი ჩუმად მიდებდა ჯიბეში ხან ამ საღეჭ რეზინს, ხან — „ნაკლეიკას“ და ამით მაგრძნობინებდა, რომ ვუყვარდი.**

**უცნობი,** *20 წლის:*

„ერთი გული მაქვს, ერთი სიცოცხლე / და თუ დაგჭირდეს, ნუ შემიცოდებ; / სხვა უკეთესი რა გამაჩნია,/ ორივე შენთვის მინდა, იცოდე“.

**— ძალიან დიდი მადლობა.**

**ბიჭი,** *20 წლის:*

„მომწერე, სიცოცხლევ, შენს გულში რა ხდება, / მიენდე ოცნებას და იგი ახდება, / შენ გამო უამრავ სიგიჟეს ჩავიდენ / და ყველა ოცნებას ერთ დღეში აგიხდენ“.

**— გმადლობ.**

**კიტო,** *19 წლის:*

„მოგესალმებით. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე. ერთი ადამიანი უზომოდ მიყვარს, ის კი ისე მიყურებს, როგორც მეგობარს. თავს ვერაფერს ვუხერხებ და რა ვქნა? გკოცნით“.

**— ჯობია, სიყვარულში გამოუტყდე, ამაში სამარცხვინო არაფერია. მერე, მასთან ურთიერთობა გარკვეული მაინც გექნება და ისე აღარ დაიტანჯები.**

**მუკოზანძელი,** *30 წლის:*

„სიცოცხლის ელექსირი ხარ, სიყვარულის ნეტარება, განა შეიძლება, ტატა შენი ვინმესთან შედარება? ჩემთვის ულამაზესი და საყვარელი ადამიანი ხარ. თუ ჩემს გაცნობას ისურვებ, კარგია“.

**— დიდი მადლობა, სიამოვნებით გაგიცნობ.**

**თეო,** *18 წლის:*

„გამარჯობათ, თქვენი აზრი მაინტერესებს. ვუყვარვარ 35 წლის ადამიანს და მეც მიყვარს, რადგან ყველანაირად კარგი ტიპია, უცოლშვილო. რამდენიმე ხნის წინ, მან ცოლობა მთხოვა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე“.

**— თუ გიყვარს, მაშინ შენსას მიაწექი, შენს საქმეში ჩარევის უფლებას სხვას ნუ მისცემ. ჩემი აზრით, ასაკის გამო, სიყვარულზე უარის თქმა ნამდვილად არ ღირს.**

**უცნობი,** *18 წლის:*

„გამარჯობათ. მიყვარს ერთი გოგო, ნათია. ის რაიონში ცხოვრობს, მე — თბილისში. ის იცით, რითი გამოვარჩიე? ძალიან ნაზია ქალაქელი გოგონებისგან განსხვავებით, რომლებიც ბიჭებს აქეთ უხსნიან სიყვარულს და ყველაფერი „ჰკიდიათ“. ვგრძნობ, ნათიასაც მოვწონვარ, მაგრამ არაფერს მეუბნება. თან, მასთან ხშირად ვერ ჩავდივარ და მხოლოდ ტელეფონით ვეკონტაქტები. ძალიან მინდა, სულ ჩემ გვერდით იყოს და რომ ვერ ვხედავ, საშინლად ვეჭვიანობ. მირჩიეთ, როგორ შევაყვარო თავი ისე, როგორც მე მიყვარს?“

**— შეეცადე, თუ ძალიან შორს არ ცხოვრობს, მასთან ხშირად ჩახვიდე და ნახო, სიურპრიზები მოუწყო. გულახდილად დაელაპარაკე და იმედია, გრძნობებს გაუღვიძებ. ეჭვიანობა არაფრის გამო კი, მაგარი სისულელეა.**

**ნინა,** *17 წლის:*

„ტატა, ძალიან მაინტერესებს, თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი? რეპი უფრო მოგწონს თუ როკი?“

**— არც რეპი მომწონს და არც — როკი. თინეიჯერობის ასაკში ბექჰემის და ბრედ პიტის ფანი ვიყავი.**

**უცნობი გოგო,** *16 წლის:*

„ძალიან გთხოვთ, მეც არ დამივიწყოთ. ერთი ბიჭი დიდი ხანია, მიყვარს. მას სიყვარულში გამოვუტყდი კიდეც და მითხრა: მომწონხარო... მხოლოდ მე მახსენდება, მას კი მგონი, საერთოდ არ ვახსოვარ. რა ვქნა?“

**— მეც შენს დღეში ვარ *(იცინის)*. ჯობია, დაელაპარაკო და თუ ეს შედეგს არ მოგიტანს, მაშინ ისე მოიქეცი, თითქოს, დაივიწყე და შეეცადე, გაამწარო.**

**მისისიპი „X“,** *19 წლის:*

„გამარჯობათ, მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ, რათა რაიმე მირჩიოთ. მიყვარს ერთი ტიპი და ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთად ვერ ვიქნებით, რადგან მოგვარეები ვართ. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“

**— მერე, რა?.. თუ მიულებელია, მაშინ ან გვარი შეიცვალე, ან კიდევ, დაივიწყე.**

**მგელა,** *22 წლის:*

„შენა, ქალო, არ იცი, რომ „ნაკოლკა“ და პირსინგი — ცხვირზე არაქართული და არატრადიციულია? შენა და, ტრადიციული რა გაქვს ან რაიმე კომპლექსი მაინც თუ გაწუხებს? არ გეწყინოს, უბრალოდ, მართლა მაინტერესებს“.

**— ბევრ ტრადიციას ვიცავ, განსაკუთრებით კი იმას, რომელიც რელიგიას უკავშირდება. რაც შეეხება კომპლექსებს, რაღაცები მეც მაქვს. ვფიქრობ, უკომპლექსო ვერავინ იქნება.** ■

SOS!

# რატომ გადააგდო დედამ შვილი ნაგვის ბუნკერში?!

**6 წლის დათო ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რატომ წაიყვანეს პოლიციელებმა დედამისი სახლიდან, რატომ მოვიდნენ ტელეკამერებით აღჭურვილი ჟურნალისტები და რატომ მოიხსენიებენ მეზობლები მის დედას ცუდად. მას ეს ვერ გაუგია იმიტომ, რომ მისთვის დედა ყველაზე სათნო, მზრუნველი, მოსიყვარულე არსებაა და ის ძალიან ენატრება.**

**დათოს დედა 29 წლის გაიანე ოვსეპიანი გახლავთ. სამართალდამცავებმა ის საშინელი ბრალდებით დააკავეს — გაიანემ საკუთარი ახალშობილი შვილი სანაგვე ბუნკერში ჩააგდო. რატომ მოიქცა ასე? ვინ არის გაიანე ოვსეპიანი და რა ცხოვრების გზა განვლო მან? — ამის გასარკვევად მის დედას, ქალბატონ ლიანას ვესაუბრეთ.**

*ნათია ქარუმიძე*

**— ქალბატონო ლიანა, თქვენ არ იცოდით, რომ თქვენი შვილი ორსულად იყო?!**



— ცხადია, ვამჩნევდი, მუცელი რომ გაეზარდა და ეჭვი მქონდა, მაგრამ როდესაც გაიანეს ამის შესახებ ვეკითხებოდი, მეჩხუბებოდა — რაებს იგონებო?! მატყუებდა, თითქოს კუჭის პრობლემები ჰქონდა და მეც რამდენჯერმე მივეცი ფული, ექიმთან რომ წასულიყო. მიდიოდა კიდეც, რაღაც წამლებსაც ყიდულობდა. მაგრამ დამიჯერეთ, ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, რომ ფეხმძიმედ იყო.

**— როდესაც გაიანეს მშობიარობა დაეწყო, ვერავინ ვერაფერი გაიგეთ?**

— მშობიარობა დილით დასწყებია, ეზოს საერთო ტუალეტში შესულა და ბავშვი იქ გაუჩენია, მერე კი, საკუთარი პირმშო წაუყვანია და გადაუგდია. ნორმალური აზროვნების ადამიანი ასე მოიქცეოდა?! ეთქვა ჩემთვის, საავადმყოფოში წავიყვანდი. ჩვენც დაგვღუპა და საკუთარი თავიც გაწირა.

**— ახლა როგორ მდგომარეობაშია?**

— ანემია აქვს, ძალიან ცუდადაა და საავადმყოფოში წევს. საწყალმა ბევრი სისხლი დაკარგა. ასეთ ველურ პირობებში მშობიარობის შემდეგ, ეს მოსალოდნელიც იყო. ვერ ვხვდები, როგორ გაიმეტა საკუთარი თავი მაინც და არავის სთხოვა შველა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა გაიანე ასე?**

— ის სრულ ჭკუაზე არ არის, შოკიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა. ვფიქრობ, თავის ქმედებას აბსოლუტურად ვერ აკონტროლებდა.

**— როგორ იქცეოდა იმ დღეს?**

— მე სამსახურში ვიყავი და ჩემმა ბიჭებმა მითხრეს: მთელი დღე ლოგინში იწვაო. ბავშვი რომ უპოვიათ და მთელ უბანში ხმა გავრცელებულა, ეს ამბავი ჩემი შვილების ყურამდეც მისულა და ამბის გასაგებად წასულან. შინ დაბრუნებულებს, გაიანესთვის უთქვამთ, ასეთი ამბავი მოხდა და ნეტავ, ვინ გადააგდო ის ბავშვი, იმ საწყალს, სულ ცოტა, 20-წლიანი პატიმრობა ელისო! ამაზე გაიანეს არანაირი რეაქცია არ ჰქონია. ბიჭებმა მითხრეს: უმეტყველო, ცივი თვალებით გვიყურებდაო. ლოგინიდან რომ არ დგებოდა, ძმებს უკითხავთ, რა გჭირსო? გაიანეს უთქვამს — თავბრუ მეხვევა და სიცხე მაქვსო. მერე, მთელი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღია... ახლაც არ ლაპარაკობს, ერთ-ორ სიტყვას ერთმანეთზე ძლივს გადააბამს და ჩუმდება.


ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან




ერთადერთი, ძალიან მთხოვა, დათოს სურათები მომიტანეო და უნდა, რომ ის შვილიც დაიბრუნოს.

**— ანუ ნანობს, რაც ჩაიდინა და შვილის დაბრუნება უნდა?! ის ბავშვი რომ არ გადარჩენილიყო?**

— შვილის დაბრუნება მასაც ძალიან უნდა და მეც. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ პატარა ჩვენს ოჯახში გაიზარდოს. ღმერთმა დაინდო გაიანე და იმედი მაქვს, რომ მისი საქციელი არც ბავშვისთვის და არც მისთვის საბედისწერო არ აღმოჩნდება.

**— როგორ დაგვიხასიათებთ თქვენს ოჯახს, რომელშიც გაიანე გაიზარდა?**

— ოთხი შვილის დედა ვარ. მე და ჩემი ქმარი მთელი ცხოვრება ვშრომობთ, რომ ოჯახი ფეხზე დავაყენოთ. გაიანეს გარდა, სამი ბიჭი მყავს. ძალიან გვიჭირდა, მაგრამ მერე ბიჭები გაიზარდნენ და გვეხმარებოდნენ. გაიანეს ყოველთვის ერიდებოდა და ეშინოდა ძმების. ამიტომ, ხშირად მალავდა (მაშინაც კი, როცა გათხოვილი იყო) თავისი პირადი ცხოვრების დეტალებს.

**— მაშინ, რას გიმალავდათ?**

— ძალიან ცუდი ქმარი შეხვდა, საშინელი ადამიანი იყო. ის გაიანეს სცემდა, აწამებდა, სახლიდან აგდებდა. მერე გავიგე, რომ თურმე, ჩემი საწყალი შვილი ხან ვისთან ათენებდა ღამეს, ხან — ვისთან, ჩვენთან კი არ მოდიოდა, რადგან არ უნდოდა, ბიჭებს ყველაფერი გაეგოთ.

**— რატომ?**

— ფიქრობდა, რომ ისინი შურისძიებას მოისურვებდნენ და ძმების შარში გახვევა არ სურდა. ძალიან დიდხანს და ბევრი იტანჯა ქმართან, მაშინ შეერყა ფსიქიკაც და ჯანმრთელობაც. იმ სტრესიდან ბოლომდე არც იყო გამოსული, როცა ამ ყველაფერს მორიგი იმედგაცრუება დაემატა. არ ვიცი, ვინ არის ამ ბავშვის მამა, მაგრამ ფაქტია, რომ გაიანე მოტყუვდა. მან ორსულობა არ გაგვიმხილა და წარმოიდგინეთ, მთელი 9 თვე როგორ სტრესულ მდგომარეობაში იქნებოდა. ბოლო დროს ძალიან აგრესიული იყო, ყველას და ყველაფერზე გვეჩხუბებოდა. ყველაზე მეტად დათოს უთმენდა, ეფერებოდა, თუმცა, ხანდახან მასაც უაზროდ აუყვირდებოდა ხოლმე... მის ფეხმძიმობაში ეჭვი რომ შემეპარა, ვინ არ მივუგზავნე, რადგან ვიფიქრე: მე არ მეტყვის და იქნებ, სხვას გაუმხილოს რაიმე-მეთქი. ჩემი დაც დაელაპარაკა, მისი მეგობარი გოგონაც, მაგრამ ეს ამბავი არავისთან წამოსცდენია. ამიტომაც, რაღაც მომენტში დავიჯერე, რომ მართლა კუჭის პრობლემა ჰქონდა.

**— თქვენ რატომ არ გაჰყევით ექიმთან?**

— ვმუშაობდი (*ამ ამბების შემდეგ, ქალბატონი ლიანა სამსახურიდან დაითხოვეს. — ავტ.*) და არ მეცალა. ჩემს ბიჭს ვთხოვე — ერთხელ გაჰყევი-მეთქი. ის ასეც მოქცეულა, მაგრამ გაიანეს შუა ქუჩაში ჩხუბი დაუწყია: დაცვა რაში მჭირდება, უშენოდაც წავალ და მოვალო, მოკლედ, ძმა უკან მოუბრუნებია... ერთხელ ექიმი შინ მოვიყვანე. მან გაიანე გასინჯა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა და კუჭის მოქმედების წამლები დაუნიშნა.

**— თქვენს შვილს დედობის უფლება რომ ჩამოართვან, ბავშვს თქვენ აიყვანთ?**

— რა თქმა უნდა, ის ხომ ჩემი შვილიშვილია. რომ მცოდნოდა, გაიანე ბავშვს ელოდებოდა, ასეთი რამ არ მოხდებოდა. მე თვითონ ოთხი შვილის დედა ვარ და მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მილხინდა, შვილის მოშორება აზრადაც არ მომსვლია.

**— თუ იცით, როგორ არის ახლა პატარა?**

— ვიცი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და კარგად არის. თუმცა, იმის გამო, რომ გაიანე ძალიან მძიმედაა და ძირითადად, მასთან მიწევს ყოფნა, ბავშვის ამბავს ხშირად ვერ ვიგებ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, რომ ოჯახში მის დასაბრუნებლად ბოლომდე ვიბრძოლებ. ■

# „ჩემთვის ფული მთავარი არ არის, მთავარი გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარებაა"

**„მისნობა, მაგია, ჯადო უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ ადამ და ევადან მოდის. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავლის წინასწარ განჭვრეტის სურვილი არ გაჩნდეს", — მითხრა ნათელმხილველმა ლია ხუციშვილმა, რომელიც მასთან მისული ადამიანების წარსულს, აწმყოსა და მომავალს ზუსტად განსაზღვრავს და მათ მოსალოდნელი უბედურებისგან იცავს. ქალბატონ ლიას, როგორც თვითონ ამბობს, რთული და საოცარი ცხოვრება აქვს გამოვლილი. რამდენიმე წლის წინ, ის მოულოდნელად ცუდად გახდა. ექიმები მისი გადარჩენის იმედს ვერ იძლეოდნენ. ზუსტად ამ დროს, უდიდესი სასწაული მოხდა — უიმედო მდგომარეობაში მყოფს, მხსნელად წმინდა ბარბარე მოევლინა, რომელმაც არა მარტო სიკვდილისგან იხსნა, არამედ ნათელმხილველის უდიდესი უნარითაც დააჯილდოვა.**

— დღესდღეობით, ნათელმხილველობას ბევრი ადამიანი იბრალებს, გაჭირვებულ ადამიანებს ატყუებენ — ჯადო გაქვს გაკეთებული, თუ არ მომახსნევინებ, შესაძლებელია, რამდენიმე დღეში დაიღუპო კიდეცო და ჯადოს მოხსნის სანაცვლოდ, მათ 400-დან 600 დოლარამდე სთხოვენ. მათ მიერ მოტყუებული ადამიანები ჩემთან მოდიან, რადგან იციან, ჩემთვის ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს დავეხმარო.



*— ყავის ნალექით მკითხაობაც ძილში ისწავლეთ?*

— ძილში მხოლოდ ლოცვები ვისწავლე, რომლითაც ხალხს ნევროზისა და შიშებისგან ვკურნავ. არ დაიჯეროთ, თუ ვინმე გეტყვით, რომ ყავაზე მკითხაობა ძილში ისწავლა, ეს თვითონ ვისწავლე.

*— სიზმრის ახსნა შეგიძლიათ?*

— საერთოდ, სიზმრის ძალიან მჯერა და შესაბამისად, ახსნაც შემიძლია. ერთხელ, სიზმარში ცარიელი კუბო ვნახე, მეორე დღეს შვილებს ვუთხარი: ახლა ისეთი ადამიანი გვესტუმრება, რომელიც ძალიან ცუდ ამბავს მოგვიტანს-მეთქი. მართლაც, მოვიდა ვიღაც კაცი და მითხრა, რომ ჩემი მეუღლე საავადმყოფოში იწვა, ნაწლავების გადახლართვა დამართვია. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

*— წინასწარმეტყველების დროს, რას იყენებთ?*

— გააჩნია, კლიენტს რა უნდა, რომ ვუწინასწარმეტყველო. ხშირად კარტს, სანთელს და ყავას ვიყენებ.

*— როგორც ვიცი, თქვენ გაუთხოვარ გოგონებსაც ეხმარებით ბედის გახსნაში.*

— დიახ, ბევრი გოგონა მოდის ბედის გასახსნელად. ჩემი შელოცვების შემდეგ, დაახლოებით 14 დღეში ეხსნებათ ბედი. უკვე 30 წელია, რაც ვწინასწარმეტყველებ, ვამბობ იმას, რასაც უფალი მეტყვის. ბევრი კმაყოფილი კლიენტი მყავს, უამრავი დანგრეული ოჯახი აღმიდგენია. ჩემი კლიენტები ყოველთვის კმაყოფილნი რჩებიან, მე მათ ყველანაირი პრობლემის მოგვარებაში ვეხმარები.

*— თქვენთან ცნობილი ადამიანები თუ დადიან?*

— მათ ვინაობას ვერ გეტყვი, მაგრამ შოუბიზნესის წარმომადგენლები, ექიმები, პოლიტიკოსები ხშირად მსტუმრობენ.

*მისამართი: მ. „ღრმაღელე", გურამიშვილის 48. II სადარბაზო, VII სართული, ბინა №40. ლია ხუციშვილი. ტელ: 61.87.21; 69.60.00; 8(93)21.52.33.*

R

# Lamborghini Gallardo Spyder-ის ჰოლსტერი



IMSA მომხმარებელს Gallardo-ზე ელექტრომართვის ახალი სისტემის დაყენებასაც სთავაზობს. გარდა ამისა, გერმანელმა სპეციალისტებმა ახალი მანქანისთვის ძარას უნიკალური პანელიც შეიმუშავეს. ■



გერმანულმა სატიუნინგო ატელიემ — IMSA — სპორტულ როდსტერ Lamborghini Gallardo Spyder-ის საკუთარი ვერსიის ანონსირება მოახდინა. იგი V10 ტიპის ფორსირებული ძრავათი იქნება აღჭურვილი. გერმანელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული პაკეტის საშუალებით, აგრეგატის სიმძლავრე 520-დან 610 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლის მიღწევა ცილინდრთა ბლოკის დახვეწით გახდა შესაძლებელი. ატელიე

# ახალი Ford Mustang



კომპანია Ford ცნობილი სპორტული კუპეს — Ford Mustang-ის განახლებული ვერსიის საგზაო ტესტების ჩატარებას შეუდგა. ზოგიერთ უცხოურ ინტერნეტსაიტზე უკვე გამოჩნდა მისი არაოფიციალური ფოტოები. ამ სურათების მიხედვით, ახალი Mustang-ის ძარას წინა ნაწილი მოდერნიზებული დიზაინით გამოირჩევა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ახალ ავტომობილს შესაძლოა, ისეთი ელემენტები დაერთოს, რომლებიც პირველად, იტალიურ ატელიეში — Guigiaro შემუშავებულ კონცეპტუალურ Ford Mustang-ზე იყო აპრობირებული. ეს მანქანა 2006 წლის მიწურულს ლოს-ანჯელესის ავტოსალონზე წარმოადგინეს. Ford Mustang-ისთვის დამახასიათებელი რადიატორის ცხაური და მრგვალი მაშუქები ახალ მოდელზე პრაქტიკულად, უცვლელად დარჩება. სპეციალისტთა ვარაუდით, გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ ინტერიერსა და ტექნიკურ მახასიათებლებში, თუმცა კონკრეტულად ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მოდერნიზებული Ford Mustang-ის პრემიერა 2007 წლის მიწურულს ან 2008 წლის დასაწყისში შედგება. სარეალიზაციო ქსელში კი, ის 2009 წლიდან გამოჩნდება. ■



# Golf Variant-ის ახალი თაობა



კომპანია Volkswagen ჟენევის ავტოსალონზე უნივერსალ Golf Variant-ის ახალ თაობას წარმოადგენს. ამჟამად ეს მანქანა საბოლოო ტესტირებას გადის. გერმანული საავტომობილო გამოცემის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, თავდაპირველად Volkswagen-ის ხელმძღვანელობა ახალი Golf-ის ბაზაზე უნივერსალის გამოშვებას არ აპირებდა, რადგან მიიჩნევდა, რომ მისი ადგილი ბაზარზე მაღალ ჰეჩბეკ Golf Plus-ს უნდა დაეკავებინა. მაგრამ ამან მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია, რომელმაც სხვა მარკის უნივერსალებს მიანიჭა უპირატესობა. ახალი Golf Variant სტანდარტული ჰეჩბეკის, Volkswagen Golf-ის მეხუთე თაობის დაგრძელებულ შასიზეა აგებული. ის იმავე ძრავებითაა აღჭურვილი, რომლებითაც ხუთკარიანი ჰეჩბეკი. უნივერსალისთვის საბაზო იქნება ბენზინის 1,6-ლიტრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 102 ცხ.ძ-ს შეადგენს. გარდა ამისა, ორლიტრიანი 150 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე აგრეგატით აღჭურვილი ვერსიის წარმოებაც იგეგმება. Volkswagen Golf Variant-ს გერმანული კონცერნის მექსიკაში მდებარე ქარხანა გამოუშვებს. ■



# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (25 – 31 იანვარი)

**ვერძი 21.03-20.04**

ამ კვირას ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და მზად იქნებით აქტიური ქმედებისთვის. თქვენი ბიზნესი თუ სხვა სახის პროფესიული საქმიანობა მეტად სარფიანად წარიმართება, რაც დადებითად აისახება თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე.

**კურო 21.04-20.05**

სამსახურებრივი საქმეები იმდენად გაგიტაცებთ, რომ სრულიად არ დაგრჩებათ დრო ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანებისთვის. სამაგიეროდ, უფროსობა ყველა თქვენს პროექტს მოიწონებს და ხელს შეგიწყობთ მის განხორციელებაში.

**ტყუპი 21.05-21.06**

სამსახური უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, თუმცა, სასურველ შედეგს არ მოგიტანთ. ამის გამო, შეიძლება, სრული აპათია დაგეუფლოთ. ნუგეშს ახლობლების გარემოცვაში იპოვით. გაითვალისწინეთ მათი რჩევა-დარიგებები და დატკბით მზრუნველობით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

ამ პერიოდში თავი აარიდეთ მნიშვნელოვან შეხვედრებსა თუ მოლაპარაკებებს. სამწუხაროდ, ოჯახშიც გარკვეული პრობლემები გელით. აგრეთვე, საჭიროა დაიცვათ კვების რეჟიმი, რადგან მაღალი იქნება მოწამვლის და კუჭ-ნაწლავის გაღიზიანების ალბათობა.

**ლომი 23.07-23.08**

რაც უფრო მეტ ახლობელსა თუ მეგობარს ჩართავთ თქვენს საქმიანობაში, მით უფრო იოლად გაართმევთ თავს პროფესიულ ვალდებულებებს. უმჯობესია, უქმე დღეებიც ახლობლების გარემოცვაში გაატაროთ.

**ქალწული 24.08-23.09**

ამ დღეებში ჯობია, თავი შეიკავოთ მოგზაურობისგან, მით უფრო, რომ თქვენს ოჯახის წევრებს სწორედ ახლა დასჭირდებათ თქვენი თანადგომა. კვირის ბოლოს რომანტიკული თავგადასავალი გელით.

**სასწორი 24.09-23.10**

ამ კვირაში თამამად შეგიძლიათ იმოგზაუროთ, დაკავდეთ სპორტით ან უბრალოდ, სასიამოვნოდ გაატაროთ დრო ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში.

**მორიელი 24.10-22.11**

ეს პერიოდი ერთობ ნეგატიური იქნება თქვენი სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობისთვის. მაღალია დანაკარგებისა და უსარგებლო ხარჯების ალბათობა. არ არის გამორიცხული, რომ თანამშრომლების ინტრიგების მსხვერპლად იქცეთ.

**მშვილდოსანი 23.11-21.12**

ეცადეთ, სრულყოფილად გამოამჟღავნოთ თქვენი მონაცემები, დადებითი თვისებები და ადვილად დაამყარებთ კონტაქტს ნებისმიერ ადამიანთან, დადებით სარფიან ხელშეკრულებებს და წარმატებით გაუძღვებით საქმიან შეხვედრებს.

**თხის რქა 22.12-20.01**

ამ დროის განმავლობაში მეტწილად ოჯახური საქმეებით იქნებით დაკავებული: შეგიძლიათ გააკეთოთ რემონტი, გაცვალოთ ბინა ან წამოიწყოთ მშენებლობა. მთავარია, წინასწარ შეი მუშაოთ სამოქმედო გეგმა და ყველაფერი სწორედ ამ გეგმის მიხედვით შეასრულოთ.

**მერწყული 21.01-19.02**

მატულობს თქვენი კომუნიკაბელურობა: უამრავ ადამიანს გაიცნობთ, გაუზიარებთ მათ საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს. სიახლე გელით პირად ცხოვრებაშიც, თუმცა, შეიძლება მოტყუვდეთ და დიდი სიყვარული მოჩვენებითი აღმოჩნდეს.

**თევზები 20.02-20.03**

თავი აარიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, სხვა დროისთვის გადადეთ მოგზაურობა, არ ღირს ახალი საქმეების წამოწყება, ფინანსური ოპერაციების ჩატარება. ამ კვირას ჯობია, სამომავლო გეგმები შეიმუშაოთ.

მალე თებერვლის ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

# „A-სტუდიო“ მაია კაჭკაჭიშვილის სიმღერას იმღერებს

**მის სიმღერებზე დიდი მოთხოვნილებაა. რამდენიმე ქართული თანამედროვე ჰიტი ეკუთვნის, რომელსაც მღერიან: ნინი ბადურაშვილი, ეკა კახიანი, ლელა წურწუმია, ლევან ლაზარიშვილი, ჯგუფი „სეიშენი“... ცოტა ხნის წინ, მაიკო კაჭკაჭიშვილის ახალ სიმღერაზე თამთა ჭელიძემ და ლევან ლაზარიშვილმა (მისმა მეუღლემ) დუეტი ჩაწერეს. მალე, პაატა ჭელიძე მასზე კლიპსაც გადაიღებს. კომპოზიტორი ნამუშევრით კმაყოფილია.**

— **კიდევ, რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?**

— მარტში გასტროლი გვაქვს საზღვარგარეთში — ლელა წურწუმიასთან და მის ბენდთან ერთად გავემგზავრები. ვრცელი პროგრამა მიგვაქვს.

— **გარდა იმისა, რომ სიმღერებს წერ, ივლისიდან ლელა წურწუმიას ბენდის წევრიც გახდი. შეეჩვიე ახალ ამპლუას?**

— კმაყოფილი ვარ. ბენდში კლავიშებიან ინსტრუმენტზე ვუკრავ და ვარ აგრეთვე ჯგუფის პირველი ხმაც. ცოცხალ ბენდში



მაიკო: არც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთ ჯგუფს ჩემი სიმღერის ჩაწერის სურვილი გაუჩნდებოდა

მუშაობა სასიამოვნოა. იქვე, წამის მეასედში შენი აკორდებით ქმნი მუსიკას, სადაც შეცდომაც კი ლამაზია. ასეთ ჯგუფში მუშაობაზე ყოველთვის ვოცნებობდი. მე ბათუმში გავიზარდე და ბავშვობაში იქაურ ანსამბლში როიალზე ვუკრავდი; მას მერე მენატრებოდა ორკესტრში მუშაობა, რაც ლელას ბენდში ამისრულდა. ახლა მივხვდი — როგორც შემოქმედს, ძალიან დიდი რამ მაკლდა.

— **თავად ლელასთან მუშაობა ადვილია?**

— არ არის რთული. ჩემი ბექვოკალის წევრები მყავს და ჩემი ჯგუფის პასუხისმგებელი ვარ. ყოველთვის ისე ვიქცევი, რომ მან საყვედური არ მითხრას. ჯერჯერობით, ასეთი რამ არ მომხდარა. ივლისიდან არც კი ველოდი, უკვე იმდენი კონცერტი ჩავატარეთ.

— **ჭორის სახით გავიგე, რომ შენს ცნობილ სიმღერას — „თავს აგარიდებ“ — რომელსაც ლევან ლაზარიშვილი მღეროდა, ცოტა ხანში პოპულარული ჯგუფი „A-სტუდიო“ იმღერებს. მართალია?**

— ჭორი არ არის, სიმართლეა. ერთი თვის წინ მოსკოვიდან დამირეკა ქალბატონმა ნატამ, ქეთა თოფურიას დედამ და მთხოვა, თუ შევძლებდი, იქნებ, დამეთმო ეს სიმღერა „A-სტუდიოსთვის“. ლევანისთვის არც არაფერი მიკითხავს, ისე დავთანხმდი, რადგან უცბად წარმოვიდგინე, რა მაგარი იქნება, ევროპაში პოპულარული ჯგუფი ჩემს სიმღერას რომ იმღერებს.

— **როგორც ვიცი, აღნიშნული სიმღერა „სამბას“ სტილში იწყება და ნელ-ნელა, როკის ელემენტებით ივსება. ასევე შეასრულებენ ისინიც?**

— ახლა ეს სიმღერა წმინდა როკის სტილში გადავაკეთეთ. ჩემმა უსაყვარლესმა არანჟირების ავტორმა, ბორიკო შხიანმა სამ დღეში გააკეთა. მოსკოვში ფონოგრამა — ანუ ჩვენი ვერსია უკვე გავგზავნეთ.

— **იქიდან რა პასუხი მიიღე?**

— ცოტა ხანში დამირეკა ქეთამ და მითხრა, რომ ბორიას — მათ „კლავიშისტსა“ და ჯგუფის ლიდერს — სიმღერა ისე მოსწონებია, რომ თვალზე ცრემლიც კი მოსდგომია... ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, ლამის მეც ტირილი დავიწყე სიხარულისგან. აგერ ჩემთვის სადღაც ვიყავი და არც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთ ჯგუფს ჩემი სიმღერის ჩაწერის სურვილი გაუჩნდებოდა. სხვათა შორის, რუსულ ესტრადაზე მათ გარდა, არავის ვუსმენდი.

— **ქეთა თოფურიას მათთან გადასვლას როგორ აფასებ?**

— ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო პოპულარულები გახდნენ, უფრო კომერციულები. 2006 წელს მათმა ახალმა სიმღერამ — „ულიტაიუ“ რეკორდი მოხსნა. საოცრად რეიტინგული იყო.

— **შენი სიმღერა „ულიტაიუს“ რეიტინგით გაუსწრებს?**

— წინასწარ არ ვიცი, თუმცა იმედი მაქვს, რომ გაჰიტდება.

— **ჰონორარი უკვე გადაგიხადეს?**

— რა თქმა უნდა. როდესაც ნატამ დამირეკა, მითხრა: ასე თქვეს, მაიას ამ სიმღერაში ჰონორარი უნდა გადავუხადოთო. მე ვუპასუხე — არ არის საჭირო, გაჩუქებთ-მეთქი, — მაგრამ არაფრით ქნეს, მაინც გადამიხადეს და თან, საკმაოდ სოლიდური თანხა გამომიგზავნეს.

— **სიმღერა თუ გაჰიტდა, მერე?..**

— მერე — არაფერი. ხომ ვთქვი, ჰონორარი საერთოდ არ მინდოდა. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ჩემს სიმღერას პოპულარული ჯგუფი იმღერებს.

— **თუ გახსოვს, ეს სიმღერა როდის დაწერე?**

— სხვათა შორის, ჩემი პირველი სიმღერაა. 15 წლის ვიყავი, როცა დავწერე. სულ თავიდან, ის მომღერალმა ლიკა დოლიძემ მოისმინა და მითხრა — მე ჩავწერო და მივეცი. მერე ლევანმა მოისმინა და მასაც მოუნდა, ემღერა. ლიკამ ლევანს დაუთმო. გიგა კუხიანიძემ გაუკეთა არანჟირება და რადიოში ლევანის შესრულებით ხშირად ტრიალებდა — ე.ი. მოსწონდა მსმენელს. ახლა „A-სტუდიოს“ ხელმძღვანელმა ითხოვა — თუ შეიძლება, ქართულ რადიოეთერში აღარ გაუშვათო. რა თქმა უნდა, ამ თხოვნას შევუსრულებთ.

*საუბარი* **ლევან ლაზარიშვილთან** *განვაგრძე:*



— **ლევან, რას იტყვი იმაზე, რომ შენი შესრულებული სიმღერა ახლა „A-სტუდიოს“ რეპერტუარში უნდა აჟღერდეს?**

— ამ სიმღერამ თავისი საქმე გააკეთა.

— **გული ხომ არ გწყდება?**

— არა. მივესალმები იმას, რომ ახლა, ამ სიმღერას „A-სტუდიო“ შეასრულებს. იმედი მაქვს, კარგ კლიპსაც გადაიღებენ. ეს ყველაფერი მაიკოს პოპულარობას შეუწყობს ხელს. ■

# „ბომონდის“ ფოტოგრაფმა საკუთარი შვილი მაცივარში შესვა

*დათო ხარატიშვილი უკვე 6 წელია, რაც ფოტოგრაფის პროფესიას დაეუფლა და მთელი ამ ხნის მანძილზე, მისი ფოტოები ქართული ბეჭდური მედიის არაერთ გამოცემაში იბეჭდებოდა. ამჟამად, ის ჟურნალ „ბომონდს“ ემსახურება. დათოს მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული, კერძოდ, გიტარისტია და მომავალში, ამ მიმართულებითაც უნდა თავისი სათქმელი თქვას... ცოტა ხნის წინ, შარდენის ქუჩაზე, მას მოკრძალებული მცდელობა ჰქონდა, რომ ერთ-ერთ ახალგახსნილ კაფე „პიაფში“ საკუთარი ნამუშევრების პირველი გამოფენა მოეწყო, რომელსაც „ჩემი შვილი“ დაარქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი შვილის დაბადებიდან დღემდე (პატარა 10 თვისაა) გადაღებული ფოტოები გაიტანა.*

Wreli kiTxvebi

# ლექს-სენი: „გალიაში საყვარელ ადამიანს ჩავსვამდი“...

— **ლექსო, რას შვრები, როგორ ხარ?**

— არა მიშავს. მალე ჩემი ახალი, მეხუთე ალბომი გამოვა, რომელშიც 12 სიმღერა შევიდა. ცოტა ხნის წინ დავასრულეთ მუშაობა ანიმაციურ კლიპზე. ის ზაურ შენგელიამ შექმნა. ჩავწერე დუეტი მურმან ჯინორიასთან და ორ ჩემს პატარა ფან ბიჭთან. აი, ეს არის ჯერჯერობით, სიახლე. მუშაობა, ძიება გრძელდება.

— **ვინ არის შენი პროდიუსერი?**

— დღესდღეობით მინდოზა — ჩემი ძმა! მას აბარია ყველაფერი.

— **ლექსო, თუ ყოფილა შემთხვევა, ლექს-სენის წინააღმდეგ გაგელაშქრა?**

— ასეთი რამ არ მახსოვს. ჩემთვის იდენტურია ლექსო და ლექს-სენი. მასთან კონფლიქტი არასოდეს მქონია (*იცინის*) და შესაბამისად — არც გალაშქრება.

— **გალიაში ჩასასმელად ვის გაიმეტებ?**

— გააჩნია, რომელ გალიაში: სიყვარულის გალიაში თუ იქ, სადაც ბევრი უნდა იჯდეს?

— **შენ როგორც გინდა, ისე მიპასუხე.**

— სიყვარულის გალიაში საყვარელ ადამიანს ჩავსვამდი; მას, ვინც ამის ღირსი იქნება და დაიმსახურებს.

— **ქართული რეპის სახასიათო შტრიხები დაასახელე.**

— ლაღი, სიმართლის მთქმელი, სასიამოვნოდ მოსასმენი, რიტმული...

— **დუშაში ყოველთვის ჯდება?**

— „რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა“... თუ ძალიან მოინდომებ, ცხოვრებაში დუშაშის დასმაც შეიძლება. ისე, სულ დუშაშიც რომ ჯდება, არვარგა.

— **აფორიზმი, რომელიც დაასახელე, თუ გახსოვს, რომელ ქართულ ნაწარმოებს აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული?**

— გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს, კარგი, რა!..



— **რა არის ის, რაც არასდროს გავიწყდება?**

— ალბათ, სიმღერა.

— **რასაც ივიწყებ?**

— ჩემ მიმართ ჩადენილ სხვათა ბოროტებას. მიმტევებელი ვარ, თუმცა, გულის სიღრმეში რაღაცები მაინც რჩება...

— **სად ხარ ახლა და რას აკეთებ?**

— სახლში, ჩემს სტუდიაში და კომპიუტერზე რაღაც ახალ თამაშს ვთამაშობ — განტვირთვის საათები მაქვს. რაღაც ვესტერნია, იარაღს ვაჟღარუნებ.

— **გიყვარს იარაღი?**

— კი.

— **10-იანში არტყამ?**

— სნაიპერი არ ვარ, მაგრამ ვისვრი, არა მიშავს. ისე, 10-იანში სროლას იღბალი უნდა.

— **ლუდით სადღეგრძელოებს თუ სვამ?**

— როგორ არა, ყოველთვის. სულ ტყუილია, რომ ამბობენ, ლუდით სადღეგრძელოს დალევა არ შეიძლებაო. ჩვენთან, მთაში, ლუდით სადღეგრძელოს ჩვეულებრივად სვამენ.

— **ახლა ვის სადღეგრძელოს დალევდი?**

— ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს!

— **შენ კარგი თამადაც იქნები.**

— ისე, რა. სადღეგრძელოებს არ ვაფეტიშებ. რაღაცები არ მომწონს ჩვენს სუფრაზე. მოკლედ, ლაკონიურად, გასაგებად ვამბობ და ვსვამ ხოლმე სადღეგრძელოს. ვარ „პოსტმოდერნისტი თამადა“. გაუმარჯოს სილამაზეს, ხელოვნებას და ა.შ.

— **განსხვავებულ სასმისებსაც გამოიცხავ?**

— რა თქმა უნდა. რა საჭიროა?!

— **უხერხულია, რომ... განაგრძე ფრაზა.**

— ...ადამიანებს არა აქვთ ზრდილობა!

— **შენი საყვარელი ფრაზა მითხარი.**

— ცოდნა ძალაა!

— **როგორც ფილოსოფოსმა, მითხარი: პლატონი, სოკრატე თუ არისტოტელე?**

— სამივე.

— **რატომ?**

— ამ სამივეს — ანუ ანტიკურ ფილოსოფიას, შემდგომ, კლასიკური ფილოსოფია დაეფუძნა.

— **ლექსებს ისევ წერ?**

— კი, დასაბეჭდად გამზადებული მაქვს მეორე კრებული. ■

**დათო:**

— გეგმაში მქონდა, რომ ბავშვისთვის ფოტოები სამ წლამდე გადამეღო და მხოლოდ ამის შემდეგ მომეწყო გამოფენა, მაგრამ კაფეს მესვეურებმა მთხოვეს: იქნებ, შენი ნამუშევრები გამოფინო და ლამაზი საღამო მოვაწყოთო. მეც ცდუნებას ვერ გავუძელი — ვაჟიკოს (შვილის) 16 საუკეთესო ფოტო შევარჩიე და კაფეში გამოვფინე. მათ შორის იყო კურიოზული კადრებიც. მგონი, ფოტოებმა მოწონება დაიმსახურა.

— **ისე, საკუთარი შვილის ფოტოების გამოფენა ცოტა უხერხული ხომ არ არის?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ბავშვთან ყოველდღიურად ვმუშაობ, სისტემატურად ვუღებ სურათებს. ამასთან, საერთოდ, ბავშვი საუკეთესო მოდელია, გადაღებისას ისე იქცევა, როგორც შენ გინდა. პატარა შესანიშნავად პოზირებს და მეც მეხმარება იმაში, რომ სისტემატურად რაღაც ახალი აღმოვაჩინო ჩემს პროფესიაში.





— **მაცივარში გადაღებულ ფოტოზე რას იტყვი?**

— მაწონი უყვარს და ამიტომაც, მუდმივად მაცივრისკენ მიიწევდა. მეც ავდექი, მაცივარში შევსვი და ისე გადავუღე სურათი, რაც ძალიან მოეწონა, არ გაუპროტესტებია, არ უტირია. მერე, მაწონიც გადავასხი, ამაზეც „დამთანხმდა“... როცა კლავიშებიან ინსტრუმენტთან დავსვი, მას თავისებურად უტყაპუნებდა ხელს და ასეთივე შემართებით მიუჯდა დასარტყამ ინტრუმენტსაც.... რა ვქნა, ზოგი ფოტოგრაფი ყვავილებს იღებს, ზოგი — თბილისის ხედებს, მე კი — ჩემს შვილს.

— **ახლო მომავალში რას აპირებ?**

— საერთოდ, მთავარია, იყო შენი საქმის პროფესიონალი და ყოველდღე რაღაც ახალს ეძებდე. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება თვითონ მიგიყვანს ახალ და საინტერესო პროექტებამდე. ■

# მესიჯომანია



**მართალია, ზოგიერთი მკითხველი წუწუნებს, რომ მესიჯომანია „პაემანს“ დაემსგავსაო, მაგრამ მკითხველების უმეტესობას ის მოსწონს და დიდი სიამოვნებითაც გვიმესიჯებს. აქვე მინდა თქვენი ყურადღება 2 მესიჯზე გავამახვილო, რომელიც ამ კვირაში მივიღეთ. „მარი, „ნუჩკა“ ვარ. ჩემი ნომერი ალარავის მისცე, კარგი? მადლობელი ვარ, რადგან თქვენ მე სიყვარული მაპოვნინეთ“. და მეორე — „მარი, მინდა, ეს მესიჯი გამოაქვეყნო. დიდი მადლობა, რომ ასეთ კეთილ საქმეს აკეთებთ. მადლობა, რომ გამაცანი ჩემი ოცნების ქალი — ჩემი ნინი. ნინი, მიყვარხარ! გაიგეთ! ნინი მიყვარს! „დათო 2“. მოხარული ვარ, რომ 2 ადამიანს გული გავუხარეთ. შესაძლოა მეტსაც, მაგრამ უბრალოდ, მათ არ მოგვწერეს. იმისათვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის „ესემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა — gza, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოაგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოაგზავნოთ.**

1. მაგთის უფასო MMS-ები არავის გაქვთ ჩართული? არ ვიცი, ყოველდღე 10 MMS ვის უნდა გავუგზავნო? თქვენ არ გინდათ? ნომერი მარისთანაა. „ნინა-17“.

2. ვეხმაურები „დათო-2“-ს. ვარ მხიარული, მაგრამ სამწუხაროდ, არ მიმართლებს სიყვარულში. ნომერს მარი მოგცემს. იმედია, ამ SMS-ს დამიბეჭდავ. გილოცავთ ყველას 2007 წელს. მარი.

3. ლოდინი ლოდის, ლოდინი ლოდის,/ ჩვენ მეგობრები ვართ დიდი ხნიდან/ და ცას შეხედე, მესამეც მოდის. მამუ.

4. გავიცნობ ორმოცდაათ წლამდე, გაუთხოვარ მანდილოსანს. გიჟურ ღამეს გაჩუქებ ჩემო რჩეულო. გელოდებათ თქვენი შავთვალება ვუგარა.

5. მენატრები, თითქოს მართლა ჩემი იყო და უფლება მქონდეს შენი მონატრების. 19/170/60. ლალი. გელოდები...

6. მინდა დიდი სიყვარულით მოვიკითხო ათენში მყოფი ქეთი კ. და ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება. მორიელი-ოთარი.

7. ვარ 39 წლის გაუთხოვარი მანდილოსანი. გამომეხმაურეთ ოჯახის შექმნის მიზნით.

8. ვარ საშუალო სიმაღლის, სრული, „შეხედული“ გოგო. თუ შეიძლება მიუთითე ასაკი, სახელი და რომელ ნაწილში მსახურობ. შმო.

9. მარი, მე პირველად გიმესიჯებთ. იმედია, გამოაქვეყნებთ ჩემს მესიჯს. გავიცნობდი 18 წლამდე ბიჭს, სამეგობროდ. ნუკი-15.

10. რა მეშველებაა!!! 5 გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. თანაც, „უჟას“ ლექტორებთან. მიშველეეეთ! ისე, „პაპა-21“, ყველას ცოლად მოყვანას აპირებ? გასათხოვარი იმდენიააა. ონავარი გოგო...

11. ვეხმაურები იმ გოგონას, რომელიც ეძებს ისეთ ადამიანს, რომელიც არ იტყუება. ჩემო კარგო, იქნებ ასეთი მე ვარ? შემეხმიანე „მუკაკო“.

12. კალაძე რომ მაგარია, ეგ უდავოა. კობი ხომ „ვაბშე“, მაგრამ საქართველოს ნაკრებში დღეს ყველაზე უფრო გამოკვეთილად ასათიანი და გოგუა ასპარეზობენ. გოგიტა მაგარიააა!!! ნინი.

13. თუ გზა ამებნა შენკენ სავალი,/ სიზმარში მაინც უთუოდ გნახავ,/ მე დაგიტოვებ ლოყაზე ამბორს/ და ფეხაკრეფით, უჩუმრად წავალ.

14. ვარ 31 წლის ქვრივი. მყავს 9 წლის ვაჟი. სამეგობროდ გავიცნობდი 40 წლამდე მამაკაცს. „კროშკა“.

15. მიყვარხარ და მენატრები! მეტი აღარ შემიძლია... გესმის, ნახალოვკელო კობა რჩეულიშვილო? ცხოვრებას გავწირავ შენი გულისთვის. „პუტკუნა“.

16. „მწვალებელო“, მაინც წვალების რა ხერხს მიმართავ? არა მგონია, ჩემს მწარე ენაზე ძლიერი იყო. შენც მოგარჯულებ! თუ სურვილი გაქვს, ვცდი. „სმალე-17“.

17. ვეხმაურები ნაპერწკალას. ვარ 28 წლის. სოსო.

18. მარი, პირველად გიმესიჯებ. ძალიან მომწონს თქვენი „გზავნილები“. თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, გპირდები, მაგარ რაღაცებს მოგწერ.

19. გთხოვთ, მომცეთ 30 წლის მაიას ნომერი. მახო, 32 წლის.

20. „გიო.ს“-ს ნომერი მომეცით, თუ შეიძლება. წინასწარ გმადლობთ!

21. გენაცვალეეეეთ! ყველა მიყვარხართ, ვინც „გზავნილებში“ ამესიჯებთ. თქვენი წყალობით სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა. მიყვარხართ, გკოცნით ყველას. „სევდია“.

22. „პრივეტები“ მარის. შეიძლება გაგიკვირდეს, რადგან პირველად გწერ მესიჯს და გთხოვ, გამომიქვეყნო. ვეხმაურებით „ჯოკერას“. ვთხოვთ, რომ გაგვიმხილოს წლოვანება.

23. მარი, მინდა, შენი მეშვეობით ჩემს სიცოცხლეს, გოჩა მაძღარაშვილს ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს და ჩემი ცხოვრების ნათელი წერტილია. „პაწია ქალი“.

24. მინდა, გავიცნო 20 წლამდე ასაკის, ლამაზი გოგო. ვარ 20/183. თუ ვინმეს დაგაინტერესებთ, ჩემი ნომერი მარის გამოართვით. „რონალდო“.

25. გავიცნობ 20 წლამდე ასაკის ლამაზ და ზრდილობიან გოგოს. თუ თვლით, რომ ასეთი ხართ, სიამოვნებით გაგიცნობთ. გაითვალისწინეთ, რომ არ მიყვარს ცანცარა და ქარაფშუტა გოგონები. ჯეჯე.

26. „ხევსურ“, გავიცნოთ ერთმანეთი? იმედია, გავუგებთ ერთმანეთს. „მოხევე“.

27. მარი, გამარჯობა! პირველად გწერ, რადგან ახლა გამიჩნდა ამის სურვილი. 18 წლის ვარ და ძალიან მალე მბეზრდება შეყვარებული ბიჭები. მატა.

28. მარი, გთხოვ, რომ „დათო-2“-მა თავისი ნომერი გამოაქვეყნოს, აუცილებლად. „სოფო-2“! დათო, მაგრად მინდა შენი გაცნობა.

29. მარი, ამას წინათ ქუთაისიდან პატიმარმა დაამესიჯა თქვენთან, რომელიც წერდა, რომ სიყვარულში არ გაუმართლა. თუ არ ვცდები, გიორგი უნდა ერქვას. მისი ნომერი დაბეჭდეთ, რა? „სვანსკი“.

30. ვერ მიგიხვდი, თურმე მწარედ მატყუებდი,/ ფუჭი იყო თურმე შენი ბევრი ფიცი,/ სიყვარულში მე გაჯობე თურმე ისევ,/ სიყვარული გოგომ უფრო წრფელი იცის./ რა პატარა გრძნობა გედო ისევ გულში,/ დავიწყება რა ადვილად შეგძლებია,/ რა ყოფილა თურმე ასე ნაზი გრძნობა,/ დამიჯერე, შენ მაგივრად მე მრცხვენია.../ ალბათ ვინმე ისე ძლიერ შეგიყვარდა,/ რომ ასეთი სიყვარული დაგავიწყა,/ მაშ გილოცავ! წრფელი გულით ჩემო კარგო,/ მთელი გული აღარა მაქვს, ნუ დამძრახავ... ეძღვნება ერთ გიჟ ბიჭს. „პუპსიკა“.

31. გამარჯობა მარი. მე იმ 24 წლის ანდროს ვეხმიანები, რომელიც ჟურნალისტია და ამჟამად ჯარშია.

32. ვიკა (ვალენტინა), დაბადების დღეს გილოცავ! სიხარული, სიყვარული, ჯანმრთელობა დაგებედოს შენი დიდი ცხოვრების გზაზე. მიყვარხარ და მენატრები უზომოდ.

33. ნაზი, იცოდე, ვერ დამემალები. მაინც გიპოვი და ჩემი გახდები. ვიცი, გიყვარვარ და ნუ მალავ. განა ასე მალე დაივიწყე ენისელში გატარებული დღეები? მიყვარხარ! ფრიდონი.

34. გამარჯობა მარი, მე ანდროს გზავნილს ვეხმიანები. ვფიქრობ, მან ნამდვილად იცის ჭეშმარიტი პოეზიის ფასი.

35. „გატა“, დამიკავშირდი ამ ნომერზე 8.55.16.22.14. „უცნობი“.

36. მარი, როგორ ხარ? ჩემთვის 2007 წელი შენთან მესიჯობით დაიწყო. ვარ 20 წლის, შავგვრემანი გოგო. მიყვარს ფეხბურთი და დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ფეხბურთელ ბიჭს.

37. მარი, მინდა თეოს ნომერი, რომელიც 6 წლის მრევლია. სერიოზულად ვფიქრობ. შალვა.

38. ვარ გიორგი, 25 წლის. გავიცნობ გოგონას, 22-დან ზევით. ვარ ერთგული.

39. ვეხმაურები 17 წლის გოგოს, რომელიც 25-27 წლის მოწესრიგებულ ბიჭს ეძებს. თუ ჩემი „ესემესი“ გავა, მადლობა ყველას.

40. მარის გაუმარჯოს! ყველას რომ ეხმარები, იქნებ მეც დამეხმარო? ვარ 22/184/75, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი. „მევასება“ უფროსი ასაკის ქალები. სამეგობროდ გავიცნობ 35-40 წლის ქალს. გელით. ერთგული.

41. ვარ 37 წლის, თბილისელი, კარგი ბუნების ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ კარგი ბუნების გოგოს. კახა-37.

42. გთხოვთ, დაბეჭდოთ! ვარ 31 წლის, მაღალი, შავგვრემანი მამაკაცი. მინდა მყავდეს მეგობარი ქალი. მარი, თუ ვინმე დაინტერესდება ჩემით, ნომერი მიეცი. მსუქნები არ მაინტერესებს. ველოდები ლამაზი გოგოს გამოხმაურებას.

43. ვარ სიმპათიური, მწვანე, ლამაზი თვალებით, ალერსით სავსე, უკომპლექსო, მამაკაცი. 30/190. ვისაც უნდა, ვნებიანი ალერსი, ოცნებას ავუსრულებ. „ფარული ვნება“.

44. ვეხმაურები შავგვრემან, სპორტული აღნაგობის მქონე ქვრივ მამაკაცს, გიორგის. შეგიძლია მითხრა შენზე სულ ცოტა რამ? მაინტერესებს ასაკი და გყავს თუ არა შვილები. „ლიზიკო“.

45. ვეხმაურები უიღბლოს. ვარ 25 წლის. „ხევსური“.

46. მინდა გაჩუქო მთელი სამყარო,/ ცისარტყელაზე გადაგატარო,/ შენი ღიმილი გულით ვატარო,/ უშენოდ წამიც არ გავატარო. ლაშა გახოკია, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი ხარ. მარტა.

47. 29 წლის, შავგვრემანო და დასაქმებულო ახალგაზრდავ, მე მაქვს ცისფერი თვალები. მე კი მინდა „დათო-2“-ს შევეხმიანო: იცი? სიყვარულში არც მე მიმართლებს. კუსო.

48. ბესო ნოღაიდელო, სიგიჟემდე მიყვარხარ და მენატრები. მალე დაბრუნდი, გთხოოოვ! შენი ცუდი გოგო.

49. ვარ 31 წლის, თბილისელი, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი მამაკაცი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 26 წლამდე ასაკის, ნორმალური გარეგნობის, არამწეველ, გამხდარ გოგონას, რომელიც წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან იქნება. გოჩა.

50. ვარ 30 წლის! ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს! ამ გზით გაცნობის მაინცდამაინც არ მწამს, მაგრამ რა იცი, რა ხდება! ჰოდა, ვგზავნი კიდეც მესიჯს! ვეძებ ლამაზ, წესიერ, მხიარულ მანდილოსანს.

51. ხატზე ჩამოსული ცრემლი გინახავს?/ ვლოცულობ შენზე და არ ვიცი, ვინა ხარ!/ შენს ლამაზ თვალებს და სულს ვფიცავარ,/ ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! ნინუცა.

52. პატარა კენჭები ნაპირს ეხეთქება,/ ზღვასთან ჩაფიქრებულს ტალღა მეფერება,/ ისევ მონატრება, ისევ სინანული,/ მე არ მომწყინდება შენი სიყვარული. ნინი.

53. შენ ყოველ დილით ანგელოზს ხედავ,/ ალბათ იფიქრებ, ვინ არის, ნეტავ?/ ბევრს ნუ იფიქრებ, ეს ხომ შენა ხარ,/ მაშინ, როდესაც სარკის წინ დგახარ. ბათუმელო შოკა, მიყვარხარ!

54. გჯეროდეთ, მე თქვენთვის სიკეთეს ვისურვებ/ და ამ დღეს უბრალოდ, 4 რამეს გისურვებთ:/ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს,/ ბედნიერ მომავალს და ლამაზ სიყვარულს!

55. ვეხმაურები 20 წლის ირაკლის, იმავე — „ტირიფის ხეს“. მეც ნამდვილ მეგობარს ვეძებ. თუ დაგაინტერესებ, ვიმეგობროთ. „ცელქი“.

56. მარი, მინდა, ხაშურელ სალომე ქურდაძეს ვუთხრა: — ნუ მაწვალებს, მაინც ჩემი იქნება. გიო-გიო.

57. hi, ჯიგარი ხარ, „მონასტრის ბიჭო“, ვიღაცა ძლივს არ მიხვდა, „მესიჯომანია“ გარიგება-გამორიგების ბუდედ რომ გადააქციეს? დაეშვით მიწაზე. თაკო.

58. აუ, ვიღაცამ ჩვენ საცოდავები გვიწოდა? ნევროზი არ გამიმძაფრო, გოგონი (ან ბიჭუნი)! ყურადღების მიქცევას ცდილობ, უბადრუკო? ნუ გვეძაბები, რა, ო.კ? „ნევროზა“.

59. გაუმარჯოს მანე გარინჩას, მარკო ვან ბასტენს, რუუდ გულიტს, ჯორჯ ვეას, მესხს, ყიფიანს, შევას და რა თქმა უნდა, „მილანის“ უკვდავ „სამიანს“, პაოლო მალდინის. „ნინო-მილანი“.

60. მარი, მე ის ვარ, ვისაც ამ ცხოვრებაში სიყვარულში არ უმართლებს. მაქვს მწვანე თვალები და წაბლისფერი თმა. გინდათ, ჩემი გაცნობა? ნომერი მარისთანაა.

61. მარი, გთხოვ, მომეცი „გიო.ს“-ს ნომერი.

62. სოფო ნავროზაშვილო, ძალიან მიყვარხარ. გთხოვ, დამიჯერე. შენ როგორიც ხარ, ისეთი მიყვარხარ. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარხარ. ნუ ხარ ასეთი ჯიუტი.

63. გოგა, მაგრად მიყვარხარ. ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. უშენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს. მაგრად მიყვარხარ, მააააგრააად! მეგი.

64. მარი, მინდა, ხმა მივაწვდინო ჩემს მეგობრებს. თეონა კაშეიშვილს (კახში) და ლელა ჯანხოთელს, საჩხერეში. ლელა და თეო, ჩემი ნომერი მარისთანაა. ნანა. გამარჯვება.

65. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 19-25 წლის, მხიარულ და სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. ვარ 25 წლის, 178 სმ სიმაღლის, შავგვრემანი და შავთვალება, მხიარული ბიჭი.

66. ჩემო კარგო მარი, ჟურნალში შეცდომით დაიბეჭდა ჩემი SMS. მე ვარ შავგვრემანი ლევანი და ვეძებ ქერა, ცისფერთვალება, ლამაზ გოგონას, სამეგობროდ.

67. ნიკუშ, ჩემი სიხარული ხარ. გეხვეწები ნუღარ ვიჩხუბებთ და გავებუტებით ერთმანეთს. შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. შევრიგდეთ, რა! შენი ბაჭია, ნინო.

68. ნიკუშ, ოცნების ზეცას ახატია თვალები შენი! გვიყვარხარ და გვენატრები. ახ ნეტავი ერთად იყოს, რუსთავი და თელავი. შენი გიჟი დეიდები.

69. გავიცნობ სამეგობროდ ბიჭს, 27 წლამდე.

70. საფლავის ქვაზე უაზროდ დაყრილ მიხაკებს სცივათ,/ შენგან მისჯილი ტკივილების სიმძიმე მიაქვთ,/ ცრემლების ნაცვლად, მოგონებები ერთმანეთს ცვლიან...

71. აუ, თქვე გოიმებო, ლამაზები რომ იყოთ, აქ კი არ დაამესიჯებდით...

72. გაუმარჯოს ბალის აბონენტებს! გოგონებო, ვისაც გსურთ, მხოლოდ SMS-ით ვიმეგობროთ, დამირეკეთ: 8.98.52.51.9 მინიშნებით — ზუმერი როკი მაქვს. (მხოლოდ გამგებიანებმა).

73. შევიძენ აბიტურიენტ მეგობარს, რომელიც მაშინ, როცა ყველა მისი მეგობარი ერთობა, თვითონ წიგნებით ხელში მასწავლებლებთან დარბის. „პეპი პეკინელი“.

74. მე მქვია იური. ვარ 24/65/172. მინდა, გამომეხმაუროს რუსა ბათუმელი.

75. მარი, გთხოვ, მომწერო „ზიკო“-ს ნომერი. ძალიან მინდა გავიცნო, დაოჯახების მიზნით.

76. საყვარელო მარი, გილოცავ ნათლისღებას. მრავალს დაესწარი. გთხოვ, „39 წლის“ ნომერი მომწერო. მეც მსურს გავიცნო, დაოჯახების მიზნით.

77. „პრივეტ“, მარი! როგორ ხარ? მინდა, გავიცნო სამეგობროდ მკაცრი გარეგნობის, მხიარული და ჩემსავით ამ ცხოვრებაზე შეყვარებული ბიჭი. გვანცა-17.

78. ადამიანს სჭირდება ერთი წამი, რომ მოეწონო. ერთი წუთი, რომ მოენატრო. ერთი საათი, რომ შეუყვარდე და მთელი ცხოვრება, რომ დაგივიწყოს... ჯულია.

79. 2007 წლის 18 იანვარს ვნახე ერთი ბიჭი, რომელიც იჯდა შავ BMW-ში (სერია-CEC). მე ავტობუსით მივდიოდი სოფელში, ის კი ავტობუსს აედევნა. თავს თუ ამოიცნობ, გამომეხმაურე! ელე.

80. ჯიმი, გავიცნოთ ერთმანეთი? ვიმეგობროთ. „სვანსკი“.

81. გაცვია „ჯორჯო არმანი“/ თავი გგონია მაგარი,/ რომც გეცვას „დოლჩე გაბანა“/ თავს მაინც უნდა დაბანა. „სვანსკი“.

82. მე შენ მიყვარხარ, როგორც მაწონი, მე შენს სიყვარულს ველარ ავწონი. ყველა ჯიგარ გოგოს გაუმარჯოს, ჩემი თამადობით. „სვანსკი“.

83. მინდა „ტირიფის ხეს“ ვუთხრა, რომ ნამდვილი მეგობრობა ბიჭსა და გოგოს შორის არ არსებობს. არც ისე დიდი ვარ, მაგრამ ამაში უკვე დავრწმუნდი. „ცეტი-15“.

84. გავიცნობდი 22-28 წლამდე საშუალო სიმაღლის, შავგვრემან ბიჭს. უნდა იყოს ზომიერად მხიარული და სერიოზულიც. მე მქვია ხატია, ვარ 22 წლის, ლამაზი და დინჯი.

85. მაინტერესებს, რამდენი წლის არის „სტიქია“. მგონი ძველი ბიჭია ან უნდა, რომ იყოს და არ გამოსდის. ვეცემი ბეჭში მოხრილ, „ჩაცუცქულ“ და ხმაჩახლეჩილ ბიჭებზე. „ცეტი-15“.

86. ვარ 22 წლის გოგო. სამეგობროდ გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. სიყვარულის მორევში ჩაგითრევთ. ანი.

87. როცა ვარსკვლავი ზეცას მოსწყდება,/ მაშინ გინატრებს ჩემი ფიქრები/ და მაშინ გეტყვი, ჩემო სიცოცხლევ,/ მე შენ მიყვარხარ, მე შენ მჭირდები! სურამიდან, კიკა.

88. მართალია ეს „მონასტრის ბიჭი“ და რა ვქნა? გაუმარჯოს ლამაზ „გზავნილებს“. ისე, მეც აბიტურიენტი ვარ და სასაფლაოზე ადგილს წინასწარ ვიბრონავ, იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ ჩავაბარე.

89. გავიცნობ სამეგობროდ თბილისელ, კარგ გოგოს. ნაზსა და საყვარელს. ვარ 24/178/70. შავგვრემანი, ცისფერთვალება ბათუმელი და ვსწავლობ თბილისში. გოგონებო, გელით. „მ.მ.ა“.

90. მომწერე სიცოცხლევ, შენს გულში რა ხდება,/ მიენდე ოცნებას და იგი ახდება,/ შენ გამო უამრავ სიგიჟეს ჩავიდენ და ყველა ოცნებას ერთ დღეში აგიხდენ. გიჟი ქალი, კესო.

91. ლამაზ სვანს, სახელად — გუა, მინდა ვუთხრა, რომ ის ძალიან მიყვარს და სიგიჟემდე მენატრება.

92. მივმართავ „დოლარას“ რა გაუხური „ჯიგარ გოგოს“? იქნებ შენს თავს მიხედო და შენი თავი აკრიტიკო!.. „მიაწექი“, „ჯიგარო გოგოვ“, მე შენკენ ვარ. გიჟი ქალი, კესო. „პაპა-21“, რატომ დაიკარგე?

93. ჩემს საყვარელ მეუღლეს, გიორგი ოხანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. დიდი სიყვარულით, ნანა ცირეკიძე.

94. თუ ამ ცხოვრებამ მახე დაგიგოთ,/ სიყვარულმა კი ველარ გაგიგოთ,/ თუ ამ ყველაფრით მაგრად გარეკეთ,/ თქვენნაირი ვარ, ჩემთან დარეკეთ! დათო.

95. მარი, საყვარელო, მინდა, ჩემს დეიდაშვილს, თამუნა ღლონტს და მის მეუღლეს, ალექსის მივულოცო გაბედნიერება და ვუსურვო ბედნიერი მომავალი.

96. ვარ უმაგრესი ბიჭი, ქერა, ცისფერთვალება, 180/59. სამეგობროდ გავიცნობდი „კაი“ გოგოს. დამიმესიჯეთ. ნიკა. 8.93.53.53.32.

97. ჩემო საოცრებავ, მინდა შენი გაცნობა და ჩემი საკუთარი თვალით შენი ნახვა. სოსო-28.

98. უშენობის დარდი მტანჯავს, მივეძალე ფიქრებს./ რუსიკოში რომ გამცვალო, გაგიმართლოს იქნებ./ ჩაის შაქარს არ დაგაკლებს, გაიხარე გულო,/ მაგრამ მაინც შენ მიყვარხარ, ჩემო დახატულო!

99. მარი, Hi, რავა ხარ? მინდა, გავიცნო ყველა ის ადამიანი, ვისაც ხალხური სიმღერები „ევასება“, მერე ჩავუჯდეთ ერთად და... წავიდაააა! „სალი-ბალი“.

100. გაუმარჯოს ყველას! ვარ 24/180/70. მინდა, გავიცნო ნაზი და სასიამოვნო გარეგნობის, 20 წლამდე ასაკის გოგონა, სერიოზული ურთიერთობისთვის. „დათკა-24“.

101. მარი, გთხოვ, ჩემი ნომერი მიეცი იმ ქვრივ ქალბატონს, ჩემით რომ დაინტერესდა. პატივისცემით, გიორგი.

102. გამომეხმაუროს ფეხბურთის, კერძოდ, „ბარსას“ გულშემატკივარი ბიჭი. ვარ 14 წლის, საყვარელი გოგო. „მის გაუჩო“.

103. სიამოვნებით გავიცნობდი „უცოლო მშვილდოსანს“, თუ სურვილი ექნება. მარი, მიეცი ჩემი ნომერი. „თეა-16“.

104. ენით ნათქვამ სიტყვაზე ძლიერია ვნება, რომლითაც შეპყრობილია ადამიანი? „ფერია-19“, გთხოვ, მესაუბრე, არ ინანებ...

105. მეც მინდა, მარიამის მადლი გფარავდეს,/ გლოცავდეს მუდამ დედა ქართვლისა,/ გზას გინათებდეს, ცხოვრების სავალს,/ შუქი კამკამა, წმინდა სანთლისა... „ჩიპჩაპს“, კესოსგან. დიდი სიყვარულით.

106. მიყვარდი ძალიან, მიყვარდი ნაზად, ეულად, შმაგად! და მაშინ, როდესაც „მიყვარხარ“ გითხარი, გაუფერულდა რაღაც ძვირფასი... პატარა ფისუნია.

107. სასწაულები არ ხდება, მაგრამ ხომ შეიძლება, დეკემბრის ერთ ღამეს გამომაღვიძოს შენმა ჩურჩულმა: — თოვლი მოსულა...

108. შენა ხარ ჩემი ფარული ვნება,/ სიზმრად მიქციე ჩემი ცხოვრება,/ არ გაპატიებ იცოდე თუკი,/ ჩემთვის ალერსი დაგენანება.../ არ გაპატიებ და ფრთებს შეგაცლი,/ რომ ველარ შეძლო უჩემოდ ფრენა./ სანაპიროზე რომ ვერავინ ვერ შეგიტყუოს,/ არ გინდა ვნება! ჯობს დაივიწყო ირგვლივ ყოველი და იყო ჩემი ფარული ვნება. ბესო, მიყვარხარ! „მავნე პრინცესა“.

109. გოგა თავხელიძე, ძალიან მომწონხარ და მენატრები. მინდა, შენც იგივეს განიცდიდე ჩემ მიმართ. „ე მ გ ი“.

110. „პრივეტები“! მინდა, თქვენი საშუალებით დიმა შაჰნაზაროვს ვუთხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარს და მუდამ ასე ბედნიერები ვიქნებით ერთად. გკოცნი, შენი „პატარა სულელი“.

111. „კნეინა თამარს“! გარანტიას მოგცემ, ასევე ბევრ სხვა რამესაც, თუ სერიოზული ადამიანი ბრძანდებით.

112. გავიცნობდი სერიოზულ და სიმპათიურ ადამიანს, სამეგობროდ. სოფო, ბათუმი.

113. გამარჯობა!

114. ვარ 29 წლის, უცოლო ბიჭი. ვეძებ 28-29 წლის გოგოს, სამეგობროდ. იჩქარეთ! გელით თქვენი „თომა-22“. აბა, არ დააგვიანოთ!

115. გამომეხმაუროს 32 წლის მწვანეთვალება გელა. თუ შეიძლება, ჩემი ნომერი გადაეცით. ხათუ.

116. გეთანხმები, „მონასტრის ბიჭო“, ხალხნო, მართლა რამ გადაგრიათ, ასე გამწარებული რას ეძებთ? გოგო.

117. მთვარიანი ღამის დუმილი და სევდით სავსე ზღვა... ცამდე მდუმარებით აჭრილი ტალღები და შრიალით ერთმანეთს ჩახუტებული ხეები... ალბათ ოდესმე გაიგებ ამ მონაყოლის აზრს.

118. პაწაწინა სიყვარულმა ბევრი იარა იმისათვის, რომ სხვებისთვის ეჩვენებინა თავისი სილამაზე. სხვები თითქოს ულიმოდნენ კიდეც, მაგრამ კარს არავინ ულებდა და გულს არავინ უჩვენებდა.

119. ვარ 42 წლის, მომხიბვლელი ქალი. გავიცნობ 45 წლის კარგ მამაკაცს, სამეგობროდ. ბორჯომი.

120. გთხოვთ, გელას ტელეფონის ნომერი მომცეთ. ჟურნალ „გზის“ მე-3 ნომრის 62-ე გვერდზეა მისი მონაცემები. 32 წლის, 182 სმ. სიმაღლის, მწვანეთვალება ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით.

121. მყინვარწვერი თეთრი თოვლით იმშვენებდა თავს,/ როცა სვანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს,/ ერთი უშბას გადახედეთ, რა ამაყად დგას,/ სვანი კაცი სვანურ ქუდში ხომ ლამაზად ჩანს,/ საჯიხვეში თეთრი ჯიხვი ციურ წყაროს სვამს,/ არასოდეს გიღალატებთ, თუ ენდობით სვანს. რაც კარგები ვართ, სვანები ვართ! სვანი გოგო.

122. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. ვარ 30/190, სიმპათიური და ერთგული. ლამაზ წუთებს გაჩუქებ. „მწვანეთვალება“.

123. მე არ მადარდებს, რომ არ გიყვარვარ,/ რადგან ეს არის სულ შენი ნება,/ მე ის მაშინებს, რომ ჩემი გული,/ ჯერ არ გაშლილა და უკვე კვდება. ეძღვნება გოგა თავხელიძეს.

124. შავი და ეკლიანია ჩემი სამყარო. ძნელი და ამოუცნობია მისი არსი... შორსმჭვრეტელი და მიუწვდომელია ჩემი სული... იქნებ მიშველოს ვინმემ? „ირკუში“.

125. მარი „პრივეტ“! SMS-ს პირველად ვგზავნი და ვეხმაურები 20 წლის ირაკლის, იგივე „ტირიფის ხე“-ს. „ფიფქია-17“.

126. მოდი, იმ ადამიანს გაუმარჯოს, რომელიც სიყვარულზეა შეყვარებული და უსიყვარულოდ დადის!!! „ფისუნია“.

127. მარი, როგორ ხარ? მაგარი ხარ! „ჭკვიანო ბიჭო“, შენი სახელი მითხარი რა?! „ხატია-17“.

128. მე შენს თვალებზე ვისწავლე ლოცვა/ და შენს ტუჩებზე პირველად კოცნა!!! გიო, ჩემო სიხარულო, მიყვარხარ! მალე შევხდებით, გეხუტუნე... „ფისუნია“.

129. იმ დღეს, როცა შენ შეგიყვარე,/ ცრემლი ჩავარდა ზღვაში,/ როცა იმ ცრემლს ვიპოვი,/ გადაგიყვარებ მაშინ. „მაკუნია“.

130. სუნა, მიყვარხარ! ნ.

131. ფუჭად ცდილობ, რომ გაიგო/ ძაღლის თავი სად მარხია/ ნეტავ „ბოშო“, სიდან მიხვდა/ ამ ყველაფერს „ანარქია“? „სტიქია“.

132. თურმე „გზავნილებს“ კითხულობს/ მსოფლიოს ყველა „ნაცია“/ კი მარა, საქმე არა აქვთ?/ „გედევირიე“ კაცია! „სტიქია“.

133. სიყვარულში არასოდეს მიმართლებს. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი კარგ, პატიოსან გოგოს, რომელიც ჩემი ერთგული იქნება. გამომეხმაურეთ.

134. მარი, ჩემო კარგო, ძალიან კარგი ხარ! სიამოვნებით გავიცნობდი ვაკოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. თაკო, ქუთაისი. გმადლობთ.

135. მარი „პრივეტ“! იქნებ შენს რუბრიკაში საჩემო კაციც გამოიძებნოს? ლამაზიც ვარ, სექსუალურიც და „ვაფშემც“ კარგი გოგო ვარ. ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ სერიოზული ადამიანი მჭირდება.

136. გავიცნობ 17-18 წლის გოგონას, სამეგობროდ. მსურველი გამომეხმაუროს. უპირატესობას მივანიჭებ რეპის მოყვარულებს. „შამანი“.

137. გაუმარჯოს ყველა ძველი როკის მსმენელს. „პინკ ფლოიდი“ როკის საოცრებაა. გილანის ხმა განუმეორებელია, ბლეკმორი კი საუკეთესო გიტარისტია. „ნინო-მილანი“.

138. არა, არ მინდა ამორძალის ცივი ალერსი/ თუ შევიყვარებ, სიყვარულმა უნდა დამლუპოს/ სადა ფიცრიდან მეკუბოვე შეჭედავს კუბოს/ ჩამასვენებენ თბილი მკლავები, ცივ სამარეში/ დამიტირებენ წმინდა ცრემლით უცხო თვალები/ გამახსენდება შენს სახეზე ფიქრის თარეში/ და სამარეზე დაღვრემილი მოვლენ ქალები/ სასიხარულო რა ვიპოვო, სიმწუხარეში... „სატირა“.

139. მარი, მე იტალიიდან გწერ. გთხოვ, დამიბეჭდო ეს მესიჯი. თემურ, ძალიან მიყვარხარ. იცოდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები. ნინჩო.

140. მინდა, დედაჩემს მივესალმო. ის საბერძნეთშია. ირიჩკა, ძალიან მოგვენატრე და მალე ჩამოდი. შენი „ცხვირა“.

141. ლექსის წერა ნიჭია/ პოეტებიც მიქია/ მაგრამ ვერ გამიგია/ რას ლექსაობს „სტიქია“? ვისაც სამეგრელო არ აქვს ნანახი, ჭეშმარიტი პოეტი ვერ გახდება. მეგრელი „კანიბალკა“.

142. წინ ნომერში „იდეა“ წერდა — ვისაც მიაჩნია, რომ მისმა მატარებელმა არ ჩაიარა, დამირეკოსო. ამ ადამიანით დავინტერესდი. თუ სურვილი აქვს, მიეცი ჩემი ნომერი. მე 37 წლის ვარ.

143. მესიჯს არც პირველად ვგზავნი და არც უკანასკნელად. უბრალოდ, ახლა ძალიან ცუდად ვარ და თავს საშინლად ვგრძნობ. თუ ამ მესიჯს ჟურნალში წავიკითხავ, ძალიან გამიხარდება. სვანი გოგო.

144. ჟურნალის გმოსვლის მეორე დღეს საბერძნეთში მივდივარ და ჩემს 1 წლის შვილს აქ ვტოვებ. დაჩი, დედიკო, ძალიან მიყვარხარ. იმედია, არასოდეს დამადანაშაულებ, რომ მარტო გტოვებ. მე ხომ ყველაფერს შენთვის ვკეთებ. შენი ცუდი დედიკო... სოფო-21.

145. წმინდა სიყვარული ლოცვაა მარადი/ წმინდა სიყვარულს მცირე აქვს სიტყვა/ წმინდა სიყვარული აღარ იმეორებს/ რაც ერთხელ გადახდა/ რაც უკვე ითქვა.../ წმინდა სიყვარული დარდია, ულევი/ წმინდა სიყვარული ცრემლია წმინდა/ წმინდა სიყვარული მცირეა ამქვეყნად/ გულში ამ მცირედს ვაცოცხლებ, დიდხანს/ სიხარულო, მიყვარხარ ძალიან... ძალიან... ზუ. თ.

146. მარი, გთხოვ, დამაკავშირე იმ ადამიანთან, რომელსაც ეპილეფსია სჭირს და აქვს „გზას“ უმხელს. გთხოვ, როგორმე მისაშველე, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

147. პირველად გწერთ და მხოლოდ იმიტომ, რომ გითხრათ, მარი ძალიან საყვარელია. ადრე „დროებაში“ იყო სიუჟეტი და იქ ვნახე. ასე, რომ... მაგარი ვარ!

148. მარი, გთხოვ, დამეხმარო მაია ლობჟანიძის მოძებნაში. ის წარმოშობით ლაგოდეხიდანაა. გათხოვილია გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში. მარიკა დარისპანაშვილი.

149. მარი, ათენიდან გწერ. უკვე 1 წელია, შენი მკითხველი ვარ და მინდა გითხრა, რომ ძალიან მეხმარები აქ გაძლებაში. მინდა, ერთი საიდუმლო გაგიმხილო. 2 წლის წინ, საავადმყოფოში მივდიოდი ხოლმე, ხშირად, დეიდაშვილის მოსანახულებლად. იქ გავიცანი ერთი არაჩვეულებრივი ბიჭი, იკა კახაძე, რომელიც ძმაკაცს აკითხავდა ხოლმე. სამწუხაროდ, მისი ნომერი დამეკარგა. მომაძებნინეთ, რააა? თუ გამოჩნდეს, ჩემი ნომერი მიეცით. ზიზი, ქუთაისიდან.

150. ჩემს საყვარელ ადამიანს, ჩემი საყვარელი ჟურნლის ფურცლებიდან მინდა მოვეფერო. მოგეფერები, ჩემო კეთილო/ შენმა გულმაც თუ ასე ინება/ ანიტა, შენ ხარ ამ ქვეყანაზე/ სიცოცხლის ნაზი გამოვლინება.

151. მარი, დაგვიბეჭდე, რააააა! დედაჩემი გვენატრება ძალიან... ძალიან... ის საბერძნეთშია, ჩვენ კიდევ, არ შეგვიძლია მის გარეშე გაძლება. დე, გვიყვარხარ! ია და ლიკა.

152. იკა, რაღაც არა მგონია, 35 წლის რომ იყო. მაგ ასაკში უფრო სერიოზულები და თავშეკავებულები არიან. სად წავიდნენ ეს კაცები, ნუთუ ყველა „ოპტომ“ გადაჯიშდა? „კნეინა თამარი“.

153. ხალხო, რა დებილებივით შეგირქმევიათ რაღაც ბანძი სახელები? აქ ალბათ სულ მახინჯები ამესიჯებთ. მარი, გთხოვ, ჩემი ნომერი არავის მისცე.

154. სხვებისგან განსხვავებით, გათხოვებაზე არ ვოცნებობ. 25 წლის ვარ. ერთ-ერთ წარმოებაში უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობ, მაგრამ რატომღაც ცხოვრება ძალიან ერთფეროვანია.

155. „პრივეტ“, მარი! პირველად გწერ და გთხოვ, დამიბეჭდე რაა! ბათუმელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! რაც კარგები ვართ, ბათუმელები ვართ... „წუნა“, ბათუმი.

156. მარი, პირველად ვამესიჯებ და დამაინტერესა, „არარომანტიკული“ რამდენი წლის არის? „ქეთი“.

157. ვარ 37 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მინდა, გამოვეხმაურო „ზოლუშკას“. თუ სურვილი ექნება, დამიკავშირდეს. ლომი. ვისაც სიყვარული გწყურიათ, შეგიძლიათ დამიკავშირდეთ.

158. გავგიჟდი რა! აღარ შემიძლია ამდენი უბედურის ყურება. „მონასტრის ბიჭი“ მართალია! „პაემანს“ დაემსგავსა „გზა“. ეს გვერდებიც „გზავნილებს“ რომ დაუთმოთ, არ შეიძლება? ვინც მეთანხმებით, გამოხატეთ აზრი ხმამაღლა. იქნებ მარიმ დაგვიჯეროს და „მთელ ქვეყანას საიდუმლოდ“ ხარჯზე, „გზავნილები“ გაზარდოს. „მეკობრე“ გოგო.

159. ვარ ლამაზი, სიმპათიური, 37 წლის, ცოლშვილიანი მამაკაცი. მინდა, მყავდეს მეგობარი ქალი, 40 წლამდე. ვინც მაგრძნობინებს სიყვარულს. არა აქვს მნიშვნელობა მის წარსულს.

160. თამო, დიდი სიამოვნებით გაგიცნობ. დამირეკე ან დამიმესიჯე. გიო.

161. მეგობრობის მიზნით გავიცნობ ერთგულ მეგობარს და ჯიგარ გოგოს. უბრალოდ, ადამიანი იყოს. მის მორალურ და მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელობა არ აქვს. „იაზვები“ — არა! ვეტო-16.

162. თოვლივით თეთრი ხარ, შავთვალა ქალო/ ახლოს მოდი ჩემთან, შორს რათა ხარო!/ შენი სიყვარულით ეს გული ხარობს/ შენი შორი ყოფნით ეს გული დარდობს. მენატრები, ჟუჟუნა!

163. „პრივეტ“ მარი. მინდა, „როკო“ ან რომელიმე როკერი გავიცნო. BILL GIRL.

164. გამარჯობა. მსურს, 23-25 წლის მამაკაცი გავიცნო. იანა-18.

165. ხალხო, ძალიან მინდა უფროსი მეგობარი, რომელიც ჭკუას დამარიგებს ხოლმე. „მის კრისა“.

166. „პრივეტ“! როგორ ხართ, ჩემო კარგებო? აუ, მომბეზრდა სულ ბიჭები და ბიჭები! გოგონებო, სამეგობროდ გავიცნოთ რა, ერთმანეთი?! მაგრად მინდა, SMS-დაქალი მყავდეს. გელით. ნანუკი.

167. პატარებისა რა გითხრათ, მაგრამ 40 წელს გადაცილებულებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ დაოჯახებაზე. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. გაუთხოვარი. გავიცნობდი 43-48 წლის ჩემს შესაფერის მამაკაცს. მეოცნებე.

168. ვიცი, ყველა ხევსური დაბადებიდან სამშობლოზეა შეყვარებული. ყველა ხევსურს მოგესალმებით. მიყვარხართ ძალიან. წიკლაური.

169. ვარ 27 წლის ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობდი თბილ და ნაზ გოგონას. გელოდებით. გიგი.

170. ეს მესიჯი მისი იყოს, ვინც მინდა, რომ კარგად იყოს და თუ მესიჯს წაიკითხავს, მუდამ ბედნიერი იყოს. კუდრაჭა-21.

171. ყველა ხევსური მიწიერი მამა ღმერთია, დაბადებიდან სამშობლოზე შეყვარებული. ძალიან მინდა „უიღბლოს“ გაცნობა. ხევსური-მილმახეველი.

172. მარი, დამიბეჭდე, რა? ო, როგორ ძლიერ შეგიძულებდი, თავდავიწყებით რომ არ მიყვარდე... „პუპსიკა“.

*გაგრძელება იხ. გვ. 72*

# ხართ თუ არა აგრესიული

**1) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა გულს გტკენენ?**

ა) თქვენ ეს ნაკლებად გაღელვებთ, ამიტ-ომ ამაზე რეაქცია არ გაქვთ;

ბ) მაშინვე კონტრშეტევაზე გადადიხართ;

გ) მართალია, თქვენთვის ეს სულერთია, მაგრამ საპასუხო მოქმედებას მაინც თავს არიდებთ.

**2) როგორ იქცევით საავტომობი-ლო საცობში მოხვედრისას?**

ა) იწყებთ სხვა მძღოლების ლანძღვას. ამის შედეგად, გულზე ცოტა მოგეშვებათ ხოლმე;

ბ) სასოწარკვეთილებაში ვარდებით, მან-ქანის მიტოვებისა და გზის ფეხით გაგრ-ძელების სურვილი გიჩნდებათ;

გ) თქვენ ეს გაღიზიანებთ.

**3) ხდება თუ არა თქვენს ოჯახში ჩხუბი?**

ა) იშვიათად, მაგრამ როცა ხდება, ამას სკანდალი არ მოჰყვება ხოლმე;

ბ) საშინელი სცენები იმართება, კარის გაჯახუნებითა და სასტიკი ბრალდებებით;

გ) ჩხუბის შედეგად ჩვენი დამოკიდებულება კარგა ხნით იცვლება ხოლმე.

**4) როგორ იქცევით მეგობრების კომპანიაში წარმოქმნილი კამათისას?**

ა) საკუთარი აზრის გამოთქმის სურ-ვილი გაქვთ, მაგრამ გრცხვენიათ და გაჩუმე-ბას ამჯობინებთ, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით;

ბ) როცა ამის შესაძლებლობა გაქვთ, კა-მათს ყოველთვის თავს არიდებთ;

გ) გამოთქვამთ საკუთარ აზრს, იშველიე-ბთ არგუმენტებს და თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად, ხმის აწევასაც არ ერიდებით.

**5) რა შეგიძლიათ თქვათ საკუ-თარ ხასიათზე?**

ა) თქვენ მშვიდი და სა-სიამოვნო ადამიანი ხართ;

ბ) თქვენ პრინციპული და მომთხოვნი ადამიანი ხართ;

გ) თქვენ გულღია ად-ამიანი ხართ.

**6) როგორ გიჭირავთ თავი მრისხანების ჟამს?**

ა) იშვიათად ბრაზდებ-ით, მაგრამ მაშინაც სიმშ-ვიდის შენარჩუნებას ცდი-ლობთ;

ბ) ყველაფერზე წახვალთ — არც სიტყვიერ შეურაცხ-ყოფაზე დაიხევთ უკან და არც ფიზიკურზე;

გ) იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, ვინც მხოლოდ „ორთქლის გამოშვებით“ კმაყ-ოფილდება, ამაზე შორს კი არ მიდის.

**7) როგორ იქცევით, როცა ვინმე შეცდომას უშვებს, ეს კი თქვენც გეხებათ?**

ა) შეცდომის დაშვებისთვის გამოთათხ-ავთ მას და გამოუცხადებთ, რომ თავისი გაფუჭებული საქმე თავადვე მოაგვაროს;

ბ) მისი შეცდომის გამოსწორებას ხმის ამოუღებლად შეეცდებით;

გ) მომხდარს დამნაშავესთან ერთად განიხ-ილავთ, გაარკვევთ შეცდომის მიზეზს და მასთან ერთად ეცდებით მის გამოსწორებას.



## ტესტის შედეგები:

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „ა“: თქვენ სი-ტყვიერი და ფიზიკური აგრესიის გამოვლენისკენ ხართ მიდრეკილი. თქვენნაირი ადამიანები მრისხანების ჟამს მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებენ, ისვრიან ნივთებს, იჯახუნებენ კარს და არც ხელჩართულ ჩხუბზე ამ-ბობენ უარს. წონასწორობის დაკარგვის დროს, საკუ-თარი ლექსიკის კონტროლის უნარსაც კარგავენ.**

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „ბ“: აგრესიულობის გამოვლინებისაგან შორს ხართ. როცა ძალიან ბრა-ზობთ, მაშინაც კი შეგიძლიათ თავის შეკავება. მაგრამ შესაძლოა, თქვენი ასეთი ქცევის გამო, ირგვლივ მყო-ფებმა უნდილ და სუსტი ნებისყოფის ადამიანად მიგიჩ-ნიონ, რომელსაც თავის დაცვაც კი არ ძალუძს.**

**თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს „გ“: აგრესიულობის გარკვეული მუხტი ნამდვილად გაქვთ, მართალია, მის გაკონტროლებას ცდილობთ, მაგრამ ზოგჯერ, წონას-წორობას კარგავთ და ფეთქდებით. გირჩევთ, ყურა-დღებით იყოთ: შესაძლოა, თქვენი აგრესიულობის მსხ-ვერპლად ისეთი ადამიანები იქცნენ, ვინც ამას ყველაზე ნაკლებად იმსახურებს.**

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

**წინა ნომრის სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 1 | 5 | 7 | 6 | 9 | 3 | 8 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 4 | 5 | 6 | 9 | 7 |
| 6 | 7 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 |
| 1 | 6 | 7 | 4 | 5 | 8 | 2 | 3 | 9 |
| 9 | 5 | 8 | 2 | 1 | 3 | 7 | 6 | 4 |
| 3 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 1 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 2 | 9 | 6 | 4 |
| 2 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 1 | 6 | 2 | 7 | 8 |
| 1 | 3 | 7 | 2 | 9 | 4 | 5 | 8 | 6 |
| 6 | 9 | 2 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 7 | 9 | 2 |
| 4 | 7 | 6 | 5 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 |
| 3 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 | 6 | 2 | 7 |
| 9 | 2 | 1 | 7 | 6 | 3 | 8 | 4 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 3 | 6 | 4 | 5 |
| 4 | 5 | 9 | 1 | 2 | 6 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 |
| 3 | 7 | 6 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 6 | 7 | 5 | 3 | 8 |
| 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 5 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 4 |
| 6 | 8 | 4 | 5 | 9 | 2 | 3 | 1 | 7 |
| 7 | 3 | 1 | 6 | 4 | 8 | 9 | 5 | 2 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | | 3 | 9 | | | 2 | |
| 6 | | | | 8 | | 5 | 9 | |
| 4 | | | | | 7 | | | 8 |
| 1 | | | 6 | | 8 | 9 | | |
| 3 | 5 | | | 7 | | | 1 | 4 |
| | | 9 | | 3 | | | | 2 |
| 2 | | | 8 | | | | | 6 |
| | 6 | 3 | | 2 | | | | 9 |
| | 4 | | | 6 | 3 | | 8 | 5 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | 3 | | | | 5 |
| | | 6 | | 8 | | 7 | | 1 |
| | 5 | | | | 6 | 3 | | |
| | | 8 | | | 1 | 9 | | |
| | 4 | | | 9 | | | 1 | |
| | | 2 | 6 | 7 | | 4 | | |
| | | 9 | 3 | | | | 2 | |
| 4 | | 7 | | 2 | | 5 | | |
| 6 | | | | 5 | | | | 4 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | 1 | 9 | | |
| | | 4 | 9 | | | | 5 | |
| 8 | | | | | | | | |
| | | 2 | | | 6 | | | 1 |
| 5 | | | | | | | | 7 |
| 7 | | | | | 4 | 6 | | |
| | | | | | | | | 6 |
| | 5 | | | | 2 | 4 | | |
| | | 9 | 5 | | | | 3 | |



1. მოძრავი კიბე
2. ამერიკელი კინორეჟისორი
3. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
4. ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვისას
5. პატარა ქვევრი
6. ძალიან იშვიათი რამ
7. მონარქის უმაღლესი ტიტული
8. გრძელი გასასვლელი, დერეფანი
9. პოლონეთის ფულის ერთეული
10. სამტოძიანი ჭანბალი
11. ქალაქი საფრანგეთში
12. ქცევის თავისებურება
13. ამერიკის შტატი
14. ძვირფასბეწვიანი მტაცებელი
15. ერთგვარი კანფეტი
16. რაიმე მიდამოს ზედხედი
17. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
18. გაფუჭებული კვერცხი
19. ზღვის დიდი ფრინველი
20. გამდიდებელი შუშა
21. მარცვლეულის ნათესი
22. გრამატიკული კავშირი
23. პატარა ძაღლი, გოშია
24. მუს. ნოტი
25. თხის ჯოგი
26. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
27. დაბალი მაგიდა
28. რბილი ტაბურეტი
29. ხის თხელი ფურცელი
30. რომის იმპერატორი
31. მდინარე თბილისში
32. მსუბუქი არშიყი
33. მავნებელი მწერი
34. ეგვიპტის დედაქალაქი
35. ძვირფასი სკამი
36. სატრფოსადმი მიძღვნილი სიმღერა
37. უეცარი რევიზია
38. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ. მით.
39. ზოგი ცხოველის თათი
40. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი
41. ქართული სიმებიანი საკრავი
42. დიდი საოკეანო გემი
43. ბუქსირით მოძრავი სატვირთო გემი
44. ძალა, ღონე
45. ზღაპრული გრძნეული ქალი
46. კიევის დიდი მთავარი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. პარასკევი; 2. პიჯაკი; 3. რეკეტი; 4. კიჩო; 5. ვენახი; 6. ტომ; 7. კაფე; 8. იმპერია; 9. ჰიტი; 10. პროფილი; 11. პატიო; 12. პროკურორი; 13. ფალავანი; 14. ლაფერა; 15. გეტა; 16. კოლოსი; 17. რაჯა; 18. კუბა; 19. ყუა; 20. რისკი; 21. სატანა; 22. ბაჯო; 23. ცოლიკაური; 24. კიტო; 25. ირონია; 26. ძროხა; 27. რაში; 28. ნატო; 29. შაკირა; 30. ისლი; 31. ლაოსი; 32. შამპუნი; 33. ხახვი; 34. ხახამი; 35. ნიკ; 36. ჯიგა; 37. საბა; 38. ლიანა; 39. კომპასი; 40. ლეკვი; 41. კაჟი; 42. სატურნი; 43. ულისე; 44. სტაჟი; 45. ბანდეროლი; 46. ვაქცინა.

**სურათზე**: ჯეკი ჩანი; ლუსი ლიუ.

დასაწყისი იხ. გვ. 66

173. მინდა, დათოს ვკითხო: ნუთუ არ გიყვარს შენი შვილი, გიო? ან მასე ვინ „დაგაჩმორა“, რომ არც ნახულობ? ნუთუ ეგ გგონია კაცობა? იცი, რა საყვარელი შვილი გვყავს?

174. დათო, თუ გრძნობა არ არსებობს, მაშინ სიტყვები ნულია. „პუპსიკა“.

175. ირინა ლიპარტელიან-გორგოძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 25 იანვარს. ვუსურვებთ წინსვლას ცხოვრებაში. ეკა, მაკა, ეთიკო და რუსიკო.

176. ვისაც უყვარს მესიჯების წერა და ღამეების თენება, ყველა მოუსვენარ გოგოს მიეცით ჩემი ნომერი. „მოუსვენარი“, 18 წლის.

177. მარი, იცი, რა მაგარია, როდესაც შენს საყვარელ ადამიანთან ხელს მოაწერ და თვეში ერთხელ ნახავ? უზომოდ მიხარია. ზურა გორგაძე, მალე გნახავ, სიხარულო. პატარა ლელა.

178. ყოველთვის ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ პირველად გიმესიჯებთ, იმედია, დამიბეჭდავთ. ვისაც სურს, მართლაც რომ ყველანაირად კარგი გოგოს გაცნობა, დამიმესიჯეთ. 23-28 წლის მამაკაცების საყურადღებოდ!

179. მინდა, ჩემს ნანატრ დედიკოს დაბადების დღე მივულოცო და ვუთხრა, რომ ეს წლები, რაც უჩემოდ გაძლო, ჩემთან ყოფნით აენაზღაურებინოს. დედი, უკვე ველარ ვუძლებ უშენობას. ძალიან მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები, ჩემო ოცნებავ. შენი ოცნება, იტალიიდან.

180. ვარ 30 წლის. სამეგობროდ გავიცნობ მამაკაცს, ოღონდ, ამჟამად საქართველოში არ ვარ. ლიკა.

181. „გზავნილების“ ერთგულ მგზავნელს, ელისო ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 იანვარს. ვუსურვებ ყოველივე კარგს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი და მენატრები.

182. გამარჯობა, მარი. ოდესმე თუ გაგჩენია სურვილი, რომ შენი სურვილი მარადიულობად იქცეს? მე ამის სურვილი მაქვს და ამიტომ გიმესიჯებ. ის სამუდამოდ გაიბნევა „ჯეოსელის“ ანძებს შორის, თუ „გზის“ ფურცლებზე არა. საუკუნოდ შეყვარებული ვარ ანიზე. მე მას ხუმრობანარევი სერიოზულობით ვეუბნები, რომ სამუდამოდ მასთან მინდა. არადა, მთელი სერიოზულობით მინდა, ხელი ვთხოვო. ეს მესიჯი კი მინდა, რომ ჩემი მარადიული სურვილის მარადჟულობად იქცეს. თავადი. გ.

183. ეკა ბახტურიძეს დედა ულოცავს დაბადების დღეს. უსურვებს ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

184. ხალხო, „გზას“ ისე ვერ ნახავთ/ რომ არ გეჩხიროთ თვალებში/ სარგებლობს პოპულარობით/ განსაკუთრებით — ქალებში./ გიჟპოეტობით მოგვენუსხა/ დაგვასხა თავზე რეტია/ ვარ მისი ოპოზიცია/ უკვე 2 თვეზე მეტია. ეძღვნება „სტიქიას“. ელე.

*სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯის რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს.*

**მოამზადა მარი ხაფარიძემ**



# რომან აბრამოვიჩი მსოფლიოში უდიდესი იახტის მფლობელი გახდება



გამოცემა The Wall Street Journal იუწყება, რომ რუსმა მილიარდერმა და ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა გერმანულ გემთმშენებელ ფირმას — Blohm & Voss ახალი იახტის აშენება შეუკვეთა. ეს იახტა მსოფლიოში უდიდესი კერძო ხომალდი იქნება. The Wall Street Journal-ის ცნობით (გამოცემას ეს ინფორმაცია პროექტის მონაწილე უცნობმა წყარომ მიაწოდა), ახალი იახტა ჰამბურგში შენდება. მისი სიგრძე 525 ფუტი (160 მ) იქნება. იახტას Eclipse ერქმევა („დაბნელება“) და მის ბორტზე ვერტმფრენის 2 მოედანი, რამდენიმე საუნა, 3 სამაშველო ნავი და სუბმარინი განთავსდება. ხომალდი უსაფრთხოების სპეციალური სისტემით — მოძრაობის სენსორებით და რაკეტის აღმომჩენი სპეციალური აპარატურით იქნება აღჭურვილი. გემთმშენებელი ფირმა Blohm & Voss მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ „სადღაც, გერმანიაში“ ეს იახტა მართლაც შენდება. Eclipse-ს დამპროექტებელი ფირმის — Terence Disdale LtD წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ამ პროექტის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ, რადგან პროექტი გასაიდუმლოებულია!“ რომან აბრამოვიჩის წარმომადგენელმა ჯონ მანმა განაცხადა, რომ ბიზნესმენს მისი კერძო საკუთრების შესახებ კომენტარის გაკეთება არ სურს. ცნობილია, რომ აბრამოვიჩი 3 იახტის მფლობელია. კერძოდ, მას ეკუთვნის 377-ფუტიანი Pelorus და 282-ფუტიანი Ecstasea; მესამე იახტა — 370-ფუტიანი Grand Bleu ბიზნესმენმა მეგობარს და საქმიან პარტნიორს გადასცა.

დღესდღეობით მსოფლიოში უდიდესი 525-ფუტიანი იახტა დუბაის შეიხს მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაკტუმს ეკუთვნის. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 2006 წლის აპრილში, ჟურნალმა Forbs-მა უმდიდრეს რუს ბიზნესმენთა ყოველწლიურ რეიტინგში აბრამოვიჩის ქონება 18,3 მილიარდ დოლარად შეაფასა და ის, ამ რეიტინგში პირველ ნომრად დაასახელა. აბრამოვიჩი რუსეთში ფოლადჩამომსხმელი კომპანია „ევრაზჰოლდინგის“ აქციების 40%-ის მფლობელია. ეს კომპანია რუსეთში ფოლადის უმსხვილესი მიმწოდებელია. 2003 წელს რომან აბრამოვიჩმა ლონდონის საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ შეიძინა. 2006 წლის დეკემბერში აბრამოვიჩმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს თხოვნით მიმართა, რათა ჩუკოტკის გუბერნატორის პოსტზე მისი უფლებამოსილება შეეჩერებინა. პრეზიდენტ პუტინს მისი თხოვნა ჯერ არ დაუკმაყოფილებია. აბრამოვიჩი ჩუკოტკის გუბერნატორად პირველად, 2000 წლის 24 დეკემბერს, მეორე ვადით კი — 2005 წლის ოქტომბერში აირჩიეს.

# კონკურსი მსხვერპლით დასრულდა



კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს ერთ-ერთი რადიოსადგურის მიერ მოწყობილი უჩვეულო კონკურსის მონაწილე ქალი, წყლის დალევის შემდეგ, ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. კონკურსის მონაწილეები პრიზის — ვიდეოთამაშ Nintendo Wii-ს მოსაპოვებლად ერთმანეთს ტუალეტში შეუსვლელად, რაც შეიძლება ბევრი წყლის დალევაში ეჯიბრებოდნენ. რადიოსადგურ 107,9-ის კონკურსის მონაწილე 28 წლის ჯენიფერ სტრეინგი შეჯიბრის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქგარეთ მდებარე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ატირებულმა ჯენიფერმა ჩვენს ერთ-ერთ სუპერვაიზერს უთხრა, რომ ძლიერი თავის ტკივილი დაეწყო და შინ მიდის... ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო“, — ამბობს გარდაცვლილის კოლეგა ლაურა რიოსი.

# ფოტოკურიოზები











TB STARS

# პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე




ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით



PASCHAL

ბინები 57 მ² – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")